

၃

၁

၃

შენი

ფინანსური რევოლუცია

უზრუნველყოფის ძალა

၃

၂

၅

გარი ქისი

၅

၁

၃

მ

ე

ვ

შენი

ფინანსური რევოლუცია

უზრუნველყოფის ძალა

მ

მ

ვ

გარი ქისი

გ

ე

ვ

**Your Financial Revolution, The Power of Provision, Georgian**  
Copyright © 2022 by Gary Keesee

Originally published in English  
Copyright © 2021 by Gary Keesee  
ISBN : 978-1-945930-39-3  
Gary Keesee Ministries,  
P.O. Box 779, New Albany,  
OH 43054, USA  
[GaryKeesee.com](http://GaryKeesee.com)

This book is a FREE GIFT from Gary Keesee Ministries and is  
NOT FOR SALE

**შენი ფინანსური რევოლუცია, უზრუნველყოფის ძალა, ქართულად**  
Copyright © 2022 by Gary Keesee

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე  
Copyright © 2022 by Gary Keesee  
ISBN : 978-1-945930-39-3  
გარი ქისის მსახურება,  
P.O. Box 779, New Albany,  
OH 43054, USA  
[GaryKeesee.com](http://GaryKeesee.com)

ეს წიგნი გარი ქისის მსახურების საჩუბარისა და არ იყიდება.

# შინაარსი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი.....   | 5   |
| <b>თავი 1:</b> სინათლემ გამოიპრწყინა წყვდიადში.....           | 19  |
| <b>თავი 2:</b> ახალი აზროვნება.....                           | 35  |
| <b>თავი 3:</b> მართლმსაჯულების საკითხი.....                   | 53  |
| <b>თავი 4:</b> არ გახსოვს?.....                               | 81  |
| <b>თავი 5:</b> შენი უზრუნველყოფისთვის უფლების მინიჭება.....   | 99  |
| <b>თავი 6:</b> რწმენა გასაღებია.....                          | 129 |
| <b>თავი 7:</b> გაფრთხილება: დარჩი შენს გაზრდილ რწმენაში!..... | 147 |
| <b>თავი 8:</b> გეგმა გჭირდება!.....                           | 165 |
| <b>თავი 9:</b> წასვლის დროა!.....                             | 181 |



## შესავალი

ამ წიგნის სათაური შესაძლოა, ძალიან მარტივად უღერდეს, რაღაც ისეთად, რაც ისედაც ნათელი ფაქტია. ვინ იდავებს მის მნიშვნელობაზე? ვფიქრობ, ყველა დავეთანხმებით აზრს, რომ გქონდეს უზრუნველყოფილად ის ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გვჭირდება, აუცილებელია. და მაინც, ძალიან ბევრს არ აქვს საჭირო უზრუნველყოფა. რეალურად, ბევრი იბრძვის, რომ გადარჩენისთვის საკმარისი ჰქონდეს. ისინი ქვითრებსა და ვალებზე დამონებული ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელთაც დასასრული არ აქვთ. ოცნებების ასრულების ნაცვლად, სასონარკვეთილ მდგომარეობაში ატარებენ ცხოვრებას, მუდმივად იმის შიშით, რომ უნდა წავიდნენ სამსახურში, რომელსაც ვერ იტანენ და ყველაზე უარესი, იცხოვრონ უაზრო მიზნით.

ბოლო კვლევა ამბობს, რომ ამერიკელთა 48 %-ს სახლში წელიწადში 31,516\$ შეაქვთ, ანუ 2,630\$ ან ნაკლები თვეში<sup>1</sup>, და მოსახლეების 40%-ს არც კი შეუძლია 4,00\$-იანი ჩეკის ისე გამოწერა, რომ ნინასნარ არ ჰქონდეს დაგეგმილი.<sup>2</sup>

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ რამხელა სტრესია, როცა ყველა დახარჯულ ცენტს აკონტროლებ იმ იმედით, რომ შემდეგ ხელფასამდე მიაღწევ, და ეს გრძელდება კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე ისე, რომ დასასრული არ უჩანს? წინ წასვლის ნაცვლად, აღმოაჩენ, რომ უფრო და უფრო ღრმად იძირები ვალებში, გამოსავლის გარეშე. მე შემიძლია, წარმოვიდგინო, რადგან სწორედ ასე ვცხოვრობდი ცხრა ხანგრძლივი წლის განმავლობაში. და ეს სულაც არ იყო ჩემი წარმოსახვა. ეს რეალობა იყო.

<sup>1</sup> America's Middle Class is Vanishing. Nearly Half of Workers Earn Less than \$30,000 (howmuch.net)

<sup>2</sup> Fed survey: 40 percent of adults can't cover a \$400 emergency expense (cnbc.com)

## ნაკლოვანების სირცხვილი

მე და დრენდა, ჩემი მეუღლე, დავქორწინდით და ვიმე-დოვნებდით, რომ გასაოცარ ცხოვრებას დავიწყებდით, მაგრამ ვალებითა და ფინანსური სტრესით სავსე ცხოვრებაში აღმოვჩნდით. რამდენიმე წლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ უკვე 10 ამონტურული და გაუქმებული საკრედიტო ბარათი გვქონდა, სამ საფინანსო კომპანიაში სესხი 28%-იანი სარგებლით, ორი დანჯლრეული მანქანის ვალი, ორივე 300,000 კილომეტრზე მეტი გარბენით, ყადაღა გვედო IRS-ში და კიდევ უამრავი სხვა ვალი, რასაც ვერ ვიხდიდით. ჩვენი მშობლებისაც ათასობით დოლარი გვმართებდა და იქამდეც კი მივედით, რომ ჩვენთვის ფულის სესხება შეწყვიტეს.

ნამდვილად არ გვქონდა გადაწყვეტილი, ცხოვრება ვალებით გაგვენადგურებინა, უბრალოდ, ვცდილობდით რამენაირად თავი გაგვეტანა. რაც არ უნდა გასაოცრად უღერდეს, მე ფინანსურ სფეროში ვმუშაობდი და ადამიანებს ვებმარტებოდი დაზღვევასთან და დაბანდებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ჩემი ხელფასი სრულიად გაყიდვებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ გაყიდვები არასდროს იყო საკმარისი. იმედი გვქონდა, რომ ბიზნესი წინ წავიდოდა, მაგრამ კვირები წლებში ისე გადაიზარდა, რომ არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

საბოლოოდ, გადასახადების გადასახდელად ვალების იმედზე ყოფნის ცხრა ხანგრძლივი წლის შემდეგ, თანხის სესხების ყველანაირი შესაძლებლობა ამოვნურეთ. დავაგირავეთ ყველა ლირებულების მქონე ნივთი, რაც კი ვიპოვეთ და ამ ფინანსურ ჭაობში ცხოვრებით გამოწვეულმა სტრესმა სერიოზული ზიანის მოყენება დაიწყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

პანიკური შეტევები ჩამომიყალიბდა, რის გამოც ანტიდეპრესანტების მოხმარება დავიწყე, რაც რეალურად საერთოდ არ მეხმარებოდა და მთელი წესი გვერდითი მოვლენები გამოიწვია. სისხლში შაქრის დონე იმდენად მაღალი იყო, ექიმმა ისიც კი მითხრა, რომ დიაბეტი განმივითარდებოდა.

ჯანმრთელობის ასეთ მდგომარეობაზე უარესი შიშები იყო. იქამდე მივედი, რომ სახლიდან გასვლისაც კი მეშინოდა. შემაძრნუნებელი განცდა, რომ სამყარო თავზე მემხობოდა, პარალიზებულს მხდიდა. ყოველთვის იმაზე მეტი გადასახადი მოგვდიოდა, ვიდრე შეგვეძლო, გადაგვეხადა, და ყოველ თვეში

გამოწვევა იყო ჩვენთვის, მივმხვდარიყავით, თუ რომელი უნდა გადაგვეხადა აუცილებლად და რომელი შეგვეძლო, გამოგვეტოვებინა ერთი თვით.

ვფიქრობ, კიდევ ერთი ასპექტი, რაც ამ ფინანსურ არეულობას ახლდა და რაც ძალიან მასუსტებდა, გამუდმებული სირცხვილის განცდა იყო. შიში მიპყრობდა საკრედიტო პარათის ყოველი გამოყენებისას, იმედი მქონდა, რომ კიდევ ერთხელ იმუშავებდა. აღმოვაჩინე, რომ მუდმივად ვიმიზეზებდი რაღაცას, ვატყუებდი საკრედიტო ოფიცრებს, რომლებიც თითქმის ყოველდღე რეკავლნენ. ალბათ, ყველაზე რთული გასაძლები ჩემი მშვენიერი ოჯახის ამ სიტუაციაში ყურება იყო, როცა მათ არ ჰქონდათ ის, რაც სჭირდებოდათ. ეს ყველაფერი გულს მტკენდა. წრფელად რომ ვთქვა, ყოველდღე დამარცხებულად ვთვლიდი საკუთარ თავს, როცა ერთ პრობლემას მეორე ემატებოდა.

ეს ფინანსური ქაოსი არ იყო უბრალოდ გაელვება რადარზე, ერთი მომენტი. ეს ცხრა ხანგრძლივი წლის განმავლობაში გრძელდებოდა!

თუ გაინტერესებთ, დიახ, ყოველ კვირას ეკლესიაში ვიყავი. თეოლოგიასა და ბიზნესში მქონდა ხარისხი და ერთი წელი ბიბლიურ სკოლაშიც დავდიოდი. სულიწმიდით ვიყავი მონათლული და ძალიან მიყვარდა ლმერთი, მაგრამ რაღაც ისე ვერ იყო. ეს ვიცოდი, მაგრამ რა? ის ისტორიები, რასაც ბიბლიაში ვკითხულობდი, უბრალოდ არ ხდებოდა რეალურ ცხოვრებაში.

ძალიან კარგ ეკლესიაში დავდიოდით, რომელიც გვასწავლიდა, რომ ღვთის ნება იყო, მატერიალურად წარმატებულები ვყოფილიყავით, მაგრამ რატომლაც ასე არ ხდებოდა და წარმოდგენა არ მქონდა, რატომ? წრფელად რომ ვთქვა, ვერც იმას სხედავდი, რომ რომელიმე ჩემი მეგობარი ყოფილიყო დიდად წარმატებული ფინანსურად.

## დილის ზარი

ამ ყველაფერმა კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ერთ-ერთმა იმ მრავალ ადვოკატთაგან, ვინც ვალების გამო დამდევდა, კიდევ დარეკა. ამჯერად, უკვე ძალიან მკაფიო და პირდაპირი იყო. „ბატონო გარი, სამ დღეს გაძლევთ იმ 1,600\$-ის გადასახდელად, რაც ჩემი კლიენტის გმართებთ! წინააღმდეგ

## შეინია უიდესური რაოვლუცია: უზრუნველყოფის ძალა

შემთხვევაში, იძულებული ვიქწები, საქმე აღვძრა თქვენს წინააღმდეგ“. და მაშინვე გამითიშა ტელეფონი.

ვიცოდი, რომ ყველაფერი დამთავრდა. განწირული ვიყავი. ვერავის შევჩივლებდი, რადგან ყველასთან ამონურული მქონდა თანხის სესხების შესაძლებლობა და აღარავისთან მიმესვლებოდა. აღარც ფული გვქონდა და აღარც საჭმელი. ჩვენი მაცივარი ისეთივე ცარიელი იყო, როგორც ჩვენი საბანკო ანგარიში. იმედი მქონდა, რომ ჩემს ბიზნესში ერთი კვირა მაინც წავიდოდა საქმეები ისე, რომ ამოვქაჩულიყავით, მაგრამ ასე არ ხდებოდა.

სასოწარკვეთილი ჩემს საძინებელში ავხოხდი, ძველი ფერმის სახლში, რომელსაც თვეში  $300\$$ -ად ვქირაობდით. ვიცოდი, ღვთის ნება არ იყო, რომ ასეთ ფინანსურ მონობაში გვეცხოვრა, თუმცა ჩვენი ცხოვრება ყველაფერი იყო, გარდა ფინანსური წარმატებისა.

ცრემლიანი თვალებით გადავემსე საწოლს და ღმერთს შევლალადე. ჩემდა გასაოცრად, უერად გავიგონე როგორ მიპასუხა. ჩემს სულში მკაფიოდ მოვისმინე მუხლი:

„ჩემი ღმერთი კი ყოველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ აღავსებს, დიდებაში, ქრისტე იესოში.“

– ფილიპელთა 4:19

ხმამაღლა ვთქვი: „ვიცი ეს მუხლი, მაგრამ ვერ ვხედავ მის მოქმედებას ჩემს ცხოვრებაში“. შემდეგ კი გავიგონე სულინმიდის ხმა:

„მეარაფერი მაქვს საერთო იმარეულობასთან, რომელშიც შენ ხარ. შენი ამ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი ისაა, რომ არ იცი როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო“. შემდეგ მან მითხრა, რომ მისი ეკლესია ზუსტად ისე ცხოვრობდა, როგორც ისრაელი ფარაონის დროს, როგორც მონები. „მე მინდა, რომ ჩემი ხალხი ფინანსურად თავისუფალი იყოს“, - თქვა მან“.

მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი, რას გულისხმობდა სამეფოში, იმას მივხვდი, რომ ვალებში ცხოვრება არ გამოდიოდა და ის მეუბნებოდა, რომ ცხოვრების უკეთესი გზა არსებობდა,

ვიდრე ვიცოდი. არ ვიცოდი, ეს რა იყო, ან როგორ მოქმედებდა, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ უნდა გამეგო.

პირველი, რაც გავაკეთე, იყო დაბლა ჩასვლა და დრენდასთვის ხელის ჩავლება. გავუზიარე, რაც ღმერთმა მითხრა. მახსოვს, როგორ ვიდექი, მისი ხელი მეჭირა და ღვთისა და მის წინაშე ვინანიებდი იმ არეულობის გამო, რაშიც გავიხლართეთ. მაშინ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ გვესმოდა რას გულისხმობდა ღმერთი სამეფოში, აუცილებლად გავარკვევდით ამას. ასევე გადავწყვიტეთ, ალარ გამოგვეყენებინა ვალები ცხოვრების სტილად, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ არ ვიცოდით, როგორ? ლოცვისას მშვიდობამ აავსო ჩემი გული და ვიცოდი, ღმერთი გვაჩვენებდა, როგორ გვეცხოვრა მისი გზებით.

მაგრამ, როცა სიტყვა „სამეფოს“ ვუბრუნდებოდი, წარმოდგენა არ მქონდა, რაზე იყო საუბარი. ვიცოდი, რომ ზეცაში მივდიოდი და საკმაოდ დიდი ცოდნა მქონდა ბიბლიის საკითხებში, მაგრამ მაინც არ ვიცოდი, რა იგულისხმა მან. რეალურად, ერთადერთი ადგილი, სადაც მახსოვდა, რომ სიტყვა „სამეფო“ ნახსენები იყო ბიბლიაში, „მამაო ჩვენოს“ ლოცვა იყო.

„მოვიდეს მეფობა (ზოგ თარგმანში სამეფო) შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა!“  
– მათე 6:10

იმ დროს ვფიქრობდი, რომ ეს ეხებოდა იმ მომავალ სამეფოს, რომელსაც იესო ერთ დღეს დედამიწაზე დააფუძნებდა, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, რეალურად რას ეხებოდა ეს? მას შემდეგ კი, რაც ჩავუკვირდი და გამოვიკვლიე ტექსტი, მივხვდი, რომ ვცდებოდი. იესო გვასწავლიდა, თუ როგორ გველოცა აქ და ახლა. ჩვენ უნდა ვილოცოთ, რომ ღვთის ნება მოვიდეს დედამიწაზე. მაგრამ რა არის ღმერთის სამეფო?

თუკი ჩემი წინა წიგნები წაკითხული გაქვთ, შეგიძლიათ, გადაახტეთ და პირდაპირ 1-ლი თავით დაიწყოთ, მაგრამ ჯერა, რომ გადამეორება ყოველთვის კარგია გამოცდის წინ. თქვენი გამოცდა კი, ცხოვრების თამაში, უკვე დაწყებულია. მაგრამ არ იდარღოთ, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვთ, რათა სწორი პასუხები გასცეთ და ჩააბაროთ! მაგრამ, თუ პირველად კითხულობთ, ახლა რაც მოდის, უმნიშვნელოვანესია!

## ცხოვრების ახალი გზა

როცა ღმერთმა მითხრა, რომ წარმოდგენა არ მქონდა, როგორ მოქმედებდა მისი სამეფო? მარტივად რომ ვთქვა, ძალიან დავიბენი. მე და დრენდა ვერც კი ვხვდებოდით, რას გულისხმობდა იგი? ჩვენ ვილოცეთ და ვთხოვეთ ღმერთს, ესწავლებინა ჩვენთვის, რას გულისხმობდა, როცა გვითხრა, რომ არ ვიცოდით, როგორ მოქმედებდა მისი სამეფო.

აქედან გამომდინარე, პირველი, რაც უნდა გამეგო, იყო ის, თუ რა იყო თავად ეს სამეფო. ვფიქრობ, ჩვენი დასავლური გონებისათვის ცოტა რთულია ჩაწვდეს მის არსს, რადგან ამერიკაში დემოკრატიული აზროვნებითა და თავისუფალი გამოხატვით ვცხოვრობთ. ღვთის სამეფო არაა დემოკრატია; ეს არის სამეფო, რომელსაც ჰყავს მეფე. მეფის ძალაუფლება მთელს სამეფოზე ვრცელდება, რაც მოიცავს უამრავ სამმართველო ორგანოსა თუ ადამიანს, ვინც ამ ძალაუფლების ქვეშ მოქმედებს. ხალხის ბრძოს ყოლა სამეფო არაა. შესაძლოა, მილიონი ადამიანი გყავდეს ბრძოში და ეს არ იყოს სამეფო. სამეფო - ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც გარკვეული კანონი ან მმართველობა აერთიანებს.

ლექსიკონში სიტყვა სამეფო ამგვარადაა განმარტებული: „სამეფო: შტატი ან გუბერნია, რომელსაც სათავეში ჰყავს მეფე ან დედოფალი“.

მიუხედავად იმისა, რომ იესოს დედამინაზე მოვლინებას - შობას აღვინიშნავთ, როგორც წესი არ გვესმის, რომ მან თავისთან ერთად მმართველობა მოიტანა. ბიბლია ლაპარაკობს ამ მმართველობაზე ესაიას 9:6-7-ში:

„რადგან ვაუ შეგვეძინა, ძე მოგვეცა; მის მხრებზე დაივანებს მმართველობა და ენოდება მას სახელად: საკვირველი მრჩეველი, ძლიერი ღმერთი, საუკუნო მამა და მშვიდობის მთავარი. განივრცობა მისი ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, რათა განამტკიცოს იგი და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით ამიერიდან უკუნისამდე; ცაბაოთ უფლის მოშურნეობა აღასრულებს ამას“.

იესო არის ამ მმართველობის თავი და როცა იესოს ჩვენს პირად მხსნელად ვიღებთ, ჩვენ ამ მმართველობის ქვეშ ვექცევთ;

ჩვენ მოქალაქეები ვხდებით. უბრალოდ მოქალაქეობა კი არ გვენიჭება, რეალურად ვხდებით ღვთის სახლეულის ნაწილი, მისი ძეები და ასულები.

„მაგრამ, ვინც მიიღო და ორწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა. ისინი იშვნენ არა სისხლისგან, არა ხორცის ნდომისგან, არა მამაკაცის ნდომისგან, არამედ ღვთისგან“.

– იოანე 1:12-13

„მაშასადამე, თქვენ უკვე აღარ ხართ ხიზნები და უცხონი, არამედ ნმიდათა თანამოქალაქენიდა ღვთის სახლეულინი“.

– ეფესელთა 2:19

როგორც ღვთის სახლეულის ნაწილი, ჩვენ მისი ოჯახის ნაწილი ვხდებით და შესაბამისად, ვფლობთ იმ ყველაფერს, რაც მას აქვს. ასევე, ჩვენ ვხდებით მისი დიდებული სამეფოს მოქალაქეები, კანონიერი უფლებებითა და სარგებლით.

## ახალი სამეფო

იმისათვის, რომ უკეთ გაიგოთ, რაზე ვსაუბრობ, ნება მომეცით, მაგალითად, აშშ-ის მოქალაქეობა მოვიყვანო. როგორც აშშ-ს მოქალაქეს, კანონიერი უფლებები გაქვთ. თქვენი კანონიერი უფლებები ჩაწერილია ჩვენს კონსტიტუციაში და ჩვენი მთავრობის მიერ დადგენილ კანონმდებლობაში. ამ კანონებით სარგებლობს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მათი ვინაობისა. ეს უფლებები არაა დაფუძნებული ჩვენს გრძნობებსა თუ ცოდნაზე. ისინი ეფუძნება კანონს და ხელმისაწვდომია ამერიკის ყველა მოქალაქისთვის. შესაძლებელია, რომ მოქალაქემ არც კი იცოდეს თავისი კანონიერი უფლებების შესახებ, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც ფლობდეს მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა.

ახლა, მინდა რაღაცაზე დავფიქრდეთ და იმედი მაქს, რომ ეს შეცვლის თქვენს ხედვას ღვთისა და მისგან მიღების შესახებ. აქ, აშშ-ში, თუკი ვხედავთ, რომ ვინმე ან რაიმე არღვევს ჩვენს უფლებებს ან უსამართლოდ გვექცევა, გვაქვს

## შენი უიდესური რავოლუცია: უზრუნველყოფის ძალა

წვდომა მართლმსაჯულებასთან (მართლმსაჯულება ნიშნავს კანონის განხორციელებას), რომელიც იცავს ჩვენს კანონიერ უფლებებს. მივდივართ სასამართლოში, სადაც მოსამართლე ყურადღებას არ აქცევს ჩვენს ჩატყულობას, მდიდარი ვართ თუ ღარიბი... ის უყურებს მხოლოდ კანონს, რადგან ყოველ ჯერზე კანონის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. კანონი და მოსამართლე ჩვენს დასაცავადაა ამ სიტუაციაში.

ჩვენ გვაქვს კანონიერი უფლებები და ჩვენი ხელისუფლება დაიცავს ამ უფლებებს მართლმსაჯულების მიერ აშშ-ის კანონმდებლობის ფარგლებში. ახლა ამაზე იფიქრეთ და კარგად დააკვირდით ესაიას მე-9 თავს, რომელიც ლაპარაკობს იმ ახალ მთავრობაზე, რომელიც იესომ მოიტანა დედამიწაზე.

„განივცრობა მისი (იესოს) ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, რათა განამტკიცოს იგი და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით ამიერიდან უკუნისამდე...“

— ესაია 9:7

ეს მუხლი ამბობს, რომ ღვთის სამეფო განივრცობა მართლმსაჯულებითა და ღმერთის კანონის მმართველობით. მართვა ნიშნავს შენი კანონიერი უფლებების განხორციელებას. შენი კანონიერი უფლებებია ის, რასაც ღმერთი სიმართლეს უწოდებს, ანუ მის კანონს. ღმერთსსურდა, დავრწმუნებულიყავით, რომ მისი სამეფოს სიკეთები კანონიერად ჩვენია, როგორც სამეფოს მოქალაქეების. ამიტომ, მან მოგვცა წვდომა მართლმსაჯულებაზე, პროცესზე, რომელიც გარანტიას გვაძლევს, რომ აღთქმულს მივიღებთ.

ღმერთმა თავისი ნება თავისი სიტყვის, ბიბლიის მეშვეობით გაგვაცნო, შესაბამისად, ჩვენ ვიცით ჩვენი კანონიერი უფლებები მის სამეფოში. ეს კეთილი უწყებაა! ყველაფერი, რასაც შენ ბიბლიაში კითხულობ იმასთან დაკავშირებით, თუ რა აღგითქვა ღმერთმა, უკვე შენია კანონიერად როგორც მისი სამეფოს მოქალაქის!

მეორე კორინთელთა 1:20 ცხადად ამბობს, რომ ყოველი აღთქმა — ყოველი აღთქმა — არის „ჰო“ და „ამინ“. იგი უკვე გადაწყვეტილია და უკვე შენია კანონიერად.

„რადგან ღვთის ყველა აღთქმა მასში არის „ჰო“ და მისით ითქმის ჩვენ მიერ „ამინ“, ღვთის სადიდებლად“.

– 2 კორინთელთა 1:20

ღვთის სამეფოს უპირველესი საფუძველი მართლმსაჯულება და სამართალია, ეს ვერ შეირყევა. ამრიგად, ასე იფიქრეთ ამ ყველაფერზე: თუკი მე ვიცი ღვთის სამეფოს კანონი (მისი ნება) და ვიცი, რომ მაქვს წვდომა მართლმსაჯულებაზე, პროცესზე, რომელიც გარანტიას მაძლევს, რომ მექნება ის ყველაფერი, რასაც კანონი ამბობს, მაშინ დარწმუნებული ვარ და არ შემეშინდება.

„და აპა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.

– 1 ოთანე 5:14-15

როცა ეს მუხლი ამბობს, რომ ის გვისმენს, აქ არ იგულისხმება ფიზიკურად უდერადობის გაგება ბერის ტალღების მეშვეობით. აქ საუბარია იმაზე, რომ ის ხელში იღებს საქმეს.

იფიქრეთ მოსამართლეზე, რომელიც ისმენს საქმეს, რათა დარწმუნდეს, რომ სამართალი აღსრულდება. სასამართლო დარბაზში მსხდომნი, მოსამართლესთან ერთად იმისათვის არიან იქ, რომ დარწმუნდნენ, მართლმსაჯულება ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის. მოსამართლის გადაწყვეტილება არ ეფუძნება მის გრძნობებს, არამედ კანონს, რაც აკონტროლებს იმას, რომ იგი ყველა მოქალაქისთვის აღსრულდეს. მოსამართლე იქ იმისთვისაა, რომ უზრუნველყოს მართლმსაჯულების (კანონის განხორციელების) აღსრულება, დაწერილი კანონის შესაბამისად.

ღმერთის შემთხვევაში, მისი ტახტი (ძალაუფლების ადგილი) და მისი ძალაა მართლმსაჯულების განხორციელების (მისი ნების აღსულების) უზრუნველყოფა ყველა ადამიანისადმი, ვინც მიდის იუსომდე და მის სამეფომდე.

გთხოვთ, კიდევ ერთხელ ნება წაიკითხეთ ეს წინადადება და ნება მიეცით მას, შეცვალოს თქვენი ახლანდელი ხედვა ღვთისადმი. ადამიანთა უმრავლესობა თვლის, რომ ღმერთის

გადაწყვეტილება დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, მაგრამ ეს სიმართლე არაა. იგი ისეთი სამეფოს მეფეა, რომლის კანონებიც არ იცვლება. იგი არ იღებს და არც მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებებს მისი კანონის მიღმა. სანამ ვთხოვთ, მანამდე შეგვიძლია, ვიცოდეთ მისი პასუხები. და შეგვიძლია დარჩეულებულები ვიყოთ, რომ გვექნება ის, რასაც მისი კანონი ამბობს მანამ, სანამ რეალობაში დავინახავთ ამ ყველაფერს, რადგან მას აქვს ძალაუფლება, რეალობაში მოიყვანოს მისი კანონის მიერ ნათქვამი.

## ალარანაირი ხვეწნა

როცა მე და დრენდამ გავიგეთ ჩვენი კანონიერი უფლებების შესახებ მის სამეფოში, რადიკალურად შეიცვალა ჩვენი ხედვა ღვთისა და ბიბლიისადმი. შედეგად, ჩვენმა ახალმა გაგებამ შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტილიც. ალარანაირი ხვეწნა, ალარანაირი მუდარა. ჩვენ გავიგეთ, თუ რა იყო უკვე ჩვენი, როგორც მისი მოქალაქეების, კანონიერად. და ჩვენ გავაგრძელეთ იმის სწავლა, თუ როგორ განგვეცხადებინა თანხმობა მის აღთქმებზე და დაგვენახა განხორციელებული აქ, მიწიერ სამეფოში. ჩვენთვის გადატრიალება იყო იმის გაგება, რომ ვფლობთ იმ ყველაფერს, რაც ზეცას აქვს. როგორც მოქალაქეებს, გვაქვს კანონიერი წვდომა სამეფოს კანონებზე. მაგრამ როგორც მისი სახლეულის წევრები, ვფლობთ და გვაქვს კანონიერი უფლება მთელ ზეცის მემკვიდრეობაზე.

„ხოლოთუ შვილები — მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი“.

— რომაელთა 8:17

ყურადღება მიაქციეთ, ეს მუხლი ამბობს, რომ ჩვენ ქრისტეს თანამემკვიდრენი ვართ! ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ქრისტესია, ჩვენიცაა!

როცა, იმ დღეს, ჩემს პატარა, დანგრეულ ფერმის სახლში, ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა, რომ არ ვიცოდი როგორ მოქმედებდა მისი სამეფო? იგი მისი სამეფოს კანონებსა და სტრუქტურას გულისხმობდა. ის მართალი იყო. წარმოდგენა არ მქონდა: რა იყო სამეფო ან როგორ მოქმედებდა იგი? მაგრამ

ერთი რამ, რასაც სწრაფად ჩავეჭიდე და რაც შემდეგ დამეხმარა, უკეთ გამეაზრებინა სამეფოს არსი, იყო ის ფაქტი, რომ სამეფოები უცვლელი კანონებით მოქმედებენ. კანონში არ არის ფავორიტიზმი. ისინი არ იცვლებიან ვინმეს საკეთილდღეოდ. ისინი უცვლელი და მუდმივია.

ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო, დღეს ვსარგებლობთ ელექტროენერგიითა და იმ სინათლით, რაც მისი მეშვეობით ჩვენს სახლებში მოდის. დამეთანხმებით, რომ ის კანონები, რაც ელექტროობას მართავს, დედამინის შექმნიდან არსებობს. თუმცა, ათასობით წლის განმავლობაში ელექტროენერგია არ არსებობდა ამ ფორმით! მიზეზი? ვერავინ აღმოაჩინა კანონები, რაც ელექტროობას მართავს და არ იცოდნენ, როგორ გამოიყენებინათ ისინი ნათურის ასანთებად. მიუხედავად იმისა, რომ ელვასა და სტატიკურ ელექტროობას აკვირდებოდნენ, როგორც ცხოვრების ბუნებრივ ნაწილს, სულ ეს იყო, დაკვირვება. არავის უფიქრია იმის გაორმაგებაზე, რასაც ხედავდნენ, რადგან ვერ აცნობიერებდნენ, რომ რასაც ხედავდნენ ბუნების კანონს ეფუძნებოდა, რაც შეეძლოთ, შეესწავლათ.

იგივე სახის ცოდნის ნაკლოვანება ვრცელდება დღეს ეკლესიაზეც. ადამიანები ბიბლიაში კითხულობენ იმ საოცარ საქმეებზე, რასაც ღმერთი აკეთებდა, მაგრამ დაკვირვების ფაზას ვერ სცდებიან.

მრავალ ადამიანს უნახავს ღვთის სასწაულები საკუთარ ცხოვრებაშიც, მაგრამ თითქოს ზაფხულის შტორმის დროს ელვამ გაანათოს, დგანან და ამბობენ: „ვაუ, ეს დაინახეთ?“. რეალურად არ შეუძლიათ მისი გაორმაგება, რადგან არ ესმით კანონები, რაც მათ მიერ დანახულს განაპირობებდა. მაგალითად, თუ დღეს შეგვიძლია, ელექტროენერგია გავიყვანოთ ყველგან, სადაც გვსურს, რადგან გვესმის, როგორ მოქმედებს ის კანონები, რაც ელექტროობას მართავს.

იგივენაირად, დღეს სიამოვნებით ვმოგზაურობთ და ათასობით კილომეტრს გავდივართ დღეში მთელ მსოფლიოში. თვითმფრინავს ფრენა შეუძლია იმის გამო, რომ გვესმის, თუ როგორ მოქმედებს ანევის ძალა. თუმცა, ეს კანონიც შექმნის დღიდანაა დედამინაზე, რასაც ადასტურებს ჩიტების ფრენა, რომლებიც ყოველდღიურად იყენებენ ამ კანონს. მაგრამ თვითმფრინავები არ დაფრინავდნენ ათასობით წლის განმავლობაში, რადგან არავის ჰქონდა აღმოჩენილი ანევის ძალა და არ იცოდნენ მისი გამოყენება.

## შეინია უიდესობრი რაოვლუცია: უზრუნველყოფის ძალა

იგივე ხდება ღვთის სამეფოს შემთხვევაშიც. ადამიანთა უმრავლესობა ტირის, ეხვეწება და ცდილობს, დაარწმუნოს ღმერთი, რომ რაღაც გაკეთოს მათვის. მაგრამ მათ არ იციან, რომ როცა მორწმუნები გახდნენ, სამეფოს ყველა კანონი თუ სარგებელი გახდა მათი, რათა გამოიყენონ და ისიამოვნონ და ხვეწნა აღარა საჭირო.

მოდი, ვთქვათ, რომ თქვენს ეკლესიაში მოვდიოდი. ლოცვის ჯგუფს დაავალებდით, რომ ელოცათ და ემარხულათ, რათა მსახურებაზე შუქები ანთებულიყო? რა თქმა უნდა, არა! თუკი მე მოვიდოდი ეკლესიაში და შუქები არ ენთებოდა, განა ყველა დაიწყებდა ღმერთის წინაშე ღალადს და ხვეწნას, რათა დაერწმუნებინათ ღმერთი, რომ შუქები აენთო? არა, ისინი მივიდოდნენ, ჩამრთველს გადართავდნენ და შუქებიც აინთებოდა. ყველანაირი შიშისა და დაბნეულობის გარეშე აანთებდნენ შუქს!

მაგრამ, რაღაც მიზეზით ქრისტიანებს არასდროს აქვთ იგივე მიდგომა სამეფოსა და ღმერთის სიტყვისადმი. ისინი დროის დიდ ნაწილს ხვეწნაში ატარებენ იმ იმედით, რომ რაღაც მოხდება. როცა ეს არ ხდება, ისინი მაშინვე ღმერთს ადანაშაულებენ, რადგან სჯერათ, რომ ღმერთმა აირჩია, არ ეპასუხა მათ თხოვნებზე. სწორედ ამ გაგების ნაკლოვანების გამოა, რომ დღეს ქრისტიანთა უმრავლესობას სჯერა, რომ ღმერთი უშვებს ცუდ რაღაცებს ჩვენს ცხოვრებაში ან, რომ მან უკეთ იცის, როცა ტრაგედია ხდება. მეგობარო, ასე არ მოქმედებს ღვთის სამეფო!!! მოდი, ისევ შევხედოთ 1 იოანეს წერილს.

„და აჲა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.

– 1 იოანე 5:14-15

იქიდან გამომდიანარე, რომ ვიცით, ჩვენი კანონიერი უფლებების თანახმად ვითხოვთ და ის ისმენს ჩვენს საქმეს, დარწმუნებულები ვართ, რომ გვაქვს ის, რასაც ვითხოვთ მისგან! სამწუხაროა, რომ ჭეშმარიტება, რომელსაც ეს მუხლი გვივლენს, არ ესმით მორწმუნეთა დიდ ნაწილს. ჩემი გამოცდილებით ვიტყოდი, რომ უმრავლესობასაც კი. მაგრამ სწორედ ამის გაგებამ შეცვალა ჩემი ცხოვრება!

## ხელვა თავის გატანის წინააღმდეგ

ბიბლიური ისტორიების კითხვა განახლებული ინტერესით დავიწყე. ვიცოდი, რომ თითოეულ ისტორიაში იყო სულიერი კანონი, რომელიც უნდა აღმომეჩინა. სულიერი მკვლევარი გავხდი. ყველა ისტორიაში, ვსვავდი კითხვას: „რატომ მოხდა ეს?“ „რომელი კანონია წარმომჩენილი ამ ისტორიაში?“ ნელ-ნელა დავიწყე იმ პრინციპებისა და კანონების შესწავლა, რაც ღვთის სამეფოშია და ამან რეალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

ამ კანონების გამოყენების დაწყებიდან ორ წელიწადნახევარში, სრულიად გავთავისუფლდით ვალებისგან. დავიწყეთ ნალდი ფულის გადახდა ჩვენი ორი მანქანისთვის, ავაშენეთ ჩვენი ოცნების სახლი 22 ჰა მიწაზე და კიდევ ბევრი სხვა რამ გავაკეთეთ. საუკეთესო ნაწილი ამ ყველაფერში ის იყო, რომ არანაირი ფინანსური წნები არ არსებობდა. ჩვენი სახლის ფული გადახდილია და ახლა შეგვიძლია, ვფოკუსირდეთ ჩვენს დანიშნულებაზე, ჩვენს მიზანზე და არა თავის გატანაზე.

ისეთი აღფრთოვანებულები ვიყავით იმით, რასაც ვსწავლობდით და მანც, ვხედავდით, რომ ჩვენი წაცნობებისა და მეგობრების დიდი ნაწილი ვერ იღებდნენ სიამოვნებას იმ ყველაფრისგან, რასაც ჩვენ ვხედავდით. იმ სურვილიდან გამომდინარე, რომ დაცხმარებოდით ადამიანებს იმ ყველაფრის სწავლაში, რაც ჩვენ გავიგეთ, 1995 წელს დავაარსეთ „რწმენით სიცოცხლის ეკლესია“. კონცენტრირებულები ვიყავით იმ კანონებისა თუ პრინციპების გაზიარებაზე, რაც ღმერთმა გვასწავლა. ვუზიარებდით ადამიანებს როგორ შეეძლოთ გათავისუფლებულიყვნენ და ეცხოვრათ სამეფოს კეთილი ცხოვრებით.

შემდეგ, 2005 წელს დავიწყეთ „რწმენით სიცოცხლე ახლა“, რომელიც ჩვენი მედია მსახურებაა. „რწმენით სიცოცხლე ახლა“ ორ ყოველდღიურ სატელევიზიო გადაცემას უშვებს მსოფლიოს ყველა სასაათო სარტყელში: „ფულის საკითხის გადაჭრა“ და „დრენდა“, და გადასცემს სამეფოს კეთილ უწყებას.

დღეს მანქანის სავარძლების კუთხეებში ხურდა ფულს აღარ ვეძებთ, რომ ერთი ჰეფტი მიღის ყიდვა მანც შევძლოთ სამი ბავშვისთვის გასანაწილებლად. მიღიონებს ვხარჯავთ იმის გასაკეთებლად, რასაც ახლა ვაკეთებთ და ანთებულები ვართ იმით, რომ ხალხს ვასწავლოთ, ეს როგორ გავაკეთეთ?!

თავის გატანაზე ფიქრისგან უეცრად ხედვაზე დაფუძნებულ ფიქრზე გადავერთეთ და იმაზე ოცნება დავიწყეთ, თუ რას გავაკეთებდით ჩვენი ცხოვრებით. ფინანსური ქაოსიდან და მონობიდან ფინანსურ თავისუფლებამდე მივედით.

იმ პერიოდში, როცა ძალიან გვიჭირდა, ყველანაირი სიტუაცია, სადაც ფულის დახარჯვა გვიწევდა, ჩვენთვის გამოუვალი მდგომარეობა იყო. დასტრესილები ვცდილობდით, ვინმე გვეპოვა, ვისგანაც თანხას ვისესხებდით ან ისევ ჩვენთან ახლოს მყოფ ლომბარდს მივაკითხავდით. მაგრამ დღეს უზრუნველყოფის ძალით ვიღებთ სიამოვნებას.

შეიძლება იკითხოთ: „გარი, რა არის უზრუნველყოფის ძალა?“ უზურველყოფის ძალა, ესაა უნარი, იპოვო შენი მიზანი და თავი დააღწიო მთელი ცხოვრების განმავლობაში თავის გატანისთვის ბრძოლას. ყოველთვის გახსოვდეს, რომ უზრუნველყოფა წინ უსწრებს ხედვას. ინგლისურ ენაში სიტყვების თამაშიც კი გამოდის (რადგან სიტყვა უზრუნველყოფა provision შედგება ორი სიტყვისგან: წინ pro და ხედვა vision) თუმცა მნიშვნელობაშიც არის კავშირი.

უზრუნველყოფის გარეშე ყოფნა მონობაში ცხოვრებას გულისხმობს, მონები კი ვერასდროს ოცნებობენ დიადზე! ყოველთვის გახსოვდეს, შენ არ ხარ მონა! შენ ღვთის სახლეულის წევრი ხარ, იქსოს მთელი ქონების მემკვიდრე! ასე რომ, ასწიე თვალები და შეხედე ახალ მომავალს! მინდა იყო, თავისუფალი, რათა იოცნებო; თავისუფალი, რათა ხედვა ჩამოიყალიბო და კარგი ცხოვრებით იცხოვრო! მჯერა, რომ ამ წიგნის გვერდებზე მიიღებ შთაგონებას და არა მხოლოდ შთაგონებას, თავდაჯერებულობას! სამეფოს ის კანონები, რომლებმაც ჩემი ცხოვრება შეცვალეს, შენიცაა!

– გარი ქისი

ეს მეოთხე წიგნია ხუთ-წიგნიანი სერიიდან სახელად „შენი ფინანსური რევოლუცია“. მოგინოდებთ, რომ წინა სამი წიგნიც წაიკითხოთ, რათა კარგად გაიგოთ ის კანონები, რაზეც ვსაუბრობ და მეტი იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო. ესენია: „შენი ფინანსური რევოლუცია: ერთგულების ძალა“, „შენი ფინანსური რევოლუცია: დასვენების ძალა“ და „შენი ფინანსური რევოლუცია: სტრატეგიის ძალა“. მათი პოვნა შესაძლებელია GaryKeesee.com ან Amazon.com-ზე.

# თავი 1

## სინათლეა გამოიპოვინა ცყვდიადგი

შესავალში მოგიყევით ადვოკატის ზარის შესახებ, რომელმაც რეალობის წინაშე დამაყენა და საბოლოოდ ღმერთამდე მიმიყვანა. ისიც გითხარით, რა მითხრა უფალმა, როცა საწოლზე გადამხობილი ვტიროდი. მან მითხრა, რომ ამ არეულობაში აღმოჩენის მიზეზი ის იყო, რომ არ მესმოდა: როგორ მოქმედებდა ღვთის სამეფო? მაგრამ როგორ მოქმედებს იგი? რის ჩვენებას ცდილობდა ჩემთვის? წარმოდგენა არ მქონდა, თუმცა მალე გავიგებდი.

თუ გახსოვთ, ადვოკატისთვის  $1,600\$$  უნდა მიმეცა სამ დღეში, რათა სამართლებრივი დევნისთვის თავი ამერიდებინა. იმ დროს ფული არ გვეონდა და არც იმის პერსპექტივა, რომ ჩვენი ბიზნესიდან სამ დღეში ამხელა შემოსავალი გვქონოდა. გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, ასე ვფიქრობდი. ამის ნაცვლად, პირველი გაკვეთილი უნდა მესწავლა სამეფოს შესახებ.

იმ დროისთვის ძევლი დოჯი ქარავანით დავდიოდი, რომელიც ბუხარივით უშვებდა კვამლს, როცა გზაზე გამყავდა. იმ ღამით შესვედრა მქონდა ერთ ოჯახთან მათი დაზღვევის საჭიროების განსახილველად. მათ სახლში უნდა შევხვედრილიყავით, რაც ჩემი იფისიდან დაახლოებით 15 წუთის სავალზე იყო.

იმ დღეებში მანქანას აუცილებლად ქუჩაში, ცოტა შორს ვაჩერებდი. მიზეზი მარტივი იყო. როგორც კი დავექოქავდი, მთელ ჰაერს თეთრი კვამლით ავსებდა და სულაც არ ვფიქრობდი, რომ ამის დანახვა ხელს შეუწყობდა ჩემი ბიზნესის განვითარებას, რადგან ფინანსური ექსპერტი ვიყავი და ჩემს კლიენტებს

## შეინიშნოთ რაოდულია: უზრუნველყოფის ძალა

რჩევებს ვაძლევდი დაზღვევის ყიდვასა და დაბანდებასთან დაკავშირებით.

იმ საღამოსაც ჩემი კლიენტის სახლის კუთხეში გავაჩერე. შესვედრამ კარგად ჩაიარა. მეც დავემშვიდობე, თუმცა მამაკაცმა ჩემი მანქანამდე მიცილება გადაწყვიტა. ცოტა ავღელდი, მაგრამ მაინც მშვიდად ვიყავი, რადგან არ დამელოდებოდა, როდის დავძრავდი მანქანას. თუმცა, სწორედ ასე მოიქცა. ვცადე, დრო ჩანთისა და დოკუმენტების მოწესრიგებით გამეყვანა, მაგრამ ის მოთმინებით იდგა და მელოდებოდა. მივხვდი, რომ სხვა გზა აღარ მქონდა და მანქანა დავქოქე. როგორც ვვარაუდობდი, იქაურობა თეთრი კვამლით აიტსო.

უკვე წასვლა დავაპირე, მაგრამ მანიშნა ძრავი გამომერთო და ფაჯარასთან მოვიდა. მითხრა, რომ ნახევარ განაკვეთზე მანქანების შეკეთებაზე მუშაობდა დამატებითი შემოსავლისთვის და სურდა, მანქანაში ჩაეხედა. მეც დავთანხმდი და ძრავის სახურავი ავხადე. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას მეტყოდა, რადგან ფული არ მქონდა, რომ შემეკეთებინა.

რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა და თქვა: „როგორც ვვარაუდობდი, ზედა შუასადებია გატეხილი. სახლში მიდი და მაშინვე გააკეთებინე, მხოლოდ 700\$ დაგიჯდება“.

მე მადლობა გადავუხადე რჩევისთვის და ოფისში დავბრუნდი. გონიერაში მხოლოდ ეს ფრაზა მესმოდა: „მხოლოდ 700\$ დაგიჯდება!“ იმ დროს ჩემთვის 700\$ მილიონივით ჟღერდა და კვლავ საშოვნელი მქონდა 1,600\$ ადვოკატთან გასაგზავნად. ამის გარდა, სახლში გადასახდელი ქვითრების მთელი გროვა მელოდებოდა.

პასუხი არ მქონდა, თუმცა მახსოვდა, როგორი ლოცვით ვილოცეთ მე და დრენდამ ცოტა ხნით ადრე: „ღმერთო, გვასწავლე როგორ მოქმედებს შენი სამეფო და დაგვანახე როგორ ვიცხოვროთ ვალებისგან თავისუფლებმა!“

უკან ოფისისკენ მიმავალმა უფალთან დავიწყე საუბარი ჩემს ფინანსურ სიტუაციაზე. „უფალო, იცი, რომ ფული მჭირდება! იცი, რომ ამ ფურგონის საფასური კერაც არ გადამიხდია და ახლა კიდევ 700\$-ია საჭირო. უფალო, წრფელად რომ ვთქვა, იმდენი მაქვს ამ მანქანისთვის გადასახდელი ბანკშიც და შეკეთებისაც, რომ ალბათ, აჯობებს უბრალოდ დაიწვას და სადაზღვეო კომპანიამ ამინაზღაუროს ზარალი!“ ხმამაღლა აღმომხდა ძალა გამოცლილს, თუმცა ეს სარკაზმი უფრო იყო, ვიდრე რეალური ლოცვა.

როგორც კი ეს ვთქვი, რაღაცამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. არ ვიცოდი, მანამდეც იქ იყო თუ არა, თუმცა ძრავის სახურავზე პატარა ბუშტი შევნიშნე. გაოცებული ვუყურებდი და თითქოს, ნელ-ნელა ზომა ემატებოდა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნამდვილად იზრდებოდა. მარტივად რომ ვთქვა, შოკირებული ვიყავი. თუმცა რადგან სხვა კვამლს ვერ ვხედავდი, გარდა იმისა, რაც მანამდეც იყო, ოფისისკენ გზა განვაგრძე.

როგორც კი ოფისის წინ ავტოსადგომზე გავაჩერე, ფურგონის წინა ნაწილი უეცრად ცეცხლის ბურთად იქცა. ცეცხლის ალი ორ მეტრამდე ადიოდა ჰაერში. უცებ ხმამალლდა დავიძახე: „ლმერთო, მისმენდი, რაც ვთქვა?!”

მეორე დღეს სადაზღვეო კომპანიამ აანაზღაურა ზარალი და საკმარისი თანხა მივიღე, რომ ერთი ლამით ადრე გადამეხადა იმ ადვოკატისთვის 1,600\$, ფურგონის საფასურიც გადავიხა-დე და იმდენი ფულიც დამრჩა, რომ ცოტა-ოდენი პროდუქტები მეყიდა სახლისთვის. ერთდროულად გახარებულებიც ვიყავით და ძალიან გაოცებულებიც, თუმცა მანქანა აღარ გვყავდა, რაც ძალიან გვჭირდებოდა ოჯახის ექვსივე წევრს გადასაადგილებლად.

მართლა ვერ ავხსნი, რა მოხდა ამ დროს, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ხმამალლა ვთქვი თუ არა, მანქანა დაიწვა, ჩემი ყურადღება მიიპყრო. უნდა ვაღიარო, რომ მანამდე არც ერთ ჩემს მანქანას არ გასჩენია ცეცხლი, რაც კი მანამდე მქონია. მეორე მხრივ, მანამდე არც მითქვამს ხმამალლა, რომ მინდოდა ასე მომხდარიყო.

ეს სამეფოსთან იყო კავშირში? რაიმე ისეთი გავაკეთე, რამაც გამოიწვია ამის მოხდენა, თუ უბრალო დამთხვევა იყო? დარწმუნებულები არ ვიყავით. თუმცა ვიზეიმეთ გამარჯვება და გვიხაროდა, რომ ფურგონის საფასურიც გადავიხადეთ და კრედიტორიც გავისტუმრეთ, მაგრამ მაინც გვჭირდებოდა ახალი ფურგონი, თუმცა როგორ შეიძლებოდა გვქონდა?

## ახალი ფურგონის პოვნა

ცოტა ხნის შემდეგ, მამამ დამირეკა მოსაკითხად და დახმარების შემოსათავაზებლად, დამწვარი ფურგონის ჩასა-

**უცებ ხმამალლდა  
დაივიძახე:  
„ლმერთო,  
მისმენდი, რაც  
ვთქვი?“**

ნაცვლებლად. მამაჩემს ნამდვილად ჰქონდა ფული და გულში ვოცნებობდი, უბრალოდ ეყიდა ჩვენთვის ახალი მანქანა. მან შემომთავაზა: წავსულიყავი და ახლომდებარე ბაზრობებზე კარგი მეორადი მანქანა შემეტვალიერებინა. რა თქმა უნდა, მეც სიხარულიც დავთანხმდი.

რამდენიმე ადგილას ვიყავით და შესანიშნავი დოჯი ქარავნი ვიპოვეთ. დაახლოებით ერთი წლის იყო, საკმაოდ კარგ მდგომარეობაში. მამას ვუთხარი, რომ ვფიქრობდი, სწორედ ეს მოენონებოდა დრენდას, ბორდოსფერი მშვენიერება, იმედი მქონდა, რომ მეტყოდა: „ძალიან კარგი! ახლა წავიდეთ, საბუთები გავაფორმოთ!“ თუმცა ეს არ უთქვამს. მომიტრიალდა და მითხრა: „5,000\$-ით დაგეხმარები“. დიახ, ნამდვილად ძალიან გულუხვი შემოთავაზება იყო, თუმცა რეალურად მხოლოდ პირველადი შენატანის თანხას მთავაზობდა, დანარჩენის გადახდა კი ჩემზე იყო.

უეცრად რეალობამ დამაბნია. ისეთი საკრედიტო ისტორია არ მქონდა, რომ ბანკს სესხი მოეცა. და ამ მომენტამდე მამაჩემისგანაც ვმალავდი ჩვენს საშინელ ფინანსურ მდგომარეობას. გარდა ამისა, უბრალოდ ვგრძნობდი, რომ მეტ ვალს ვეღარ ავიღებდი.

თუმცა, რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა, სწრაფი გადაწყვეტილება მივიღე, რომ მაინც შემეესო საკრედიტო განაცხადი. ისიც ვიცოდი, რომ ასე მოქცევით, მომიწევდა მამასთვის გამემხილა ჩემი სიტუაცია, რათა მასაც მოეწერა ხელი. უხალისოდ მოვუყევი მამას მთელი ისტორია, მანაც ხელი მოაწერა სესხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. ფირმის წარმომადგენელმა მითხრა, რომ მეორე დილას გამაგებინებდნენ პასუხს.

რა თქმა უნდა, ზუსტად ვიცოდი, რომ ბანკი სესხს მომცემდა, რადგან მამაჩემს იდეალური საკრედიტო ისტორია ჰქონდა. ამიტომ, სესხზე თანხმობის მიღება არ მაწუხებდა როცა უკან, სახლისკენ მივდიოდი. თუმცა ვიცოდი, რომ მეტ სესხს ვერ ავიღებდი, უბრალოდ ვეღარ გადავიხდიდი. მოკლედ, ძალიან მჭირდებოდა მანქანა და ფული არ მქონდა. რა უნდა გამეეცებინა? დაბნეული და ცოტა აფორიაქებული ვიყავი.

როცა სახლში მივედი და დრენდას სიტუაციის შესახებ მოვუყევი, ისიც დამეთანხმა, რომ კიდევ ერთ ვალს ვერ დავიმატებდით, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა? იმ დამეს ვერც

ერთმა ვერ დავიძინეთ. თუმცა დილას ორივე შევთანხმდით, რომ თანხის სესხება კარგი აზრი არ იყო.

ამრიგად, მამას დავურეკე, მადლობა გადავუხადე შემოთავაზებისთვის და ვუთხარი, რომ მანქანის საყიდლად მეტ ვალს ვეღარ ავიღებდი. შემდეგ ფირმის წარმომადგენელს დავურეკე და ვუთხარი, რომ ალარ მივიღოდით. რა თქმა უნდა, მითხრეს, რომ სესხი დამიმტკიცდა და რომ ფურგონი გარეცხილი და გასუფთავებული იყო წამოსაყვანად. მე მადლობა გადავუხადე, თუმცა ავუხსენი, რომ ფურგონს ვერ წამოვიყვანდი.

ტელეფონის ყურმილი დავკიდე თუ არა, მშვიდობა ვიგრძენი, მაგრამ ამავდროულად წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა გვეყიდა მანქანა, რომელიც საკმარისად დიდი იქნებოდა ექვსივე ჩვენგანის გადასაადგილებლად. ხუთ კაციანი კუპე მყავდა, რომელსაც ბიზნესისთვის ვიყენებდი, მაგრამ ვიფიქრე, სანამ სხვა რამე გამოჩნდებოდა, ოჯახი რამენაირად ამ მანქანით ვივლიდით. ორი კვირის განმავლობაში ყველგან წასასვლელად ამ კუპეს ვიყენებდით. ზოგჯერ რამდენიმე გზის გაკეთებაც კი გვიწევდა, რათა ყველა წაესულიყავით.

ერთ დღეს ერთმა კაცმა დამირეკა, რომელიც დრენდას თვეებით ადრე შეხვდა. ის რამდენიმე ნივთს ათვალიერებდა მისი მშობლების ანტიკვარული ნივთების აუქციონისთვის, რომელიც ყოველ თვე ატლანტაში იმართებოდა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. თვეში ერთხელ ოპაიოში ჩამოდიოდნენ აუქციონისთვის ნივთების საყიდლად, ამიტომ დრენდას თვალი ეჭირა თუ რაიმეს მათთვის საინტერესოს წააწყდებოდა. ეს რაღაც მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროც იყო, რადგან მშობლები ყოველ ნივთზე საკომისიოს სახით რაღაც თანხას უტოვებდნენ.

როგორც აღმოჩნდა, დრენდა შემთხვევით შეხვდა ამ კაცს და საუბრისას ერთმანეთის საქმიანობებიც ახსენეს. დრენდამაც უთხრა, რომ თუკი რაიმეს გაყიდვას დააპირებდა, შეიძლებოდა ის დაინტერესებულიყო. როგორც აღმოჩნდა, ეს კაცი საკმაოდ დიდ დაწესებულებას მართავდა, სადაც მოხუცებს უვლიდნენ. პერიოდულად, როცა პაციენტი გარდაიცვლებოდა, მათი ნივთების მოშორება უწევდათ. როცა მოხუცს ოჯახი არ ჰყავდა, რომ მისი ნივთებისთვის მიეხედა, მათ უწევდათ თავიდან მოეშორებინათ ეს ყველაფერი. შესაბამისად, ეს კაცი ჯერ დიდ საწყობში ალაგებდა ყველაფერს, და საბოლოოდ, ჰყიდდა.

## შეინიშვნის რაოდიული შემთხვევა: უზრუნველყოფის ძალა

მე მას არ ვიცნობდი, ამიტომ, როცა დარეკა უბრალოდ ჩავინიშნე და დრენდას ვუთხარი მისი ზარის შესახებ. მოკლედ რომ ვთქვა, როცა გადაურეკა, ამ კაცმა უთხრა, რომ სამი ოთახი ჰქონდა სავსე ავეჯითა და სხვა ნივთებით, რაც უნდა დაეცალა და ჰქითხა, თუ დაინტერესდებოდა. თან თუ ყველაფერს აიღებდა, ძალიან დაპალ ფასში აძლევდა.

მე და დრენდა სანახავად წავედით და მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად დათვალიერება ვერ შევძელით, რადგან ოთახები იატაკიდან ჭერამდე სავსე იყო, რამდენიმე ისეთი ნივთი შევნიშნეთ, რისი გაყიდვითაც სრულად ამოვილებდით იმ თანხას, რასაც ის კაცი გვთხოვდა. მის მშობლებს დავურეკეთ, თანხა გადმოგვიგზავნეს, თავიანთი სატვირთო ჩამოიყვანეს და ყველაფერი ატლანტაში წაიღეს იმ თვის აუქციონისთვის.

აუქციონმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა და საკომისიოს სახით, დაგვთანხმდნენ ჩვენთვის პეუოს სადგურის ვაგონი მოეცათ, რომელიც სულ რამდენიმე წლის იყო, თან ძალიან კარგ მდგომარეობაში. ვიცი, რომ ადამიანთა უმრავლესობა სულაც არ ზემობს, როცა მეორად მანქანას იღებს, მაგრამ ჩვენთვის იმ დროს ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ისეთ მანქანას ვატარებდით, რისი საფასურიც გადასახდელი არ გვქონდა. მანქანა ახალი გადაღებილი იყო და ახალივით გამოიყურებოდა. აღფრთვანებულები ვიყავით.

უეცრად, დანახვა დავიწყე. შემეძლო, ღმერთს ვნდობოდი ჩემს საჭიროებებში ისე, რომ ვალი აღარ დამჭირვებოდა.

## პარადიგმის ცვლილება

ახლა უკვე ჩემთვის წათელი გახდა ის ამბავიც, რაც ერთი წლით ადრე შემემთხვა უფალთან კავშირში, როცა ჯერ კიდევ ოკლაპომაში ვცხოვრობდით. წარსულზე ფიქრისას, მივხვდი, ღმერთი ცდილობდა ჩემი ყურადღება მიეპყრო, მაგრამ იმდენად ვიყავით კონცენტრირებულები ვალებზე და ამ წერტილზე, ვერც კი ვხვდებოდით, რომ ღმერთი ჩვენთვის რაღაცის სწავლებას ცდილობდა.

წადირობა მიყვარს, განსაკუთრებით კი ირემზე წადირობა. ირმის ხორცის ჭამაც მიყვარს და სხვებისთვის ჩემი წანადირევის ჩვენებაც. მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სანადიროდ მივდიოდი, თუმცა არაფერი

მქონდა სხვებისთვის ჩემი მიღწევების საჩვენებლად. გავიდოდი, სიცივეში ჩავჯდებოდი მაგრამ დღეები ისე გადიოდა, რომ ირემს თვალითაც ვერ ვხედავდი. ეს საკმაოდ იმედგამაცრუებელი იყო, რადგან სახლში ბავშვები მყავდა გამოსაკვები და ირმის ხორცს ნამდვილად გამოვიყენებდით. მიუხედავად იმისა, რომ ნარსულში გარკვეული ნარმატება მქონდა, უკვე წლები იყო გასული, რაც სახლში ირმის ხორცი არ მიმტანა.

ერთ დღესაც, როცა მომავალ ნადირობის სეზონზე ვფიქ-რობდი, უფლის ხმა გავიგე ჩემს გულში: „რატომ არ მაძლევ ნებას, დაგანახო, როგორ მოინადირო ირემი ამ წელს?!” მეითხა მან. „მაჩვენო, როგორ მოვინადირო ირემი?“ ძალიან გამიკვირდა. ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ამ სიტყვებზე ლოცვისას, ვიგრძენი სულინმიდისგან, რომ ფინანსური თესლი უნდა დამეთესა კონკრეტული მიზნით, რომ ირემი მომემკა. არასდროს დამითესავს თანხა ირმის მოლოდინით, ამიტომ თავიდან ცოტა მეუწნაურა. მაგრამ მკაფიოდ ვგრძნობდი, რომ უფალი მიმიდლოდა, დამეთესა და თანაც დეტალურ ინსტრუქციებს მაძლევდა ამის გასაკეთებლად. იმ თანხის ჩეკი უნდა გამომეწერა, რაც ვიგრძენი, რომ უნდა შემეწირა, მე და დრენდას ხელები უნდა დაგვეწყო ჩეკზე და გამოგვეცხადებინა, რომ 1987 წლის ხარირემს მივიღებდით არა მაშინ, როცა მართლა მოვიმკიდით, არამედ ლოცვის დროსვე.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქრისტიანი ყოველთვის გავცემდი და მხარს ვუჭერდი ჩემს ეკლესიას, ასე კონკრეტული განზრახვით დათესვა და დაჯერება, რომ ლოცვისთანავე მივიღე რაღაც, ჩემთვის ახალი იყო.

ჩეკი ავიდე და აღნერაში დავაწერე: „ჩემი 1987 წლის ირმისთვის“. მე და დრენდამ ხელები დავასხით და იმ მსახურებაში გავაგზავნეთ, რომელშიც დარწმუნებული ვიყავი და გამოვაცხადე, რომ სწორედ მაშინ მივიღე ის ირემი, როცა ჩეკი მეილით გავაგზავნე. პატარა ქალალდი ავიღე, დავაწერე თარიღი და საათი, როცა ვირწმუნე, რომ ირემი მივიღე და ჩემს სანადირო ქურთუკის ჯიბეში ჩავიდე.

ტულსაში, ოკლაპომაში ცხოვრებისას, ქალაქის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მქონდა სანადირო ადგილი, მაგრამ ერთმა მეგობარმა ეკლესიიდან, მისი ბებიის სახლში დამპატიუა ქალაქგარეთ მადლიერების დღისთვის და ისიც ახსენა, რომ ფერმის გარშემო რამდენიმე ირემი დადიოდა.

ასე რომ, მე და ჩემი ოჯახი ქალაქებარეთ გავემართეთ მადლიერების დღეს, სასიამოვნო მოზიარეობისთვის და ირმის დასაჭერად. ჩემმა მეგობარმა ზუსტად არ იცოდა, საით გავეშვი სანადიროდ. თუმცა მათ ტერიტორიაზე, ტყის გვერდით საძოვარი იყო და მანაც სწორედ იქ შემომთავაზა დავლოდებოდი ირემს, დიდი ხის გვერდით.

მინდა, ეს სურათი წარმოიდგინოთ! მზე ნელ-ნელა ანათებდა მიდამოს, მე მოთიბული საძოვრის შუაში ვიჯექი, რომელზეც მხოლოდ ერთი დიდი ხე იყო. ვიცოდი, რომ ძალიან არასწორი ადგილი მქონდა არჩეული, რადგან არც ერთი პატივმოყვარე ირემი არ გამოივლიდა მოტიტვლებულ მდელოზე, როცა იქ ვიჯექი.

ის იყო ადგომა და ტყისკენ წასვლა დავაპირე, რომელიც ჩემგან დაახლოებით 120 მეტრში იყო, ჩემგან მარცხნივ ტყეში მოძრაობის ხმა გავიგე. ფოთლების შრიალის ხმამ მიმახვედრა, რომ ირემი იყო.

უეცრად ლობის გასწრივ ტყისკენ მიმავალი სამი ირემი შევნიშნე. მხოლოდ თვალის მოკვრა მოვასწარი, სანამ ბუჩქნარში შევიდოდნენ. ირმები ძალიან შორს იყვნენ, მაგრამ გავჩერდი და რამდენიმე წუთი დავიცადე, სანამ ტყისკენ წავიდოდი, საითკენაც ვფიქრობდი, რომ ირმები მიდიოდნენ. შემდეგ, მოულოდნელად ხარირები ზუსტად ჩემი ხისკენ გამოიქცა.

მე ხის მეორე მხარეს ვიდექი, ამიტომ როცა ირემი მინდორზე გადმორბოდა და ტყისკენ მიდიოდა, ვერ დამინახა. ირემი ხესთან მოვიდა, ჩემი სუნი იგრძნო და ხმამაღალი დაფრუტუნებით გაჩერდა, რამაც ცოტა შემაშინა. ხმაზე მარჯვნივ შევტრიალდი, გავოცდი, როცა ჩემგან ხუთ მეტრში ექვსტოტა ირემი დავინახე. ირემმა უცებ გააცნობიერა, თუ რა ხდებოდა და მთელი სისწრაფით გაიქცა ტყისკენ.

ვცდილობდი ჩემი შაშხანის სამიზნე თეთრკუდიან ირემზე გამესწორებინა, რომელიც მთელი სისწრაფით მირბოდა, რაც სულაც არაა ადვილი, თან ვიცოდი, რომ მხოლოდ ერთი გასროლის შანსი მექნებოდა, სანამ ტყეში შევიდოდა. წარმოუდგენელი იყო, რომ ზუსტად ამომელო მიზანში, იმხელა ნახტომებით მირბოდა. 15 მეტრილა იყო დარჩენილი და ირემი ტყეში გაუჩინარდებოდა, ამიტომ სასხლეტს გამოვკარი. გასროლისთანავე ირემი დაეცა და ალარც განძრეულა. შოკირებული ვიყავი! ეს მართლა მოხდა? ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა! ნელა წავედი ირმისკენ.



ქურთუკის ჯიბიდან ფურცელი ამოვილე და ღმერთს ირმისთვის მადლობა გადავუხადე.

გასროლის ხმაზე ჩემი მეგობარი გამოვიდა და მომილოცა, როცა ძირს გაწოლილი ირემი დაინახა. მისთვის არ მომიყოლია, თუ რა მითხრა ღმერთმა, თუმცა შევხედე და ვთქვი: „არ მგონია, ეს ირემი ჩემი ნადირობის ნიჭის დამსახურება იყოს“. შემდეგ ის ფურცელი ვაჩვენე, რომელზეც მე და დრენდამ ლოცვის შემდეგ დავწერეთ: „მე მჯერა, რომ მივიღე ჩემი 1987 წლის ირემი ამ დღეს და ამ საათზე, როცა ვილოცე იქსოს სახელით“. ფურცელი მეგობარს გავუნიდე, რომ ენახა და შემდეგ იმის მოყოლა დავიწყე, რაც უფალმა მითხრა.

ამ მოვლენამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ეს ლვთისგან იყო. თუმცა რატომლაც ჯერ წერტილები ერთმანეთთან არ მქონდა დაკავშირებული. ჯერ ვერ დავაკავშირე სამეფოს კანონები იმასთან, რაც მოხდა ირემთან და ჩემს ფინანსებთან დაკავშირებით. ამ ირმის მოპოვება გასაოცარი იყო, მაგრამ კიდევ მოხდებოდა იგივე? სამეფოს შესახებ ცოდნის გარეშე, არ მეცოდინებოდა: როგორ ან რა

**ამ მოვლენამ  
ჩემი ყურადღება  
მიიპყრო. ეჭვიც  
არ მეპარებოდა,  
როგორ ასე  
ლვთისგან იყო.**

კანონების გავლენით გამოჩენდა ის ირემი! მაგრამ მოუთმენლად ველოდი, რომ ყველაფერი მომდევნო ნადირობის სეზონზე გადამემოწმებინა.

## რწმენა ყოველ ჯერზე მუშაობს

შემდეგ ნადირობის სეზონს გარკვეული ცვლილებებით შევხვდი, რადგან ტულსადან ოპაიოში გადავედით. ერთ დღეს სარბენად ვიყავი გასული, როცა სულინმიდამ მითხრა, რომ საცხოვრებლად ოპაიოში გადასვლის დრო იყო, სადაც გავაგრძელებდი მუშაობას.

უკვე ათი წელი იყო, რაც ტულსაში ვცხოვრობდი და მიყვარდა იქაურობა, თუმცა ძალიან ბედნიერი ვიყავი გადასვლის პერსპექტივით. ნავთობის კრიზისმა ერთი წლით ადრე განსაკუთრებით დაარტყა ტულსას, რადგან მისი ეკონომიკა ძირითადად ნავთობზე იდგა. ფინანსურად ისე გვიჭირდა, რომ თვიდან თვემდე ძლივს გაგვქონდა თავი. ყველაფერის ახლიდან დაწყება ნამდვილად მახარებდა. არც ის ვიცოდი, რომ შემდეგი ცხრა წელი ფინანსურად უფრო სტრესული იქნებოდა, ვიდრე ტულსაში გატარებული.

ოპაიოში ზაფხულის დასაწყისში გადავედით დიდი მოლოდინებით. ცოტა ხანში აღმოვაჩინეთ, რომ ბიზნესის ნულიდან დაწყება და ყველა ვალის ოპაიოში გადმოტანა ძალიან სტრესული იყო.

რა თქმა უნდა, ირმის სეზონი მოდიოდა და ჩვენი მესამე შვილიც, ტიმიც მალე დაიბადებოდა. რეალურად, ტიმი სწორედ ნადირობის სეზონის დაწყების მეორე დღეს დაიბადა. შესაბამისად ბავშვის მოლოდინში და ახალი ბიზნესის დაწყების ორომტრიალში ბევრი დრო ნამდვილად არ მქონდა და სულ ერთი ადგილი ვიცოდი, სადაც შემეძლო მენადირა.

იმ სახლის გასწვრივ, სადაც გავიზარდე, ხშირად ვთამაშობდი სკოლის პერიოდში. ჩემი მშობლების საკუთრებაზე გუბურა იყო, რომელშიც პატარა ნაკადული ჩადიოდა მეზობლის ფერმიდან. უნდა ვაღიარო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთელი ბავშვობა ამ ნაკადულთან გავატარე, არასადროს დამინახავს ირემი იმ ტერიტორიაზე. მაგრამ მახსოვს, ერთხელ, კოლეჯში ყოფნისას ჩემმა ძმამ დამირეკა და მითხრა, თუ როგორ გააოცა ირმის დანახვამ და როგორ აპირებდა ნადირობას იმ შემოდგომას.

ორივე ძალიან გაკვირვებული ვიყავით. სიტყვა-სიტყვით მახსოვდა ეს საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ცხრა თუ ათი წელი იყო გასული.

ზუსტად მახსოვდა, რომელ ადგილას მითხრა, რომ ირემი დაინახა, რადგან კარგად ვიცნობდი ნაკადულის კალაპოტს. მან მითხრა, რომ ირემი ნაკადულის გაყოფის ადგილას დაინახა, დიდ ნეკერჩხლის ხესთან. მან ისიც მითხრა, რომ იმ დიდი ხის გვერდით პატარა ნეკერჩხლის ხეც იყო, რომელზეც აცოცება შეიძლებოდა და მისი აზრით, კარგი ადგილი იქნებოდა ირემზე სანადიროდ.

მართალია, ჩემს ძმას იქ ირემი არასდროს მოუკლავს, თუმცა თქვა, რომ ერთხელ აცილა. წლები იყო გასული, რაც ისიც აღარ ყოფილა ამ ადგილებში და წარმოდგენა არ მქონდა, ის ხე ისევ იქ იყო თუ არა ან საერთოდ, თუ ვიპოვიდი იმ სიბნელეში, რადგან გამთენისას ძალიან ადრე ვგეგმავდი ნადირობას.

ყველაფერს ის ართულებდა, რომ ოპაიოს კანონმდებლობით მხოლოდ სანადირო თოფით შეიძლებოდა ნადირობა. შაშხანები აკრძალული იყო ირმის სეზონზე, მხოლოდ თოფიდან შეიძლებოდა სროლა სპეციალური, ირმისთვის განკუთვნილი ტყვიებით. იმ დროს მხოლოდ ოც კალიბრიანი ორლულიანი თოფი მქონდა და დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ირემს გავარტყამდი ოც მეტრზე მეტ მანძილზე. მაგრამ სულ ეს იყო, რაც მქონდა, შესაბამისად, ჩემი გეგმაც ასეთი იყო.

მე და დრენდამ დავთესეთ ამისთვის, ხელები დავასხით ჩეკს ისევე, როგორც წინა წელს და განვაცხადეთ, რომ მარკოზის 11:24-ის თანახმად, უკვე მქონდა ირემი. მოკლედ რომ ვთქვა, ოპაიოს ნადირობის სეზონის მეოთხე დღეს, პირველივე გასვლაზე მოვინადირე ხარირემიც და ფურირემიც სულ რაღაც 40 წუთში, თან თრივე 70 მეტრიან დისტანციაზე, რაც ბევრად აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობებს იმ თოფით, რომელიც მქონდა. იმ დროისთვის ოპაიოში ლიმიტი იყო დაწესებული და ორ ირემზე მეტის მოკვლა არ შეიძლებოდა, სწორედ ამიტომ მოვინადირე ორი ირემი იმ წელს. და სწორად გაიგეთ, ორივე ირემი 40 წუთში.

ისევ ვგრძნობდი, რომ რაღაც ხდებოდა. მაგრამ ამ დროისთვის, როცა ირემი მოვიმკე, ფინანსურად კვლავ რთულ სიტუაციაში ვიყავი და სტრესი სულს მიხუთავდა. არც კი მიფიქრია, რომ იგივე პრინციპი ჩვენს ფინანსებთან დაკავშირებითაც გამომეყენებინა.

## ზედმეტად ბევრი „დამთხვევა“

პირველი ზამთარი და შემდეგი 12 თვე საშინელი იყო ოპაიოში, რადგან ვებრძოდი ემოციურ პრობლემებს, პანიკის შეტევებსა და დეპრესიას, როგორც წიგნის შესავალში გაგიზიარეთ.

შემდეგი ნოემბერი იყო, ზუსტად ნადირობის სეზონის შემ-დეგ, როცა ფურგონი დაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ წინა ორი

**ლოცელად რომ  
ვთქვათ, ღმერთი  
ყველა გზას  
გამოიყენებს  
შენი  
ყურადღების  
მისაყრობად.**

კანონების შესახებ მაინც არაფერი ვიცოდი.

კიდევ ერთი ნადირობის სეზონი მოვიდა და კვლავ 40 წუთში მოვინადირე ირემი, თითქოს წამზომი მქონდა დაყენებული. ჩვენს ფინანსებზეც დავინახეთ სამეფოს გავლენა, რაზეც მე-2 თავში მოგიყებით. მაგრამ მთელი იმ წლების განმავლობაში საოცრებებს ვხედავდი.

რა თქმა უნდა, ღმერთი ყოველთვის მასწავლიდა რაღაც ახალს, როცა საქმე ირმებზე ნადირობას ეხებოდა. ვფიქრობ, მიზეზი ის იყო, რომ ეს პერიოდი მომკასთან იყო დაკავშირებული და ეს კონკრეტულ, ლიმიტირებულ დროს ხდება. სეზონი ოპაიოში, როგორც წესი, ორი კვირით გრძელდება. რადგან მომკისთვის ასეთი ცოტა დრო გაქვს, ფუჭად გაფლანგვა ნამდვილად არ გინდა. ამიტომ, მონადირეთა დიდი ნაწილი ძალით კონცენტრირებული და მომზადებულია ამ პერიოდში. ბევრი მათგანი უამრავ დროს ატარებდა ამ ორი კვირისთვის მოსამზადებლად. ასე რომ, ეს პერიოდი საკმაოდ დიდი ლაბორატორიაა სამეფოს შესასწავლად.

ნადირობის თითოეული ისტორია გასაოცარი იყო ჩემთვის. ისინი დაფარულ კანონებს ავლენდნენ, რომელთა შესახებაც ისე ვერ გავიგებდი. წრფელად რომ ვთქვათ, ღმერთი ყველა გზას გამოიყენებს შენი ყურადღების მისაპყრობად. მან პეტრეს, იოანესა და იაკობის ყურადღების მისაპყრობად თევზაობა გამოიყენა ლუკას მე-5 თავში, როცა იმდენი თევზი დაიჭირეს,

რომ მათი ნავები იძირებოდა. უბრალოდ ჩემს შემთხვევაში, ირემზე ნადირობას იყენებდა.

მას შემდეგ, რაც იმ დღეს ჩემს საძინებელში უფალი სამეფოს შესახებ დამელაპარაკა, ჩემი ფურგონი დაიწვა და ნადირობის ამბებიც გამახსენდა, მას შემდეგ, რაც ღმერთმა კარი გახსნა და ვალის გარეშე მივიღეთ მეორადი სადგურის ვაგონი, უეცრად, მე და დრენდამ მიხვედრა დავიწყეთ.

ბიბლიის შესწავლა სულ სხვა კუთხით დავიწყე. ჩემს თავს სულიერ მკვლევარს ვეძახდი. კითხვების დასმა დავიწყე: „ეს რატომ მოხდა? ეს რატომ არ მოხდა?“ ბიბლიაში წაკითხული ყოველი ისტორიის უკან სულიერი კანონების გასაღებს ვეძებდი.

ღმერთი კი კვლავ მაჩვენებდა და მაჩვენებდა. იგი ნადირობას იყენებდა, რათა ჩემთვის მეტი ეჩვენებინა სამეფოს შესახებ. შემდეგმა ამბავმა მართლა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ისეთი ისტორია იყო, ყველას რომ შეუბრუნდები და ჰკითხავ: „ეს შენც დაინახე?“

ჰელლუინის საღამო იყო, დაახლოებით 45 წუთი მქონდა, სანამ ოჯახთან ერთად ეკლესიაში წავიდოდი წვეულებაზე, რომელიც ტრადიციული დემონებით შთაგონებული ზეიმის ალტერნატივის სახით გავმართეთ.

მე და დრენდამ ხარირმისთვის დავთესეთ, ხელები დავასხით ჩეკს, იმ მსახურებას გაუუგზავნეთ, რომელიც ღმერთმა გვაჩვენა და მარკოზის 11:24-ის თანახმად უკვე აღსრულებულად გამოვაცხადეთ რამდენიმე კვირით ადრე. იმ სეზონზე პირველად უნდა გავსულიყავი, თანაც მშვილდ-ისრით უნდა მენადირა ჩვენს ნაქირავებ მიწაზე.

დღოში ვიყავი შეზღუდული, თუმცა რადგანაც ღმერთმა მასწავლა როგორ მენადირა რწმენით და ძირითადად ირემს 40 წუთში ვიჭერდი, ვიგრძენი რომ სანადიროდ უნდა გავსულიყავი. იმ დღეს, ფიჭვის ტყის უკან, ჩემს ხის სადგომთან მივედი, რომელიც ჩვენი ძველი ფერმის სახლის უკან იყო და ზედ ავძვერი. დაახლოებით 10 წუთში ირემი შევნიშნე 180 მეტრში, რომელიც მეზობლის ტყისკენ მიდიოდა. ვიცოდი, რომ ჩემი ირემი იყო, მაგრამ არასწორი გზით მიდიოდა!

მეორე წელი იყო, რაც მშვილდ-ისრით ვნადირობდი და ბევრი ნამდვილად არ ვიცოდი ამაზე. არც კამუფლაჟით ვიყავი შემოსილი, არც ირმის მოსაზიდი საყვირი მქონდა და საერთოდ, გაგებულიც არ მქონდა, როგორ შეიძლებოდა, სუნი

გამომეუყენებინა ირმის მოსახიბლად. ჩემი სადგომი ხის დაფა იყო, რომელიც ორ ტოტს შორის მქონდა მიჭედებული მიწიდან 10 მეტრში, რაც, თუკი რაიმე იცით მშვილდ-ისრით ნადირობაზე, სულაც არაა საკმარისად მაღალი. მაგრამ წინა წელს, როცა პირველად ვინადირე, ორ გასვლაზე ორი ირემი მოვინადირე რწმენით და წელსაც იგივეს მოველოდი.

ვხედავდი როგორ მიდიოდა ირემი არასწორი მიმართულებით, მაგრამ არ ვიცოდი: რა მექნა? ამიტომ ლოცვა დავინწყე. მოულოდნელად გავიგონე, სულინმიდამ როგორ მითხრა: „უთხარი ირემს, რომ შენკენ ნამოვიდეს!“ მოსმენილმა ცოტა გამაოცა. ირმისთვის მეთქვა, რომ ჩემთან მოსულიყო? ვიცოდი, ხმამაღლა ვერ დავიყვირებდი, ამიტომ ჩვეულებივი ტემბრით ვთქვი: „ირემო, გაჩერდი! მოტრიალდი და ჩემი ხის ქვეშ დადექი!“ სიგიურა, არა? არანაირი საყვირი, არაფერი. მაგრამ, როგორც კი ეს ვთქვი, ირემი გაჩერდა, ორივე მხარეს მიიხედ-მოიხედა და ჩემკენ ნამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტყე 350 მეტრის სიგანის იყო, ირემი ზუსტად ჩემი ხის ქვეშ დადგა და გაჩერდა.

რა თქმა უნდა, ველარ ავაცილებდი. ვაუ! ეს მართლა მოხდა? ირემი სროლისთანავე მოსხლეტით დაეცა. საათს დავხედე და მივხვდი, რომ თუ წვეულებაზე წასვლა მინდოდა, სჯობდა ირემი იქ დამეტოვებინა, სანამ დავპრუნდებოდი და თავლაში წავიყვანდი. უნდა ვალიარო, რომ ნანახზე კვირების განმავლობაში ვფიქრობდი. მაგრამ ღმერთს ჯერ არ დაემთავრებინა ჩემი ყურადღების მიპყრობა.

ჩვენს ნაქირავებ ფერმას პატარა უბე ჰქონდა ბევრი ნაკადულით, სადაც ყოველთვის კარგი იყო კურდღლებზე ნადირობა. კონკრეტულად იმ დღეს, ღამით თოვდა, თოვლში ყოველთვის უფრო მარტივი იყო კურდღლების დანახვა. ცდუნებას ვერ გავუძლებდი, ამიტომ ჩემს შვილთან, ტომთან ერთად უბის ძირში ჩავედი, ბუჩქებს ფეხით ვწევდით აქეთ-იქით, როცა უეცრად ერთი ბუჩქიდან მამალი ხოხობი ამოფრინდა.

ოპაიოში ხოხბის სეზონიც იყო, მაგრამ ფერმაში სულ წელინადში ერთხელ შეიძლებოდა დამენახა. რადგან დავინახა, როგორ აფრინდა, ძალიან მომინდა, მისთვის მესროლა. ვისროლე, ჩიტი ჩამოვარდა და სირბილით წავიდა. მაშინვე მიგხვდი, რაც მოხდა. ფრთაში გავარტყი. ფრინველი მთელი ძალით გარბოდა გორაკზე უბისკენ, და მამალ ხოხბის შეუძლია, საათში 55 კილომეტრი გაირბინოს. რა თქმა უნდა, თოვლის გამო მთლად

ამ სიჩქარით ვერ მირბიდა, თუმცა მაინც საკმაოდ სწრაფად მიდიოდა.

რადგანაც უბე გრძელი ხევის ბოლოში იყო, მთელ გორაკს კარგად ვხედავდი. გორაზე წინა წელს კორდი იზრდებოდა, ამიტომ საკმაოდ სწორი იყო, აქა-იქ ამოშვერილი ბალახის ძირით.

რადგან ფრინველი მთელი ძალით მირბოდა, ვიცოდი ვერაფრით დავიჭერდი, სასროლ მანძილსაც სცდებოდა. მაგრამ უეცრად ხარირემი გამახსენდა, როგორ მოვიდა ჩემთან როცა ვუთხარი. ამიტომ ხმამაღლა დავიძახე: „ხოხობო, გაჩერდი!“ ამის თქმა იყო და ხოხობი გაუჩინარდა. მთელ ფერდობს კარგად ვხედავდი, რაც თითქმის მთლიანად თოვლით იყო დაფარული, ალაგ-ალაგ ამოშვერილ ბალახს თუ არ ჩავთვლიდით, მაგრამ ის არსად იყო. ტიმი ყვიროდა: „მამა, სად წავიდა?!” „წარმოდგენა არ მაქვს“, – ვუპასუხე მე.

ამრიგად, დავიწყეთ ფერდობზე მისი ნაკვალევის მიყოლა და თოვლში თავჩარგული დავინახეთ. ვიფიქრე: „ალბათ მოვარტყი და სანამ მოკვდებოდა, მანამდე ირბინა“. ფრინველი ხელში ავიყვანე. მანაც წივილი დაიწყო, ფრთები ააფართხალა, ველური ხოხობი იყო. ნამდვილად ცოცხალი იყო! იმ საღამოს, როცა ფრინველი დავკალი, კარგად დავაკვირდი. მხოლოდ ერთი ნატყვიარი ჰქონდა ფრთაზე. ასე რომ, ფრინველი ნამდვილად ცოცხალი იყო, მაგრამ მაშინვე გაჩერდა, როგორც კი დავიყვირე: „გაჩერდი!“

დიახ, უფალო, ახლა ნამდვილად მთელი ყურადღება შენკენ მაქვს!



## თავი 2

# ახალი აზროვნება

როცა მე და დრენდამ ღმერთის სამეფოს მოქმედება დავინახეთ ჩვენს ცხოვრებაში, ვეღარ ვძლებდით ისე, რომ ამის შესახებ სხვებისთვის არ მოგვეყოლა. ვიცოდით, რომ აღმოჩენებისა და მიღების გასაოცარ გზას ვედექით. კვლავ ვყიდდი დაზღვევებს და ფასიან ქალალდებს, მაგრამ ვგრძნობდი რომ რაღაც იცვლებოდა. არ ვიცოდი რა, მაგრამ ვიცოდი რომ სადღაც იყო პასუხები ჩემს ფინანსებზე, ისევე, როგორც ირემზე ნადირობის შემთხვევაში დავინახე ან სადგურის ვაგონის მიღებისას. ვიცოდი, მეტი მჭირდებოდა, ვიდრე მეორადი სადგურის ვაგონის ქონა იყო, მიუხედავად იმისა, რომ მართლა მიხაროდა მისი ქონა.

ამ დროს ჯერ კიდევ ბევრი ვალი მქონდა. ძალიან მინდოდა ვალებისგან გათავისუფლება, მაგრამ ნარმოდგენა არ მქონდა რა უნდა შემეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი რა მექნა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მალე გავიგებდი. ვიცოდი, რომ პასუხი უკვე ნაპოვნი მქონდა, მაგრამ მჭირდებოდა მეტი გამეგო იმაზე, თუ როგორ გადმომეტანა ჩემს ცხოვრებაში ბიბლიაში დანახული სურათები. ჩემი ბიზნესი იმ დროისთვის ძლიერ თუ ფარავდა ყოველდღიურ ხარჯებს. თუმცა იმას ნამდვილად სჯობდა, როცა ყოველ თვე გვემატებოდა და გვემატებოდა ახალი ვალი.

მე და დრენდა ვაგრძელებდით ბიბლიის კითხვას და ვეძებდით გასაღებებს, თუ როგორ ფუნქციონირებს სამეფო. ჩვენ დავთესეთ თანხა იმ ფინანსებისთვისაც, რაც გვჭირდებოდა.

შემდეგ ერთ ლამეს, დამესიზმრა მუხლუხო როგორ ცოცავდა ნელ-ნელა მცენარის ღეროზე. შემდეგ ყუნწზე გადავიდა და ჭიის პარკი მოქსოვა. უეცრად, პარკიდან მშვენიერი პეპელა გამოვიდა და გაფრინდა. ამ დროს კი ხმა გავიგონე: „შენი ბიზნესიც ასე უნდა იყოს“.

გავიღვიძე და მივხვდი რას გულისხმობდა სიზმარი. მუხლუხოს მხოლოდ ცოცვა შეუძლია და მისი ცხოვრების სტილი ძალიან შეზღუდულია, შესაძლოა მთელი ცხოვრება ერთ მცენარეზე გაატაროს. მაგრამ ტრანსფორმაცია ცვლის მის პოტენციალს და მთელს ცხოვრებას. იგი პეპლად გარდაიქმნება, რაც საშუალებას აძლევს გაფრინდეს ყველგან, სადაც კი მოისურვებს. ზოგიერთის, მონარქის მსგავსს, ათასობით კილომეტრის გადაფრენაც შეუძლია, რათა თავი აარიდოს ზამთრის თვეების ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გატარებას. მიუხედავად იმისა, რომ სიზმარში არ ვიცოდი, როგორ მოხდებოდა ეს ტრანსფორმაცია, ვიცოდი, ღმერთი მაჩვენებდა, რომ ეს მოხდებოდა. ამან ძალიან გამამხნევა.

## გასაოცარი აღმოჩენა

ოჰაიოში გადმოსვლის შემდეგ, ყოველ დილით 90 ზარს ვანხორციელებდი. ნეტავ შემეძლოს იმის თქმა, რომ კარგი სისტემა მქონდა ამის გასაკეთებლად, თუმცა ნამდვილად არა, უბრალოდ ტელეფონის წიგნაკს მივყვებოდი ყოველ დღე (ეს მანამდე იყო, სანამ „არ დამირეკო“ სია შეიქმნებოდა).

რადგანაც კომპანიის რეგიონალური ვიცე პრეზიდენტი ვიყავი, ჩემი ძირითადი ფუნქცია იყო დამექირავებინა და მომემზადებინა გაყიდვების წარმომადგენლები. ვრეკავდი და ვეუბნებოდი, რომ ჩემი კომპანია ოჰაიოში ფართოვდებოდა, ამიტომ ვრეკავდით ამ ტერიტორიაზე და მაინტერესებდა, თუ დაინტერესდებოდნენ. მეტწილად, არც მპასუხობდნენ და ავტომოპასუხესთან ვტოვებდი შეტყობინებას. თუ დაინტერესდებოდნენ, უკან გადმორეკავდნენ. 90 ზარიდან ორ ან სამ გასაუბრებას და შესაძლო გაყიდვას თუ ველიდებოდი.

სწორედ ამ პროცესში შევხვდი დეივს. მასთან ტელეფონზე საუბარში, დეივმა გამოხატა სურვილი ახალი კარიერის დაწყების შესახებ და დაინტერესდა ჩემი შეთავაზებით. შევთავაზე, რომ მასთან სახლში მივსულიყავი იმ საღამოს, რაზეც დამთანხმდა. როცა მასთან და მის ცოლთან ერთად დავჯექი, დავიწყე ჩვეულებრივი კითხვების დასმა: სად მუშაობდა იმ დროს? რატომ სურდა კარიერის ცვლილება და როგორ იყვნენ ფინანსურად? როგორც წესი, ყოველთვის ვეკითხებოდი პოტენციურ კანდიდატებს მათი პირადი ფინანსების შესახებ, რადგან თუ

კომპანიით არ დაინტერესდებოდნენ, მომავალში დავურეკავდი, როგორც პოტენციურ კლიენტს. ფინანსური მონაცემების შეგროვება საშუალებას მაძლევდა, წარმოდგენა შემქმნოდა იმაზე, თუ რა სახის დაზღვევა შემეთავაზებინა და მენახა: რა სახის დაზღვევა ჰქონდათ უკვე?

ჩემდა გასაოცრად, მათი იმშეამინდელი ფინანსური მდგო-  
მარეობის განხილვისას, მისმა ცოლმა გულამოსკვნილი ტირი-  
ლი დაიწყო. მათი ფინანსები ყირაზე იდგა და არ იცოდნენ: რა  
შეეცვალათ? მივხვდი, რომ მათი პრობლემა დაზღვევის ქონა  
ნამდვილად არ იყო. მათ მეტი შემოსავალი და ვალებისგან გა-  
თავისუფლება სჭირდებოდათ. ამიტომ, ღვთის სამეფო ვახსენე  
და მოვუყევი, თუ როგორ ვსწავლობდით მე და დრენდა მისი  
მოქმედების შესახებ. დავარწმუნე, რომ ყველაფერს გავაკეთებ-  
დი მათ დასახმარებლად და კვლავ შევხვდებოდი ერთ კვირაში,  
რომ განგვეხილა, თუ რა ცვლილებების გატარება იყო საჭირო.

შეხვედრის მერე ოფისისკენ ნავედი. გზაში ძალიან შეწუხე-  
ბული ვიყავი. რაღაც უნდა გამეკეთებინა!

როგორც კი ოფისში მივედი, მაგიდასთან დავჯექი და  
უეცრად იდეა გამიჩნდა. მოვძებნიდი, რა არჩევანი იყო ყველა იმ  
პროდუქტისა თუ მომსახურებისთვის, რასაც ისინი იყენებდნენ,  
იქნებ იგივე მომსახურება უფრო დაბალ ფასში მეპოვნა. ჩემი  
მიზანი იყო, დამენახა, თუ რა თანხის გამოთავისუფლება შემეძლო  
მათთვის, რასაც ვალების შესამცირებლად გამოიყენებდნენ. იმ  
დროს ჯერ კიდევ არ იყო ინტერნეტი, ამიტომ მთელი ეს  
ძიება გაზრდებისა და სატელეფონო ზარების მეშვეობით  
განვახორციელე.

ერთი კვირის შემდეგ ყველა იმ პროდუქტისა და მომსახურების  
ფასი მქონდა შემოწმებული, რასაც ისინი იყენებდნენ და  
მართლა გაოცებული ვიყავი ნაპოვნით. როცა ეს ყველაფერი  
უფრო დაბალ ფასიან მომწოდებლებთან გადავცვალე, თვეში  
600\$ გამოვანთავისუფლე. შემდეგ ჩემი კალკულიატორი ავიღე  
და მთელი მათი ვალი ამ თანხაზე გავყავი.

ეკრანზე გამოჩენილმა ციფრმა გაკვირვებისგან გამაშეშა.  
ალბათ, შეცდომა გამეპარა. ჩემი კალკულიატორის მიხედვით  
ისინი შვიდ წელზე ნაკლებში სრულიად გათავისუფლდებოდნენ  
ვალებისგან, ბინის გირაოს ჩათვლით, შემოსავლის შეცვლის  
გარეშე. შეუძლებელია, ვიფიქრე მე. ამიტომ თავიდან  
დავითვალე და იგივე შედეგი მივიღე.

შემდეგ უჯრასთან მივედი, ჩემი რამდენიმე კლიენტის საბუთებიც ამოვილე და იმ კვირის განმავლობაში ისინიც დავითვალე. ჩემი იმუამინდელი კლიენტის მსგავსად, ყველა მათგანი ვალებისგან ხუთიდან შვიდ წლამდე პერიოდში გათავისუფლდებოდნენ, სახლის გირაოსაც დაფარავდნენ, ისე, რომ მათი შემოსავალი არ შეცვლილიყო. თუ ეს შესაძლებელი იყო, და ახლა ნამდვილად ვიცოდი, რომ ასე იყო, მაშინ რატომ არავინ ამბობდა ამის შესახებ? ჩემი კლიენტისთვის ცხრილი გავამზადე, სადაც ჩანდა, როგორ გათავისუფლდებოდნენ ვალებისგან შვიდ წელში. ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ მათ უნდა შევხვედროდი და ეს ყველაფერი მეთქვა, თან ძალიან მაინტერესებდა: მათ რა რეაქცია ექნებოდათ ამაზე?

დევითან და მის ცოლთან ერთად დავჯექი, ყველა დეტალი განვიხილეთ და ავუხსენი თუ საიდან გამოთავისუფლდებოდა მათი თანხა. საბოლოო შედეგი გამიზნულად დავუმალე მანამ, სანამ ყველაფერს არ გავივლიდით, საიდანაც თანხას გამოითავისუფლებდნენ. მთელი პრეზენტაციის განმავლობაში ისინი შოკირებულები ისხდნენ. მათი პერსპექტივიდან არანაირი თანხა არ არსებობდა და წარმოუდგენელი იყო ვალებისგან ოდესმე გათავისუფლებულიყენენ! როცა საბოლოო გვერდი ამოვაბრუნებდა და ვუთხარი, რომ შვიდ წელინადზე ნაკლებში სრულიად გათავისუფლდებოდნენ ვალებისგან, მათ შორის სახლის გირაოსგან, უეცრად, ქმარი ახტა და ტირილი დაიწყო. ისეთი გახარებული იყო. ახლა ორივე ტიროდნენ და მადლობას მიხდიდნენ მათთან მისვლისთვის. შემდეგ დავსხედით და ყველაფერი გავუზიარე იმაზე, რაც უფალმა მითხრა და რაც ღვთის სამეფოს შესახებ ვიცოდი. მთელი გულისყურით მისმენდნენ!

მათგან ერთი თეთრიც არ მიშოვნია, მაგრამ ყველაზე ბედნიერი ვიყავი, ვიდრე ოდესმე რომელიმე კლიენტთან. ახლა ჩემი გონება მხოლოდ ამისკენ იყო მომართული. მინდოდა, ყველა კლიენტისთვის ეს გამეცემებინა და ღმერთს სიბრძნე ვთხოვე, თუ როგორ გამომემუშავებინა ფული ამ პროცესით. ვიცოდი, რომ ჩემი ახალი ბიზნეს გეგმა იქნებოდა, თუკი მივხვდებოდი: როგორ მეშოვნა ფული ამ გზით? რამდენიმე მცდელობისა და მარცხის შემდეგ, მოვიფიქრეთ: როგორ შეგვეთავაზებინა ჩვენი გეგმა ყველასთვის უფასოდ, ვინც კი გვთხოვდა და ამავდროულად, როგორ შემოგვეტანა ფული ჩვენს ბიზნესში

ჩვენი მოფიქრებული სისტემით? დაჯერებაც კი გვიჭირდა, იმდენად კარგი იყო და მე და დრენდა ძალიან გახარებულები ვიყავით.

ვიცოდი, რომ სწორედ ეს იყო ტრანსფორმაცია, რაც სიზმარში ვნახე. ვიცოდი, რომ ჯერ მხოლოდ ჭიის პარკის ეტაპზე ვიყავით, მაგრამ მე უკვე მზად ვიყავი გასაფრენად! თუმცა, ჯერ კიდევ იმდენი უნდა მესწავლა საფრენად, ის მაინც ვიცოდი, რომ სწორ გზას ვადექი.

ოფიციალურად დავარეგისტრირეთ ჩვენი ახალი კომპანია და მას „რწმენით სავსე ოჯახის ფინანსები“ დავარქვით, რადგან ვიცოდით, რომ რწმენით შეიძლებოდა ფინანსური წინსვლა. სწორედ ეს იყო უწყება, რისი სხვებისთვის გადაცემაც გვსურდა, იმაზე მეტად ვიდრე ფინანსური გამოსავლის შეთავაზება. ეს სახელი დაახლოებით 20 წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ, მაგრამ მივხვდით, რომ აშკარად ქრისტიანული სახელი იყო და რადგანაც გვსურდა ბევრ ურნებულოსაც მივმწვდარიყავით, სახელი „წინმსვლელ ფინანსურ ჯგუფად“ შევცვალეთ და დღესაც ასეა (თუ დაინტერესდებით, დღემდე ვქმნით ვალებისგან გათავისუფლების გეგმებს, ისევე როგორც ვებმარკით ადამიანებს საპენსიო ანგარიშებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების თავიდან არიდებაში. შეგიძლიათ „წინმსვლელ ფინანსურ ჯგუფს“ დაუკავშირდეთ ნომერზე 1-(800)-815-0818 ან ონლაინ [Forwardfinancialgroup.com](http://Forwardfinancialgroup.com)-ზე).

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის დაარსებისას ჯერ კიდევ სერიოზული ვალები გვქონდა, ვიცოდით, რომ სწორი მიმართულებით მივდიოდით. ეს კომპანია უდიდესი წარმატება იყო ჩვენთვის და მე და დრენდა სრულად გავთავისუფლდით ვალებისგან ორ წელიწად-წახევარში. ვერც კი აღვწერ, რა გახარებული ვიყავი?! მოულოდნელად, ჩვენი ცხოვრება ალარ იყო თავის გატანაზე ფიქრით მოცული და ხედვამ დაიწყო ფერქვა ჩვენს შინაგანში.

ახალი მანქანის ნაღდი ფულით ყიდვა გასაოცარი განცდა იყო. ოჰაიოს მშვენიერ მიწაზე 11 ჰა-ის საფასურის გადახდას სიტყვებითაც ვერ აღვწერ. 715 მ<sup>2</sup> ფართობზე ჩვენი ოცნების სახლის აშენება და ყველა ხარჯის გადახდა დაუჯერებელი იყო! არასდროს დამავიწყდება, როგორ ვიდექი დრენდასთან ერთად და ვუყურებდი, თუ როგორ იქრებოდა ჩვენი ახალი სახლის საფუძველი. მხოლოდ საფუძველი იყო იმაზე დიდი, ვიდრე

მთლიანად ის ფერმის სახლი, სადაც ვცხოვრობდით. ვიდექით და ამის შემხედვარეს, ორივეს ცრემლები ჩამოგვდიოდა. 9 წლიანი ჯოჯოხეთი დედამიწაზე უკან მოვიტოვეთ. ვიცოდით, რომ იქ აღარ დავბრუნდებოდით, ღვთის სამეფო აღმოვაჩინეთ და ახლა ვიცოდით, რატომ უწოდა მას წინასწარმეტყველმა ესაიამ სახარება.

„უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა გლახაკთა სახარებლად“.

— ესაია 61:1

სიმართლე რომ გითხრათ, მე და დრენდა ერთმანეთს ვჩემეტდით პერიოდულად იმდენად დაუჯერებელი იყო ის, რაც ხდებოდა. ვალებისგან სრულიად გათავისუფლება ერთ დროს წარმოუდგენელი ოცნება იყო, ახლა კი რეალობად ქცეულიყო!

მომისმინეთ, მე არ ვარ ძალიან კარგი! თქვენ ნახეთ ჩემი ჩანაწერი. ჩემი ძალით ვცდილობდი და ბევრს ვშრომობდი, მაგრამ თავის ტკივილისა და სტრესის მეტი არაფერი გამაჩინდა. დავიწყე იმის სწავლა, თუ როგორ გამეკეთებინა ეს ღვთის გზით და გამოვიდა. აი, რატომ კითხულობ ამ წიგნს, რომ აღმოაჩინო ის, რაც მე აღმოვაჩინე და ნამდვილად აღმოაჩინ. მაგრამ ჯერ უნდა გესმოდეს, რომ მე სრულიად ახალ სისტემაში მოექცევი, ახალ სამეფოში და ცხოვრების სრულიად ახალ სტილში. ეს არის შენი პასუხიც. ესაა პასუხი, რომელიც გჭირდება. ესაა კეთილი უწყება, რასაც ელოდი. ვიცი, ვიცი, რომ შენი ეკლესია ასე ამ ყველაფერს არ ასწავლის. არც ჩემი ასწავლიდა, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინაა ბიბლიაში.

## ღმერთი კარგია — ყოველთვის!

ნება მომეცით, მოგცეთ მთავარი გასაღები, რომ გაიგოთ ის, რასაც ვამბობ — თავი დაანებეთ რელიგიას! ეს არაა რელიგიური საკითხი. ეს არის ღვთის შესახებ, მას რა სურს, რომ გქონდეს და როგორ გადაიხადა მან ფასი იესოს მეშვეობით, რათა შენთვის სამეფო მოეცა?! მოდი, ჩავულრმავდეთ სამეფოს და ვნახოთ როგორ მოქმედებს იგი.

როცა მე და დრენდა ვხედავდით, როგორ მოქმედებდა ღვთის სამეფო ჩვენს ცხოვრებაში, ხშირად უბრალოდ ძალიან გაოცე-

ბულები ვიყავით ნანახით. მივხვდით, რომ მორწმუნეთა დიდ ნაწილს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ მოქმედებდა იგი.

მაგალითად, ცოტა ხნის წინ წავიკითხე სათაური იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიცვალა შვიდი წლის ბავშვი გლანდების ოპერაციისას. ძალიან ხშირი და როგორც წესი, უსაფრთხო იპერაციის დროს, მისი გული უბრალოდ გაჩერდა და ძალიან სამწუხარო შედეგი დადგა. ვფიქრობ, ყველას დაგვწყვიტა გული ამის გაგონებამ. თუმცა, გარდა იმისა, რომ ძალიან ტრაგიკულია ეს ისტორია, კიდევ ერთი ტრაგიკული ნაწილი უკავშირდება მას, რომელმაც შესაძლოა, მთელი ცხოვრება იქმნიოს გავლენა ამ ოჯახზე. ნება მომეცით, წაგიკითხოთ, რა უთხრა მამამ უურნალისტს. ციტატას მოვიყვა:

„თქვენ არ გესმით, რატომ ხდება ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ღვთის ნება იყო. და მხოლოდ ესაა, რაც გვეხმარება ამის გადატანაში, ის რომ ვიცით, რომ ეს უფლისგან იყო“.<sup>3</sup>

ნება მომეცით, Green Bay Packer-ის ხელმძღვანელის აარონ როჯერსის ციტატაც მოვიყვანო, რომლის ისტორიაც „ხალხის უურნალში“ დაიბეჭდა 2020 წლის 22 იანვარს.<sup>4</sup>

„როჯერსი განმარტავდა, რომ ბავშვობისას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა რელიგიას და თავიდანვე მიაკუთვნებდნენ „სულიერების სხვა ტიპს“ და ასე გაიზარდა. „ადამიანთა უმრავლესობა ეკლესიაში მეუბნება, რომ უბრალოდ უნდა წაგსულიყავი“, – თქვა მან. „არ ვიცი, როგორ შეიძლება ირწმუნო ღვთის, რომელსაც სურს, რომ დედამიწა ცეცხლოვანი ჯოჯოხეთით დასაჯოს. რომელ მოსიყვარულე, მგრძნობიარე, ყველგანმყოფ და ყოვლისშემძლე არსებას სურს, დასაჯოს თავისი მშვენიერი ქმნილებები ცეცლოვან ჯოჯოხეთში ამ ყველაფრის შემდეგ!“

<sup>3</sup> 7-year-old South Carolina girl dies during tonsillectomy ([nypost.com](http://nypost.com))

<sup>4</sup> Aaron Rodgers: ‘I Don’t Know How You Can Believe in a God’ | PEOPLE.com

სიგიურე! მაგრამ თუ ესაა, რაც ღმერთის შესახებ სჯერათ, უნდა დაეთანხმო, ვინ ენდობა ან ენდამება, რომ ემსახუროს ღმერთს, რომელსაც სურს შვიდი წლის გოგონას წაყვანა? არავინ! და ვის სურს ემსახუროს ღმერთს, რომელსაც პლანეტის დიდი ნაწილის ჯოჯოხეთში დასჯა „სურს“? არავის! აი, ასე სწამო ქრისტიანთა დიდ ნაწილს. მთელი ცხოვრება ეს გესმით: „ღმერთმა დაუშვა“, „ღმერთმა გააკეთა“, „ღვთის გეგმა იყო“, „ახლა იყო მათი წასვლის დრო“ და კიდევ მრავალი მსგავსი წინადადება. მეტიც, ნიძლავს დავდებ, რომ ალბათ, თქვენც ასე ფიქრობთ. ამიტომ პირდაპირ ვიტყვი. თუ მართლა გჯერათ, რომ ღმერთი ასეთია და რომ მისი წებაა მოკლას ბავშვი ან ვინმეს კიბო დამართოს, მაშინ სერიოზული ლაპარაკი მოგვიწევს. მოდი, ასე ვიტყვი:

## ვერასდროს ერთმანები ვინეას, ვისაც არ ედოგი!

თუ ღმერთისადმი უნდობლობას გასწავლიდნენ, რომ ის კლავს უდანაშაულო ადამიანებს და თუ ეთანხმებით, რომ ის სამყაროს ყოვლისშემძლე შემოქმედია, მაშინ ყველა მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ მის კარგ მხარეს დავრჩით. სწორედ ამას აკეთებდა ხალხი წარსულში მრავალ პრიმიტიულ კულტურაში. ისინი ყველანაირ შესანირს იყენებდნენ მძვირვანე ღვთის დასამშვიდებლად. ყველანაირ შეზღუდვას უწესებდნენ საკუთარ თავს, სხვადასხვანაირ ტკივილსაც კი ითმენდნენ იმის საჩვენებლად, რომ სრულად ემორჩილებოდნენ მას და იმედი ჰქონდათ, რომ მის რისხვას თავიდან აირიდებდნენ. მაგრამ მართლა ასეთია ბიბლიური ღმერთის ხასიათი? მართლა ღმერთისადმი შიშით უნდა ვცხოვრობდეთ? არა, რა თქმა უნდა, არა! ის აზრი, რომ ღმერთი ჩვენს წინააღმდეგაა ან არაა სანდო, ან ყველაფერი არასწორი სწავლების ბრალია, რაც ედემის ბალში დაიწყო ადამთან და ევასთან.

„ღვთის მიერ შექმნილ ველურ ცხოველებს შორის გველი ყველაზე ცბიერი იყო. ჰკითხა გველმა ქალს: „ნუთუ მართლა გთხოვათ ღმერთმა, ბალის არც ერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთო?“

უპასუხა ქალმა: „ბალის ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა. მაგრამშეა ბალშირომხეა, მის ნაყოფზე გვითხრალმერთმა — არ შეჭამოთ და არც შეეხოთ, თორემ მოკვდებით“.

უთხრა გველმა ქალს: „არ მოკვდებით! მაგრამ იცის ღმერთმა, რომ შეჭამთ თუ არა იმ ხის ნაყოფს, თვალი აგეხილებათ და ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი შეიქნებით“.

და დაინახა ქალმა, რომ საჭმელად კარგი ჩანდა ის ხე, თვალთათვის საამური და მიმზიდველი, რადგან შემეცნებას იძლეოდა. მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. თავის კაცსაც მისცა და მანაც შეჭამა“.

— დაბადება 3:1-6

სატანა ეჭვებს ბადებდა უფლის ხასიათთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დასაწყისში. უცნაურია, რომ ევას უკვე ჰქონდა სიბრძნე, რომ ეგრძნო, თავად ღმერთთან ურთიერთობა აკლდა. მაგრამ სატანამ მაინც შეძლო მისი დარწმუნება, რომ იმას რაც აკლდა, ღმერთი მალავდა მისგან. ადამმა და ევამ დაიჯერეს ეს ტყუილი შემოქმედის შესახებ და საკუთარი ნებით დათმეს თავიანთი პოზიციები მის სამეფოში და სხვა სამეფოს დევნა დაიწყეს. დაიჯერეს, რომ სატანას უკეთესი მომავალი ჰქონდა მათთვის. რა თქმა უნდა, მათმა გადაწყვეტილებამ მხოლოდ ტკივილი, წუხილი და სიკვდილი მოიტანა.

სატანას ტაქტიკები არ შეცვლილა და სულაც არაა გასაკვირი, რომ მისი ყველაზე დიდი სამიზნე თავად ეკლესიაა. რადგან ეკლესიას უკვე აქვს ძალაუფლება, რომ ფეხქვეშ გათელოს სატანა და დაამარცხოს იგი, მის ერთადერთ იარაღად კვლავ ცდუნება და ტყუილი რჩება.

### ღმერთის ხასიათი

შენს მომავალთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რაშიც უნდა გავერკვეთ, ღმერთის ხასიათი. თუ ამ საკითხში კარგად ვერ გაერკვევით, შესაძლოა, ეს წიგნიც ისევე მოისროლოთ გვერდით, როგორც სხვა წიგნები: „როგორ გავხდეთ მდიდარი“. იმედი მაქვს, დროს

## შეინარჩუნოთ რომელია: უზრუნველყოფის ქალა

მომცემ, რომ ეს ყველაფერი გავიაროთ. იმედი მაქვს, რომ მართლა გსურს ფინანსური თავისუფლება და სიბრძნისკენ და ცოდნისკენ ისწრაფი. ამჯერად, ეს სწავლება მატყუარა სატანისგან არაა, რომელმაც ადამი და ევა შეაცდინა, არამედ თავად შემოქმედისგან.

უპირველეს ყოვლისა, მესმის, ფიქრობ, რომ ღმერთი უშვებს ცუდი რაღაცების მოხდენას. თუ ის ღმერთია, მას ყველაფრის გაკეთების ძალაუფლება აქვს, ასე არაა? ამრიგად, თუ შვიდი წლის გოგონა კვდება და ღმერთს აქვს ამის შეჩერების ძალა, გამოდის, მან დაუშვა, რომ ეს მომხდარიყო. ეს წინადადება, მხოლოდ ნაწილობრივად სწორი. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს აქვს მისი შეჩერების ძალაუფლება, მას არ აქვს ამის გაკეთების კანონიერი უფლება. კანონის და მართლმსაჯულების საკითხს შემდეგ თავში შევეხები, მაგრამ მანამდე მინდა, ხასიათის საკითხს შევეხო, რომ დავრწმუნდე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე იცი, რომ ღმერთი კარგია და მისი სიტყვა ჭეშმარიტია.

შეიძლება გაგიკვირდეს, თუ რატომაა ეს ასე მნიშვნელოვანი. წიგნში ნელ-ნელა განვიხილავთ სამეფოს კანონებს, მათ ფუნქციებს და როგორ განმათავისუფლა ამ კანონებმა იმ ფინანსური ჯოვანხეთისგან, რაშიც ვცხოვრობდი. თუ თავად მეფეს არ ენდობი, მისი კანონებიც არაფერი იქნება შენთვის.

გახსოვდეთ, ჩემი პირველი აღმოჩენა ამ მოგზაურობაში იყო, რომ ღვთის სამეფო მმართველობაა. ამ მმართველობას ჰყავს მეფე, რომელიც სამეფოს კანონებს ადგენს. ეს კანონები განსაზღვრავს ამ სამეფოს მოქალაქეების სარგებელსაც და პასუხისმგებლობასაც. ისინი იცავენ და უზრუნველყოფენ მეფის ნების აღსრულებას თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში. მეფის ხასიათის გაგება აუცილებელი წინაპირობაა თავად ამ კანონების გასაგებად.

როგორც უკვე ვთქვი, როცა გავიგე, რომ ღვთის სამეფო მმართველობაა კანონებითა და სარგებლით, რაც კანონის მიხედვით ყველა მოქალაქეს ეკუთვნის, სულიერი მკვლევარი გავხდი. შემდეგ გავიგე, რომ სამეფოს ყველა მოქმედების უკან, სულიერი კანონი იდგა, რაც მას აჩქარებდა. შემდეგ იმედი გამიჩნდა. შემეძლო, კანონები შემესწავლა! ეს ხომ ყველას შეუძლია. სწორედ ეს აღმოაჩინეს კითმა და ქეითმა.

## ოთხმა წელმა მათი ცხოვრება შეცვალა

კითს და ქეითს ჩვეულებრივი ხელფასი ჰქონდათ ჩვეულებრივ სამსახურში და ნორმალურად ცხოვრობდნენ. ის იყო ახალი სახლი იყიდეს, რომ კითმა სამსახური დაკარგა. თუმცა, დაახლოებით, ერთი წლით ადრე კითმა „ფულის საკითხის გადაჭრის“ სატელევიზო გადაცემის შესახებ გაიგო და გარკვეული ღრო დაუთმო ჩემი მასალების შესწავლას, გაიგო სამეფოზე და მის, როგორც მოქალაქის კანონიერ უფლებებზე.

როცა სამსახური დაკარგა, ამ საკითხზე ილოცა და გადაწყვიტა, რომ ახალი სამსახურის ძიების ნაცვლად, საკუთარი გადამზიდი კომპანია დაერსებინა. მან ალიარა, რომ ბევრი არაფერი იცოდა ამ ბიზნესზე, მაგრამ იფიქრა, რომ ესწავლა. გადაზიდვის ბიზნესი ერთი სატვირთო მანქანით დაიწყო. გადაჰქონდა მანქანები და ყველაფერი, რისი გადატანაც შეეძლო. კითი და ქეითი სწავლას აგრძელებდნენ და მალე ახალი შესაძლებლობა გამოჩნდა, რომ ერთ-ერთი ეროვნული კომპანიისთვის დაეწყოთ გადაზიდვა. ეს კითისთვის დიდი ნაბიჯი იყო, თუმცა სჭირდებოდა, რომ საკუთარი ნახევარმისაბმელი ჰყოლოდა და ბევრად მეტი კანონი სცოდნოდა გადაზიდვის სატრანსპორტო ბიზნესთან დაკავშირებით, თუმცა მაინც აიღო ეს საქმე და ღმერთს ენდო, რომ იგი გაუძლვებოდა.

მას შემდეგ, მისი კომპანია საკმაოდ წარმატებული გახდა. ახლა, მას რვა ნახევარმისაბმელი ჰყავს, რომელთაც ყოველდღიურად იყენებს გადაზიდვისთვის. კითმა მითხრა,

რომ ძველ სამსახურში დაახლოებით 1,500\$ გამოიმუშავებდა კვირაში.

საკუთარი გადამზიდი კომპანიის დაარსების პირველ წელს, კვირაში 4,000\$ ჰქონდა შემოსავალი. მეორე

წელს კი მისმა შემოსავალმა კვირაში 15,000\$-ს მიაღწია. შემდეგ წელს კვირაში 25,000\$-მდე

ავიდა, კიდევ შემდეგ წელს 38,000\$-მდე. საბოლოოდ, თუ მანამდე წელიწადში 78,000\$-ს გამოიმუშავებდა, ოთხი წლის შემდეგ მისმა შემოსავალმა წელიწადში ორ მილიონს მიაღწია.

კითისგან წერილი მივიღე, როცა წიგნის ამ თავს ვწერდი. მან მითხრა, რომ ახლა უკვე ოთხი მძღოლის დაქირავება მოუწია და მისი კვირეული ბრუნვა 70,000\$-მდე ავიდა. წელიწადში

**ყველა და**

**ყველაზერი, რაც**

**გეუპნება, რომ**

**ღვერთი კარგი**

**არაა, გატყუება!**

## შეინ ფინანსური რაოვლუცია: უზრუნველყოფის ძალა

78,000\$-იდან კვირაში 70,000\$-მდე ოთხ წელიწადში! ეს ნამდვილად იპყრობს ჩემს ყურადღებას! კითი და ქეითი მოელიან, რომ წინ კიდევ უფრო დიდი რამ ელით, რადგან ახლა ორი ახალი კომპანიის დაარსებას გეგმავენ.

თუკი კითს და ქეითს ჰქითხავთ: ეს როგორ გააკეთეს? ისინი ყველაფერს იმას მიაწერენ, რომ სამეფოს მოქმედების შესახებ ისწავლეს.

პირველი, რასაც კითი და ქეითი გეტყვიან ისაა, რომ მოუწიათ გონება გაენთავისუფლებინათ წარსულში ნასწავლი უამრავი რელიგიური სისულელისგან, რასაც ღვთისა და მისი მოქმედების შესახებ ასწავლიდნენ. ერთ-ერთი გასაღები რაზეც ფოკუსირდნენ, იყო ის, რომ ღმერთი კარგია, ყოველთვის პარმის და ის არასდროს იტყუება. ყველა და ყველაფერი, რაც გეუბნება, რომ ღმერთი კარგი არაა, გატყუებს!

„ნუ ტყუვდებით, ჩემო საყვარელო ძმებო! ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გადმოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან, რომელთანაც არც ცვლილებაა და არც ჩრდილი ცვალებადობის“.

- იაკობი 1:16-17

მეორე, ისინი იტყოდნენ, რომ ისწავლეს სულ სხვანაირი გაცემა. ღმერთის საქმის მხარდაჭერა იმ ფულით, რასაც იღებენ, მათი წარმატების უმნიშვნელოვანესი გასაღებია.

ბიბლია მკაფიოდ ლაპარაკობს ამაზე. სწორი არაა ღვთის დადანაშაულება იმ საშინელებებში, რაც ადამიანს ემართება. ბიბლია ამბობს, რომ სწორედ სატანა მოდის, რათა მოიპაროს, მოკლას და მოსპოს.

„ქურდი იმისთვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე კი იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ“.

- იოანე 10:10

და ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობს იესო პირველი წინადადების შემდეგ: „მე კი იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ“, ან ზოგ თარგამნში წერია: „სრულად ჰქონდეთ“. ღმერთი შენი მტერი არაა. მაგრამ თუ

ასე თვლი, იაკობის 1:16-ის თანახმად, ვიღაცამ მოგატყუა. საკუთარ თავს უნდა დაუსვა შეკითხვა, თუ ვინ გითხრა, რომ ღმერთი იტყუება. ვინ გითხრა, რომ ღმერთმა მოკლა ის შვიდი წლის გოგონა? ვინ გითხრა, რომ ღმერთი ზოგჯერ კურნავს და ზოგჯერ ირჩევს, რომ არ განკურნოს? შემიძლია, გამოვიცნო — რომელიმე მქადაგებელმა, რომელმაც თავადაც არ იცოდა უკეთ. მაგრამ აი ფრაზა, რასაც უნდა ჩაეჭიდო, თუ გსურს, რომ ღმერთისგან მიიღო. ღმერთი არ იტყუება! რეალურად, ბიბლია ამბობს, რომ შეუძლებელია მისთვის მოტყუება (ეპრაელთა 6:18).

მიზეზი, რის გამოც ხალხს სჯერა, რომ ღმერთი ყოველთვის კეთილი არაა, ისაა, რომ არ ესმით სამეფოს კანონების სისტემა აქ, მინიერ სამეფოში. როგორც უკეთ ვახსენე. ამაზე დეტალურად შემდეგ თავში ვისაუბრებთ და ამით, თქვენს უამრავ კითხვას გაეცემა პასუხი. მაგრამ, თუ გინდათ, გესმოდეთ: როგორ მოქმედებს სამეფო? უნდა იცოდეთ, რომ ღმერთი კეთილია და ის არასდროს იტყუება.

## ღვთის სამეფოს კონსტანტები

წლების წინ, სკოლაში ერთი რამ ვისწავლე, რაც ვფიქრობ, ამასაც ესადაგება. ჩვენ ვისწავლეთ, რომ როცა ფიზიკურ სუბსტანციაზე ვსაუბრობთ, არის გარკვეული თვისებები, რაც არასდროს იცვლება და მუდმივია. დიახ, სწორად გამოიცანით! ამ კანონებს ფიზიკაში კონსტანტები იწოდება. მაგალითად, წყალი იყინება 0 გრადუსზე. ეს კონსტანტა; არასდროს იცვლება. იგივენაირად, ფაქტი, რომ ღმერთი კეთილია, კონსტანტა. ამრიგად, წყალთან დაკავშირებული ნებისმიერი ამოცანის ამოხსნისას შეგიძლიათ, გამოიყენოთ წყლის გაყინვის ტემპერატურის კონსტანტა.

იგივე ეხება ღმერთის ხასიათის გაგებასაც. თუ იცი, რომ ღმერთი კეთილია და ის არასდროს იცვლება, შეგიძლია წმიდა წერილის ნაწყვეტი სწორედ ამ კონსტანტას სინათლეზე განმარტო. მოდი, მაგალითისთვის ავიღოთ გამოსვლის 4:11.

„უთხრა უფალმა: „ვინ მისცა ბაგე კაცს; ვინ შექმნა მუნჯი ან ყრუ, მხედველი ან ბრმა? განა მე არა, უფალმა?“

— გამოსვლა 4:11

**შეინარჩუნოთ სავოლოდის უზრუნველყოფის ძალა**

შეიძლება ერთი წაკითხვით მოგვეჩვენოს, რომ სწორედ ღმერთი აპრმავებს და სმენას უქვეითებს ადამიანებს გამიზნულად. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი კონსტანტა — ღმერთი ყოველთვის კეთილია. მოდი, სხვა თარგმანში შევხედოთ ამ მუხლს.

„და უთხრა უფალმა მოსეს: „ვინ შექმნა კაცის ბაგე? ვინ წყვეტს ადამიანი ილაპარაკებს თუ არა, გაიგონებს თუ არა, დაინახავს თუ არა? განა მე არა, უფალი?“

— გამოსვლა 4:11

ამ ადგილას კონტექსტი ასეთია, ღმერთი ეუბნება მოსეს, რომ წავიდეს მის ხალხთან, ებრაელებთან და უთხრას, რომ ღმერთმა მოუწოდა, რათა ფარაონთან მივიდეს და მათი გათავისუფლება მოითხოვოს. მოსე ეკითხება ღმერთს, როგორ მოიქცეს, თუ ხალხი არ ერწმუნება, რომ წამდვილად ღმერთი გამოეცხადა, რაზეც უფალი რამდენიმე პასუხს აძლევს ამის დასამტკიცებლად. მაგრამ შემდეგ, მოსე ეხვეწება შემოქმედს.

„უთხრა მოსემ ღმერთს: „გევედრები უფალო! მჭევრ-მეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ და არც გუშინ-ნინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამინეუ შენს მორ-ჩილს, რადგან ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ“. უთხრა ღმერთმა: „ვინ მისცა ბაგე კაცს? ვინ შექმნა მუნჯი ან ყრუ, მხედველი ან ბრძა? განა მე არა, უფალმა? ახლა წადი და მე ვიქნები შენს ბაგესთან და გასწავლი, რა უნდა თქვა?!”

— გამოსვლა 4:10-12

ნება მომეცით, სხვა სიტყვებით გითხრათ, თუ რა უთხრა ღმერთმა მოსეს. რისთვის შევქმნი ადამიანის ბაგე, რომ ილაპარაკოს თუ არა? რისთვის შევქმნი ადამიანის თვალი, რომ დაინახოს თუ არა? პასუხი ცხადია. ბაგე ლაპარაკისთვის შეიქმნა, თვალი კი დასანახად. სწორედ ამას ეუბნება ღმერთი მოსეს. ის ამბობს: „თუ მე შევქმნი შენი ბაგე, ისიც შემიძლია, რომ მის გამოყენებაში დაგეხმარო!“ ღმერთი ცდილობს, მოსეს გააგებინოს, რომ შეუძლია, ენდოს მას, როცა ებრაელებთან სალაპარაკოდ წავა.

მაგრამ თუ ღმერთზე სწორი წარმოდგენა არ გვაქვს, შეიძლება არასწორად განვმარტოთ ეს ადგილი. ალბათ, ყველას გვსმენია მოსეს ენაბლუობის შესახებ. ბევრი ადამიანი ამას ფაქტადაც კი ალიარებს, მაგრამ მართლა ასეა? ალბათ, მიპასუხებთ: „რა თქმა უნდა, თავად მოსემ თქვა, რომ კარგად ვერ ლაპარაკობდა“. გეთანხმებით, ასე თქვა, მაგრამ რასთან დაკავშირებით თქვა? თუ მოსე კარგად ვერ ლაპარაკობდა, მაშინ მოციქულთა საქმეების 7:22-ის განმარტება მოგვიწევს.

„ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით განისწავლა მოსე და იყო ძლიერი თავის სიტყვებსა თუ საქმეებში“.

– საქმეები 7:2

რეალურად, ვხედავთ, რომ მოსე სრულიად საწინააღმდეგო იყო იმ ადამიანისა, ვისაც სიტყვების მოძებნა უჭირს. ძლიერი იყო თავის სიტყვებში. მაშინ რას გულისხმობს მოსე, როცა ამბობს: „უფალო, მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ და არც გუშინინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მორჩილს, რადგან ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ“?

როცა გამოსვლის მე-4 თავი საუბრობს მოსეს ენამძიმეობაზე და ნელა საუბარზე, იგულისხმება ის ფაქტი, რომ მოსეს უჭირდა ებრაულ ენაზე ლაპარაკი. ის არ აღზრდილა ებრაელებთან ერთად. ის გაიზარდა როგორც ეგვიპტელი და მისი პირველი ენა, სწორედ ეგვიპტური ენა იყო. ღმერთი არწმუნებს მოსეს, რომ რადგანაც მან შექმნა ადამიანის ბაგე, შეუძლია, დაეხმაროს, რომ ებრაელებს ელაპარაკოს. მაგრამ მაინც, მოსე უკან იხევს.

„თქვა მოსემ: „გთხოვ უფალო, სხვა ვინმე მიავლინე!“ და აღინთო უფლის რისხვა მოსეზე და უთხრა მას: „განა შენი ძმა არ არის ლევიანი აჰარონი? ვიცი, რომ ლაპარაკით ის ილაპარაკებს; და გამოვა იგი შენს შესახვედრად, გიხილავს და გულით გაიხარებს. ილაპარაკებ მასთან და მისცემ სიტყვებს მის ბაგეებს; მე ვიქნები შენს ბაგესთან და მის ბაგესთან და გასწავლით, რა უნდა გააკეთოთ. ის ილაპარაკებს ხალხთან შენ მაგივრად. ის იქნება შენი ბაგე და შენ იქნები მისთვის, როგორც ღმერთი“.

– გამოსვლა 4:13-16

შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ აპარონმა კარგად იცოდა ებრაული ენა, რადგანაც ებრაელად იყო აღზრდილი და შეეძლო მოსეს ნაცვლად ელაპარაკა ებრაელებთან და არა ის, რომ მოსე ენაბორძიკი იყო.

ახლა ხედავთ, რამდენად მნიშვნელოვანია სწორი და მუდმივი გიგლიაში ვი ხედვა გვერდეს ღვთის ხასიათისადმი. იმის ცოდნა, რომ ღმერთი ყოველთვის კეთილია, გვაძლევს შესაძლებლობას, კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ ტექსტის გავრცელებული გაგება და უფრო ჩავულრმავდეთ, რათა სწორად განვმარტოთ. ამრიგად, როგორც უკვე ვთქვი, სამეფოს გაგების საფუძველია, იცნობდე თავად შემოქმედის ხასიათს. თუ ეს არ იცი, სატანას შეეძლება, მოგატყუოს, როგორც ევა მოატყუა იმის დაჯერებით, რომ ღმერთი სიმართლეს არ ამბობს და მეტიც, გატყუებს.

## ღმერთის აღთქმების გაგება

ბიბლიაში 7,000-მდე აღთქმაა, რაც განსაზღვრავს შენი, როგორც ღვთის შვილის კანონიერ უფლებებს. თითოეული აღთქმა თავად მეფის მიერაა მოცემული და შეგვიძლია, ენდო. ან შეგვიძლია კი? თუ ღმერთის სიკეთისადმი ეჭვი ჩნდება, მაშინ მისი აღთქმების მიმართაც იბადება ეჭვები.

ნება მომეცით, ერთი მაგალითი მოვიყენო! მოდი, ვთქვათ, რომ 1,000\$-იანი ჩეკი მოგეცით. მადლობას გადამიხდით და გონებაში უკვე ჩათვლით, რომ 1,000\$ გაქვთ. ისე მოიქცევით, რომ 1,000\$ გაქვთ, ისე ილაპარაკებთ რომ 1,000\$ გაქვთ და კიდევ ერთხელ გადამიხდით მადლობას. მაგრამ, ფაქტი ისაა, რომ თქვენ ჯერ არ გაქვთ 1,000\$. თქვენ მხოლოდ ფურცელი გაქვთ, რაც ამას გპირდებათ. ჩეკი უბრალოდ დაპირებაა, რომ კანონიერ უფლებას გაძლევთ ჩემი ბანკის ანგარიშიდან 1,000\$ მიიღოთ. ჩეკის განაღდება გჭირდებათ, რათა რეალურად გქონდეთ ფული! მაგრამ რადგანაც ჩემი განზრახვა თქვენდამი ცნობილია და რადგან ჩემი ნებით მოგეცით ჩეკი, რომელსაც ხელი მოვაწერე და რადგანაც მენდობით, რომ ნამდვილად მოგეცით 1,000\$, შეგვიძლიათ თქვათ, რომ 1,000\$ გაქვთ იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ დაპირება გაქვთ.

ღმერთი ჩემზე გაცილებით დიდია. მისი სიტყვა არასდროს ტყუის. იგი გვაძლევს თავის დიდებულ და ძვირფას დაპირებებს. თუკი ღმერთი თავის აღთქმას გაძლევს, ესე იგი, ნამდვილად აღასრულებს! ერთადერთი, რისი გაკეთებაც სატანას შეუძლია, აღთქმის აღსრულების ხელის შესაძლელად, არის, ეჭვი შეგატანინოს ღმერთის სიტყვაში. ამიტომას უმიშვნელოვანესი, რათა იცოდე, რომ ღმერთი კეთილია და ის არ იტყუება.

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო! ვიცი, ბევრს გსმენიათ, რომ სასწაულების დრო დამთავრდა და ღმერთი აღარ აკეთებს იგივეს, რასაც იესო დედამიწაზე ყოფნის დროს აკეთებდა. ძალიან ტრადიციულ ეკლესიაში გავიზარდე და წრფელად რომ ვთქვა, არასდროს მინახავს ღმერთის ძალის გამოვლინება. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ მახსოვს. ამიტომ, ის, რომ მე არ დამინახავს: როგორ განკურნა ღმერთმა ვინმე? ხომ არ ნიშნავს, რომ ღმერთი აღარ კურნავს?! ამის საპასუხოდ, ჩვენს გამოცდილებას არ უნდა დავეყრდნოთ. უნდა ვნახოთ: რას ამბობს ბიბლია? რას ამბობს ღვთის კანონი განკურნების შესახებ.

**„როგორ სცხო ღმერთმა სულინმიდით და ძალით იესო ნაზარეველს, რომელიც დადიოდა, ქველმოქმედებდა და კურნავდა ეშმაკისგან ყველა გატანჯულს, რადგან ღმერთი იყო მასთან“.**

– საქმეები 10:38

როგორც ვხედავთ, განკურნება უფლის მსახურების მთავარი მახასიათებელი იყო. ტექსტი ამბობს, რომ იესო კურნავდა, რადგან ღმერთი იყო მასთან. ეს ფრაზა: „ღმერთი იყო მასთან“, კარგად უნდა გვესმოდეს. რა თქმა უნდა, ღმერთი იყო იესოსთან მთელი მისი სიცოცხლე დედამიწაზე. მაგრამ ეს ფრაზა იმ მომენტს ეხებოდა, როცა იესო წყალში მოინათლა და ღვთის სული გადმოვიდა მასზე მტრედის სახით. იმ წუთამდე, იესოს არც ერთი სასწაული არ ჰქონდა მოხდენილი. არაფერია დაწერილი იმაზე, რომ იესო პატარაობისას თავის საუზმეს ამრავლებდა ან ბავშვობისას ვინმე განკურნა. მისი მსახურება სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც სულინმიდამ სცხო. ღმერთი მასთან იყო ამ საქმეში.

ახლა შეიძლება თქვათ: „კი, იესო კურნავდა, მაგრამ ის აქ აღარაა“. გეთანხმებით, მართალი ხართ, მაგრამ მან ეს დავალება

## შეინარჩუნოთ რაოდ უცილულია: უზრუნველყოფის ძალა

ეკლესიას გადასცა. იგივე ძალა, რაც იესოზე გადმოვიდა, ეკლესიასაც მიეცა. სანამ იესო დედამინას დატოვებდა, მან თავის მოწაფებს უთხრა:

„არამედთქვენმიიღებთძალას, როცაგადმოვასულინმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამინის კიდემდე“.

– საქმეები 1:8

იგივე ძალა, სულინმიდა გადმოვიდა ეკლესიაზე, რათა იგივე სასწაულები მოახდინოს, რასაც იესო აკეთებდა.

განსხვავებულს ვერაფერს იტყვით. ჩემს ქალიშვილ ემის 6 კილოიანი სიმსივნე ჰქონდა მუცლის ღრუში. ყველანი ვლოცულობდით მისი განკურნებისთვის ღვთის სიტყვის თანახმად და ერთ დღესაც დასაძინებლად წავიდა და მეორე დღეს სრულიად განკურნებულმა გაიღვიძა. მისი 6 კილოიანი სიმსივნე გაქრა და მისი ზურგი (რომელიც დაკორძილი და მოხრილი იყო) სრულად გასწორდა. შეგიძლიათ ეს ისტორია წაიკითხოთ მის წიგნში: „ერთ ლამეში განკურნება“.

ჩემს რძალს ფორთოხლის ზომის სიმსივნე ჰქონდა გვერდზე, რაზეც ექიმები ამბობდნენ, რომ აუცილებლად ქირურგიული ჩარევით უნდა მოეშორებინათ. მათ თქვეს, რომ სიმსივნის იშვიათი ფორმა ჰქონდა და მხოლოდ ერთი ან ორი თვე თუ იცოცხლებდა. მასაც სწამდა ღვთის ალთქმების და ერთ დილას სრულიად განკურნებულმა გაიღვიძა. სიმსივნე გაქრა.

ჩემს ცოლს დრენდას, ზურგზე რაღაც გამოუვიდა 50 ცენტიანის ზომის. იგი მას განმეორებით უბრძანებდა მისი სხეული დაეტოვებინა და ორი კვირაში სრულიად გაქრა.

ღმერთმა აირჩია ამ ქალბატონების განკურნება? განა უფალი არჩევანს აკეთებს ასეთ დროს? განა შენზე მეტად უყვარს ეს სამი ქალბატონი? არა! მათ ესმოდათ სამეფოს კანონები და ის, თუ რა სარგებლის მიღება შეეძლოთ და უბრალოდ ჩაეჭიდნენ ამას. ახლა შეგიძლება იკითხოთ: „კი მაგრამ, მაშინ რატომაა ამდენი ავადმყოფი ადამიანი? რატომ ვერ ვხედავთ ადამიანების განკურნებას უფრო ხშირად ჩვენს ეკლესიებში?“

მიხარია, რომ ეს კითხვა დასვით. მოდი, ამაზე უფრო ვრცლად შემდეგ თავში ვისაუბროთ.

## თავი 3

# მართლმსაჯულების საკითხები

როგორც უკვე ვთქვი, ქალაქებარეთ ვცხოვრობ 12 ჰა მიწაზე, ოპაიოში. თავიდან 11 ჰა მქონდა, თუმცა მეზობელმა პატარა მიწა მომყიდა, რაც ჩემს ფართს ესაზღვრებოდა და ახლა 12 ჰა-ს ვფლობ. უკვე 22 წელია ამ მიწით ვხარობთ. გარშემო ტყეების ქონა ირმებზე სანადიროდ, ჭაობის ქონა იხვებზე სანადიროდ და მინდვრების ქონა კურდღლებსა და ხოხებზე სანადიროდ, ისევე როგორც ჩვენი ოთხთვალათი სეირნობა, ნამდვილად დიდი კურთხევაა. მაგრამ თუ ახლოდან დააკვირდებით ჩემს მიწას, გარშემო ყველგან ნიშნებია წარწერით — საზღვარი არ გადაკვეთოთ! ეს ნიშნები ადამიანებს ეუბნება, თუ სად იწყება ჩემი საკუთრება.

ოპაიოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ ვინმეს ჩემს ტერიტორიაზე შემოსვლა სურს, ყოველ ჯერზე წერილობითი თანხმობა უნდა ჰქონდეს თან. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანონო შემოქრად ითვლება, შესაძლოა, კანონით გასამართლდნენ და ჯარიმა დაეკისროთ. საქმე იმაშია, რომ თუკი ვინმეს სურს ჩემს მიწაზე ისე შემოვიდეს, რომ მე არ მითხრას, ამ გადაწყვეტილებას კანონიერად ვერ მიიღებს, რადგან მისი მიწა არაა. თუ მე ვეტყვი, რომ ჩემი მიწიდან წავიდნენ, მათ არჩევანი არ ექნებათ!

ამრიგად, მოკლედ რომ ვთქვათ, ვერ დაიკავებ იმას, რაზეც კანონიერი უფლება არ გაქვს.

ტერიტორიაზე უკანონოდ შექრის ეს ილუსტრაცია, ბევრ კითხვას გასცემს პასუხს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ხდება ან არ ხდება რაიმე ღვთის სამეფოში. მართლმსაჯულების საკითხი სამეფოს ეფექტური მოქმედების წინაპირობაა.

## რატომ არ განიკურნენ ისინი?

დარწმუნებული ვარ, მსგავსი ამბავი მოსმენილი გექნებათ. ვიღაც კარგად ცნობილი ადამიანი ავად ხდება და მასზე ლოცვას იწყებენ. მიღიონობით ადამიანი ერთიანდება ამ ადამიანის განკურნებისთვის სალოცავად და იგი მაინც კვდება. რატომ? ვიღაც გეუბნება, რომ მისი ბებია გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ლოცულობნენ და აინტერესებს: რატომ? ან ვიღაც გეუბნება, რომ გარკვეული თანხა შენირეს მათი ფინანსური საჭიროების გამო, მაგრამ მაინც გაკოტრებულები არიან. არსებობს პასუხები ასეთ კითხვებზე?

სანამ ამას ვუპასუხებ, ნება მომეცით, ვალიარო, რომ არ ვიცით ყველაფრის შესახებ, რაც სულიერ სამყაროში ხდება და თავს არ მოგაჩვენებთ, თითქოს მე ვიცოდე. თუმცა ღვთის სიტყვის თანახმად ვიცით, რომ თუ ვინმე ავადაა, იესომ მისი განკურნებისთვის ფასი უკვე გადაიხადა. ვიცით, რომ თუ გულუხვები ვართ და გავცემთ, ბიბლია ამბობს, რომ უნდა მივიღოთ კიდეც. თუმცა ყოველდღიურად ვხედავთ, რომ ღვთის სიტყვა ისე არ ფუნქციონირებს ადამიანთა ცხოვრებაში, როგორც წერია. ღმერთი უნდა დავადანამაულოთ ამაში?

თუ შევხედავთ იმას, რაც წინა თავში ვისწავლეთ და იმის მიხედვითაც, რაც ამ თავში განვიხილეთ, მიხედებით, რომ პასუხი ძალიან მკაფიო: „არა“. და თუ არა, მაშინ რაშია პრობლემა? აი, მთავარი საკითხი. თუკი ადამიანებს, რომელთაც ელემენტარული საფუძველიც არ აქვთ იმის გაგების, რომ ღმერთი ყოველთვის კეთილია, დაუსვამთ კითხვას: ღმერთი უნდა დაადანაშაულოთ ტრაგედიის გამო თუ არა? გიპასუხებენ – დიახ! რადგან მათ იციან, რომ ღმერთს აქვს ძალაუფლება, შეაჩეროს რაღაც, რომ არ მოხდეს და ასე ნამდვილად არ მოქცეულა, ისინი ფიქრობენ, რომ ღმერთმა დაუშვა, რათა ეს მომხდარიყო. მაგრამ თუ გესმის,

რომ ღმერთი კეთილია და ის არ იტყუება, მიხედებით, რომ პრობლემა სხვა რამეშია და დაწყებთ პასუხის ძიებას.

მოწაფეებმა სწორედ ასეთი აზროვნება წარმოაჩინეს, როცა დემონი ვერ განდევნეს შეპყრობილი ბიჭისგან. იმის ნაცვლად, რომ ეკითხათ: „რატომ აირჩია ღმერთმა დემონი მასში დაეტოვებინა?“ მათ იკითხეს: „რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?“

**დვითის სამეცნ  
სამეცნოა,  
რომელიც  
უცვლელი  
კანონებითა და  
პრიცეპებით  
მოქმედებს.**

სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი პირველი კითხვა, როცა გვერდი გარემოებები დმერთის სიტყვას ეწინააღმდეგება. ამიტომ ისევ ვიტყვი, უმნიშვნელოვანესია, უპირველეს ყოვლისა ვიცოდეთ, რომ დმერთი კარგია და მეორე, რომ ის არ იტყუება. სწორედ ამიტომ დამჭირდა ამდენი დრო, მესაუბრა იმაზე, რაც ჩემი აზრით ძალიან თვალსაჩინოა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ბევრი ეკლესისთვის საიდუმლოა. თუ გსურს, გაიგო: როგორ მუშაობს ლვთის სამეფო? კითხვებს უნდა სვამდე ბიბლიის კითხვისას.

გახსოვდეთ, ეს დიდებული ბიბლიური ისტორიები, რაღაც მიზნითაა დაწერილი. იესო შენთვის რაღაცის დანახებას ცდილობს. ამრიგად, მოდი, იმაზე გადავიდეთ, თუ რატომ ვერ მიიღო ვიღაცამ ის, რასაც ლვთის სიტყვა ამბობს. საკმაოდ ბევრმა საკითხმა შეიძლება შეუშალოს ხელი ზეცის მართლსაჯულების აღსრულებას. ზოგიერთი რამ სულაც არაა თვალნათელი, ზოგიერთიც პირადულია და დაფარული.

ლვთის სამეფო სამეფოა, რომელიც უცვლელი კანონებითა და პრინციპებით მოქმედებს. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ პრინციპების სწავლა და გამოყენება ისევეა შესაძლებელი, როგორც ფერმერისთვის თესვისა და მესი პრინციპის შესწავლა მინიერ სამეფოში და მისი საკუთარი წარმატებისთვის გამოყენება. რადგანაც სამეფო კანონებით მოქმედებს, რომლებიც ყველა მოქალაქეს მიეცა გამოსაყენებლად, ყველას შეუძლია მათი სწავლა. ზოგჯერ, იმის ცოდნა, თუ როგორ მოქმედებს ეს კანონები, შესაძლოა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

## სამკვდრო-სასიცოცხლო გადაწყვეტილება

მარკი და ჰანა ჩვენს ეკლესიაში მოვიდნენ და მალევე შვილის გაჩენა გადაწყვიტეს. მანამდე, ჰანას ექიმებმა უთხრეს, რომ მისი ორგანიზმის გარკვეული მდგომარეობის გამო, მისთვის დაორსულება თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ლვთის სიკეთესა და სამეფოს კანონებზე გაიგო რწმენით სიცოცხლის ეკლესიაში, აღმოაჩინა, რომ ბავშვს ელოდებოდა. ძალიან ბედნიერი იყო. თუმცა მალევე, მუცლის ლრუში სამინელი ტკივილები დაეწყო. ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენჯერმე გულიც კი წაუვიდა.

ერთი ასეთი შემთხვევის დროს, ექიმთან წავიდა გამო-საკვლევად. მისი ექიმი იქ არ იყო, ამიტომ შემცვლელმა ექიმმა გადაწყვიტა, ექოსკოპია გადაეღო მდგომარეობის სანახავად. მან სისხლის დიდი შედედება დაინახა და უთხრა, რომ მუცელი მოშლილი ჰქონდა, ბავშვის გულისცემა აღარ ისმოდა. ექიმმა ჰანა მეორე დღისთვის დაიბარა, რათა მისი საშვილოსნოდან მკვდარი ბავშვი ამოეყვანათ, რაზეც მან უარი უთხრა. ნაცვლად ამისა, მისმა ქმარმა, მარკმა ჰანა ღვთის სიტყვით და მისი აღთქმებით გაამხნევა და მოუწოდა, რომ არ დაეკარგა რწმენა ბავშვთან დაკავშირებით. იმ შაბათ-კვირას ეკლესიაში მასზე ილოცეს და დარწმუნებული იყო, რომ მას ჯანმრთელი ბავშვი ეყოლებოდა, მიუხედავად იმისა, რაც ექიმმა უთხრა.

რადგანაც იმ დღეს შემცვლელი ექიმი დახვდა, ორშაბათს მისი პირადი ექიმის სანახავად წავიდა. მისმა ექიმმა შესთავაზა კიდევ ერთხელ გადაეღოთ ექოსკოპია. ჰანას თქმით, მას შოკირებული სახე ჰქონდა, როცა ეკრანს შეხედა. მაშინვე რამდენიმე დღის წინ გაკეთებული კვლევის პასუხებს დახედა. შემდეგ კი ეს სიტყვები უთხრა ჰანას: „ამას უკვე 30 წელია ვაკეთებ და მსგავსი რამ აქამდე არასდროს მიანავს. წინა კვირის გამოკვლევაში დიდი სისხლის შედედება ჩანს და წერია, რომ ბავშვის გულისცემა გაჩერებულია. დღეს კი ვუყურებ და არანაირი სისხლის შედედება აქ არაა, ბავშვი კი შესანიშნავ მდგომარეობაშია, ცოცხალია და ძალიან კარგი გულისცემა აქვს“. რამდენიმე თვის შემდეგ, ჰანამ სრულიად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა, რომელსაც ეველინი დაარქვა. ერთ დღესაც ამ სახელის მნიშვნელობას ეძებდა და აღმოაჩინა, რომ სიტყვა ეველინი სიცოცხლეს ნიშნავს!

ცხადია, რომ ეს გასაოცარი ამბავი ღმერთის ნამოქმედარია. მაგრამ, როგორც სულიერმა მეცნიერმა, ახლა რამდენიმე კითხვა უნდა დავსვა. რატომ მოხდა ეს? ჰანა ღმერთისთვის განსაკუთრებულია? შემთხვევითობის პრინციპით აირჩია ღმერთმა, რომ მისი ბავშვი განეკურნა? ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. კვლავ ვიტყვი, ქრისტიანთა დიდი ნაწილი იტყვის, რომ სასწაული მოხდა. მაგრამ მოგინოდებთ, რომ კარგად დაფიქრდეთ სიტყვა სასწაულის გამოყენებაზე, რადგან იგი თავის თავში მოიაზრებს რაიმე უჩვეულოს მოხდენას. ღვთის სამეფოში ეს უბრალოდ სამეფოს კანონის ფუნქციონირება იყო.

თუკი ქვას დავაგდებდი და იგი მიწაზე დაეცემოდა, იფიქრებ-დით, რომ გავგიჟდი. მე, რომ აღფრთოვანებით მეყვირა: „ვაუ, ეს დაინახეთ? ქვა მიწაზე დაეცა, ეს სასწაულია!“ არ დამეტანხმებოდით, რომ ეს სასწაულია, რადგან იცით, რომ ეს ქმედება უბრალოდ გრავიტაციის კანონის შედეგი იყო და იგი ყოველ ჯერზე, ყველასთვის ერთნაირად მოქმედებს. ქვა ყოველთვის ძირს დაეცემა. ამრიგად, როგორც სულიერმა მკვლევარმა გასაღებებს უნდა დაუწყო ძებნა, თუ რა მოხდა; სულიერ გასაღებებს, რაც სამეფოს კანონსა თუ კანონებს გამოავლენს, რომელიც ამ ისტორიაში გამოჩნდა.

## გასაღების გამოვლენა

მოდი, კიდევ ერთ ისტორიაზე გადავიდეთ, სადაც მეტი შეგვიძლია, გავიგოთ სამეფოს ფუნქციაზე, ამ კითხვებზე პასუხად, ერთ-ერთი გასაოცარი ისტორია ბიბლიაში, რაც ამ კითხებზე პასუხების მოძებნაში დაგვეხმარება, ლუკას მერვე თავშია.

„გზად მიმავალ იესოს კი ხალხი აწყდებოდა ზედ. და იყო ერთი ქალი, რომელიც თორმეტი წელი სისხლის დენით იტანჯებიოდა; მთელი ქონება ექიმებში დახარჯა, მაგრამ ვერავინ განკურნა. უკნიდან მიუახლოვდა, მისი ტანსაცმლის კალთას შეეხო და იმნამსვე შეუწყდა სისხლის დენა.“

და იკითხა იესომ: „ვინ შემეხო?“ ყველამ იუარა.

პეტრემ და მასთან მყოფებმა უთხრეს: „მოძღვარო, ხალხი გარს გახვევია და ზედ გაწყდება, შენ კი კითხულობ ვინ შემეხო?“

ხოლო იესომ თქვა: „ვიღაც შემეხო, რადგან ვიგრძენი, რომ ძალა გავიდა ჩემგან“.

დაინახა ქალმა, რომ ვერ დაიმაღა, ძრწოლით მიუახლოვდა, დაემხო მის ნინაშე და საჯაროდ განაცხადა, რა მიზეზითაც შეეხო და როგორ უცბად განიკურნა.

უთხრა მას: „ასულო, შენმა რწმუნამ განგკურნა. წადი  
მშვიდობით!“

- ლუკა 8:42-48

ამ ამბავში, ვხედავთ ქალბატონს, რომელიც წლები იტანჯე-  
ბოდა ავადმყოფობით და ვერაფერი შეველოდა. იესოს უკან  
მომავალი, მის სამოსს შეეხო და მაშინვე განიკურნა. ამ  
ისტორიაში რამდენიმე ძალიან ღრმა გასაღები შეგვიძლია,  
ვიპოვოთ სამეფოს მოქმედების შესახებ, რაც ნათელს მოჰყენს  
იმ პასუხებს, რასაც ვეძებთ.

უპირველეს ყოვლისა, მთელი ხალხი, ვინც იესოს გარს  
ერტყა, ეხებოდა იესოს. როგორც ისტორია გვიყვება, იმდენად  
ბევრი ხალხი მოჰყებოდა, რომ ლამის გადათელეს. როცა იესომ  
იკითხა, ვინ შემეხოო, პეტრე გააკვირვა ამ კითხვამ, რადგან  
ყველა მას ეხებოდა. მაგრამ იესომ თქვა, რომ ეს ადამიანი  
სხვანაირად შეეხო მას, რადგან იგრძნო, რომ სულინმიდის ძალა  
გავიდა მისგან.

ამ ისტორიის წაკითხვის შემდეგ, მთელი შინაგანი უნდა  
გეუბნებოდეს, რომ გაჩერდე და დაფიქრდე, თუ რა მოხდა.  
შენი გონება მაშინვე გამოძიებაზე უნდა გადაერთოს აურაცხელ  
კითხვებთან ერთად. როგორც სულიერ მკვლევრებს, გვჭირდება,  
ვიცოდეთ: რატომ განიკურნა ეს ქალი და არა სხვები? შემიძლია,  
ვიფიქრო, რომ იქ კიდევ უამრავი ადამიანი იყო, ვინც მას  
ეხებოდა და ფიზიკურად ავად იყო, მაგრამ არ განკურნებულა.  
ამიტომ, უნდა ვიკითხოთ: „რატომ გადმოვიდა ცხებულება  
მხოლოდ ამ ქალზე და არა ყველა სხვაზე, ვინც იმ მომენტში  
იესოს ეხებოდა?“

ტრადიციული რელიგიური პასუხია, რომ იგი განიკურნა,  
რადგან იესომ განკურნა. მაგრამ განა მართლა ასე მოხდა? განა  
გამიზნულად მოემსახურა იესო მას, რომ განეკურნა? ხელები  
დაასხა? უბრძანა ავადმყოფობას დაეტოვა მისი სხეული?  
პასუხია, არა. რეალურად, იესომ ისიც კი არ იცოდა, რომ ეს ქალი  
იქ იყო. ასე რომ, განა რეალურად აირჩია იესომ, განეკურნა იგი  
იმ მომენტში? კვლავ გავიმეორებ, რომ იესომ მისი იქ ყოფნის  
შესახებაც კი არ იცოდა. მაშინ, როგორ განიკურნა იგი? რატომ  
განიკურნა იგი?

რადგანაც სულიერი მეცნიერები ვართ, შეგვიძლია, ის  
პასუხებიც გამოვრიცხოთ, რომ იგი ღმერთის განსაკუთრებული

შვილი იყო ან განსაკუთრებული კავშირი ჰქონდა იესოსთან, რადგან მოციქულთა საქმეების 10:34 ამბობს, რომ ღმერთი მიკერძოებული არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ იესომ მისი იქ ყოფნის შესახებაც არ იცოდა, შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია ქალის გადაწყვეტილებაში, იმ დღეს მიეღო განკურნება. ყველანი ვთანხმდებით, რომ მასში იყო ეს ცხებულება, მაგრამ ნამდვილად არ ყოფილა იმ გადაწყვეტილების მონაწილე, რაც ქალმა მიიღო, რომ იმ წუთას განკურნებულიყო.

იესო ზუსტად გვეუბნება როგორ მოექცა იგი სამეფოს ძალაუფლებაში. მან თქვა: „ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა, წალი მშვიდობით!“ ეს წინადადება ყველაფერს გვეუბნება, რისი ცოდნაც გვჭირდება და გვაძლევს პასუხებს კითხვებზე, თუ რატომ და როგორ მიიღო მან განკურნება იმ დღეს. როგორც სულიერმა მკვლევარებმა, მოდი, უფრო ახლოდან შევხედოთ ამ ისტორიას და ვნახოთ, თუ დავინახავთ რაიმე მინიშნებას, თუ რატომ მიიღო მან ეს.

უპირველეს ყოვლისა, იესო მას ასულს უწოდებს, რაც მიანიშნებს, რომ იგი ისრაელიანი იყო, აბრაჰამის შთამომავალი. როგორც აბრაჰამის შთამომავალი, იგი ფლობდა აბრაჰამისთვის მიცემულ კურთხევას და სარგებელს იმ აღთქმიდან, რაც ღმერთმა აბრაჰამს დაუდო.

„თქვა: „თუ მთელი გულით დაემორჩილები უფლის, შენი ღვთის ხმას, სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურად იღებ მის მცნებებს და დაიცავ მის ყოველ წესს, არ მოვაკლენ შენზე, არც ერთ სენს, რომელიც მოვავლინე ეგვიპტეზე, რადგან მე ვარ უფალი, შენი მკურნალი“. „

– გამოსვლა: 15:26

ის ფაქტი, რომ იესომ მას ასული უწოდა, ნიშნავდა, რომ მას კანონიერი უფლება ჰქონდა იმ ყველაფერზე, რასაც აბრაჰამისადმი მიცემული ღმერთის აღთქმა მოიცავდა. თუმცა მხოლოდ ეს ფაქტი ვერ იქნებოდა მიზეზი, რის გამოც მან განკურნება მიიღო, რადგან იმ დღეს იქ მყოფ ყველა ადამიანს იგივე კანონიერი უფლება ჰქონდა. რაღაც სხვა უნდა იყოს, რამაც ღმერთის სამეფოს ძალის გამოვლინება გამოიწვია. შემდეგ იესო კიდევ ერთ მიზეზს გვეუბნება. მეტიც, იესო ამბობს,

## შეინ ფიცასური რაორლუცია: უზრუნველყოფის ძალა

რომ კონკრეტულად ამ მიზეზით მიიღო მან განკურნება. იესომ თქვა, რომ მისმა რწმენამ განკურნა იგი.

ამრიგად, ახლა ვიცით მიზეზები, რის გამოც მან მიიღო განკურნება. მას კანონიერად ჰქონდა უფლება, მიეღო ეს, რადგანაც აბრაჟამის შთამომავალი იყო და მეორე, მისი რწმენა იყო ის ჩამრთველი, რამაც საშუალება მისცა ამ ძალას მის სხეულზე გადმოსულიყო იმ მომენტში. ის ფაქტი, რომ ის აბრაჟამის ასული იყო, შეგვიძლია შევადაროთ იმას, რომ ელექტოენერგიის კომპანიამ გაყვანილობა შენს სახლამდე მოიყვანოს. ელექტროენერგია ხელმისაწვდომია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შენთან შუქი ენთება. ამისთვის, ჩამრთველის გადატრიალება გჭირდება.

ასე რომ, როგორც აბრაჟამის კანონიერ შთამომავალს, ამ ქალს განკურნების კანონიერი უფლება ჰქონდა. თუმცა, რადგანაც მას ჰქონდა მმართველობა მიწიერ სამეფოში საკუთარ ცხოვრებაზე, მას პირადად სჭირდებოდა ჩამრთველის გადატრიალება ამ ძალის გამოსანთავისუფლებლად. მაგრამ სადაა ეს ჩამრთველი? როგორ ვრთავთ მას? ამის გასაგებად რამდენიმე ტერმინის განმარტება გვჭირდება.

## რა არის რწმენა?

რწმენა ტერმინია, რომელსაც ქრისტიანები ძალიან ხშირად იყენებენ. და მე მჯერა, რომ ბევრმა, თუ არა უმრავლესობამ,

**რწმენა**

**ტერმინია,**

**რომელსაც**

**ქრისტიანები**

**ძალიან ხშირად**

**იყენებენ.**

რწმენის საკითხში. რწმენის განმარტებას რომაელთა 4:18-21-ში ვპოულობთ.

არ იცის: რა არის რეალურად რწმენა?

რისთვისაა საჭირო? როგორ გაიგონ

აქვთ, თუ არა რწმენა და როგორ მიიღონ

რწმენა? თუკი რწმენა ის ჩამრთველი,

რამაც საშუალება მისცა ცხებულებას

გადმოსულიყო და განეკურნა ეს ქალი,

მაშინ გვჭირდება კარგად გავერკვეთ

„რომელიც [აბრაჟამი] უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“. არ შესუსტებია

რწმენა, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საში მკვდარი იყო. და არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნებით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს. და გულდაჯერებეული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა“.

– რომაელთა 4:18-21

მოდი, ამ ამბავში გავერკვეთ. აბრაჟამსა და სარას შვილი არ ჰყავდათ. და სულაც არ ვამბობ, რომ ამას კვლავ ცდილობდნენ. ისინი თითქმის ასი წლისები იყვნენ, ყველაფერი დამთავრებული იყო. მათი სხეულებისთვის ბავშვის გაჩენა შეუძლებელი იყო! მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი დაპირდა აბრაჟამს შვილს, ბუნებრივად ეს სრულიად შეუძლებელი იყო. ბიბლია ამბობს, რომ აბრაჟამი სრულად დარწმუნებული იყო, რომ ღმერთს შეეძლო, გაეკეთებინა ის, რაც თქვა, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი ფაქტები სრულიად სხვა რამეს ლაპარაკობდნენ.

აი, რწმენის განმარტებაც: „იყო სრულად დარწმუნებული, რომ ღმერთს აქვს ძალა, აღასრულოს, რაც აღგითქვა“. მე ამას ასე ვიტყოდი: „როდესაც შენი გული თანხმობაშია ზეცასთან“. ეს არ ნიშნავს, რომ უბრალოდ გონებით დაეთანხმო ღმერთის ნათქვამს, სრულად უნდა იყო დარწმუნებული.

### რწმენის ჩვენეული განმარტება:

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ დავრწმუნდე ყველამ გავიგეთ. რწმენა ნიშნავს სრულ დარწმუნებულობას ღმერთის ნათქვამში! ესაა ჩვენი გულისა და გონების თანხმობაში ყოფნა ზეცასთან, სრული დარწმუნებულობა.

### რატომა რწმენა საჭირო?

რატომ არ შეუძლია ღმერთს, განკურნოს ყველა ადამიანი საავადმყოფოში, თუკი ასე სურს? რატომ არ შეუძლია შეაჩეროს ომები? რატომ არ შეუძლია, გამოგზავნოს ანგელოზები, რათა სახარება გვიქადაგონ? დარწმუნებული ვარ, ეს კითხვები აქამდეც გსმენიათ. პასუხი ისაა, რომ მას არ შეუძლია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთს არ აქვს ძალა ამის გასაკეთებლად, მას არ აქვს კანონიერი უფლება ამის გასაკეთებლად. იმის გასაგებად, რაზეც ვლპარაკობ, საჭიროა ეპრაელთა 2:6-8-ს შევხედოთ.

სადღაც ვიდაცამ დაამოწმა და თქვა:

„რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოინახულებ ხოლმე მას? ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე“.

ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს“.

– ეპრაელთა 2:6-8

ღმერთმა ადამიანს სრული კანონიერი უფლება მისცა მთელ მინიერ სამეფოზე, როცა იგი აქ მოათავსა. არაფერი დარჩა, რაც მის მმართველობას არ დაუქვემდებარა. იგი ამ სამეფოს სრული მართლმასულებითა და ძალაუფლებით მართავდა. მის შესაძლებლობას, რომ ძალაუფლებით ემართა, ზურგს უმაგრებდა ის მმართველობა, რომელმაც იგი აქ დააყენა. რეალურად, იგი ღვთის სამეფოს დელეგირებული ძალაუფლებით მართავდა დედამინას. იგი ამ მმართველობის გვირგვინს ატარებდა, რაც ღმერთის დიდებას, ცხებულებას წარმოაჩენდა; იგი პატივისა და ძალაუფლების პოზიციას ფლობდა.

რა თქმა უნდა, ის მართლა რეალურ, მეტალის გვირგვინს არ ატარებდა, თუმცა მას ჰქონდა გვირგვინი იმ გაგებით, რა ფუნქციასაც გვირგვინი ატარებს. იმის კარგად წარმოსადგენად, თუ როგორ გამოიყურება ეს, იფიქრეთ ჩვეულებრივ მეფეზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია და ბუნებრივად არაფერი განსაკუთრებული ძალა არ აქვს, იგი ატარებს გვირგვინს, რაც ხაზს უსვამს, რომ იგი წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მთელს სამეფოს და მმართველობას. მისი სიტყვები მხოლოდ იმიტომ ატარებს ძალაუფლებას, რომ მას ზურგს უმაგრებს იმ სამეფოსა და მმართველობის მთელი ძალა და ბუნებრივი რესურსები, რომელსაც იგი წარმოადგენს.

პოლიციელს, რომელიც საგზაო მოძრაობას არეგულირებს, შეუძლია დიდი სატვირთოს მძლოლი გააჩეროს ფრაზით: „გაჩერდი, კანონის სახელით!“ მართალია სატვირთო გაცილებით დიდია ამ კაცზე და რა თქმა უნდა, თავად ეს კაცი

არც შეედარებოდა ამ სატვირთოს, მაგრამ სატვირთო ჩერდება იმ ნიშნის გამო, რასაც ეს პოლიციელი ატარებს და რაც მმართველობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მმართველობა გაცილებით დიდია, ვიდრე ის კაცი, რომელიც ამ ნიშანს ატარებს. სატვირთოს მძღოლს საერთოდ არ ეშინია ამ კაცის, მაგრამ მას ეშინია მმართველობის, რომელსაც ეს კაცი წარმოადგენს და სწორედ ამიტომ ჩერდება.

იგივე ხდება ამ შემთხვევაშიც. ადამი მართავდა ყველაფერს, რაც დედამინაზე იყო შექმნილი. ღვთის ძალაუფლება და სუვერენიტეტი, რასაც დიდებისა და პატივის გვირგვინი წარმოადგენდა, აძლევდა ადამიანს იმის გარანტიას, თავისი სიტყვით შეეძლო ემართა, როგორც ღვთის სამეფოს წარმომადგენელს.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როცა ადამმა დაკარგა დედამინის მართვის შესაძლებლობა იმით, რომ ღმერთის მმართველობას უღალატა, მან დაკარგა გვირგვინი, მისი ძალაუფლების პაზიცია ღვთის სამეფოში, მაგრამ მას არ დაუკარგავს კანონიერი უფლება დედამინაზე. დედამინის კანონიერი მმართველი კვლავ ადამიანი იყო. ღმერთმა მისცა იგი მას, რომ ემართა. თუ ისევ დავუბრუნდებით ჩვენს ტექსტს ებრაელთა მიმართ წერილში, ამას კარგად დავინახავთ.

### სადღაც ვიდაცამ დაამოწმა და თქვა:

„რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოინახულებ ხოლმე მას? ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე“.

ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა კერ კიდევ კერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს“.

– ებრაელთა 2:6-8

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი იმ პერიოდზე საუბრობს, როცა ადამი და ევა შეიქმნა, დაწერილია: „არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი“.

„ცანი-ცანია უფლისა, ქვეყანა კი კაცთა შვილებს მისცა“. – ფსალმუნი 113:24

## ადამიანმა ღმერთი გააგდო

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს აქვს კანონიერი მმართველობა დედამიწაზე, მან დაკარგა სულიერი მმართველობის ძა-

**აი, რატომ  
სჭირდება  
ღმერთს სულით  
ალსავს  
ადამიანების  
გამოყენება  
თავისი ნების  
ადამიანების  
ცხოვრებაში  
ალსასრულეპლად.**

ლაუფლება. ადამმა ღმერთი გამოაგდო ადამიანის საქმიანობისაგან ედემის ბალში; ამ დაცემით დედამიწა დაბინძურდა, შეიცვალა. სიკვდილი შემოვიდა მიწი-ერ სამეფოში და ახლა სატანას კანონიერი უფლება ჰქონდა გავლენა მოქედინა ადამიანის საქმიანობაზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მოხდა, მნიშვნელოვანია გესმოდეს, რომ დედამიწა კვლავ ადამიანის კანონიერ მფლობელობაშია. ამ დაცემულ მდგომარეობაშიც კი ის განაგებს. მაგრამ, მას

აღარ აქვს ღმერთის მმართველობის გვირგვინი, რომელიც ზურგს გაუმაგრებს. მას აღარ აქვს ძალაუფლება, მართოს ღვთის ძალითა და დიდებით და თავისი პატივის პოზიციაც დაკარგა. თუმცა, კვლავ ერთადერთი ცოცხალი არსებაა, ვისაც მიწიერი სამეფოს მართვის კანონიერი უფლება აქვს.

აი, რატომ სჭირდება ღვთის სულით ალსავსე ადამიანების გამოყენება თავისი ნების ადამიანების ცხოვრებაში ალსასრულებლად. იგივენაირად სატანა დემონებით აღძრულ ადამიანებს იყენებს, რათა გავლენა იქონიოს მიწიერ სამეფოზე მისი გეგმისამებრ ადამიანთა მიმართ. ადამიანის კანონიერი ძალაუფლების ქონის პრინციპი დედამიწაზე აუცილებელია, რათა გესმოდეს სამეფოს კანონი და კონკრეტულად, რატომ არის რწმენა საჭირო ღმერთისთვის, რათა სიტუაციაზე კანონიერი უფლება მოიპოვოს.

შესაძლოა, თქვათ: „კი მაგრამ, მე მეგონა ღმერთი ფლობდა დედამიწას და მთელს მის სისავსეს?“ დაახ, ის ფლობს. იმედი მაქვს, ეს მაგალითი დაგეხმარებათ იმის გაგებაში, რასაც ვამზობ. თუ მე იჯარით მოგცემთ სახლს, რომელსაც მე ვფლობ, მიუხედავად იმისა, რომ კანონიერად ჩემს საკუთრებაშია, ასევე

კანონიერად უარს ვამბობ იმ უფლებაზე, რომ ნებისმიერ დროს მოვიდე, როცა კი მოვისურვებ. თითქმის ყველა იჯარაში არის პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს: როდის აქვს მეპატრონეს უფლება, მივიდეს თავის გაქირავებულ საკუთრებაში? მაგალითად, საგანგებო სიტუაციის მოსაგვარებლად ან რაიმეს შესაკეთებლად, და ასევე რაოდენობაც მოცემულია. თუკი ამ შეთანხმების მიღმა ვეცდები სახლში შესვლას, საკუთრებაში შეჭრად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მე ვფლობ მას. თუ იჯარაში მოცემულ კანონს ვარდვევ, კანონის ფარგლებში მომიწევს საკუთრების დატოვება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სახლია.

ეს ნათლად წარმოაჩენს, თუ რატომ მოუწია სატანას ადამის გავლით მოეპოვებინა წვდომა მინიერ სამეფოზე. მხოლოდ ადამს ჰქონდა გასაღები! სატანა ამ კარის გავლით უნდა შესულიყო და გასაღებიც მისგან უნდა მიეღო, ვინც კანონიერად ფლობდა მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის ძალით გამოაგდებდნენ უკან.

იგივენაირად, მას შემდეგ რაც ადამმა ლვთის მმართველობა მიწიერი სამეფოდან გამოაგდო, ლმერთს უნდა მოექებნა კანონიერი გზა, რათა მისი მმართველობა კვლავ დაებრუნებინა დედამიწაზე. მას ისევ ადამიანის გავლით უნდა ემოქმედა. ამ შემთხვევაში, ადამიანმა, სახელად აბრაჟამმა გახსნა კარი.

„უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ! დიდ ერად გაქცევ, გაქურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები! ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დაცნევლი შენს მანყევარს; და ძურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი!“

– დაბადება 12:1-3

აბრაჟამს ჩვენს რწმენის მამას ვუწოდებთ, რადგან სწორედ მან გაუხსნა მიწიერი სამეფოს კარი ლმერთს, რითიც დედამიწის ყველა ერი იკურთხებოდა. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია იესო ქრისტეზე და ლმერთის გეგმაზე კაცობრიობის დასახსნელად. აბრაჟამის რწმენამ გააღო კანონიერი კარი, რომელიც ლმერთმა მუდმივად ლია დატოვა აბრაჟამთან კანონიერი შეთანხმების დადებით. ეს აღთქმა მოიცავდა აბრაჟამის თესლს, რასაც გულისხმობდა გამოსვლის მე-12 თავში დაწერილი: „იკურთხება

შენში დედამიწის ყველა ტომი“. „შენში იკურთხება“ იესოს გულისხმობს, რომელიც აბრაჟამის მემკვიდრეობით ხაზში უნდა დაბადებულიყო და აღედგინა ის, რაც ადამმა დაკარგა.

ნება მომეცით, სხვა სიტყვებით ვთქვა. ქალი ან კაცი, რომელსაც დედამიწაზე კანონიერი მმართველობა აქვს, თანხმობაში უნდა იყოს ზეცასთან, რათა ზეცამ კანონიერი წვდომა მოიპოვოს მიწიერ სამეფოზე. ზეცასთან თანხმობას რწმენა ეწოდება. აქ იგივე პრინციპი მოქმედებს, რითიც სატანამ კანონიერი წვდომა მოიპოვა მიწიერ სამეფოზე ადამიანის მეშვეობით, რომელიც გასაღებს ფლობდა და რომელსაც ადამი ერქვა.

„აიყვანა იგი [იესო] მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“

— ლუკა 4:5-7

ამ მუხლში ვხედავთ, რომ სატანა ამბობს, მთელი ძალაუფლება და დიდება (სიმდიდრე) ადამიანთა სამეფოზე მას აქვს მიცემული. იგი აცხადებს სრულ ძალაუფლებას მთელს დედამიწაზე, რამდენადაც იგი კაცობრიობას უკავშირდება. ამრიგად, ვინ მისცა მას ეს ძალაუფლება? მან, ვისაც ჰქონდა, ადამმა! ამიტომ, ღმერთი ვეღარ შემოიჭრება ადამიანის საქმიანობაში კანონიერი შემოსასვლელის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანონობად ჩაითვლება. სატანა იტყვის, რომ ეს ბინძური თამაშია. არა, ღმერთმა იგივე კარში უნდა გაიაროს, რაშიც სატანამ გაიარა. მან დედამიწაზე უნდა იმოქმედოს კაცის ან ქალის გავლით.

იესოს არ შეეძლო მათი განკურნება — მნიშვნელოვანი გაკვეთილი გამოვლენილია

„უთხრა მათ იესომ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“. და **ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული**, გარდა იმისა, რომ რამდენიმე

სნეულს ხელები დაასხა და განკურნა. უკვირდა მათი ურნწმუნოება“.

– მარკოზი 6:4-6

ხალხს რომ ვკითხო ქუჩაში, შეუძლია თუ არა იესოს რაიმეს გაკეთება, ყველა უპასუხებს, რომ რა თქმა უნდა, შეუძლია. თუკი ვკითხავდი, იყო თუ არა ბიბლიაში ადგილი, სადაც იესომ სცადა, მაგრამ ვერ შეძლო სასწაულის მოხდენა, რას უპასუხებდნენ? დამერნწმუნეთ, მეტყოდნენ, რომ ბიბლიაში ასეთი ადგილი არაა. თუმცა, სწორედ ახლა წაიკითხეთ ასეთი მუხლი. იესომ ვერ განკურნა ისინი. როგორც სულიერ მეცნიერს, მინდა, ვიცოდე, თუ რატომ. პასუხი მარტივია, მას არ შეეძლო ამის გაკეთება და თქვენ უკვე იცით: რატომ? რადგან მათ არ ჰქონდათ რწმენა, ანუ არ იყო თანხმობა ზეცასთან, ამრიგად ზეცას არ ჰქონდა კანონიერი მმართველობა ამ სიტუაციაში. დარწმუნდით, რომ კარგად გესმით ის, რაც აღმოვაჩინეთ.

ზეცას არ აქვს კანონიერი მმართველობა დედამიწაზე, თუ კაცის ან ქალის გული სრულად არაა დარწმუნებული ზეცის ნათქვამში, რასაც რწმენა ეწოდება.

მოდი, დავუბრუნდეთ კითხვებს, რაც ამ თავის, დასაწყისში დავსვი უპასუხო ლოცვების შესახებ და შევეცადოთ, ახლა მივიღოთ პასუხები. გახსოვთ, ვახსენე სიტუაცია, სადაც მილიონბით ადამიანი შეიძლება ლოცულობდეს ვინმეზე და ის მაინც მოკვდეს. რატომ? უპირველესი მიზეზი, კვლავ რწმენის უქონლობაა. ადამიანთა დიდ ნაწილს, დიდი ხმაური რწმენა ჰგონიათ.

„ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი! ნუ იქნებით მათი მსგავსები, რადგან თქვენმა მამამ მანამდე იცის, რა გჭირდებათ, ვიდრე თხოვდეთ!“

– მათე 6:7-8

ადამიანთა დიდ ნაწილს სჯერა, რომ, რაც უფრო მეტი ადამიანი ილოცებს, მეტია შანსი, ღმერთი მოისმენს და გული განეწყობა დასახმარებლად. იმედი მაქვს, აქამდე ნასაუბრებიდან გამომდინარე მიხვდებით, რომ ეს სრული სიცრუეა. და როცა რწმენის არქონაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში იმის რწმენაზე ვსაუბრობთ, ვისაც სჭირდება, რომ ღვთისგან მიიღოს.

ჩვენს ისტორიაში მარკოზის მე-6 თავში, დამეთანხმებით, რომ იქსოს ნამდვილად საკმარისზე მეტი რწმენაც კი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მათი განკურნება. თუ კი მე და შენ ვსაუბრობთ ავადმყოფ ადამიანზე, რომლისთვისაც მილიონობით ადამიანი ლოცულობს, აუცილებლად გყითხავდით: „და ის ავადმყოფი ადამიანი რას ამბობს?“ ხედავთ, არც ერთი რაოდენობის ადამიანს არ აქვს სულიერი ძალაუფლება სხვა ადამიანზე?! შეიძლება 20 მილიარდმა ადამიანმაც კი ილოცოს ვინმესთვის, მაგრამ, თუ თავად ამ ადამიანს არ აქვს რწმენა და ამბობს, რომ მოკვდება, აუცილებლად მოკვდება.

მოდი, ისევ დავფიქრდეთ ჩვენს მაგალითზე მარკოზის მეექვსე თავიდან! ვიცით, რომ იქსოს ჰქონდა რწმენა, განკურნა, მაგრამ იგი ვერაფერს გააკეთებდა იმ ადამიანების რწმენის გარეშე, რომლებიც ჩართული იყვნენ ამაში.

უამრავი ადამიანი მოსულა ჩემთან და უთქვამს, რომ მათი ბებია ან ბაბუა ან ნათესავი ავადაა და რომ ლოცულობენ მისთვის, მაგრამ არაფერი ხდება. მე ყოველთვის ვეკითხები: „რას ამბობს ბებია? რას ამბობს ბაბუა? აქვს რწმენა?“ ხედავთ, თქვენ არ გაქვთ სულიერი ძალაუფლება სხვა ადამიანზე?! შევიძლიათ, მოემსახუროთ მას, მაგრამ ისინი თავად უნდა იყვნენ ამაში ჩართულები. ამიტომ, ადამიანებს ვეუბნები, რომ, თუ სურთ, ეფექტური მსახურება იხილონ: შეცვალონ სურათი! ვსაუბრობ სურათზე, რომელსაც ავადმყოფი ადამიანი ხედავს საკუთარ სიტუაციაში. ნუ დაუწყებთ მათ რელიგიური გამონათქვამებით საუბარს! სწორი სურათი მიეცით! ნება მომეცით, გაჩვენოთ: რაზე ვსაუბრობ?

„აუწყეს ეს ამბები იოანეს მისმა მოწაფეებმა. მოიხმო იოანემ თავისი ორი მოწაფე და იქსოსთან გაგზავნა შესაკითხად: „შენ ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“

პკითხეს მოსულმა კაცებმა: „იოანე ნათლისმცემელმა გამოგვგზავნა შენთან ამ კითხვით: შენ ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“

იმუამად მან ბევრი განკურნა სნეულებათა და სატკივართაგან, ასევე ავი სულებისგან და მრავალ ბრმას უწყალობა მხედველობა. უთხრა მათ იქსომ პასუხად:

„წადით, უთხარით იოანეს, რაც ნახეთ და მოისმინეთ — ბრძები კვლავ ხედავენ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკუდრები დგებიან და ლატაკებს ეხარებათ“.

— ლუკა 7:18-22

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესო არ მიუთითებს წმიდა წერილზე. მას შეეძლო ეთქვა: „წადით უკან და უთხარით იოანეს ეს მუხლი ან ის მუხლი!“ მაგრამ არა, ის მიუთითებს ყველა იმ სიკეთეზე, რაც ლვთის სამეფოს მიერ ხდება. შენც იგივეს გააკეთებდი. მოუყვები შენს ავადმყოფ მეგობარს ისტორიას, თუ როგორ განკურნა იესომ ვიღაც. თუ შესაძლებელია მოუყვები ისტორიას ისეთ ადამიანზე, რომელიც ზუსტად იმისგან განიკურნა, რაც მას აწუხებს. ეს სურათი მათ შთაგონებას და იმედს მისცემს. იმედი ყოველთვის ატარებს სურათს თავის თავში და სწორედ ეს სურათი გინდა, რომ შენმა მეგობარმა იხილოს, რომ არსებობს განკურნება ამ დაავადებისგან.

მას შემდეგ, რაც შენი მეგობარი იხილავს, რომ მისი განკურნება შესაძლებელია, გკითხავს, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს. ესაა მომენტი, რომელსაც ელოდი. იმის ნაცვლად რომ მათთვის გექადაგა, ახლა ისინი მზად არიან მიიღონ მითითებები ლვთის სიტყვისა და სამეფოს პრინციპების შესახებ. ჯერ, თუ ხელახლა შობილი არაა, გენდომება, რომ სამეფოში შეიყვანო; შემდეგ კი დაგჭირდება, რაღაც დრო დაუთმო წმიდა წერილის განმარტებას განკურნებასთან დაკავშირებით. თუ შესაძლებელია, რაიმე მასალასაც დაუტოვებ იმის განსამტკიცებლად, რაც ელაპარაკე. ახლა ვიცით, რა არის რწმენა (თანხმობა ზეცასთან) და რატომ არის რწმენა საჭირო, მაგრამ გვჭირდება ვიცოდეთ, როგორ მივიღოთ რწმენა და საიდან გავიგოთ, გვაქვს თუ არა რწმენა?

### როგორ ვიღებთ რწმენას?

„ამრიგად, რწმენა — მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა — ქრისტეს სიტყვისაგან“.

— რომაელთა 10:17

როგორ მოდის რწმენა ღვთის სიტყვის მოსმენისგან? როგორია ეს პროცესი? მხოლოდ სიტყვის მოსმენაა საჭირო რწმენის ჩამოსაყალიბებლად ადამიანის სულში? იმის გასაებად, თუ როგორ მოდის რწმენა და რაზე საუბრობს რომაელთა 10:17, შეგვიძლია მარკოზის მე-4 თავი ვნახოთ. ყოველთვის ვამბობ, რომ თუ ბიბლიას ჰაერში ააგდებთ, ის მარკოზის მეოთხე თავზე უნდა გადაიშალოს, იმდენად მნიშვნელოვანია ეს ადგილი! იესომ თქვა მარკოზის 4:13-ში, რომ თუ არ გესმით, რას ასწავლის იგი ამ თავში, ვერ გაიგებ ბიბლიის ვერც ერთ სხვა იგავს. ვიტყოდი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია!

რატომ არის ეს თავი ასეთი მნიშვნელოვანი? რადგან იგი გვეუბნება, თუ როგორ ურთიერთქმედებს ზეცა დედამინასთან, როგორ იძენს კანონიერ მმართველობას და სად ხდება ეს. არაფერია ამაზე მნიშვნელოვანი შენს ცხოვრებაში, ვიდრე იმის ცოდნა რაზეა ეს თავი.

ამ თავში, იესო გვეუბნება სამ იგავს იმაზე, თუ როგორ იქმნება რწმენა ადამიანის სულში, რაც როგორც უკვე იცით, აუცილებელი მოთხოვნაა, რათა ზეცამ კანონიერი უფლება მოიპოვოს დედამინაზე. ეს სამი ისტორიაა: „იგავი მთესველზე“, „იგავი თესლზე“ და „იგავი მდოგვის მარცვალზე“. მოდი, მეორე ისტორიაზე ვიფიქროთ, რასაც იესო მარკოზის მე-4 თავში ყვება, იგავი კაცზე, რომელიც თესლს აგდებს მიწაში.

„და თქვა: „ღმერთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაუამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.

– მარკოზი 4:26-29

უპირველეს ყოვლისა, ტერმინები უნდა განვმარტოთ. რა არის ის თესლი და ნიადაგი, რაზეც იესო საუბრობს? იესო განმარტავს ამ ორ ტერმინს წინა, მთესველის იგავში იგივე თავში. მარცვალი ღვთის სიტყვაა, ნიადაგი კი ადამიანის გული ანუ ადამიანის სული.

ამ იგავში იქსო ამბობს, რომ ადამიანი ღვთის სიტყვის თესლს აგდებს საკუთარ გულმი. შემდეგ, თავისით, ნიადაგი ანუ კაცის გული იწყებს რწმენის გაღვივებას ანუ ზეცასთან თანხმობას. ეს ადამიანის სულის ბუნებრივი პროცესი და ფუნქციაა. იგი მასში მოთავსებულს ზრდის. სანამ გავაგრძელებ, მნიშვნელოვანია, გახსოვდეს, თუ როგორ განვმარტეთ რწმენა: კაცის ან ქალის გულის სრული დარწმუნებულობა ზეცის ნათქვამში. ახლა, აქ რთული გასაგებია, რომ ზეცასთან თანხმობა არ არის იგივე, რაც ღვთის სიტყვაზე გონებრივი თანხმობა. ბიბლია ამბობს, რომ აბრაჰამი სრულად დარწმუნებული იყო.

## სრულად დარწმუნებული

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ იმის გაგებაში, თუ როგორ გამოიყურება ან რა გრძნობაა სრული დარწმუნებულობის ქონა, მოდი, ვთქვათ, გითხარით, რომ ნიუ-იორქში ემფაირ სთეით ბილდინგის შენობიდან გადმოხტეთ. რომ დაგარწმუნოთ ამის გაკეთებაში, გეტყვით, რომ ხელები მაგრად უნდა იქნიოთ, რათა გაფრინდეთ და მშვიდობით დაუშვათ მინაზე. თქვენ, ალბათ, დამცირებთ, რადგან იცით, რაც დაგემართებათ. შენ სრულად დარწმუნებული იქნები შედეგში. აი, რას ნიშნავს სრული დარწმუნებულობის ქონა. იცი, რომ დარწმუნებული ხარ; სხვა შესაძლებლობა არ არსებობს. მოკვდები, თუ გადმოხტები.

მოდი, კიდევ ერთი სიტუაცია ვნახოთ და შევხედოთ, აქ როგორ მოიქცევით. მოდი, მივიჩნიოთ, რომ სხეულზე ძალიან დიდი, შესამჩნევი შესიება გაქვს. ექიმი გეუბნება, რომ ერთი თვის სიცოცხლე დაგრჩა: კიბო გაქვს. ექიმი ამბობს, რომ კიბოს ის ფორმა, რომელიც გაქვს იმდენად იშვიათია, რომ არავის უცხოვრია, ვისაც ეს დიაგნოზი დაესვა. მოდი, ვიფიქროთ, რომ შენ იცი, რა წერია 1 პეტრეს 2:24-ში.

„რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისთვის ვიცოცხლოთ. განკურნებულნი ხართ მისი ჭრილობებით“.

- 1 პეტრე 1:24

წერილი გვეუბნება პასუხს, მაგრამ მე და შენ სერიოზული პრობლემა გვაქვს. ჩვენ სიბნელის სამეფოში გავიზარდეთ და

ჩვენს გარშემო მხოლოდ სიმახინჯე და სიკვდილი იყო. ჩვენ შიშის სამეფოში გავიზარდეთ და სრულად დარწმუნებულები ვიყავით იმაში, რასაც შიში ამბობდა. ზემოთ მოცემულ ილუსტრაციაში, გვასწავლეს, რომ კიბო კლავს. ყველა მედია გადაცემა ამას ამტკიცებს, რომ ეს სიმართლეა. ამრიგად, როგორ უნდა შევცვალოთ ჩვენი თანხმობა? როგორ უნდა გავხდეთ სრულად დარწმუნებულები ღმერთის ნათქვამში? რეალურად, ჩვენით არ შეგვიძლია. მაგრამ ღვთის სიტყვა ცოცხალი და ძალით სავსეა და მისი შენს სულში დათესვით, თავისთავად, შენი სული და ღვთის სიტყვა იწყებენ თანხმობის წარმოშობას იმასთან, რასაც ზეცა ამბობს.

## ზეცასთან თანხმობა

„და თქვა: „ღვთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მინაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მინას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაუამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამა“.

– მარკოზი 4:26-29

მინას (შენს გულს) თვითონ გამოაქვს თანხმობა. ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენ ვერ ილოცებთ რწმენისთვის; ეს შენი გულის და ღვთის სიტყვის ფუნქციაა. ამ ტექსტიდან გამომდინარე შეგვიძლია, დავინახოთ, რომ ჩვენი გულის დათანხმება ზეცასთან პროცესია; ეს იმ წამსვე არ ხდება.

ეს ილუსტრაცია გვეუბნება, რომ როცა თავდაპირველად ჩვენი გული იღებს ღვთის სიტყვას, რწმენა იწყებს ზრდას, როგორც ახლად დათესილ თესლს ეზრდება ყლორტი. შემდეგ გრძელდება და იზრდება ღერო, შემდეგ კი თავი ფორმირდება. სწორედ თავში იწყებს თესლი თუ ნაყოფი ჩამოყალიბებას. მცენარის განვითარების ამ ფაზაში, ჯერ კიდევ არაფერი გაქვს, რომ შეჭამო. მცენარეს ჯერ კიდევ არ აქვს მწიფე ნაყოფი, თუმცა ის იზრდება.

იგივე ხდება ღვთის სიტყვის შემთხვევაშიც. თავდაპირველად, როცა რწმენა იწყებს გაზრდას, ფიზიკურ სამეფოში არანაირი

თვალსაჩინო ცვლილება არაა. ჯერ კიდევ არაა თანხმობა, მაგრამ შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ მცენარე იზრდება, რწმენა ჩამოყალიბების პროცესშია და თანხმობა იბადება. იქსო აგრძელებს და განმარტავს, რომ, როცა მარცვალი თავში სრულად მომწიფდება, მოსავლის აღების დროა, თანხმობა იქაა, რწმენა იქაა.

აი, ასე უნდა გვესმოდეს. როცა შენს თესლს მიწაში თესავ, გალვივების პროცესი იწყება და მცენარე იწყებს ზრდას, თუმცა ნაყოფი ჯერ არ აქვს. მცენარე აგრძელებს ზრდას მანამ, სანამ სწორ გარემოშია; და როცა მომწიფდება, თავის ნაყოფს გამოაჩენს. მოდი, ვთქვათ, რომ სიმინდს ზრდი. სიმინდის ყანა სიმინდის ტაროს გამოაჩენს, მაგრამ თავიდან ეს ტარო პატარაა და ამ სიმინდის ჭამა არ შეგიძლიათ. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, სიმინდის ტარო მწიფდება. ახლა ყურადღება მიაქციეთ ამას! როცა ამოსული სიმინდის მარცვალი ისეთი გახდება, როგორიც იყო მიწაში დათესილი სიმინდის მარცვალი, თანხმობა მიღწეულია.

**როცა მცენარის თავში თესლი დამწიფდება, იგი ზუსტად — ზუსტად — ისეთივე იქნება, როგორიც დათესილი თესლი.**

დათესეთ სიმინდი და მწიფე ტაროში მარცვალი ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც დათესეთ. ერთიდან იგივეა. ერთნაირად გამოიყურებიან და ერთნაირი გემო აქვთ; ერთმანეთისგან ვერც კი გაარჩევთ.

ამრიგად, მოდი, სხვა სიტყვებით ვთქვათ იესოს ნათქვამი. როცა ღვთის სიტყვა გვესმის (რომაელთა 10:17), მას ჩვენს სულიერ კაცში, ჩვენს გულებში ვთესავთ. თუ ამ სიტყვას გულში შევინახავთ, იგი გაიზრდება და დამწიფდება. და როდესაც დამწიფდება, ჩვენი გულები სრულად დარწმუნებული იქნება ზეცის ნათქვამში. ზეცა და დედამიწა ერთმანეთს ემთხვევა, შესაბამისად ზეცას მოპოვებული აქვს კანონიერი მმართველობა მიწიერ სამეფოში იმ ადამიანის მეშვეობით, ვინც სრულად დარწმუნებულია. ჩვენი ფიქრები და აზრები სრულად ემთხვევა ზეცის ნათქვამს, სრული დარწმუნებით. ეს არაა მხოლოდ გონიერივი რამ. ეს არის ის, რაშიც ისეთივე დარწმუნებულები ვართ, როგორც იმაში, რომ ქვას თუ ხელს გავუშვებთ, ძირს დაეცემა. ზეცა ღვთის სიტყვას დედამიწაზე თესავს, სადაც იგი თანხმობასა და ღვთის ნებას მოიტანს. თუ ზეცა ამბობს, რომ შენ განკურნებული ხარ, მაშინ როცა სიტყვა

**შეინია უიდესური რაოოლუცია:** უზრუნველყოფის ქალა

მომწიფებება შენს გულში, მხოლოდ იმას დაინახავ, რასაც ზეცა ამბობს. აღარანაირი შიში. როცა თვალებს ხუჭავ, ხედავ, რომ განკურნებული ხარ! აი, რატომ ამბობს ეპრაელთა 11:1:

„ხოლო რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“.

შესაძლოა, ჯერ კიდევ ხედავ ბუნებრივად, მაგრამ შენს სულში დაინახე და ეს ისეთივე რეალურია, როგორც ის, რასაც საკუთარი ხელით ხეხბი. ამ თანხმობას რწმენა ეწოდება და სწორედ ეს რწმენა მოიტანს ამ სურათს დედამიწაზე, შენს ცხოვრებაში!

### **ჩამრთველის გადატრიალება**

მაგრამ მოითმინეთ; აյ არ ჩერდება მარკოზის მეოთხე თავი. მას შემდეგ რაც გვასწავლის, როგორ მოდის ჩვენი გულები ზეცასთან თანხმობაში და როგორ იბადება რწმენა, ის მითითებებს გვაძლევს, თუ როგორ მოვიმკათ ნაყოფი.

„რაუამს მომწიფება ნაყოფი, მაშინვე ნარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.

— მარკოზი 4:29

ყურადღება მიაქციეთ, რომ იმის მიუხედავად, რომ გული თანხმობაშია ზეცასთან და რწმენაც გაჩნდა, ჯერ მაინც არ ხდება

### **ლვილის სამეცნი**

**ქალა უდია**

**გამოანთავისუფლო**

**აქ, მინიერ**

**სამეცნიში, რადგან**

**მხოლოდ ვენ,**

**დედამითაზე**

**გყოფ კაცს ან**

**ქალს შეგიძლია**

**ამის კანონიერად**

**გაკეთება.**

არაფერი. რატომ? როგორც ვთქვით, შენ კანონიერი მმართველობა გაქვს აქ, მიწიერ სამეფოზე. გახსოვს ჩვენი განხილვა ლუკას მე-8 თავიდან იმ ქალის შესახებ, რომელიც სისხლდენით იტანჯებოდა? გახსოვს, იქსომ თქვა: „ასულო, შენმა რწმენამ განგურნა“? მე გითხარით, რომ მან კანონის ძალით გააკეთა განაცხადი ზეცის წინაშე, რადგან იგი აპრაპამის ასული იყო და კანონიერი უფლებები ჰქონდა.

მე ეს ელექტროენერგიის გაყვანილობის ქონას შევადარე კომპანიისგან, რომელმაც სახლამდე მოიყვანა ყველაფერი. სინათლე იქაა და ხელმისაწვდომია, მაგრამ შენ პირადად გჭირდება, რომ შეუქი აანთო. იგივეა ამ შემთხვევაშიც. მას შემდეგ, რაც რწმენა გვაქვს, ელექტროენერგია გვაქვს, მაგრამ არაფერი ხდება, რადგან ჩამრთველი უნდა ჩართო. ღვთის სამეფოს ძალა უნდა გამოაწავისუფლო აქ, მიწიერ სამეფოში, რადგან მხოლოდ შენ, დედამინაზე მყოფ კაცს ან ქალს შეგიძლია ამის კანონიერად გაკეთება. სწორედ ამ პრინციპის მეშვეობით მოიპოვე შენ ხსნა, როგორც რომაელთა 10:10-შია ნათქვამი.

„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე [და მართლდებიან], ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომაელთა 10:10

ადამიანს გულით სწამს და მართლდება. გამართლება სამართლებრივი ტერმინია, რაც კანონის განხორციელებას გულისხმობს. ამრიგად, როცა კაცის ან ქალის გული თანხმობაშია ზეცასთან და როცა სწამთ ზეცის ნათქვამი, ისინი მართლდებიან ზეცაში და მიწაზე. ახლა ზეცას აქვს კანონიერი უფლება, ჩაერიოს მათ ცხოვრებაში და გავლენა იქონიოს დედამინაზე ღვთის სამეფოსთვის. მაგრამ უცნაურია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს კანონიერია და მათ აქვთ რწმენა, მაინც არაფერი ხდება. „კი მაგრამ, გარი, მეგონა თქვი, რომ თუ რწმენა მექნებოდა ზეცას კანონიერ მმართველობას ვანიჭებდი აქ“. დიახ, სწორია, მაგრამ საჭიროა, რომ ვიღაცამ გამოაწავისუფლოს ზეცის ძალაუფლება აქ მას მერე, რაც რწმენა გაჩნდება. მოდი, კიდევ ერთხელ შევხედოთ ამ მუხლს!

„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე [და მართლდებიან], ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომაელთა 10:10

მას შემდეგ, რაც რწმენა გაქვს და გამართლდი, ახლა ზეცას კანონიერი უფლება აქვს მიწაზე შემოიჭრას, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი ამბობს - ბაგით აღიარებენ გადასარჩენად. ხედავთ აქ ორ მხარეს? ზეცის მხარეა, რომ სიტყვა შენს გულში მოიტანოს და ნარმოქმნას თანხმობა აქ, დედამინაზე. შემდეგ,

## შეინია უიდესური რაოოლუოია: უზრუნველყოფის ქალა

როცა თანხმობა ანუ რწმენა გაჩნდება, შენ უნდა იმოქმედო ამ თანხმობისამებრ და გამოანთავისუფლო ზეცის ძალაუფლება შენს სიტუაციაში, რათა რეალურად მიიღო ის, რასაც ზეცა ამბობს. მარკოზის 4:29-ში, რაც ზევით წავიკითხეთ, წერია, რომ, როცა მოვიდა მყის დრო, ადამიანმა (დედამიწაზე) წამგალი წარგზავნა. მან უნდა იმოქმედოს ღვთის სიტყვით მას შემდეგ, რაც რწმენა გაუჩნდება, იმისათვის, რომ მოიმკას.

### ღვთის სამეფოში მიღება

ნება მომეცით, დავბრუნდე და ვისაუბრო წამგალზე მარკოზის მეოთხე თავიდან! მჯერა, რომ მსოფლიო ეკლესიების დიდ წანილს არ აქვს წასწავლი, თუ როგორ გამოიყენონ წამგალი, ანუ მათ არ იციან, როგორ მოიმკან ის, რაც სჭირდებათ. მეც არ ვიცოდი ამის შესახებ მანამ, სანამ უფალმა არ დამიწყო სწავლება იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სამეფო. აი ამბავი, თუ როგორ მივიღე პირველი გამოცხადება სამეფოში მიმდინარე ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ.

ატლანტაში მიმიწვიეს ერთ-ერთ ეკლესიაში საქადაგებლად. ოთხშაბათი საღამოს მსახურება იყო. ეკლესია არც ისე დიდი იყო, მაგრამ ჩემთვის ეს არ იყო პრობლემა. უბრალოდ ძალიან მიყვარდა ადამიანებისთვის სამეფოს შესახებ გაზიარება. ეკლესიაში მისულს ძალიან გამიკვირდა, რომ კარები ჩაკეტილი იყო და იქ არავინ დამხვდა. მსახურების დაწყებამდე ათი წუთი იყო დარჩენილი. ჩემს უკან სატვირთოს ძალიან მაღალი ხმა გავიგე და როცა მოვიხედე, პიკაპის სატვირთო გაჩერდა ეკლესიის მოსახვევთან. ამაზე დიდად არ მიფიქრია, ბოლოს და ბოლოს ატლანტაში ვიყავი.

ამასობაში ეკლესიის შენობის უკანა მხრიდან ერთი კაცი გამოვიდა და თავი პასტორად წარმიდგინა. მან მომიბოდიშა დაგვიანებისთვის და ამიხსნა, რომ მისი ძველი სატვირთო არ იქოქებოდა. მითხრა, რომ დასაქოქად მისი დაღმართზე დაგორება მოუწია. შემდეგ განაგრძო, რომ ზოგჯერ მანქანა საერთოდ არ იქოქებოდა და იძულებული ხდებოდა ეკლესიამდე რვა კილომეტრიც ფეხით გაევლო. უნდა ვაღიარო, რომ ამ საუბარმა ცოტა გამაოცა.

შემდეგ მან განმიმარტა, რომ ამ ეკლესიის უმთავრესი მსახურება ევანგელიზაცია იყო და ყოველთვიურად ათასობით ადა-

მიანს კვებავდა. დაახლოებით თვეში 1,0000 ულუფა საკვებს გასცემდა მხოლოდ ამ ერთ ლოკაციაზე. პასტორის ლაპარაკმა ცოტა გამანაწყენა. აქ ღვთის კაცია, რომელიც თვეში 1,0000 ადამიანს კვებავს და წესიერი მანქანაც არ ჰყავს? შემეძლო, ამაზე მეზრუნა. სახლში საკმაოდ ახალი მანქანა მქონდა 3,0000 კმ. გარდენით და ვიფიქრე, მისთვის მიმეცა. ვუთხარი ჩემი გეგმის შესახებ და ისიც, რომ მანქანასთან ერთად ჩემი გუნდის ერთ-ერთ წევრს გავაგზავნიდი. რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა.

ის საღამო მისთვის და მისი პატარა ეკლესიისთვის ღვთის სამეფოსა და ფულთან კავშირში მისი ფუნქციონირების შესახებ სწავლებაში გავატარე. ვიცოდი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, სამეფოს ჩვენება დამენცყო მათთვის, ვისაც ეს ასე ძალიან სჭირდებოდა.

სახლში მისულმა, მანქანის ატლანტაში წაყვანის საკითხი მოვაგვარე. როცა ჩემი გუნდის წევრი მანქანის წასაყვანად მოვიდა, ვიცოდი ზეცაში სულიერ ტრანზაქციას ვახორციელებდი. ვგრძნობდი, რადგან ეს მანქანა ღმერთის სამეფოში გამოვანთავისუფლე, შემეძლო, მერნმუნა, რომ მივიღებდი ისეთ მანქანას, როგორიც მჭირდებოდა. მანქანები დიდად არ მიყვარს. ზოგიერთს ძალიან უყვარს, მე ასეთი არ ვარ. როცა ჩემი გუნდის წევრი მანქანის წასაყვანად მოვიდა, მას ხელები დავასხი და უბრალოდ ვთქვი: „მამა, მე ვათავისუფლებ ამ მანქანას ამ საქმისთვის ატლანტაში. მისი გამონთავისუფლებით, ვთესავ მარცვალს და მჯერა, რომ მივიღებ -----“. იმ წუთას ვერ მოვიფიქრე, რომელი მანქანა მინდოდა. ამიტომ უბრალოდ ვთქვი: „ამაზე მოგვიანებით დაგიბრუნდები!“

შემდეგი რამდენიმე თვის განმავლობაში, დიდად არ მიფიქრია მანქანაზე, მაგრამ ერთ დილას, დრენდას ვკითხე, თუ როგორ მანქანას ისურვებდა. ცოტა ხნით დაფიქრდა და მითხრა, რომ კაბრიოლეტი კარგი იქნებოდა. მე ვკითხე როგორი კაბრიოლეტი სურდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოვიფიქრეთ იმ დროს: როგორი მოდელები იყო გამოსული? რადგანაც მანქანას დრენდასთვის ვყიდულობდი, მინდოდა დარწმუნებული ვყოფილიყვანი, რომ ისეთ მანქანას მიიღებდა, როგორიც სურდა. ვთხოვე ონლაინ შეემოწმებინა ან გარშემო დაეთვალიერებინა და ეთქვა თუ აღმოაჩენდა: რომელი კაბრიოლეტი უნდოდა? არავისთვის გვითქვამს ჩვენი სურვილის შესახებ ახალ მანქანაზე, თუმცა მთელი ეს პერიოდი სულ აქეთ-იქით ვიყურებოდით და ვეძებდით მანქანას, რომელიც ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა.

ერთ დღეს, მანქანას ადგილობრივი რესტორნის სადგომზე ვაჩერებდით და უეცრად დრენდამ დაიყვირა: „აი ეს არის!“ „ეს არის რა?“ – ვკითხე მე. „მანქანა, რომელიც მომწონს“. იგი თითოთ მიმანიშნებდა სადგომის ბოლოზე, მეც იქით წავედი და BMW 6 C კაბრიოლეტის, ნამდვილად ლამაზი მანქანის უკან გავჩერდი. და ალბათ, უნდა დავამატო, რომ ასევე ნამდვილად ძვირიანი მანქანის უკან. მისი გემოვნება შევაქე და ვუთხარი, რომ ძალიან ლამაზი მანქანა იყო.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მე და დრენდა არ ვართ ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდ ფულს იხდიან მანქანებში. როგორც უკვე ვთქვი, დიდად არასდროს მიყვარდა მანქანები. იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსების სფეროში ვიყავი, ვიცოდი, რამდენად მალე კარგავდნენ ფასს და ყოველთვის სჯობდა ერთი ან ორი წლის მანქანის ყიდვა. ასე რომ, ჩემი გეგმა ასეთი იყო: ვეძებდი კარგ მდგომარეობაში მყოფ, გამოყენებულ მანქანას.

ერთი კვირის შემდეგ, ერთი კაცი გვირევავს ეკლესიიდან და გვეუბნება: „დრენდას მანქანა ვიპოვე!“ ძალიან დავიბენი, რადგან არავისთვის გვქონდა ნათქვამი იმ BMW-ის შესახებ, რაც იმ დღეს ლანჩჩე ვნახეთ. ამიტომ ვკითხე: რა მანქანა ნახა? მიპასუხა, რომ ეს იყო BMW 6 სერია C კაბრიოლეტი. გვითხრა, რომ შემთხვევით დაინახა ქუჩაში და უფალმა უთხრა, ეს დრენდას მანქანა იყო. „კარგი, ახლა ნამდვილად დაიმსახურე ჩემი ყურადღება“, ვუთხარი მე. მანქანა ერთი წლის იყო, ძალიან კარგ მდგომარეობაში. საბოლოოდ ვიყიდე და დრენდამ მანქანა მიიღო.

ვაუ, ეს როგორ მოხდა?

მოდი, ეს ისტორია იმას შევადაროთ, რაც რწმენის ქონასა და ნამგლის გაგზავნაზე ვისწავლეთ. როცა ჩვენი მანქანა გავეცი, რწმენა მქონდა. მაგრამ, როცა დრენდამ ხმამაღლა დაიძახა: „ეს ის არის!“ მან ნამგალი გაგზავნა და რამდენიმე დღეში მანქანაც გამოჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ყურით მოვისმინე, თუ როგორ დაიძახა ეს დრენდამ, არასდროს დამიკავშირებია იგი მარკოზის მეოთხე თავთან და ნამგალთან. მაგრამ შემდეგმა ამბავმა, ყველაფერი ნათელი გახადა.

## შენი სიტყვების ძალა

როგორც ვთქვი, 12 ჰა მიწა მქონდა, საიდანაც 2 ჰა ჭაობი იყო. ძალიან მიყვარს შემოდგომით ნადირობა და მიუხედავად

იმისა, რომ სკოლის პერიოდში იხვებზეც მქონდა ნანადირევი, აქ, ოპაიოში, არასდროს მენადირა მათზე. მაგრამ იმ წელს, ჭაობი წყლით იყო სავსე. იხვების დიდი გუნდები მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ მასში. ღამის გასათევად დღეში ასობით იხვი მოდიოდა. ამიტომ, ერთ ღამით ჩემი სანადირო თოფი ავიღე, გარეთ გავედი და სადილისთვის რამდენიმე იხვი მოვინადირე.

იმ შემოდგომაზე მეც და ჩემმა ბიჭებმაც ძალიან ვისიამოვნებთ იხვებზე ნადირობით. თუმცა შევამჩნიე, რომ ხშირად იხვები ჩემი სასროლი მანძილის მიღმა იყვნენ. იხვებზე ნადირობისას კანონით მხოლოდ ფოლადის იარაღია დაშვებული და არა ტყვიის. ტყვია უფრო მძიმეა და ბევრად შორს მიდის, ვიდრე ფოლადი, ამიტომ შორ მანძილზე სროლა ყოველთვის პრობლემაა იხვებზე ნადირობისას.

თუმცა იმ სეზონზე რამდენიმე მონადირემ ჩემთან საუბარში ახსენა, რომ ახალი თოფი იყო გამოსული, რომელიც სპეციალურად იხვებზე სანადიროდ შეიქმნა. მას უფრო მძიმე სროლა ჰქონდა და შენილბულიც იყო. ყიდვით დავინტერესდი, მაგრამ უკვე დეკემბერი იყო, იხვების სეზონი მთავრდებოდა, ამიტომ ამაზე დიდად აღარ მიფიქრია.

იანვრის დასაწყისში, კაბელაში შევიარე (ადგილობრივი სპორტული საქონლის მაღაზია) და გამახსენდა ეს იხვზე სანადირო თოფი. ძალიან მინდოდა მენახა, ამიტომ გამოსვლისას იარაღების თაროს ჩავუარე, სადაც წყლის ფრინველებზე ნადირობას მთელი სექცია ეძღვნებოდა. მახსოვს, დაუფიქრებლად თითო გავიშვირე საუკეთესოსკენ და უფალს ვუთხარი ხმამაღლა: „უფალო, ასეთი მექნება!“ ამაზე არც კი მიფიქრია, ისე წამოვიდა ჩემი პირიდან. იხვების სეზონი შემოდგომამდე აღარ გაიხსნებოდა, ამიტომ მანამდე არც ყიდვას ვაპირებდი.

ორი კვირის შემდეგ, ბიზნეს კონფერენციაზე მიმიწვიეს სპიკერად. როცა დავასრულე, მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი მოვიდა ჩემთან მადლობის სათქმელად და მითხრა, რომ ჩემთვის საჩუქარი ჰქონდათ ნაყიდი. ჩემდა გასაოცრად, ზუსტად ის თოფი ჰქონდათ ნაყიდი, ზუსტად ის მოდელი, რომელზეც ორი კვირის წინ თითით მივუთითე კაბელაში. რა თქმა უნდა, ძალიან გავოცდი ასეთი გულუხვი საჩუქრით, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს შემთხვევითი დამთხვევა არ იყო. გამახსენდა, რა ვთქვი კაბელას მაღაზიაში და გავაცნობიერე, თუ რა გავაკეთე. მე წამგალი წარვგზავნე!

„და თქვა: „ღვთის სამეფო პგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ლამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაჭამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე ნარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.

– მარკოზი 4:26-29

ნამგლის გაგზავნა იგივე პრინციპის ილუსტრირებაა, რაც რწმენას შეეხებოდა რომაელთა 10:10-ში.

„ვინაიდან გულით სწამო სიმართლე [და მართლდებიან], ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომაელთა 10:10

გულით მწამდა და ახლა ბაგით გამოვანთავისუფლე ღვთის სამეფო დედამიწაზე. დაახლოებით 30 იარაღი გავეცი, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა რეალურად მახსოვს, როგორ ვთქვი: „ასეთი მექნება“. მაგრამ როდესაც ამაზე დავითიქრდი, კიდევ ერთი შემთხვევა იყო, როცა იგივე რამე გავაკეთე, მაგრამ მაშინ ნარმოდებენა არ მქონდა! როგორ მოქმედებდა სამეფო?

მე და დრენდა ოჰაიოში ოკულატომადან გადავედით, სადაც ირემზე საფანტიანი იარაღით ნადირობდნენ. თუმცა ოჰაიოში ეს უკანონობად ითვლებოდა; მხოლოდ ტყვიებიანი სანადირო თოფი იყო დაშვებული. ამ დროს მხოლოდ 20 კალიბრიანი ორ-ლულიანი თოფი მქონდა, რომლითაც გადასვლის პირველ წელს ორი ირემი მოვინადირე. მაგრამ მართლა მსურდა კარგი თოფი, რომელიც კონკრეტულად ირმებზე სანადიროდ იქნებოდა შექმნილი. მახსოვს, ოჰაიოში პირველი ირმების სეზონის შემდეგ, დრენდასთან ვთქვი, რომ ძალიან მინდოდა რემინგტონის მოდელი 11 87 12, რომელსაც შავი სინთეზური კონდახი ჰქონდა ირმებზე სანადიროდ. რამდენიმე კვირაში შობა მოდიოდა და ძალიან გამიკვირდა, როცა მამაჩემმა შობას ზუსტად ეს თოფი მაჩუქა. მე არც კი მითქვამს მისთვის, რომ იარაღი მჭირდებოდა. მახსოვს, გავითიქრდე: „ვაუ, ეს ნამდვილად უცნაურია“. მე ისე გავგზავნე ნამგალი, რომ არც კი ვიცოდი.

## თავი 4

# არ გახსოვს?

ადრეულ დღეებში, როცა ჯერ კიდევ ვსწავლობდი, თუ როგორ მოქმედებს სამეფო, ძალიან მაკვირვებდა, რასაც ვხედავდი. ძირითადად იმიტომ, რომ ამ ყველაფრის შესახებ ჩემთვის არასდროს ესწავლებინათ. მაგრამ როგორც წიგნის პირველ ნაწილში აღვნიშნე, ღმერთი ირმებზე ნადირობას ბევრი გაკვეთილის სასწავლებლად იყენებდა. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ვფიქრობ, ჩემი ყურადღების მისაპყრობად შესანიშნავი გზა იყო. მას შემდეგ, რაც ვისწავლე, თუ როგორ დამეტესა ირმის მისალებად და მომკაც დავიწყე, თანაც ძირითადად 40 წუთში, ღმერთმა ჩემი გაკვეთილების უფრო მეტად მიმართვა დაიწყო სამეფოს ფუნქციების სიღრმეებისკენ.

ტულსაში ვიყავი, ოკლაპამაში, როცა ღმერთმა მაჩვენა, როგორ მომენადირებინა რწმენით ექვსრქიანი ხარირემი. და როგორც უკვე გითხარით, შემდეგ წელს ოპაიოში გადავედით. ოპაიოს ირმების დიდი ჯოგი ჰყავდა და ორი ირმის მონადირების უფლებას გაძლევდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო მამალი. ამრიგად, ოპაიოში გადასვლის შემდეგ ორი ირმისთვის შენირვა დავიწყე, ერთი ხარირემისთვის და ერთი ფურირემისთვის. და ყოველთვის ზუსტად ასე ხდებოდა.

თუმცა ერთ წელს რაღაც ისეთი შევნიშნე, რამაც დამაბნია. ვიფიქრე: „არა, შეუძლებელია, ეს ხდებოდეს!“ ნადირობის სეზონის დასრულების შემდეგ შეგამჩნიე, რომ ირმები ზუსტად იმ თანმიმდევრობით მოვიდნენ, როგორც ჩეკზე დავწერე დათესვისას. მაგალითად, თუ მეწერა „ხარირმისთვის და ფურირმისთვის“, ჯერ ხარირემი გამოჩნდებოდა და შემდეგ ფურირემი. ოპაიოში გატარებული ბოლო სეზონები აღვიდგინე გონებაში და ყოველ წელს ასე ხდებოდა. ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რადგან დიდ ყურადღებას არ

ვაქცევდი, მაგრამ რაღაც მიზეზით მაინტერესებდა: მართლა ასე იყო თუ არა?!

ასე რომ, შემდეგ წელს ვიცოდი, რომ ეს უნდა გამერკვია. გეთანხმებით, გიური აზრი იყო, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ასე ხდებოდა და ვერასდროს დავრჩმუნდებოდი მართლა ასე იყო თუ არა, რამდენიმე ექსპერიმენტის ჩატარების გარეშე. იმ წელს დათესვისას ჩემი თხოვნა შევატრიალე. ამჯერად სიაში ჯერ ფურირები დავწერე. მანამდე ყოველთვის ხარირებს ვწერდი ფურცელზე პირველს. ნამდვილად, ზუსტად ასე მოვიდნენ. ამიტომ, შემდეგ წელს იგივენაირად მოვიქეცი და ისევ, ზუსტად დაწერილი თანმიმდევრობით მოვიდნენ. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ შესაძლებელი იყო ასეთი რამ მომხდარიყო. ნუთუ ღვთის სამეფო ასეთი კონკრეტული იყო?

იმის გასარკვევად, ეს მართლა ასე ხდებოდა, თუ უბრალოდ დამთხვევა იყო, გადავწყვიტე უფრო ღრმა ექსპერიმენტი ჩამეტარებინა. იმ წელს, შვიდტოტა რქიანი ხარირმისთვის დავთეს ჩემი თესლი. ვიცოდი, რომ ჩვეულებრივ, ნორმალურ ირემსორივე მხარეს თანაბარირაოდენობის რქებიუნდა ჰქონოდა, სწორედ ამიტომ ავირჩიე კენტი რიცხვი, თანაც კონკრეტული. რაც არ უნდა უცნაურად ულერდეს, სწორედ მისთვის შევწირეთ მე და დრენდამ. ჩვენ ვილოცეთ და გამოვათავისუფლეთ ჩვენი თესლი შვიდტოტა რქიანი ხარირმისთვის.

## რამდენად კონკრეტულია რწმენა?

როგორც იქნა, ოქტომბერიც მოვიდა და მშვილდით ნადირობის სეზონიც გაიხსნა. როგორც წესი, ვერ ვითმენ ტყეში ჩემი მშვილდით გასვლას, მაგრამ შევამჩნიე, რომ იმ სეზონზე რაღაც უცნაური განცდა მქონდა. სანადიროდ გასვლის სურვილი არ მქონდა. ეს განცდა ძალიან ძლიერი იყო და უცნაურია, მაგრამ ვიცოდი, რომ ჯერ არ უნდა გავსულიყავი. ვფიქრობდი, სეზონის დაწყების შემდეგ, როცა ფოთლებიც დაიწყებდა ჩამოცვენას, სურვილიც გამიჩნდებოდა. მაგრამ არა, უბრალოდ ვერ ავხსნი; გასვლის არანაირი სურვილი არ მქონდა. მახსოვს, ვფიქრობდი: „ალბათ, ასე ხდება, როცა ბერდები, ნელ-ნელა რაღაცების კეთება აღარ გინდა“. სხვა ვერაფრით ვხსნიდი იმ უცნაურ განცდას, რაც მქონდა. ისიც კი არ მადარდებდა ოდესმე წავიდოდი სანადიროდ თუ არა. ამასობაში ნოემბერი

მოვიდა და ცოტა შევფიქრიანდი. ყველაზე ლამაზი პერიოდი ტყეებში უკვე გამოვტოვე, და ვიტყოდი, რომ ყველაზე თბილიც. უკვე ნოემბრის შუა რიცხვები იყო და ისევ არანაირი სურვილი არ მქონდა, ირმებზე სანადიროდ გავსულიყავი. ვფიქრობდი, საერთოდ წავიდოდი თუ არა.

იმ პერიოდში, ჩვენთან ალაპამადან დრენდას მშიბლები ჩამოვიდნენ, რათა რამდენიმე დღე ერთად გაგვეტარებინა. მისალებში ვისხედით და ვლაპარაკობდით, როცა უეცრად ვიგრძენი, რომ მეორე დღეს ტყეში უნდა გავსულიყავი. თითქოს ვილაცამ ჩამრთველი გადაწია. ყველას ვუთხარი, რომ დილას უნდა გავსულიყავი ჩემი ხარირმის მოსანადირებლად. უეცრად, ისეთი აღელვებული და მოლოდინით სავსე გავხდი, თითქოს ჩემში ჭანჭიკი გადატრიალდა.

ვიცოდი, რომ ჩემი შვიდტოტა ირემი იქ იქნებოდა. მაშინ მივხვდი. შვიდტოტა იქ არ ყოფილა ოქტომბერში და არც წინა დღეს, სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ასე არ მინდოდა სანადიროდ გასვლა. შემიძლია, წარმოვიდგინო, რამდენად რთული იქნებოდა თვე-წახევარი დავლოდებოდი, თუკი მთელი ეს დრო ყოველ დღე ფანჯრიდან უნდა მეყურებინა და ნადირობაზე მეოცხება. ნამდვილად დამთრგუნველი იქნებოდა. იმ დროს ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მხოლოდ თეორია იყო, მაგრამ მეორე დილას შევამოწმებდი.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა დილით ავდექი. ღამით ვლოცულობდი, თუ რომელ ხესთან უნდა დავმდგარიყავი. ჩემს ტერიტორიაზე რამდენიმე სადგომი მქონდა, თუმცა ზუსტად ვიგრძენი რომ ჭაობის სადგომთან უნდა მიესულიყავი. ასე იმიტომ ვეძახდი, რომ ეს სადგომი 2 ჰა ჭაობს ესაზღვრება ერთი მხრიდან, მეორე მხრიდან კი ბუჩქნარს. ვიცოდი, რომ ზოგჯერ ირმები ჭაობის გასწვრივ დადიან. ამ სადგომს ადრეც გაუმართლებია ჩემი იმედები და სრული მოლოდინი მქონდა, რომ იმ დღესაც იქ ვიხილავდი ჩემს ირემს.

სადგომისკენ მიმავალმა გონებაში გავიხსენე, რაც მაჩვენა ღმერთმა წარსულში სამეფოს შესახებ ირმებზე ნადირობით და ვგრძნობდი, რომ მეტს მასწავლიდა. მოუთმენლად ველოდი ჩემი ექსპერიმენტის შედეგების ნახვას.

ნელ-ნელა თენდებოდა და შემოდგომის დილის სუნი და ჩვეული ხმაური მიმანიშნებდა, რომ ნაბიჯი უნდა შემეცვალა. აშკარად ავცდი. უკვე ერთი საათი იყო, რაც გამოვედი და

## შეინარჩუნოთ რაოდ უცილულია: უზრუნველყოფის ძალა

ირმის ნიშანიც კი არ ჩანდა. თუმცა ირმის ყურებით ვიცოდი, რომ დილით მოგვიანებით მოვიდოდა ირემი და ეს მათი მოსასვენებელი ადგილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთი საათი იყო, რაც იქ ვიდექი, კანონით დაშვებული სანადირო სინათლე მხოლოდ 40 წუთის განმავლობაში იყო.

იქ ჯდომისას უეცრად მანქანის კარის დახურვის ხმა გავიგონე, გამახსენდა, რომ დრენდას მშობლები იმ დილას უკან, ალაპამაში მიდიოდნენ და მინდოდა დავმშვიდობებოდი. ამიტომ ულიმდამოდ დავეშვი ძირს იმ აზრით, რომ სხვა დღეს მომიწევდა სანადიროდ გამოსვლა.

როცა სახლში მივედი, ყველა გალვიძებული დამხვდა და უკვე საუზმისთვის ემზადებოდნენ. საუზმეს ყოველთვის მე ვამზადებ ოჯახში, თითქმის ყოველდღე ვუმზადებ დრენდას და კიდევ ვინც იქნება სახლში. ამიტომ, სანამ დრენდას მშობლები მანქანაში ბარგდებოდნენ, საუზმის მზადებას შევუდექი. რა თქმა უნდა, მკითხეს ირემზე და მომიწია მეთქვა, რომ ჩემი გეგმა შევცვალე, რათა დილა მათთან ერთად გამეტარებინა. დიახ, ცოტა იმედგა-ცრუებული ვიყავი. მოლოდინი მქონდა, რომ დილით ცოტა გვი-ან ნავიდოდნენ და დროს მომცემდნენ, მენადირა.

როცა გაზექურასთან ვიდექი და შემწვარ კვერცხს ვატრიალებ-დი, სამზარეულოს ფანჯარაში გავიხედე, რომელიც პირდაპირ ჩევენს უკანა ტყეს და მინდოორს გაპყურებდა. დავინახე, როგორ მისდევდა ხარირემი ფურირემს და ზუსტად იმ ჭაობისკენ მირბოდნენ, სადაც ჩემი სადგომი იყო. უბრალოდ ვიცოდი, რომ ჩემი ირემი იყო. უცებ დავიძახე, რომ ვიღაცას საუზმისთვის მიეხედა, რადგან ჩემი ირემი დავინახე და უნდა გავკიდებოდი. ვიცოდი, ბევრი დრო არ მქონდა.

ტერიტორიისთვის უკანა მხრიდან უნდა შემომევლო, რათა ირემს არ დავენახე. მივგვდი, იმ ნაკვალევს მიჰყებოდა, რომელზეც ჩემი სადგომი იყო. რაც შემეძლო სწრაფად შემოვურბინე მინდოორს და ისე მივედი სადგომამდე, რომ არც ერთი ირემი არ დამინახავს, რაც კარგი იყო. ვიცოდი, რომ მათზე მალე მივიდოდი, თუ რა თქმა უნდა, იმ ნაკვალევზე გამოყოლას აირჩევდნენ. სწრაფად ავცოცდი სადგომზე. გული საოცრად მიცემდა და სახეზე ოფლი წურნურით ჩამომდიოდა.

უეცრად ჩემი დაჯდომა და მათი გამოჩენა ერთი იყო. ფურირემი ჩემი სადგომის ქვემოთ გარბოდა და მოვემზადე, რადგან ვიცოდი, ხარირემიც მალე გამოჩნდებოდა. ასეც მოხდა.

იმის დრო არ მქონდა, შემემოწმებინა ნამდვილად შვიდტოტა იყო თუ არა. რეალურად იმის დროც ძლივს მქონდა, რომ მშვილდი ამელო და მესროლა. გასროლისთანავე მივხვდი, რომ მოვარტყი, მაგრამ ცოტა ქვევით, რამაც შემაფიქრიანა. ირემი გასროლისთანავე ბალახებში გადახტა. დაახლოებით 20 წუთი მოვიცადე და სადგომიდან ჩამოვცოცდი. ვერ ვითმენდი ისარი შემემოწმებინა. სამწუხაროდ, ისარზეც და მიწაზეც ძალიან ცოტა სისხლი იყო.

ცოტა განაწყენებული ვიყავი საკუთარი ნასროლით, მაგრამ ვიცოდი, რომ ირემი ბალახებში იწვებოდა და არ მინდოდა ასე უცებ გამომეგდო. ადრეც მომირტყავს ირმისთვის ისე, რომ ძალიან ცოტა სისხლი დაელვარა და ვიცოდი, ასეთ დროს საუკეთესო იყო, ცოტა დრო მიგეცა. ამიტომ სახლში დავბრუნდი და საუზმე დავასრულე, ყველას მოვუყევი, რაც მოხდა და ბიჭებს ვუთხარი, რომ მათი დახმარება დამჭირდებოდა მინდორში წასვლისას, რათა ირემი გვეპოვა. იმედი მქონდა, აღმოვაჩენდით, რომ ირემს იმაზე უკეთ გავარტყი, ვიდრე ისარი მიუთითებდა და რომ, შესაძლოა, უკვე მომკვდარიყო. მაგრამ ვიცოდი დიდი შანსი იყო ისე ქვევით მომერტყა, რომ უბრალოდ დაჭრილი ყოფილიყო.

რამდენიმე საათიანი ლოდინის შემდეგ, გარეთ გავედით და სამიერ მინდორში გავიშალეთ. მშვილდი შემართული მქონდა იმ შემთხვევისთვის, თუ დაგვჭირდებოდა. უეცრად შორს, მინდორში ტიმი ირმისკენ გადახტა. მან მე ვერ დამინახა და ჩემი მიმართულებით გამოიქცა. სირბილისას უცებ ტომი შენიშნა და ცოტა ხანს გაჩერდა, რომ გამორკვეულიყო, თუ საით წასულიყო.

ირემი ჩემგან დაახლოებით 60-65 მეტრში იყო, ზედმეტად შორს იმისთვის, რომ ისარი გამერტყა, რადგან იმ დროინდელ მშვილდებს, არც ისე ძლიერი სროლა ჰქონდათ. მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ჩემი ერთადერთი შანსი იყო. სწრაფად შევმართე მშვილდი, ირმის ზედა ნანილს დავუმიზნე და გავუშვი. ჩემდა გასაოცრად, ისარი ზუსტად ირმისკენ გაფრინდა და

**დიახ, ღვთის სახაფო  
მართლა ასათი  
კონკრეტული იყო!  
არავის არასდროს  
უთქვას ჩამოვალის,  
რომ სახაფო ასე  
მოქმედებდა, რომ  
სახაფო ასათი  
კონკრეტული იყო და  
რომ ჩვენ რეალურად  
გვემდეა ასათი  
ძალაუფლება.**

პირდაპირ კისრის შუაში დაერჭო. ირემი ადგილიდან მოწყდა და გორაკის ქვევით გაიქცა. გაოცებული ვიყავი. ნელა წავედით იმ მხარეს, საითაც ირემი გაიქცა და დავინახე, ჩვენგან დაახლოებით 100 მეტრში ინვა. თავი ზემოთ ჰქონდა აწეული, მაგრამ ვერ გვხედავდა, ამიტომ უკან დავიხიეთ და გადავწყვიტეთ მოგვიანებით დავბრუნებულიყავით.

იმაზე გვიან დავბრუნდი, ვიდრე ვვარაუდობდი, რადგან მთელი დღე ეკლესიაში დატვირთული მქონდა და დაბნელებამდე სახლში მოსვლაც კი ვერ მოვახერხე. მე და ტიმმა ფანარი ავილეთ და იქით გავეშურეთ, სადაც მიწაზე განოლილი ირემი ვნახეთ. იმ ადგილიდან რამდენიმე მეტრში ვიპოვეთ. სწრაფად შევხედე მის რქებს, ჩემ წინაშე შვიდტოტა ხარირემი იყო. გაოცებული მივწერებოდი. მე და ტიმმა მადლობა გადავუხადეთ ლმერთს ირმისთვის. გზაში, როცა სახლში მიგვყავდა, ღვთის სამეფოზე ვსაუბრობდით, იმაზე, რაც ახლა ვნახეთ.

დიახ, ღვთის სამეფო მართლა ასეთი კონკრეტული იყო! არავის არასდროს უთქვამს ჩემთვის, რომ სამეფო ასე მოქმედებდა, რომ სამეფო ასეთი კონკრეტული იყო და რომ ჩვენ რეალურად გვქონდა ასეთი ძალაუფლება.

## კიდევ ერთი ალმოჩენა

კიდევ ერთი ირმებზე ნადირობა მახსოვს, როცა ერთნლიანი ხარირმისთვის დავთესე, რომელსაც პანაწინა რქები აქვს. რადგანაც მისი რქები ძალიან პატარაა, შორიდან არ ჩანს და შეიძლება ფურირემი გეგონოს. ამის გამო, ოპაიოს შტატში ერთნლიანი ხარირემი ფურირმად ითვლება. გაითვალისწინეთ, რომ ეს პატარა შვლის ნუკრი არ არის, თითქმის იმხელაა, რამხელაც ზრდასრული ირემი.

ამ კონკრეტულ დღეს ჩემი ხის სადგომზე ვიდექი და ირმების მთელი ჯგუფი შევნიშნე, ცხრა თუ ათი იქნებოდნენ. ჯერ ცოტათი შორს იყვნენ ჩემი სასროლი მანძილიდან, მაგრამ ნელ-ნელა მიახლოვდებოდნენ. უეცრად მეზობელმა თავისი ოთხთვალა დაქოქა და მთელი ჯოგი ჩემგან შორს გაიქცა. ხმამაღლა ვთქვი: „ერთნლიანო ხარირემო, გიბრძანებ, რომ დაბრუნდე და ჩემი ხის ქვეშ დადგე!“ მინდა, ეს სურათი ნარმოიდგინოთ! მოსავალ აღებულ ყანაში ცხრა ირემი ჩემგან საპირისპირო მიმართულებით გარბის. ჩემი სიტყვის ნარმოთქმის თანავე, ერთი ირემი ტოვებს ჯოგს, წრეს ურტყამს, ზუსტად ჩემი ხის

ქვეშ დგება და ჩერდება! ეს ირემი სახლში წავიყვანე და დიახ, ერთნალიანი ხარირემი იყო.

ასეთ რაღაცას უკვე გამუდმებით ვხედავდი. წიგნში მოგვიანებით მეტს ვისაუბრებ იმაზე, თუ რა წარმოუდგენელი და დეტალურია ღვთის სამეფო, მაგრამ ახლა მოდი, გავიაზროთ, რომ რაღაც დაუჯერებელი ხდება!

ღვთის სამეფომ ჩვენი ცხოვრება შეცვალა და ვეღარ ვჩერდებოდით ისე, რომ ამის შესახებ სხვებისთვის არ მოგვეყოლა. იმდენი ისტორია გვაქვს და იმდენი გვინახავს. გვინახავს მკვდრის გაცოცხლება, სიმსივნის წამში გაუჩინარება, გასაოცარი ფინანსური ისტორიები, ხსნისა და მიმართულების მიმცემი საოცარი ამბები. იმდენად გვწყუროდა, მეტი ადამიანისთვის მოგვეთხრო ღვთის სამეფოს შესახებ, მე და დრენდამ ვიგრძენით და 1995 წელს „რწმენით სიცოცხლის ეკლესია“ დავაფუძნეთ, რათა ადამიანებს ღვთის სამეფოს გაგებაში დავხმარებოდით. შემდეგ ღმერთმა მიმართულება მოგვცა, რომ 2006 წელს დაგვეწყო მედია მსახურება „რწმენით სიცოცხლე ახლა“, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად, ყველა სასაათო სარტყელში გვაქვს მაუწყებლობა. აღმოვჩინეთ, რომ ადამიანებს ყველგან სურთ, იცოდნენ, როგორ იცხოვრონ ღვთის სამეფოს ცხოვრების სტილით, რაც თავისუფლებასა და გამარჯვებას გულისხმობს.

## ღვთის სამეფო ყველასთვის მოქმედებს

ამ დილას, როცა ამ თავის წერა უნდა დამეწყო, ჩემი ელ-ფოსტა შევამოწმე. ყოველდღე ვიღებთ წერილებს ადამიანებისგან, რომლებიც გვიყვებიან, თუ როგორ შეცვალა ღვთის სამეფომ მათი ცხოვრება. ვიფიქრე, ჩემი დღის ნაწილს გაგიზიარებდით, რადგან ეს წერილი სწორედ რამდენიმე წუთის წინ მივიღე.

ვინ ვარ მე, რომ მას ვადარდებ? თქვენი სწავლების მოსმენა რამდენიმე წლის წინ დავიწყე და მას შემდეგ მუდმივად სასწაულებს ვხედავ. მინახავს განკურნებები და ფინანსური სასწაულები. ახლა, ჩემი გონება ვეღარც კი იაზრებს გარშემო ღვთის ისეთ სიკეთეს ვხედავ. ვხედავ, გაჭირვებულ ადამიანებს და კარებს, რომლებიც სახარებისა და ჭეშმარიტებისთვის იხსნება. ვხედავ, როგორ იხსნება კარი ჭეშმარიტებისთვის! და რაც ყველა-

## შეინ ფიცასური რაოოლუოია: უზრუნველყოფის ქალა

ზე მეტად მაოცებს, ისაა, რომ ჩემი სკივრები სავსეა. მან ისე გამამდიდრა, შემიძლია, გავცე და ამით მისი სახელი განვადიდო! თვითდასაქმებული ინსპექტორი ვარ. ხშირად ვმენტორობ ახალგაზრდა ინსპექტორებს. ცოტა ხსნის წინ, ქრისტიანთა ბიზნეს ჯგუფი წამოვიწყე, სადაც ვსაუბრობთ მოწოდებაზე, ვიყოთ გულუხვები და აღვზარდოთ შემდეგი თაობა... რომ ღვთის სამეფოს სტილი არ არის შეჯიბრებითობა, არამედ სიუხვე. თქვენმა სწავლებამ ჩემი ცხოვრება შეცვალა და ახლა ამას, სხვებს გადავცემ; და რადგან მან დამაფუძნა, ახლა სხვები მისმენენ და ხედავენ მის დიდებას. ისეთი დამამდაბლებელია იმის დანახვა, რაც მან გააკეთა და როგორ განაგრძობს ჩემს უზრუნველყოფას. მადლობა თქვენი მსახურებისთვის!"

თავმდაბლობით,  
ბ.გ. ქოქსვილი, თნ.

ასეთი ტიპის წერილებს მუდმივად ვიღებთ. თუმცა, ასევე უამრავ კითხვას ვიღებთ ღვთის სამეფოს ფუნქციონირების შესახებ. ხალხი გვეკითხება: როგორ იმოქმედონ ღვთის სამეფოში და როგორ დაინახონ ის, რაც მე და დრენდას გვიხილავს? სწორედ ესაა ამ წიგნის „შენი ფინანსური რევოლუციის“ მეოთხე ნაწილის მიზანი. თუ ჩემი სხვა წიგნებიც გაქვს, მაშინ იცი, რომ აქამდე ვეცადე საკვანძო იდეები მიმომეხილა, რაც ყველამ უნდა იცოდეს, ვისაც სურს, სამეფოში იმოქმედოს.

მაგრამ ახლა მინდა, ღვთის სამეფოს ფუნქციის სიღრმეებში ჩავიდე და იმედია, დაგეხმარებით, მეტი გაიგოთ, თუ როგორ იცხოვროთ სამეფოში შედეგებით. მინდა, დავიწყო, როგორც მე ვეძახი, იმ ხუთი ძირითადი ნაბიჯის გამოყოფით, რაც ღმერთმა მასწავლა იმ უზრუნველყოფის მისაღებად, რაც მისი სამეფოსგან გჭირდება.

**ხუთი ძირითადი ნაბიჯი საჭირო უზრუნველყოფის მისაღებად**

მოდი, დავიწყოთ ისტორიით მარკოზის 8:14-21-დან:

„მოწაფეებს პურის წაღება დაავიწყდათ. ნავში ერთი პურის მეტი არ ჰქონდათ. დაარიგა ისინი და უთხრა: „გაფრთხილდით, ერიდეთ ფარისეველთა საფუარს და ჰეროდიანელთა საფუარს“.

ისინი კი ერთმანეთში მსჯელობდნენ: ალაპთ, იმიტომ, რომ პური არ გვაქვსო.

იესო მიხვდა ამას და უთხრა მათ: „რას მსჯელობთ, პური რომ არა გაქვთ? ნუთუ კიდევ ვერ ხედავთ და ვერ გაგიგიათ? გული გაგიქვავდათ? თვალები გაქვთ და ვერ ხედავთ, ყურები გაქვთ და არ გესმით? და არც გახსოვთ? როცა ხუთი პური დავტეხე ხუთი ათასი კაცისთვის, რამდენი გოდორი გაავსეთ ნარჩენებით?“

უთხრეს: „თორმეტი“.

„როცა ოთხი ათასისთვის შვიდი პური დავტეხე, რამდენი კალათი გაავსეთ ნარჩენებით?“

უთხრეს: „შვიდი“.

უთხრა მათ: „მაშ, როგორ ვერ ხვდებით?“

– მარკოზი 8:14-21

იესო რეალურად ამას ამბობდა: „ბიჭებო, განა არ გახსოვთ?! ეს ხომ უკვე გავიარეთ, თქვენ უკვე დაინახეთ, როგორ გავუმეტავდით პურის ნაკლებობას წარსულში?!“ მაგრამ მოწაფეებს უბრალოდ არ ესმოდათ. ამიტომ იესომ უთხრა: დაფიქრებულიყვნენ, თუ რა მოხდა წარსულში. ის მათ ძალიან მნიშვნელოვან მინიშნებას აძლედა. „გაიხსენეთ ბოლო მომენტი, როცა მსგავს სიტუაციას გავუმეტავდით და პასუხსაც იპოვით“. მე ვიტყოდი, რომ ჩვენი პასუხიც ესაა. დიახ, ვხედავთ, რომ პური და თევზი გამრავლდა, ამის დანახვა ყველას შეუძლია, მაგრამ, როგორც სულიერმა მეცნიერებმა, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ. ეს როგორ მოხდა? მოდი, შევხედოთ ისტორიას, რომელსაც იესო შეეხებოდა და მოვძებნოთ მინიშნებები!

## შეინია უიდესური რაოვლუცია: უზრუნველყოფის ძალა

„უკვე გვიანი იყო; მივიღნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს: „ეს ადგილი უდაბურია და თანაც უკვე გვიანია. გაუშვი ეს ხალხი გარშემო სანახებსა და სოფლებში, რომ საზრდო იყიდონ თავიანთვის“.

მაგრამ მიუგო მათ და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი“.

უპასუხეს: „ნავიდეთ, ორასი დინარის პური ვიყიდოთ და ამათ მივცეთ საჭმელად?“

უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? ნადით, ნახეთ!“

ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი“.

მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ მწვანე ბალახზე. და დასხნენ მწყობრად, ას-ასად დაორმოცდაათ-ორმოცდაათად. აიღოხუთიპური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, პურები დატეხა და მოწაფეებს მისცა, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ. ორი თევზიც ყველას გაუნაწილა. ყველამ ჭამა და გაძლა. დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს. და ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი“.

– მარკოზი 6:35-44

დარწმუნებული ვარ, რომ მოწაფეები შოკირებულები იყვნენ, როცა იესოს ეუბნებოდნენ, ხალხი საჭმლის მოსახებნად ისასოს სურდა,  
დარცხულებული  
ყოფილიყო, რომ მათ ეცოდიდით, რომ ის კი მოუბრუნდა და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი!“ „მათ“ ამ შემთხვევაში 5,000 ადამიანს აღემატებოდა. ბიბლია ამბობს, რომ იქ 5,000 მამაკაცი იყო, შესაბამისად ვფიქრობ, რომ იქ ქალები და ბავშვებიც იქნებოდნენ და რეალურად სულ 15,000-დან 20,000-მდე ადამიანი იქნებოდა. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ეს ძალიან ბევრი ხალხია გამოსაკვებად, გამოსაკვებად,

განსაკუთრებით ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და მომზადების გარეშე.

რა თქმა უნდა, მჯერა, რომ იესოს აინტერესებდა ხალხის გამოკვება, მაგრამ ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტად სურდა, გაკვეთილი ესწავლებინა თავისი მონაფეებისთვის. მჯერა, რომ სწორედ ამიტომ უთხრა მათ: „თქვენ გამოკვებეთ!“ მათ იესოს მოხდენილი მრავალი სასწაული ენახათ, მაგრამ ახლა მათი ჯერი იყო. ყველაფრის შემდეგ, ახლო მომავალში ის უნდა წასულიყო და იესოს სურდა, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მათ ეცოდინებოდათ, თუ როგორ გამკლავებოდნენ ცხოვრებას სხვა პერსპექტივიდან, სამეფოს პერსპექტივიდან.

### ნაბიჯი №1: რა გაქვს?

„უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“

ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი“.

აი, მთავარი გასაღები. იესოს არ უთქვამს: „მოდი, ქვები პურებად ვაქციოთ!“ ეს სულიერად უკანონო იქნებოდა. ამის ნაცვლად მან ჰქითხა, თუ რა ჰქონდათ უკვე. კერძოდ, ის ეკითხებოდა, თუ რამდენი ჰქონდათ იქიდან, რაც სჭირდებოდათ. მან იცოდა, რომ მთელი ხალხის გამოსაკვებად საკმარისი პური და თევზი არ იქნებოდა და ეს არც ყოფილა მისი განზრახვა, როცა ეკითხებოდა. ჩვეულებრივი გონებისთვის ამდენი ადამიანის გამოკვების პერსპექტივა უბრალოდ სიგიურ იყო. მონაფეებმა ძებნის გარეშეც იცოდნენ, რომ 20,000-ისთვის საკმარის საკვებს ვერსად ნახავდნენ. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რას იფიქრებდნენ, როცა იესომ უთხრა: წასულიყვნენ და ენახათ რეალურად რამდენი პური და თევზი ჰქონდათ?! და შემდეგ უკან დაბრუნებულიყვნენ იესოსთან ანგარიშის ჩასაბარებლად და ეთქეათ, რომ მხოლოდ ხუთი პურის და ორი თევზის პოვნა შეძლეს? სიგიურა, არა?

ნება მომეცით, ამ საუბარს პერსპექტივა მივანიჭო. როგორც პასტორი, წარსულში უამრავ ოჯახს დაგხმარებივარ რთულ ფინანსურ სიტუაციებში. დავხმარებივარ ერთი თვის ქირის გადახდაში ან კომუნალური გადასახადების გადახდაში, თუნდაც საჭმლის ყიდვაში. მაგრამ მოდი, ჩავთვალოთ, რომ მე

## შეინ ფინანსური რავოლუცია: უზრუნველყოფის ქალა

მცოდნოდა, რეალური პასუხი მათთვის დახმარება კი არ იყო, არამედ მცოდნოდა, რომ პასუხი სამეფო იყო.

ჩვენი საუბარი ასე წარიმართებოდა. „პასტორო გარი, იცით ამ თვეში ძალიან გაგვიჭირდა და მალე სახლიდან გამოგვყრიან! ეკლესია ვერ დაგვეხმარება?“ „რა თქმა უნდა, შემიძლია, დაგეხმაროთ. აი, ჩემი რჩევა. სახლი მთლიანად გამოისყიდეთ და არანაირი ქირის გადახდა აღარ მოგიწევთ“. ისინი შემომხედავენ და მეტყვიან: „პასტორო, მგონი ვერ გაიგე. ჩვენ იმდენი ფულიც კი არ გვაქვს, რომ ერთი თვის ქირა გადავიხადოთ, არათუ სრულად გამოვისყიდოთ“. „ვიცი“, – მეც ვპასუხობ, „სწორედ ამიტომ გეუბნებით, რომ სახლი უნდა გამოისყიდოთ და ქირის ფული აღარ გექნებათ გადასახდელი!“

შემდეგ თუ გავაგზავნიდი, რომ ენახათ რეალურად რამდენი ფული ჰქონდათ, რათა ამ საქმისთვის გამოეყენებინათ, მართლა იფიქრებდნენ, რომ გავგიყდი. მაგრამ ჩემდამი მორჩილების გამო, თუკი მართლა წავიდოდნენ და ნახავდნენ, მოვიდოდნენ და მეტყოდნენ: „პასტორო, ორჯერ გადავამოწმეთ. მხოლოდ 20\$ გვაქვს, სახლის გამოსასყიდად კი 360,000\$-ია საჭირო“. ვფიქრობ, სურათი დაინახეთ. ისინი იფიქრებდნენ, რომ აზროვნების უნარი დავკარგე, ასე არაა?

სწორედ ასე იგრძნობდნენ თავს მონაფეები იმ დღეს, სრულად დაიბნეოდნენ. ხუთი პური და ორი თევზი 20,000-ის გამოსაკვებად?

## რასაც დათესავ, იმას მოიხაი

სანამ უფრო ჩავულრმავდებით ამ ისტორიას, მინდა, ერთი წუთით გადავუხვიო, რათა სამეფოს კიდევ ერთი კანონი გამოვავლინოთ, რაც რაღაცის განვითარებას და მოხდენას შეეხება. პური მრავლდება პურად და თევზი მრავლდება თევზად. ამიტომ, ეს ჩაიწერეთ!

**სამეცნიერო უნივერსიტეტის გამოსასუფლო იმის ნაწილი, რაც გამოიყენება, რათა გამოავლდეს!**

ნება მომეცით, ბიბლიიდან კიდევ ერთ მაგალითზე გადავხტე და შემდეგ დავუბრუნდები ჩვენს ისტორიას მარკოზის მე-6 თავში. მოდი, ვნახოთ 2 მეფეთა 4:1-7.

„ასე შეჰდალადა ერთმა ქალმა, წინასწარმეტყველთა ცოლთაგან, ელისეს: „მოკვდა ჩემი ქმარი, შენი მსახური; შენ იცი, რომ უფლის მოშიში იყო იგი. ახლა კი მევახშე მომადგა, რათა ორივე ჩემი შვილი მონებად წაიყვანოს თავისთვის“.

უთხრა ელისემ: „რა გაგიკეთო? მითხარი, რა გაქვს სახლში?“ უპასუხა: „ერთი დოქი ზეთის მეტი არაფერი აქვს სახლში შენს მხევალს“.

უთხრა ელისემ: „წადი და მთელი შენი სამეზობლოდან ითხოვე ჭურჭელი; ყველა მეზობლისგან წამოიღე, რაც შეიძლება ბევრი ცარიელი ჭურჭელი ინათხოვრე. მერე შედით და შეიკეტეთ კარი შენ და შენმა ძეებმა; ჩაასხი ზეთი ყოველ ამ ჭურჭელში და სავსეები განზე გადგი“.

წავიდა და შეიკეტა კარი თავის ძეებთან ერთად. ანვდიდნენ მას ჭურჭელს, ის კი ზეთს ასხამდა. როცა ყველა ჭურჭელი აივსო, უთხრა თავის ძეს: „კიდევ მომიტანე ჭურჭელი“.

უთხრა: „აღარაა მეტი ჭურჭელი“. და ზეთიც შეწყდა. მივიდა ქალი და უამბო ღვთისკაცს.  
უთხრა მან: „წადი, გაყიდე ზეთი და გადაიხადე შენი ვალი; დანარჩენით კი თავი ირჩინეთ შენ და შენმა ძეებმა“. – 2 მეფეთა 4:1-7

ყურადღება მიაქციეთ, რომ წინასწარმეტყველს არ უთქვამს: „მოდი, ძვირფასეულობას გადავავლოთ თვალი და ვნახოთ, რა გვაქვს?!“ არა, მან ამ პრობლემის გადაჭრის უკეთესი გზა იცოდა. მან თქვა: „რით შემიძლია დაგეხმაროთ?“ ქალი ცოტა დააბნია, ალბათ, ამან და უპასუხა: „რითი დამეხმარო? ფული მჭირდება!“ მაგრამ იგი მის დამცირებას სულაც არ ცდილობდა. იგი ძალიან მნიშვნელოვან კითხვას სვამდა, რაც იცოდა, რომ პასუხამდე მიიყვანდა. იგივე კითხვა შენც მიგიყვანს პასუხამდე. „რა გაგიკეთო? მითხარი, რა გაქვს სახლში?“

## რა გაქვს?

რა გაქვს სახლში? დარწმუნებული ვარ, ძალიან გააკვირვებდა ეს კითხვა, რადგან უკვე აუხსნა მისი იქ მისვლის მიზეზი.

უპასუხა: „ერთი დოქტორი ზეთის მეტი არაფერი აქვს სახლში შენს მხევალს“.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მან ხაზი გაუსვა ამ სიტყვას: „არაფერი აქვს სახლში“. მაგრამ განა მართლა არაფერი ჰქონდა?

არა, მისი ნათქვამი ტექნიკურად არ იყო სწორი. მან თქვა, რომ ერთი დოქტორი ზეთი ჰქონდა. ბინგო! სწორედ ამის გაგება სურდა წინასწარმეტყველს.

და სწორედ ეს უნდა ჰქითხო შენც სკუთარ თავს! ღმერთს უბრალოდ სჭირდება რაღაც, რაც შენს კანონიერ მმართველობაშია, რათა მისით იმოქმედოს.

მოდი, ისევ გადავხედოთ პირველ ნაბიჯს. ღმერთს იმის ნაწილი უნდა მისცე, რაც გჭირდება. როცა რაღაცას აძლევ ღვთის სამეფოს, ეს ცვლის მმართველობას და მას ღვთის კანონიერი

ძალაუფლების ქვეშ აქცევს, რაც საშუალებას აძლევს მას, რომ გაამრავლოს. გვახსოვდეს, რომ, როგორც ამ ისტორიაში დავინახეთ, გამრავლება შესაძლოა, სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ შენი პური ასე თავისით გამრავლდება, როცა კარადაში დევს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთიც მინახავს. მაგრამ როგორც წესი, ღმერთი გამოაჩენს პურის გამრავლების გზას სხვა ადამიანების ჩართვით. ვილაც

შეიძლება გულუხვი იყოს შენდამი, ან შეიძლება სამსახურში დაწინაურდე, ან მოულოდნელი კომპენსაცია მიიღო. უამრავი გზა არსებობს, რითიც ღმერთს შენი პურის გამრავლება სურს.

## შეგიძლია შენს ფულს სახელი დაარქვა

მინდა, ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი გამოვყო ფულის შესახებ.

ფული შესაძლოა გამოვიყენოთ, როგორც თესლი ნებისმიერი რამისთვის.

შენ ყოველდღე არქმევ ფულს სახელს, როცა რაიმეს ყიდულობ. მაგალითად, როცა სურსათის მაღაზიაში ხარ და პურს ყიდულობ, ფულს ცვლი პურში, ანუ რეალურად, შენს ფულს „პურს“ არქმევ. მოდი, დავუკვირდეთ, რას ვგულისხმობ?! თუ პური გჭირდებათ, ახლა უკვე გეშმით სამეფოს თესვისა და მკის კანონი. კანონზე დათანხმებით იცი, რომ თუ პურს დათესავ, პურს მიიღებ. მაგრამ მოდი, ჩავთვალოთ, რომ პური გჭირდება, მაგრამ არ გაქვს პური, რათა დათესო. რას გააკეთებდი? შეგეძლო, დაგეთესა ფული და მისთვის პური დაგერქმია. გახსოვდეს, ფული უბრალოდ ბარტერული სისტემაა. ჩვენ მას ყოველდღე ვარქმევთ იმ ყველაფრის სახელს, რაც გვჭირდება! რძიდან დაწყებული, ბინის ქირით, ფეხსაცმლით თუ საჭმლით დამთავრებული. ასე რომ გაცემის დროსაც შეგიძლია, დაარქვა ფულს სახელი.

### **გაცემის დროს შეგიძლია, დაარქვა ფულს სახელი.**

„რწმენით სიცოცხლის ეკლესია“, არის ეკლესია ნიუ ალბანიაში, ოჰაიოში, რომელიც მე და დრენდამ 25 წლის წინ დავაფუძნეთ. ავაშენეთ „ცენტრი ახლა“, შენობა, სადაც რწმენით სიცოცხლის ეკლესია 2008 წელს გადავიდა. ეს უზარმაზარი პროექტი იყო, რომელსაც 6.5 მილიონი დოლარი სჭირდებოდა და დაახლოებით 550 ადამიანის მიღებაზე იყო გათვლილი.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს შენობა მართლა ბოლომდე გამოვიყენეთ და ამოვწურეთ. 3,000 ყოველ შაბათ-კვირას და კვირაში 4 გადაცემა პირდაპირ ეთერში, ეს იყო ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი იმუამინდელი შენობისთვის დაგვემატებინა. ეს 10 მილიონ დოლარიანი პროექტი იქნებოდა და ნებას მოგვცემდა, გაგვეზარდა ჩვენი დარბაზი, ისევე როგორც დაგვემატებინა საბავშვო სივრცე. თუმცა გავაცნობიერეთ, რომ დრო, რაც თანხის მოძიებას დასჭირდებოდა და შემდეგ ის დრო, რაც აშენებას დასჭირდებოდა, შესაძლოა, სერიოზულ პრობლემად ქცეულიყო. ეს ნიშნავდა, რომ ორ წელიწად ნახევარი უნდა დავლოდებოდით, სანამ შევძლებდით, დამატებითი სივრცის გამოყენებას.

ამაზე ფიქრით გადავწყვიტეთ, გვემოქმედა, დაგვეწყო შენობის გადიდება და ამავდროულად დაგვეწყო შენობის ადგილმდებარეობის ძებნა, რომელზეც ვფიქრობდით, რომ ექვს თვეში დავიწყებდით. ვიცოდით, ეს ერთი მხრივ

ძირითადი შენობიდან რაღაც დოზით გადაიტანდა ზეწოლას, და ამავდროულად ეკლესიას გაზრდის საშუალებას მისცემდა. ამრიგად, შევადგინეთ გუნდი, რომელიც დაიწყებდა შენობის ადგილმდებარეობის ძიებას. შევისწავლეთ დემოგრაფიული მდგომარეობა და შევჯერდით ქალაქში ერთ ადგილზე, რომელიც, ჩვენი აზრით, საუკეთესო ლოკაცია იქნებოდა. ვეძებეთ, ვეძებეთ და რამდენჯერმე თითქმის საბოლოო გადაწყევტილებაც მივიღეთ რამდენიმე ლოკაციასთან დაკავშირებით, მაგრამ, როცა დავსხედით, რომ საბოლოოდ შევთანხმებულიყოთ, რომ ეს იქნებოდა ის ადგილი, ყველა ვგრძნობდით, რომ რაღაც ისე არ იყო. სულში ვგრძნობდით, რომ უნდა გადაგვემოწმებინა.

ახლა მოდი, ექვსი თვე გადავახვიოთ! აღმოვჩინით ისეთ სიტუაციაში, სადაც ახლოსაც კი არ ვიყავით ახალი შენობისთვის ტეროტორიის პოვნასთან. ისეთივე მდგომარეობაში ვიყავით, როგორც პირველ დღეს. უნდა ვაღიარო, რომ მე და დრენდა თითქმის იმედგაცრუებულებიც ვიყავით და ლამის ხელიც ჩავიქნიეთ ძებნაზე. ყველა შესაძლო ადგილი ვნახეთ ჩვენს შერჩეულ ტერიტორიაზე და მაინც ვერ ვპოულობდით შენობას, რომელიც იდეალური იქნებოდა. დიახ, ჩვენ ამ გზის დასაწყისში დავთესეთ ჩვენი თესლი და ვიცოდით, რომ ღმერთს საუკეთესო შენობა ჰქონდა ჩვენთვის, მაგრამ მაინც არ მოველოდით, რომ მის მატერიალიზირებას ამდენი დრო დასჭირდებოდა. აი, რჩევაც: სრულყოფილი ზოგჯერ დიდ დროს საჭიროებს!

იმ დროისთვის დაგეგმილი გვქონდა მონაწილეობის მიღება სატელევიზიო მარათონში, რათა ახალი ტელევიზიისთვის მოგვეპოვებინა თანხა. ეს სამ დღიანი ღონისძიება იქნებოდა, რომელიც სამი დღის განმავლობაში დილა-საღამოს გავიდოდა პირდაპირ ეთერში. ვფიქრობ, მესამე დღე იყო, გადასაღებ მოედაზე ვიჯექი, როცა გავიგე, როგორ დამელაპარაკა უფალი. „აიდე 100,000\$-იანი ჩეკი მსახურებიდან და დათესე ამ სატელევიზიო მარათონში იმ განზრახვით, რომ გარღვევა მოვიდეს ახალ კამპუსთან დაკავშირებულ გამოუვალ მდგომარეობაში. წაიღე ეს ჩეკი შენს ოთხივე მსახურებაზე და დაე, ეკლესიაში ილოცის, რომ როცა გამოანთავისუფლებ ამ შესანირს, შენობის ლოკაციის ძიება დასრულდეს!“ - მითხრა მან. მან ასევე მითხრა, რომ ღოცვისას შემერისხა სატანა და მებრძანა დაბნეულობისა და დაყოვნებისთვის, რომ შეჩერებულიყო. ჩვენ ასეც მოვიქეცით შემდეგ კვირაში შაბათის და კვირის მსახურებებზე.

მეორე დღეს, ორშაბათს, შენობის საძიებო გუნდმა მითხრა, რომ უძრავი ქონების გაყიდვების აგენტმა დარეკა და გვითხრა, რომ კერძო სკოლის შენობა გამოჩდნა, რომელიც იმ დღეს განათავსეს გასაყიდად. მათაც გადაწყვიტეს, ენახათ. როცა მივიდნენ, ნახეს შენობა, რომელიც იღებდა ბავშვებს სკოლამდელი განათლებიდან მოყოლებული მე-12 კლასის ჩათვლით. თუმცა, გაცილებით ძვირი ღირდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ახალ შენობაზე დაგვეხარჯა, რადგან მაქსიმალურად ვცდილობდით ძირითადი თანხა ჩვენი მთავარი შენობისთვის მიშენების გაკეთებისკენ მიგვემართა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფასს არც კი განვიხილავდით, მე და დრენდა მაინც წავედით შენობის სანახავად სამშაბათ დილას.

ჩვენ გასაოცარი კამპუსი ვნახეთ. 8,000 კვადრატული მეტრი. ოთხი შენობა სარბენი ბილიკით, ტრენაჟორების დარბაზით, ოთხი ჩოგბურთის კორტით, ხელოვნების სტუდიები, სამეცნიერო ლაბორატორიები და რეალურად ყველაფერი, რაც კი სრულყოფილ სკოლას დასჭირდებოდა. ამ ისტორიის დაუჯერებელი ნაწილი ისაა, რომ სრულად იყო ავეჯითა თუ სხვა ინვენტარით აღჭურვილი. მე და დრენდა გაოცებულები ვიყავით, მაგრამ მაინც ვერ ვხედავდით შანსს, რომ ამ საკუთრების ყიდვა შეგვძლებოდა.

უბრალოდ ისე მოხდა, რომ იმ საღამოს შეხვედრა გვქონდა ჩვენს ერთ-ერთ პარტნიორთან, რათა უბრალოდ გვენახა და მოგვეკითხა ერთმანეთი. ბოლო ორი თვე იმის გამო, რომ ორივე ძალიან დაკავებულები ვიყავით, უკვე სამჯერ თუ ოთხჯერ გადავდეთ ერთად ვახშმობა. მაგრამ იმ ლამეს მოვახერხეთ. ცოლ-ქმართან ვახშმისას დავიწყეთ საუბარი ეკლესიის ძირითად შენობაზე მიშენების გაკეთებაზე. მათ გვკითხეს რამდენად სწრაფად მივიწევდით წინ და ვუთხარით, რომ საკმაოდ შეგვაყოვნა ნებართვამ, პროექტმა თუ სხვა საკითხებმა. ვუთხარით, რომ დიდი ალბათობით ამ ტემპით შენობის დამატებით ნაწილს 2022 წლის ბოლომდე ან 2023 წლის გაზაფულამდე ვერ ავაშენებდით.

მათ გვკითხეს, ოდესმე თუ დავფიქრებულვართ ახალი შენობის შეძენაზე და ჩვენც დავეთანხმეთ. ავუხსენით, თუ როგორ ვეძებდით ექვსი თვის განმავლობაში შესაფერის ადგილს. შემდეგ ვუთხარით იმ გასაოცარი სკოლის შესახებ, რომელიც იმ დილას ვნახეთ და ვახსენეთ, რომ რაიმე მსგავსი

იდეალური იქნებოდა, მაგრამ ის მიღიონებად იყიდებოდა.

შემდეგ მათ თვალის დახამხამების გარეშე გვითხრეს: „და თუ ის უფასო იქნებოდა?“ ჩვენ ვერ მივხვდით, რა თქვეს?! მათაც გაიმეორეს: „და თუ ის უფასო იქნებოდა?“ კვლავ ვიფიქროთ, რომ ხუმრობდნენ, მაგრამ ამჯერად მამაკაცმა თქვა: „დრენდა, რა მოხდებოდა თუ ეს შენობა უფასო იქნებოდა?!“ „რას გულისხმობ?“ – ვკითხეთ ჩვენ. მათ თქვეს: „ჩეკს გამოვწერთ!“ გაოცებისგან გავშრით. მაგრამ მოკლედ რომ გითხრათ, მართლა ასე მოიქცნენ.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ახალი შენობისთვის დავთესეთ, ორ დღეში ღმერთმა საუკეთესო ადგილისკენ მიგვმართა. ახლა ჩვენ 12 მილიონ დოლარიანი შენობა გვაქვს სრულიად უფასოდ! ვინ იფიქრებდა ან წარმოიდგენდა მსგავს რაიმეს? ამის ნახვის შემდეგ, მე და დრენდა ორივე შევთანხმით იმაზე, რომ მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც გვინახავს, უფრო დიადზე უნდა ვიფიქროთ. ღმერთს გასაოცარი რამეების გაკეთება შეუძლია!

ვფიქრობ, მონაფეებსაც იგივე განცდა ექნებოდათ იმ დღეს, მას შემდეგ რაც 20,000 ადამიანი ხუთი პურითა და ორი თევზით დააპურეს. ნიძლავს დავდებ, რომ ძილის წინ ამბობდნენ: „ვაუ, ეს დაინახე?“

თავი 5

## შენი უზრუნველყოფისთვის უფლების მინიჭება

წინა თავში განვიხილეთ პირველი ნაბიჯი, თუ როგორ გამოიყენო სამეფოს კანონი შენი უზრუნველყოფისთვის.

**სამეფოში უდია გამოათავისუფლო იმის ნაცილი,  
რაც გაირდება, რათა გამრავლდეს!**

შემდეგ გითხარით, რომ ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვას გავცემდი პასუხს და პირველია: „რას ნიშნავს, გამოათავისუფლო რაიმე სამეფოში, რათა გამრავლდეს?“

მოდი, კვლავ განვიხილოთ მარკოზის მე-6 თავი და დავფიქტდეთ.

„უკვე გვიანი იყო; მივიღნენ მასთან მოწაფეები და უთხ-  
რეს: „ეს ადგილი უდაბურია და თანაც უკვე გვიანია.  
გაუშვი ეს ხალხი გარშემო სანახებსა და სოფლებში, რომ  
საზრდო იყიდონ თავიანთვის“.“

მაგრამ მიუგო მათ და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ  
საჭმელი!“

უპასუხეს: „წავიდეთ, ორასი დინარის პური ვიყიდოთ და  
ამათ მივცეთ საჭმელად?“

უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“

ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი.“

მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარი-  
ყვნენ მწვანე ბალახზე. და დასხდნენ მწყობრად, ას-ა-  
სად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად. აიღო ხუთი პური  
და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, პურები დატეხა  
და მონაფებს მისცა, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ.  
ორი თევზიც ყველას გაუნანილა. ყველამ ჭამა და გაძლა.  
დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს. და  
ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი”.

– მარკოზი 6:35-44

მინდა, რამდენიმე დეტალს მიაქციოთ ყურადღება ისტორიაში, რასაც შეიძლება უბრალოდ გადაურბინეთ. როცა იესომ თქვა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი!“, მათი პასუხი და ის, თუ რა უთხრა შემდეგ იესომ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გასაღებს გვაჩვენებს სამეფოს დამოკიდებულების სწორად გასაგებად უზრუნველყოფაზე. მათ პასუხში თქვეს, რომ ნახევარი წლის ხელფასი დასჭირდებოდა ამდენი ადამიანის გამოკვებას. ყურადღება მიაქციეთ, როგორი იყო მათი აზროვნება. როგორც კი ასეთ პრობლემას წააწყდნენ, საჭირო უზრუნველყოფა მაშინვე შრომას დაუკავშირეს. ფაქტი ისაა, რომ ჩვენ ყველა ასე ვიქცევით. მაგრამ ეს საათების დოლარებში გადაცვლის მენტალობა ყოველთვის არ ყოფილა ადამიანის ცნობიერის ნაწილი. ეს ადამის დაცემასთან ერთად მოვიდა. ამიტომ უნდა დაგაბრუნოთ იმ ადგილას, სადაც ადამი დაეცა, რათა კარგად დავინახოთ, რომ ეს მოხდა.

### საათების დოლარებად აღქმის მენტალობა

„უთხრა ადამს: „რადგან ისმინე შენიცოლის ხმა და ჭამე ხის ნაყოფი, რომელზეც გითხარი რომ არ გეჭამა, წყეულიმც იყოს მინა შენს გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე!“ ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალას შეჭამ. შენ პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მინას დაუბრუნდები, რომლისგანაც ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვერს დაუბრუნდები.“

– დაბადება 3:17-19

თუ გახსოვთ, ადამი და ევა დედამიწაზე მოთავსებული იყვნენ, რომ ემართათ იგი, როგორც ღვთის სამეფოს წარმომადგენლებს. ისინი მონიჭებული ძალაუფლებით მართავდნენ. სატანას, რომელიც უკვე დედამიწაზე იყო, ეზიზდებოდა ისინი და ილტვოდა იმ ძალაუფლებისკენ, რაც მათ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ადამს და ევას სრული ძალაუფლება ჰქონდათ მასზე, მან შეძლო მოეტყუებინა ისინი და დაეჯერებინა მათთვის, რომ ღმერთი არ იყო მათთვის და არასანდო იყო. მან მათ ისეთი რამ შესთავაზა, რაც ჩანდა, როგორც უკეთესი მომავალი, ამიტომ მათ გადაწყვიტეს, მას მიჰყოლოდნენ და არა ღმერთს. ამბოხების გამო მათ დაკარგეს მათი კანონიერი პოზიციები ღვთის სამეფოში და გამოაგდეს ღმერთი თავიანთი ცხოვრებიდან. რითიც, სატანას კანონიერი მმართველობა მისცეს მთელ დედამიწაზე, რადგანაც იგი სწორედ ადამიანებთანაა დაკავშირებული. პავლე სატანას ამ საუკუნის ღმერთს უწოდებს კორინთელთა მიმართ მეორე წერილში.

„ურნმუნოთათვის, რომლებსაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა არ ებრწყინა მათთვის სახარების ნათელს ქრისტეს დიდებაზე, რომელიც ღვთის ხატია.“

- 2 კორინთელთა 4:4

საკუთარი ცოდვის პირისპირ დარჩენილ ადამს ღმერთი ეუბნება: „ნყეულიმც იყოს მინა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე!“ შემდეგ კი ერთი წინადადების გამოტოვებით, იგი ამბობს: „შენი პირის ოფლით შეჭამ პურს!“

ღმერთი ეუბნება ადამს, რომ მისი ამბოხების გამო, მინა ისე აღარ გამოილებს ნაყოფს, როგორც წარსულში. ახლა ღმერთს ხელები შეკრული აქვს და ადამმა თავად უნდა გაიკვალოს გზა ცხოვრებაში საკუთარი ოფლითა და ტანჯვით შრომით. გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ ადამმა დაწყევლა დედამიწა და არა ღმერთმა! ადამს სრული კანონიერი მმართველობა ჰქონდა დედამიწაზე და როცა ღმერთის წინააღმდეგ აჯანყდა, ღმერთის კურთხევა იძულებული გახდა, გასცლოდა მას. სწორედ ამიტომ ეუბნება ღმერთი ადამს: „ნყეულიმც იყოს მინა შენ გამო!“ ბალი, რომელში საცხოვრებლადაც შეიქმნა ადამი, რომელიც უზრუნველყოფით იყო სავსე, გაქრა. სანამ ამბოხდებოდა

ადამს არც კი დასჭირვებია ოდესმე დაფიქტულიყო და ეზრუნა უზრუნველყოფისთვის. მას ყველაფერი უხვად ჰქონდა, სადაც კი გაიხედავდა. მაგრამ ახლა, თავად უნდა მოეპოვებინა უზრუნველყოფა ტანჯვით, შრომითა და ოფლით. მე ამას ტანჯვისა და ოფლის სისტემას ვუწოდებ.

**ახლა უზრუნველყოფის მოსაპოვებლად ტანჯვით შრომა და ოფლი იყო საჭირო!**

დედამიწა ერთადერთი არაა, რაც შეიცვალა. ადამი და მთელი კაცობრიობა შეიცვალა. ადამმა დაკარგა თავისი იდენტობა, მიზანი და უზრუნველყოფა, და ახლა თავის გატანის მცდელობას დაემონა. მე და შენც სწორედ ასე გავიზარდეთ. ტანჯვით შრომისა და ოფლის სისტემაში.

ნებისმიერი გადაწყვეტილება ამ დაწყევლილი დედამიწის სისტემაში თავის გატანას უკავ-  
**ადამის დროიდან**  
**მოყოლეობული, კაცი თუ-**  
**ძალი თავის გატანის**  
**მცდელობას დამონა, ან**  
**ექვებს უზრუნველყოფას**  
**ან ცდილობს**  
**შეინარჩუნოს არსებული,**  
**რადგან მხოლოდ ფულის**  
**ქონას ერთადერთი**  
**თავის დასაღევო გზა ამ**  
**ვირთების რგოლისგან.**  
და ფულის შოვნის საჭიროებით ჩაანაცვლეს, რომ გადავრჩეთ და ყოველთვის ვეძებოთ უზრუნველყოფა მომავალი დღისთვის.

## მონობის სისტემა

ბოლო კვლევამ, რასაც თვალი მოვკარი, აჩვენა რომ აშშ-ის მოსახლეობის 70%-ს არ მოსწონს თავისი სამსახური.<sup>5</sup> შესაძლოა იყითხოთ: „მაშინ რატომ მიდიან სამსახურებში, თუ ეს არ მოსწონთ?“ მარტივად რომ ვთქვათ, ისინი შემდეგი თვის ხელფასის მონები არიან.

<sup>5</sup> 85% of People Hate Their Jobs, Gallup Poll Says (returntonow.net)

დედამიწის ტანჯვით შრომისა და ოფლის წყევლის ქვეშ ყველა ოცნებობს მილიონერობაზე, ამ უსასრულო ვირთხების რბოლისა და უზრუნველყოფის ძიების გამუდმებული წნებიდან თავის დაღწევაზე. ადამიანები ოცნებობები ლატარიის მოგებაზე, ოცნებობენ, იყვნენ ისეთი მდიდრები, რომ ჰქონდეთ თავისუფლება, აკეთონ ის, რაც სურთ და არა ის, რაც უნევთ, რომ გააკეთონ. ადამის დროიდან მოყოლებული კაცი თუ ქალი თავის გატანის მცდელობას დაემონა ან ეძებს უზრუნველყოფას ან ცდილობს შეინარჩუნოს არსებული, რადგან მხოლოდ ფულის ქონაა ერთადერთი თავის დასალწევი გზა ამ ვირთხების რბოლისგან.

ნება მომეცით, მოვიყვანო მაგალითი თუ როგორ გაწვრთნა ამ სისტემამ ჩვენი აზროვნება. მე რომ მეთქვა თქვენთვის, რომ აუცილებლად უნდა გათავისუფლდეთ ვალებისგან 12 თვეში, მაშინვე ავტომატურად დაიწყებდით გამოანგარიშებას, თუ როგორ ჩადოთ მეტი შრომა და ოფლი ამ განტოლებაში, რომ ამოხსნათ. დაიწყებდით დათვლას, თუ როგორ შეგიძლიათ, იმუშაოთ ორ ან სამ სამსახურში თუ საჭიროა, რადაც არ უნდა დაგვალომოდათ. და ეს ყველაფერი კი დაგიჯდებოდათ მეტი ტანჯვა, შრომა და ოფლი. ტანჯვით შრომა და ოფლი ის საზომია, რომელიც ყველა ოცნებაში უნდა გაიყოს. თუ ახალი მანქანა გჭირდება, შენ ღირებულება უნდა გაყო შრომასა და ოფლზე და თქვა: „არა, ამას ვერ შევწვდებით“. „უფრო დიდი სახლი? არა, ვერც ამას შევწვდებით“.

## ლმერთი შესაძლებლობას ხედავს შეუძლებელში

დედამიწის წყევლის სისტემაში ოცნებებს ანაცვლებს პატარა მოგზაურობა მაღაზიაში და გზაში ბურგერის ჭამა. და თუ საკმარისი დრო ან შრომა ვერ ჩადე შენი ოცნების ასასრულებლად, მას ტოვებ და შენს თავს ეუბნები, რომ უბრალოდ გააგრძელო მუშაობა იქ, სადაც ვერ იტან, ისევე, როგორც ყველა იქცევა. ტანჯვით შრომისა და ოფლის განტოლებაში, როგორც წესი ტოლობის ნიშნის შემდეგ ბევრი ადამიანისთვის სიტყვა შეუძლებელი წერია.

სწორედ ასე აღიქვეს მონაფეებმა თავიანთი სიტუაცია. „ეს 20,000 ადამიანი დავაპუროთ? შეუძლებელია! ამას ექვსი თვის ხელფასი დასჭირდება!“ ხელფასი ამ შემთხვევაში მეტ ტანჯვასა

და შრომას გულისხმობდა, ვიდრე შესაძლებელი იყო, რათა საჭიროება დაეკმაყოფილებინათ. მათი ერთადერთი აღქმა უზრუნველყოფის მისაღებად, შრომაზე გადიოდა. სწორედ ასე მუშაობს ეს ყველაფერი მიწიერ სამეფოში. ყველამ იცის ეს, მაგრამ იქსო აპირებს, მათ ცხოვრების ახალი გზა აჩვენოს, ახალი სამეფო თავისი ახალი წესებით. დიახ, რეალურად არსებობს გამოსავალი ამ ტანჯვით შრომისა და ოფლის სისტემისგან. მართლა არსებობს!

მოდი, დავუბრუნდეთ იმ მომენტს, როცა მოწაფეებმა თქვეს, რომ შეუძლებელი იქნებოდა გამოეკვებათ ეს ხალხი და შევხედოთ: როგორ პასუხობს იქსო?! ალბათ, უნდა გქონდეს ტყავის გრიზ (გააკეთე, რაც იქსომ გააკეთა!) სამაჯური, რათა არ დაგავიწყდეს ის, რაც უნდა გვაჩვენოს, როგორც მისი მოწაფეები მოიქცნენ. ნაცვლად იმისა, რომ დათანხმებოდა სიტუაციის მოწაფეებისეულ ანალიზს, იქსო ხელში იღებს სიტუაციას და მათ მიმართულებას აძლევს: „წადით და ნახეთ, რამდენი პური გაქვთ?!“ სანამ ძებნას დაიწყებდნენ, მათ უკვე იცოდნენ, რომ ამდენი ხალხის გამოსაკვებად საქმარისი პური იქ არ იქნებოდა. სწორედ ამიტომ მივიღნენ ისინი მანამდე იქსოსთან და სთხოვეს, რომ ხალხი გაეშვა, რათა საჭმელი თავად მოექცებნათ. მაგრამ მორჩილების გამო, წავიდნენ, მოძებნეს და დაბრუნდნენ ანგარიშის ჩასაბარებლად, რომ ხუთი პატარა პური და ორი თევზი იპოვეს.

ახლა აქ რაღაც ისეთი ხდება, რაც აუცილებლად უნდა დაინახოთ, კიდევ ერთი მთავარი მინიშნება! მაგრამ ამის დასანახად, მინდა იგივე ისტორიის მათეს ვერსიას ჩავხედოთ.

„იქსომ კი უთხრა მათ: „არ არის საჭირო მათი წასვლა; თქვენ მიეცით საჭმელი!“

უპასუხეს: „არაფერი გვაქვს გარდა ხუთი პურისა და ორი თევზისა.“

უთხრა: „აქ მომიტანეთ ისინი“. უბრძანა ხალხს ბალახზე დამსხდარიყვნენ. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, დაამტვრია და მისცა პურები მოწაფეებს, მოწაფეებმა კი ხალხს დაურიგეს. ყველამ ჭამა და გაძლა, ნატეხებით კი თორმეტი გოდორი აივსო. მჭამელი კი ხუთი ათასამდე კაცი იყო, გარდა ქალებისა და ბავშვებისა.“

– მათე 14:16-21

ყურადღება მიაქციეთ, რომ მე-18 მუხლში, იქსო სთხოვს მოწაფეებს, მას მისცენ პური და თევზი. შემდეგ კი, მე-19 მუხლის ბოლოს ვხედავთ, როგორ უბრუნებს იქსო პურს და თევზს კვლავ მოწაფეებს. რაღაც მოხდა ამ ორ მუხლს შორის, რამაც თქვენი ყურადღება უნდა მიიჰყროს და გაგიჩინოთ კითხვა: „რატომ სთხოვა იქსომ მოწაფეებს პური და თევზი მისთვის მიეცათ, თუკი აპირებდა, რომ ისევ მათთვის დაებრუნებინა მალევე?“ იქსო არ აკეთებდა არაფერ რელიგიურს, ამიტომ რაღაც მიზეზი უნდა არსებობდეს, რის გამოც მან პური და თევზი ითხოვა. როგორც სულიერმა მეცნიერებმა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ: რა მოხდა, როცა პური და თევზი მოწაფეებს გამოართვა?

„აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, დაამტვრია და მისცა პურები მოწაფეებს, მოწაფეებმა კი ხალხს დაურიგეს“.

ბიბლია ამბობს, რომ მან ის აკურთხა. ზოგ ვერსიაში წერია, რომ მადლი შესწირა. მაგრამ ეს რას ნიშნავს? ბერძნული სიტყვა, რომელიც აქ მადლობის ან კურთხევის აღსანიშნადაა გამოყენებული, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მიუძღვნა რაღაც, ღმერთს რაიმეს კურთხევა სთხოვო ან სთხოვო ღმერთს, აკურთხოს რაიმე სხვებისთვის გამოსაყენებლად. უფრო ღრმად რომ განვიხილოთ, რაღაცის მიძღვნა ნიშნავს, რაღაც წმიდად გამოაცხადო, ფორმალურად მიუძღვნა სულიერ მიზანს.

ამრიგად, რეალურად, როცა იქსომ პური და თევზი აკურთხა, ისინი გამოეყო მიწიერი სამეფოს მმართველობას და გადავიდა ზეცის მმართველობაში.

**როცა იქსომიგია აკურთხა, პურმა და თევზმა სამეფო შეიცვალეს.**

### **რაღაცების ახალ მმართველობაში მოქცევა**

მანამდე პური და თევზი ადამიანის მმართველობის ქვეშ იყო, მიწიერ სამეფოში და სცდებოდა ღვთის შესაძლებლობას, რაიმე მოემოქმედებინა მათზე. მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ იმ პატარა ბიჭის გულუხვობის გამო, ისინი იქსოსთან მიიტანეს, სადაც ღვთის სამეფოს მმართველობაში მოექცნენ. ასევე უნდა გავაცნობიეროთ, რომ თუ პური და თევზი მიწიერი სამეფოს მმართველობის ქვეშ დარჩებოდა, ვერასდროს გამრავლდებოდა.

როგორც სულიერმა მკვლევარებმა, ყურადღება უნდა მივაქციოთ დეტალებს. როდის მოხდა რეალურად ეს გაცვლა? თავიდან შესაძლოა, იფიქროთ, რომ მმართველობა მაშინ შეიცვალა, როცა პატარა ბიჭმა პური და თევზი მონაფეებს მისცა. ეს, რა თქმა უნდა, ამ პროცესის ნაწილი იყო და ის ფაქტიც, რომ ამ ბიჭმა ეს თავისი სურვილით გააკეთა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ რეალურად გაცვლა ამ მომენტში არ მომხდარა. როცა იესომ სიტყვა ნარმოთქვა და აკურთხა ის, სწორედ მაშინ მოხდა რეალური, კანონიერი გაცვლა. მე მგონია, რომ მიუხედავად იმისა, რომ იესოს საკუთარ ხელში ეჭირა ეს პური და თევზი, ისინი მაინც არ გამრავლდებოდა, თუკი კონკრეტული მითითების სიტყვას არ ნარმოთქვამდა იესო.

მოდი, ეს იმ გაკვეთილის პერსპექტივაში მოვაქციოთ, რაც უკე ვისწავლეთ რწმენის შესახებ. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გულში შესაძლოა, გაქვს რწმენა, რაც კანონიერ უფლებას აძლევს ზეცას დედამიწაზე შემოიჭრას, მაინც არაფერი ხდება, სანამ შენ, რომელიც კანონიერ მმართველობას ფლობ დედამიწაზე, არ გამოანთავისუფლებ ზეცის ძალაუფლებას აქ.

„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე [და მართლდებიან], ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომაელთა 10:10

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიაში არაა ჩანერილი იესოს სიტყვები, თუ კონკრეტულად რა თქვა პურის და თევზის კურთხევისას, დარწმუნებული ვარ, რაღაც ასეთი იქნებოდა: „მამა, მადლობა შენი უზრუნველყოფისთვის და ვიღებ ამ პურსა და თევზს შენს სამეფოში, შენი დიდებისთვის! ახლა ეს პური და თევზი უნდა გამრავლდეს, რათა დააპუროს ეს ხალხმრავალი ჯგუფი საკმარისზე მეტით, რათა დაისვენონ და ძალა ჰპოვონ შენი დიდების დასანახად“. რა თქმა უნდა, როგორც ვთქვი, მისი სიტყვები ჩანერილი არაა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მან პურსა და თევზს მითითება მისცა, მას შემდეგ, რაც მის ხელებში აღმოჩნდნენ. ეს საიდან ვიცი? რადგან მან უკე იცოდა, თუ როგორი იყო გეგმა და მანამდე დასვა ჯგუფებად.

„იესომ კი უთხრა მათ: „არ არის საჭირო მათი წასვლა; თქვენ მიეცით საჭმელი!“

უპასუხეს: „არაფერი გვაქვს გარდა ხუთი პურისა და ორი თევზისა.“.

უთხრა: „აქ მომიტანეთ ისინი!“ უბრძანა ხალხს, ბალახზე დამსხდარიყვნენ. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, დაამტკრია და მისცა პურები მონაფეებს, მონაფეებმა კი ხალხს დაურიგეს“.

– მათე 14:16-19

ყურადღება მიაქციეთ, რომ მან უკვე მისცა მათ ინსტრუქცია, რომ ბალახზე დამსხდარიყვნენ მანამ, სანამ პურსა და თევზს აკურთხებდა. მან ზუსტად იცოდა, რა იყო მისი გეგმა. დარწმუნებული ვარ, მან პურსა და თევზს მითითება მისცა მას შემდეგ, რაც მის ხელებში აღმოჩნდა. მითითების მიცემა თესლის გამონთავისუფლებისას, სასიცოცხლო მნიშვნელობის ასპექტია ამ პროცესში. სასიცოცხლო მნიშვნელობა ვახსენე? დიახ, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ. ახლა მინდა, რაღაც დრო დავუთმოთ თესვისას მითითების მიცემას.

„ჰკითხა მათ: „თქვენ რას ამბობთ, ვინა ვარ?“

სიმონ-პეტრემ მიუგო: „შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა“.

იესომ პასუხად უთხრა: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გაგიცხადა ეს, არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია. და მე გეუბნები შენ, რომ შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას. მოგცემ ცათა სამეფოს გასაღებებს და, რასაც შეკრავ დედამინაზე, შეკრული იქნება ზეცაშიც, ხოლო რასაც გახსნი დედამინაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“.

– მათე 16:15-19

წმიდა წერილი ცხადად გვეუბნება, რომ ჩვენი უნარი, ვმართოთ დედამინა, როგორც ღვთის სამეფოს წარმომადგენლებმა, ახლა

**ჩვენ მოგვაცა**

**ძალაუფლება:**

**შევპრატ ბოროტი**

**და გავხსნათ**

**ზეცის ნება**

**დედამითა ძე.**

აღდგა იესო ქრისტეს მეშვეობით. ჩვენ მოგვეცა ძალაუფლება შევკრათ ბოროტი

და გავხსნათ ზეცის ნება დედამინაზე.

ახლა მე მჯერა, ან სულ მცირე იმდი

მაქვს, რომ მრავალმა ქრისტიანმა უკვე

იცის: რას ნიშნავს ბოროტის შეკვრა.

მარტივად რომ ვთქვათ, ბოროტის

შეკვრა ნიშნავს, შეაჩერო ის, რათა ვერ განახორციელოს თავისი ბოროტი გეგმები. ეს შეიძლება მოხდეს ადამიანებისგან დემონების გამოდევნით, ავადმყოფებისთვის ხელის დასხმით

და განკურნებით თუ უბრალოდ ერთი ფრაზით: „შეჩერდი, იესო ქრისტეს სახელით!“ შენი ძალაუფლება ღვთის სამეფოში მიგაქვს

და მას იყენებ იმ გამარჯვების ძალის გამოსავლინებლად, რაც

იესომ ჰპოვა ბოროტზე.

### შენი ძალაუფლების გამოყენება

ჩემი დაკვირვებით, ძალიან ცოტა ადამიანმა იცის, როგორ გახსნა ზეცა მიწიერ სამეფოში. მე უკვე ვისაუბრე 1 იოანეს 5:14-15-ზე, როგორც ეფექტური ლოცვის ნიმუშზე.

„და აპა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“. – 1 იოანე 5:14-15

გულში დაჯერება ან რწმენის ქონა, ჯერ კიდევ არ არის შენი განტოლების ამოხსნა. როგორც უკვე ვნახეთ, როცა გჯერა ზეცის ნათქვამის, შენ მართლდები. ახლა ზეცას კანონიერი ძალაუფლება აქვს, გადმოდინდეს მიწიერ სამეფოში, მაგრამ არაფერი ხდება, სანამ შენ არ გამოანთავისუფლებ ძალაუფლებას მიწიერ სამეფოში. შენ ქრისტესთან ერთად ზიხარ ზეცაში, მამის მარჯვნივ. შენი სიტყვები მეფის სიტყვებია და ზეცა ვერ გამონთავისუფლდება, სანამ შენ არ ილაპარაკებ! ეს შესაძლოა იყოს განაცხადი ან თანხმობის გამოთქმა ლოცვაში, მაგრამ

შენ ფლობ სამეფოს გასაღებს. ღმერთი ამას შენ გარეშე ვერ გააკეთებს!

ეს მხოლოდ იმის ცოდნას არ მოიაზრებს, თუ როგორ ილოცო ისე, რომ რაღაც მოხდეს; ეს არის მითითების გაცემის ცოდნა ამის კეთებისას. გახსოვდეს, თუ არ გახსნი ზეცას დედამიწაზე, არაფერი მოხდება. ამიტომ აუცილებელია გვესმოდეს, თუ როგორ გავხსნათ ზეცის ნება ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს სამყაროში.

მითითების მიცემის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითს გვაძლევს ლოცვა „მამაო ჩვენო“. ამ ლოცვაში არის რამდენიმე მთავარი გასაღები, რაც უნდა ვიცოდეთ. პირველი, ტექსტი ამბობს, რომ ღმერთმა უკვე იცის, რა გჭირდება, ამიტომ შეწყვიტე ხვეწნა. ხვეწნა არ არის რწმენა, ის აჩვენებს უცოდინრობას იმისა, თუ როგორ მოქმედებს სამეფო და როგორია შენი, როგორც ამ სამეფოს მოქალაქის უფლებები. ლოცვაში მითითება განაცხადის შევსებაა. განაცხადი, არის ძალიან დეტალური სია იმისა, თუ რა გჭირდება. ეს არ არის ამ ყველაფრის თხოვნა, არამედ ამ ყველაფერზე თანხმობის განცხადება.

„ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც ნარმართნი იქცევიან, რადგან ჰერინიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი! ნუ იქნებით მათი მსგავსები, რადგან თქვენმა მამამ მანამდე იცის, რა გჭირდებათ, ვიდრე თხოვდეთ?! თქვენ კი ასე ილოცეთ: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს მეფობა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს!“

– მათე 6:7-11

იესო იწყებს ფრაზით: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა (დიდად დაფასებული და პატივდებული) იყოს სახელი შენი (რაც გამოხატავს მის მბრძანებლობასა და ძალაუფლებას)“. იესო პირველივე ნინადადებაში ლოცვის კანონიერ მდგომარეობას ადგენს. მოდი, შევადაროთ იგი სასამართლო დარბაზში გაუღერებულ ფრაზას!

სასამართლოს აღმასრულებელი დგება და ამბობს: „გთხოვთ, წამოდგეთ! სასამართლო (შემდეგ ამბობს სასამართლოს

სახელს)...“ ეს შეიძლება იყოს სასამართლო კერძო პირებს შორის კამათის თაობაზე მიწათმფლობელობის საკითხე, მეორე სასამართლოს ოლქის პროცესი, კრიმინალური დანაყოფი ან ნებისმიერი სხვარამ. მაგრამ აქრამდენიმე რამ ხდება დასაწყისში; აღმსრულებელი ამბობს: „წამოდექით!“, რაც პატივისცემას გამოხატავს, როგორც სასამართლო პროცესისადმი, ასევე თავად იმ მოსამართლისადმი, რომელიც მას გაუძლვება. შემდეგ აცხადებენ მოსამართლის სახელს, რომელმაც სწორად უნდა აღასრულოს მართლმსაჯულება, რათა იცოდე, რომ სწორ სასამართლოში ხარ, რომელსაც აქვს მმართველობა შენს საქმეზე.

მოდი, გავაგრძელოთ იქიდან, თუ რას ამბობს აღმსრულებელი: „გთხოვთ, წამოდექით! მიმდინარეობს სასამართლო კერძო პირებს შორის დავის თაობაზე მიწათმფლობელობის საკითხზე, პატივცემული მოსამართლე სმიტის ხელმძღვანელობით.“

მთელი პირველი წინადადება: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი“, ადგენს იმ ერთადერთის პოზიციას, რომელმაც უნდა მართოს ეს საქმე და იქ ყოფნის უფლებითაა აღჭურვილი. ის ჩვენი მამაა და ჩვენ კანონიერი წვდომა გვაქვს მის სასამართლოზე. ეს პირველი წინადადება აგრეთვე მართლმსაჯულების ადგილმდებარეობასაც განსაზღვრავს, რადგანაც ცათა სასამართლო, ყველაზე უპირატესი ძალაუფლების მქონეა.

ამის შემდეგ ლოცვა „მამაო ჩვენო“ ამბობს: „მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი“.

ეს ფრაზა სასამართლოსგან მოითხოვს, რომ სამეფოს კანონების მიხედვით განსაჯოს. შენ ახლა საკითხი უნდა შეიტანო სასამართლოში და მოსამართლეს სთხოვო, რომ აღასრულოს მისი ნება (კანონი) ამ საქმესთან დაკავშირებით. შემდეგ გრძელდება: „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“. კვლავ აცხადებ, რომ გინდა, ზეცის მმართველობა ისევე განხორციელდეს მიწაზე, როგორც ცაშია. ეს ყველაფერი შენი და სასამართლოსთვის სწორი პოზიციების მისანიჭებლად მოხდა. ჯერ არაფერი წარდგენილა. მაგრამ შემდეგ მოდის პეტიცია.

„მოგვეცი პური ჩვენი დღეს!“ ამ წინადადებას არაფერი აქვს საერთო ფიზიკურ პურთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მართლა პური გჭირდება. ის გეუბნება, მასში ჩასვა შენი თხოვნა. გახსოვდეს, მთელი ეს საუბარი დაიწყო, როცა იყსო ასწავლიდა თავის მონაფეებს, როგორ ელოცათ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?! სწორედ აქ წარადგენ შენს პეტიციას, ანუ მოთხოვნას. რა თქმა უნდა, ორივე სიტყვა გამოიდგება. პეტიციაა რაზეც ფილიპელთა 4 ლაპარაკობს. მე უბრალოდ მინდა ხაზი გავუსვა, რომ პეტიცია დეტალური თხოვნაა. სიტყვა დეტალური უნდა დაიმახსოვროთ. შენ მიმართულებას აძლევ ლოცვაში; იგი დეტალური და ზუსტი უნდა იყოს. ფილიპელთა 4:6-7 იგივეს გვეუბნება.

„არაფერზე იდარდოთ, არამედ ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუნეეთ თქვენი სურვილი ღმერთს. და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონიერას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“.

— ფილიპელთა 4:6-7

ყურადღება მიაქციეთ, რომ ლოცვადა პეტიცია ერთმანეთისგან განსხვავდება. ლოცვა ჩვენს თხოვნასაც მოიცავს, თუმცა ლოცვა არის საშუალება, რომელსაც ჩვენი თხოვნა მამასთან მიაქვს. კვლავ გავიმეორებ, რომ პეტიცია ძალიან დეტალური და ზუსტია. მაგრამ ქრისტიანთა უმრავლესობა უბრალოდ იტყვის: „ოჳ, ყველაფერზე თანახმა ვარ, რაც ღმერთს სურს, რომ დაუშვას! მან უკეთ იცის“. არასწორია, არასწორია, არასწორია!

### ღმერთმა შენ მოგცა სამეფოს გასაღებები!

თუ ჩემი მასალების დიდი ნაწილი წაკითხული გაქვს, სამეფოს შესახებ უამრავ დეტალურ ისტორიას ნახავდი. ამ წიგნშიც ბევრია, რაც იმედი მაქვს, დაგეხმარება დაინახო: როგორი დეტალურია ღვთის სამეფო და როგორი დეტალური უნდა იყოს შენი სიტყვებიც. ჩემი სათქმელი რომ კარგად გადმოგცეთ, ნება მომეცით, ცოტა ხნით მოგაწყინოთ იმ ძველი ისტორიებითაც, რაც შესაძლოა, უკვე გსმენიათ! მაგრამ ვიცი, რომ რამდენი დროც დამჭირდება, იმდენი უნდა დავუთმო ამას, რათა კარგად გაიგოთ რამდენად ზუსტია სამეფო. ნება მომეცით, უცებ შეგახსენოთ რამდენიმე ისტორია, რაზეც ვისაუბრეთ!

## სამეცნ სამსახურში

თქვენ უკვე წაიკითხეთ როგორ დაიწყო ჩემი ფურგონი, როცა ხმამაღლა ვთქვი: „უფალო, ალბათ, საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ეს მანქანა უბრალოდ დაიწყება!“ დამთხვევაა? მოდი, გავაგრძელოთ! გიამბეთ ირემზე, როგორ მაჩვენა ღმერთმა, რომ მათთვის დამეტესა და როგორ არასდროს მოსულა ჩემთან ირემი, რომლისთვისაც დათესილი არ მქონდა. ყოველ ჯერზე სწორი ირემი მოდიოდა, სწორედ ისეთი, როგორისთვისაც დავთესე. შემდეგ გაჩვენეთ, როგორ დამანახა ღმერთმა, რომ ირმები ზუსტად იმ თანმიმდევრობით მოვიდოდნენ, როგორც დავწერდი დათესვისას. კარგით რა, განა ოდესმე გსმენიათ ასეთი რამ?! მე პირადად არსად გამეგო, სანამ ჩემი საკუთარი თვალით არ ვიხილე. ღვთის სამეცნ ისეთი ზუსტია, რომ მოგიყევით შვიდტოტა ირმის ექსპერიმენტზე და ექვსტოტა ირემზე, რომლისთვისაც ტიმმა დათესა. მე გითხარით, თუ როგორ მასწავლა ღმერთმა, მელაპარაკა ძალაუფლებით და როგორ გაჩერდა ჩემგან 200 მეტრში მყოფი ირემი, როგორც კი მივმართე, შემდეგ როგორ მოვიდა და დადგა ზუსტად ჩემი სადგომის ქვეშ. გიამბეთ ხოხობზე, რომელიც ზუსტად იქ გაჩერდა, სადაც ვუბრძანე, გაჩერებულიყო.

გითხარით იარაღზე, რომლისკენაც მაღაზიაში თითო გავიშვირე და ვთქვი: „მე ასეთს მივიღებ“ და რამდენიმე კვირის შემდეგ, ზუსტად ასეთი იარაღი მაჩუქეს. ასევე გიამბეთ BMW 645Ci კაბრიოლეტზე, რომელიც დრენდამ პარკინგზე დაინახა და თქვა: „აი ეს არის!“ არავისთვის გვითქვამს ამაზე, მაგრამ რამდენიმე კვირაში ეკლესიდან ერთი კაცი მეძახის და მეუბნება: „დღეს დრენდას მანქანა დავინახე“. მე შოკირებულმა ვკითხე, რას გულისხმობდა. მანაც მითხრა, რომ ქალაქში მანქანით მიდიოდა, როცა იდეალურ მდგომარეობაში მყოფი გასაყიდი BMW 645Ci ნახა და დაინახა თუ არა, უფალმა უთხრა, რომ ეს დრენდას მანქანა იყო. ამან ჩემი ყურადღება მიიჰყო, ზუსტად ის მანქანა იყო!

მე-7 თავში ვაპირებ გიამბოთ ისტორია იმაზე, თუ როგორ მივიღე ზუსტად ის თვითმფრინავი, რომლისთვისაც სრულიად მოულოდნელი წყაროდან დავთესე და როგორ მივიღე ფული, მისი საფასურის გადასახდელად. უამრავი ისტორია მაქვს, რაც აჩვენებს, თუ როგორ ზუსტად მოქმედებს ღვთის სამეცნო.

მახსოვს, როცა ჩემს დიდ 26 ქულიან ხარირემს ვესროლე. ნოემბრის საკმაოდ თბილი დღე იყო. ირემი მთელი დღით ჩამოვაკიდე და მეორე დღეს ფიტულების დამამზადებელთან წავილე, რათა მისი თავისგან ფუტლიარი გაეკეთებინა. მან ბეწვს შეხედა და მითხრა: „ვწუხვარ, მაგრამ როგორც ჩანს თბილმა ამინდმა მისი ბეწვი გააფუჭა. არ მგონია რამე გამოვიდეს, მაგრამ მაინც ვცდი“. მე ნამდვილად არ დავუშვებდი, რომ თასის მფლობელი ირემი, რომელიც ჩემი რწმენით მოვინადირე, ჩემს ოფისში არ ჩამოკიდებულიყო. როცა ის კაცი შეიგნია შევიდა, ხელები დავასხი ირემს და განვაცხადე: ბეწვი იდეალური იყო და იდეალური ფიტული გამოვიდოდა. ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი ფიტულის წამოსალებად და მისმა დამამზადებელმა მითხრა: „იცი, მართალია გითხარი, რომ ბეწვი გაფუჭებული იყო, მაგრამ ეს ფიტული იდეალური გამოვიდა. ეს ბეწვი იდეალურ მდგომარეობაშია“.

ასე საათები შემიძლია გავაგრძელო, მაგრამ მთავარი რა არის, რის თქმას ვცდილობ? თითოეული სიტყვით, შენ სულიერი კანონი მოგყავს მოძრაობაში! შესაძლოა, ეს არ გცოდნოდათ. მეც არ ვიცოდი, მაგრამ ეს სიმართლეა. ლეთის სამეფო ძალიან ზუსტია. ნება მომეცით, კიდევ ერთი ისტორია მოგიყვეთ და ამ წიგნში კიდევ ბევრს წააწყდებით, რაც დაამტკიცებს იმას, რასაც ვამბობ. როგორც ხედავთ, მთელი არსებით მინდა, ეს კარგად გაიგოთ.

### სულიერი კანონის მოქმედებაში მოყვანა

ეს დრენდას ერთ-ერთი ქალთა კონფერენციის დროს მოხდა. ჩვენ კადილაკ ესკალადე დავიქირავეთ, რომ სტუმრები აქეთ-იქით გვეტარებინა, როცა ის ქალაქში იყო. კონფერენციის ბოლოს ალმოჩნდა, რომ ესკალადეს დაბრუნება მეორე დილამდე არ გვიწევდა. ამიტომ, მე და დრენდამ გადავწყვიტეთ, სახლში წაგვეყვანა იმ სალამოს, რათა გვენახა: როგორ დადიოდა. მანამდე ესკალადე არასდროს გვიტარებია. ნუ, როგორც წარმოიდგენდით, შესანიშნავად დადის. როცა უკან ეკლესიაში მივიყვანეთ მეორე დილას, ვსაუბრობდით და შევთანხმდით, რომ ერთი ასეთი უნდა გვყოლოდა. მანქანა, რომელსაც იმ დღეებში ვატარებდით, მოკლე ვერსია იყო და მარგალიტისფერი

თეთრი ფერი ჰქონდა. ორივე შევთანხმდით, რომ მოკლე უფრო მოგვწონდა, ვიდრე გრძელი და ძალიან მოგვეწონა ფერიც.

აქედან დაახლოებით ერთ თვეში, ის იყო ფეხი უნდა გადამედგა ზღურბლზე, რათა გაზეთი ამელო, როცა ტელეფონმა დარეკა. ჩემი ეკლესიის ერთ-ერთი წევრი იყო. მან უბრალოდ მითხრა: „მინდა, კადილაკ ესკელადე გიყიდოთ! რა ფერის გინდათ?“ შოკირებულმა ვუთხარი, რომ მარგალიტისფერი თეთრი მინდოდა. თუმცა, დამავიწყდა მეხსენებინა, რომ მოკლე ვერსია მომწონდა. დაახლოებით ერთი თვე გავიდა და ვიფიქრე, რომ ალბათ, მას დაავიწყდა ესკელადეს შესახებ, მაგრამ ტელეფონმა დარეკა და თქვა, რომ მას ჩვენი მანქანა ჰყავდა. შესახვედრად ნავედით და მანაც შესანიშნავი, მარგალიტისფერი მოკლე ესკელადე გადმოგვცა. როცა ახლოს მივედით, მან მოგვიბოდიშა: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გრძელი ვერსად ვიშოვე“. მან არ იცოდა, რომ ჩვენ გრძელი არ გვსურდა. მას თავად გრძელი მოსწონდა და იფიქრა, ჩვენც ასეთი გვენდომებოდა, მაგრამ მხოლოდ მოკლე იშოვა. დიახ, იდეალურ მდგომარეობაში მყოფი ზუსტად ისეთი მანქანა, რომლის შესახებაც შევთანხმდით.

ბოლო რამდენიმე წელში კიდევ ერთი გასაოცარი მაგალითი ვიხილე პიზნესში. შეიძლება იცოდეთ ან არა, რომ მე კვლავ ვფლობ ფინანსური მომსახურების კომპანიას. სანამ ეკლესიის მწყემსვას დავიწყებდი 25 წლის წინ, ჩემს სფეროში არსებულ 5,000 ოფისს შორის, საუკეთესო მქონდა. როცა ეკლესია დავიწყეთ, ვიცოდი ძალიან დაკავებული ვიქწებოდი და ველარ შევძლებდი პირველი ადგილის შენარჩუნებას, რაც ასეც მოხდა. ჩვენს სფეროში უძრავი ქონების გამყიდველები გაყიდვებში მომუშავეებს წამახალისებელ მოგზაურობას სთავაზობენ იმ წლის პროდუქტებისთვის.

უძრავი ქონების ერთ-ერთმა გამყიდველმა, რომელსაც ადრე ვიყენებდი, თავიანთი ოფისების ტოპ 10-ეულს გადასცა 100,000\$ ბონუსად მათ ყოველწლიურ ყრილობაზე. ყველას ვინც 10 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მათ ასევე დააფინანსეს მშვენიერი მოგზაურობა ყველა მათგანისთვის, ვინც 3 მილიონი შეასრულა. მე როგორც წესი, ამ კომპანიისთვის წელიწადში მილიონს გამოვუშავებდი, ამრიგად უფასო მოგზაურობას მივიღებდი და შემდეგ უნდა დავმჯდარიყავი და მეყურებინა, როგორ მისცემდნენ 100,000\$-იან ჩეკებს ტოპ 10-ეულს. მე ამას უკვე 18 წელი იყო, რაც ვაკეთებდი! დიახ, 18 წელი.

არც კი მიფიქრია, რომ ეკლესიის მწყემსვასთან ერთად ამ მიზანსაც მივაღწევდი, ამიტომ ჩემი რწმენაც არ მიმიმართავს ამ მიმართულებით.

მაგრამ ერთ წელს, როცა ყრილობაზე ვიჯექი და ვუყურებდი, თუ როგორ იღებდნენ ტოპ 10-ეულის წარმომადგენლები 100,000\$-იან ჩეკებს, უფალი დამელაპარაკა და მითხრა: „შენ რატომ არ ხარ მათ შორის?“ სანამ ვუპასუხებდი, მან გააგრძელა: „მე მინდა, რომ იქ იყო. მინდა, ჩემი სახელი გამოჩენდეს!“ უკვე მარტი იყო და როგორც ვთქვი: ბოლო 18 წლის განმავლობაში ამ კომპანიისთვის წელიწადში 4 მილიონი მქონდა. ბუნებრივი გზით შეუძლებელი იყო ამ მიზნის მიღწევა, მაგრამ მასზე ვილოცე და მე და ღრენდამ დავთესეთ ჩვენი თესლი, რათა ჩვენი ნიშნული 10 მილიონამდე ასულიყო. უფალმა მაჩვენა, თუ როგორ შემეძლო ცვლილებების მოტანა იმით, თუ როგორ გაძლილოდა ჩემი კომპანია რაღაც საკითხებს, რაც რეალურ ცვლილებებს მოიტანდა. მოკლედ რომ ვთქვა, შემდეგ წელს ტოპ ათეულში მოვხვდით და 100,000\$-იანი ჩეკიც მივიღეთ. მაგრამ მინდა ამ ისტორიის ერთი ნაწილი გაგიზიაროთ! ჩვენ ეს ერთი გაყიდვით მოვახერხეთ!

შემდეგ წელს კომპანიამ თავისი მიზანი 12 მილიონ დოლარამდე ანია 100,000\$-იანი ჩეკის მისაღებად. ასე რომ, ჩვენ დავთესეთ ჩვენი თესლი და იმ წელსაც მოვახერხეთ ეს. მაგრამ, აბა, გამოიცანით, ეს ერთი გაყიდვით შევძელით?! შემდეგი ორი წლის განმავლობაში ეს პროგრამა შეჩერდა. მაგრამ 2019 წელს ისევ განაახლეს 10 მილიონიანი ზღვარით. ჩვენ დავთესეთ და კვლავ მოვხვდით ტოპ ათეულში. აბა, გამოიცანით, კვლავ ერთი გაყიდვით?! განა ეს დამთხვევა იყო, რომ ყოველ წელს მხოლოდ ერთი გაყიდვა გვჭირდებოდა? არა, ჩვენ ვთესავდით, რათა მინიმუმამდე მიგვეღწია, რომ ეს 100,000\$-იანი ჩეკი მიგვეღო. და სწორედ ამას ვაკეთებდით. განა ვფიქრობდით, რომ მხოლოდ ერთი გაყიდვით შევძლებდით ამას? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ვაპირებდით, რომ მთელი წელი სრული სისწრაფით გვემუშვა და თვის ბოლომდე არც ვიცოდით, თუ რა როგორ ხდებოდა რეალურად. ესეც კიდევ ერთი გასაოცარი ამბავი იმაზე, თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი.

## მითითების მიცემის მნიშვნელობა

ამ წლის „უზრუნველყოფის კონფერენციაზე“, ღმერთი დამე-ლაპარაკა, რომ ხალხისთვის მესწავლებინა, რაც მე და დრენდამ მითითებების მიცემაზე ვისწავლეთ. სწორედ ამას უწოდებს მას სულინმიდა, მითითებას. რაღაც დრო დავუთმე ამ ხაზის სწავლებას, რადგან ვიცი, ბევრმა არ იცის ამის კეთების შესახებ. ლექსიკონის განმარტებით, მითითება არის ოფიციალური ან ბრძანებითი ინსტრუქცია. ყურადღება მიაქციეთ, ის არ ამბობს, რომ წყალობისთვის ხვენნა, გოდებაა ინსტრუქცია. არა, ეს ბრძანებითი ინსტრუქცია! ამრიგად, მოდი, უფრო ღრმად წავიდეთ ამაში. თუ მე სულიერად მითითებას გავცემ, ვინ ატარებს მას? დიახ, ვიღაც, მაგრამ მოდი, გავარკვიოთ, ეს ვინაა.

„პასუხად უთხრა მათ იესომ: „გქონდეთ ღმერთის რწმენა! ქეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც ამ მთას ეტყვის, აინიე და ზღვაში ჩავარდიო, გულში კი არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას. ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ“.

— მარკოზი 11:22-24

ამ ნაწყვეტში ორი რამაა, რასაც მინდა ხაზი გავუსვა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ის ამბობს: „ვინც ამ მთას ეტყვის“. აქ ჩანს ის, რაც მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ. ჩვენი სიტყვები ათავისუფლებენ ზეცას დედამინაზე. მეორე, მინდა, ამ ნაწილზე იყოს ჩვენი ფოკუსი!

„გულში კი არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას“.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ამბობს: „მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას!“. არა ღმერთის სიტყვისამებრ, არამედ მისი, ვინც აქ, დედამინაზე იტყვის სიტყვას.

ვაუ! ყველაფერი გააჩერეთ. ამაზე ცოტა ხანს უნდა იფიქროთ! დაე, ჩაიძიროს თქვენში! ეს თქვენზე საუბრობს.

რა ექნება მათ? მოდი, ებრაელთა 1:14 ვნახოთ პასუხის სანახავად.

„განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათთვის  
სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც გადარჩენა უნდა  
დაიმკვიდროს?“

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ანგელოზთა აღსაწერად ორი  
სიტყვაა გამოყენებული: მომსახურება და მსახურება. მსახურება  
ნიშნავს, რაღაც დავალებების შესრულებას სხვისთვის, ამ  
შემთხვევაში შენთვის. ხოლო მომსახურე (ინგლისურში  
მინისტრის მნიშვნელობაც აქვს) არის სახელმწიფოს მაღალი  
თანამდებობის პირი, რომელიც მართავს სახელმწიფო  
აქტივობებს. ჩვენი სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ ვინ არის  
ანგელოზი, ის არის ზეცის სასამართლოს წარმომადგენელი,  
რომელსაც აქვს ძალაუფლება, იმოქმედოს ღვთის სამეფოს  
სახელით შენს სასარგებლოდ! ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩვენ  
ვერ ვმართავთ ანგელოზებს ჩვენ გარშემო, რადგან ისინი ჩვენ  
წინაშე არ არიან ანგარიშვალდებულნი. არამედ, შენ შეგიძლია  
პეტიცია შეიტანო ზეცის სასამართლოში შენი საჭიროების  
შესახებ და მათ გამოგზავნიან. წარმოუდგენელია, არა?!

„რაღაც უნდა ვთქვა? მე ეს არ ვიცოდი“. ეს აღნერს  
გაკვეთილს, რაც ღმერთმა შემდეგ ისტორიაში მასწავლა.

კონკრეტულად იმ წელს, პატარა ხარირმისთვის დავთესე ჩემი  
თესლი. ამ ისტორიის დროს, ძალიან დარწმუნებული ვიყავი,  
რომ მივიღებდი ჩემს ირემს. ამრიგად, წავედი იმ მოლოდინით,  
რომ როგორც წესი, მალევე მოვინადირებდი მას. ხის სადგომზე  
ჯდომისას, ტყეში ნამდვილად დავინახე პატარა ირემი, მაგრამ  
იგი ძალიან შორს იყო ჩემგან, რომ ისარი მესროლა. ვცადე,  
მეთქვა მისთვის, რომ ჩემთან მოსულიყო, მაგრამ არაფერი  
გამოვიდა. მთელი დილა სხვა არაფერი მინახავს. მეორე  
დილასაც წავედი და საერთოდ ვერც კი ვნახე ირემი. ამ დროს  
უკვე მივხვდი, რომ რაღაც ისე ვერ იყო.

როცა მეორე დღეს ტყიდან გამოვდიოდი, სულინმიდის წინაშე  
დავიწყე პასუხისთვის ლოცვა. მან მალევე მაჩვენა, თუ რა იყო  
არასწორად. როცა ირმისთვის დავთესე, უბრალოდ დავწერე  
ჩეკზე, ჩავდე კონვერტში და გავაგზავნე. ხელები არ დამისხია  
ჩეკზე და სიტყვა არ გამომითავისუფლებია, როგორც ყოველთვის  
ვაკეთებდი. შემდეგ სულინმიდამ გამახსენა ისტორია, როცა  
იესომ პური და თევზი გაამრავლა და მიმითითა, რომ იესომ  
აკურთხა იგი, სანამ გამრავლდებოდა. მახსოვს ვფიქრობდი: მეც

ასე უნდა გავაკეთო? წარსულში ყოველთვის ვასხამდი ხელებს ჩემს კონვერტს და ვათავისუფლებდი სიტყვას, მაგრამ იმ დღეს იმდენად დაკავებული ვიყავი, პირდაპირ გავგზავნე კონვერტი და ეს დამავიწყდა. ვფიქრობდი, რომ სამეფოს მმართველობაში სწორედ თესლის დათესვას მოჰქმნდა ირემი.

ერთი სული მქონდა შეცდომა გამომესწორებინა და გამომეცადა ჩემი ახალი აღმოჩენა სამეფოს შესახებ, რათა დამენახა, თუ რამდენად სწორი ვიყავი. ამიტომ კვლავ დავთესე პატარა ირმისთვის, მაგრამ ამჯერად დათესვისას სიტყვა გამოვათავისუფლე მასზე. დაახლოებით ასეთი სიტყვა ვთქვი: „მამა, მე დღეს ვიღებ პატარა ხარირემს, იესოს სახელით, რადგანაც ვთესავ ამ თესლს! მარკოზის 11:24-ის თანახმად ვუწოდებ მას აღსრულებულს და მადლობას გიხდი მისთვის. სულიწმიდა, მოიყვანე ეს ირემი საუკეთესო სასროლ მანძილზე, იესოს სახელით, ამინ!“ როგორც ხედავთ, არაფერი გადაპრანჭული, მაგრამ არც ვეხვენები და ვემუდარები ირმისთვის. მე ვაცხადებ, ჩემს პეტიციას ვაცნობ. ვიღაცა, ვინც ფრონტის წინა ხაზზეა, სულაც არ საჭიროებს თხოვნას ტყვია-ნამდისთვის; ისინი უბრალოდ მოითხოვენ მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ უკვე აქვთ კანონიერი წვდომა, რომ, რაც კი დასჭირდებათ, არაა თხოვნა საჭირო, უბრალოდ უნდა თქვან: „მომაწოდეთ ტყვია-წამალი!“

მეორე დილას, ჯერ კიდევ არ გარიურაუებულიყო, როცა ჩემს ხის სადგომზე ვიყავი და როგორც კი ტყეს ნაცრისფერი შეერია, დავინახე მარტოსული ირემი, როგორ მოდიოდა ჩემკენ. ძალიან ბნელოდა სასროლად, მაგრამ ზუსტად ვხედავდი, რომ ირემი ჩემი ხისკენ მოდიოდა. როგორც კი ჩემს ხეს მოუახლოვდა, ირემი გაჩერდა და დაახლოებით თხეოთმეტი წუთის განმავლობაში ნელა უვლიდა გარშემო ხეს. მარტივად რომ ვთქვა, ძალიან გამიკვირდა. ირემი ჩემი ხისგან 15 მეტრში იდგა და მას წრებს ურტამდა.

როგორც კი ტყეში ნელ-ნელა მზის სინათლემ შემოაღწია, დავინახე, რომ ეს რქიანი ხარირემი არ იყო, რეალურად ფურირემს უფრო ჰგავდა, რადგან პატარა რქების წანაზარდებსაც ვერ ვხედავდი. ჯერ კიდევ არ იყო კარგად განათებული, მაგრამ უკვე კანონიერი იყო სროლა, რადგან ოპაიოში სანადირო საათებსაც კი კანონი განსაზღვრავს. როგორც უკვე ვთქვი, ზუსტად არ ვიცოდი, ეს პატარა ხარირემი იყო თუ არა, მაგრამ

ისიც ვიცოდი, რომ ხშირად პატარა რქები ბეწვის ქვეშაა და არც კი ჩანს. ჩავთვალე, რომ რადგან ეს ირემი ასე უცნაურად იქცეოდა, ჩემი ირემი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც ვესროლე. როცა ირემს მივუახლოვდი, ძალიან გამახარა პატარა რქების დანახვამ და მივხვდი, რომ ნამდვილად ჩემი პატარა ხარირემი იყო. ირემი იქვე დავტოვე, სადაც დაეცა, რადგან ჩემი დანის წამოლება დამვიწყებოდა და სახლისკენ წავედი.

როცა ირემთან დაგბრუნდი, დავინახე, რომ ტიმი მოდიოდა ჩემკენ. მან მკითხა, რამე ხომ არ დამინახავს და მე იმ დილის ამბები მოვუყევი. როცა ირმამდე მივედით, მან თქვა, რომ ბოლო სამი დღე ერთი ირემიც კი არ დაუნახავს გარეთ. ტიმი სამი დღე ჩემთან ერთად დადიოდა და როცა ეს თქვა, მივხვდი რაშიც იყო პრობლემა. გამახსენდა დღე, როცა იგი ჩემს ოფისში მოვიდა და ირმისთვის ჩეკი გამომიწოდა, როგორც მისი თესლი, რომელსაც ეკლესიას სწირავდა. გამახსენდა, რომ არც მას გამოუთავისუფლებია სიტყვა მასზე. მე დრო გამოვყავი და მას ავუხსენი, რაც ღმერთმა მაჩვენა სიტყვის გამოთავისუფლების შესახებ თესვის დროს.

იმ დამით, მე და ტიმს საქმე გვქონდა კოლუმბუსში და სახლისკენ გზად, სწორედ ეკლესიისთვის უნდა ჩაგვევლო. ტიმმა მკითხა, თუ შეიძლებოდა, შეგვევლო, რათა მას კვლავ დაეთესა თავისი თესლი და ამჯერად სიტყვაც გამოეთავისუფლებინა მასზე. როცა ოფისში ვისხედით, მან ექვსტოტა ხარირმისთვის შესწირა. ვიფიქრე, რომ ეს საკმაოდ გაბედული და კონკრეტული განაცხადი იყო.

შემდეგ დილას ტიმი იგივე ხესთან წავიდა, რომელიც წინა დღეს გამოვიყენე. მანაც იგივე გამოცადა, რაც მე წინა დღეს. ჯერ კიდევ არ ერიურავა, როცა ირემი ზუსტად მისი ხისკენ წამოვიდა და წრეზე დადიოდა, სანამ არ გათენდა, ისე რომ, სროლა შეიძლებოდა. ტიმმა ისროლა და იგრძნო, რომ საკმაოდ კარგადაც მოარტყა. სამწუხაროდ, ხარირემი გაიქცა და მიუხედავად იმისა, რომ ორი საათი ვეძებდით, ვერ ვიპოვეთ. ჩვენდა გასაოცრად, მოგვიანებით, იმ დღეს, ჩვენმა მეგობარმა, რომელიც ჩვენგან ერთ კილომეტრში ცხოვრობს, გვითხრა, რომ მისმა მეზობელმა დილას თავის გზაზე ექცისტოტა მკვდარი ირემი იპოვა. ირემს ისარი ჰქონდა გარჭობილი. ამ მეზობლის სახლი ჩვენი ტყიდან ზუსტად იმ მიმართულებით იყო, საითაც ეს ირემი გაიქცა. მეგობარმა გვითხრა, რომ რადგან მისმა

**შეიძლო უცილესი რაოდენობის გადაცვა:** უზრუნველყოფის ქაღა

მეზობელმა არ იცოდა, ვინ ესროლა ირემს, თავად დაკლა იგი. გიუური ისტორიაა, მაგრამ გაკვეთილი ვისწავლეთ.

**გამოათავისუფლე შენი სიტყვა დათესვისას, როგორც ეს იესომ გააკეთა.**

სხვათა შორის, ტიმმა ახალი თესლი დათესა და შემდეგ კვირაში თავისი ხარირემი მოინადირა.

## **ლაპარაკისას იყავი ზუსტი!**

ვიცი, ექვსტოტა ხარირემი საკმაოდ დაზუსტებულია, მაგრამ როგორც აღმოვაჩინეთ, სამეფო ზუსტია! შეხედეთ ბუნებას, მაგალითად.

„ვინაიდან ქვეყნიერების დასაბამიდან ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა — მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა, ასე რომ, ვერ გამართლდებიან ისინი“.

— რომაელთა 1:20

ბიბლია ამბობს, რომ ღმერთის უხილავი თვისებები ბუნებაში ჩანს. ამიტომ, ნება მომეცით, გკითხოთ, „რამდენად დეტალურია ბუნება?“ უკიდურესად დეტალური! მე რომ გითხრათ, რომ მანქანის ყიდვას ვაპირებ, თქვენ აუცილებლად მკითხავთ: „როგორი მანქანის?“ ასე არაა? გონებაში მანქანას ვერ დაინახავთ, როცა უბრალოდ მანქანას ვიტყვი. შენ „მანქანას“ ხედავ, როგორც კონკრეტულ მანქანას, ფორდს ან შევროლეტს, კონკრეტულ მანქანას, კონკრეტული ფერით. სიტყვა მანქანა სურათს ვერ წარმოგადგენინებთ: კონკრეტული მანქანა უნდა დაინახოთ! ასეთი უნდა იყოს შენი ლოცვითი ცხოვრებაც!

ოდესმე წაგიკითხავთ დოკუმენტი, სადაც კანონები იყო? დარწმუნებული ვარ: რომ კი. ისინი ძალიან დეტალურია. ის, რასაც სიტყვით გამოათავისუფლებ ასევეა, მიუხედავად იმისა გინდა ეს თუ არა. ნახეთ, როგორ მსახურობდა იესო?! მას ესმოდა სიტყვების მნიშვნელობა.

„მთიდან ჩამომავალს დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა უკან. აპა, მიუახლოვდა ერთი კეთროვანი, თაყვანი სცა და უთხრა: „უფალო, თუ გინდა, შეგიძლია ჩემი განწმედა“.

გაიწოდა ხელი იუსომ, შეახო მას და უთხრა: „მინდა, განიწმიდე!“ მყისვე განიწმიდა იგი კეთრისგან“.

- მათე 8:1-3

ყურადღება მიაქციეთ, არაფერი მოხდა, სანამ იქსო არ იტყვიდა: „მინდა, განიწმიდე!“

„გაღმა, დადარინელთა ქვეყანაში რომ მივიდა, შემოხვდა ორი ემბაკეული. სამარხებიდან იყვნენ გამოსულნი, ძალზედ მძვინვარენი; ვერავინ ბედავდა იმ გზაზე გავლას. და აპა, მორთეს ყვირილი, ამბობდნენ: „რა გინდა ჩვენგან, ღვთის ძე? ვადაზე ადრე მოსულხარ აქ ჩვენს სატანჯველად?“

მათგან მოშორებით ღორების დიდი კოლტი ძოვდა. ეშმაკებმა ვედრება დაუწყეს: „თუ გაგვდევნი, ღორების კოლტში მაინც შეგვიშვი“.

უთხრა მათ: „ნადიოთ!“ ისინიც გამოვიდნენ და ლორებში შევიდნენ. და აპა, მთელი კოლტი კბოდედან ზღვაში გადაეშვა და წყალში დაიღუპა“.

- മാത്രം 8:28-32

გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ დემონი იქსოს ელაპარაკებოდა და არ გაქცეულა! მათ სუაბარი ჰქონდათ ერთმანეთში. დემონმა მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, როცა იქსომ უთხრა: „ნადიო!“ შენს ხელშია, შენ გაქვს გასალები, მაგრამ უნდა წარმოთქვა! თქვი რაღაც! კვლავ გავიმეორებ, რომ ღვთის სამეფო არის სამეფო, რომლის ძალაუფლებასაც კონკრეტული მდინარება აქვს. შენს სიტყვებს მნიშვნელობა აქვს!

სანამ გავაგრძელებთ, მოდი, მიმოვიხილოთ, რაც ვისწავლეთ! როცა იქსომ აკურთხა პური და თევზი, მათ სამეფო შეიცვალეს. და იქსოს მსგავსად, შენც უნდა მისცე შენს თესლს მითითება, როცა ათავისუფლებ. რის ნახვას ელი, როცა შენს თესლს გამოანთავისუფლებ? ყველა თესლთან გარკვეული სურათია დაკავშირებული.

შეცნ ხელშია, შეც  
გაქვს გასაღები,  
მაგრამ უცდეა  
ცარმოთქვა!

**შეინ ფიცას ური რავოლუცია:** უზრუნველყოფის ქალა

ყველა აღთქმაც ასევე, სურათს ატარებს. ამაზე ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ, მაგრამ შემდეგი საკითხი, რასაც მინდა, შევეხოთ არის, თუ სად უნდა დათესო შენი თესლი?!

## სად უნდა დათესო შენი თესლი?

პირველ რიგში, უნდა დათესო ღვთის დავალებაში მიწიერ სამეფოში. ჩაინიშნეთ, რომ ეს არ გულისხმობს თქვენი ცხოვრების ჩვეულ გულუხვ სტილს, როცა გაჭირვებულებისთვის გასცემ.

„დატაკის მწყალობელი უფალს სესხს აძლევს და ის გადაუხდის მას მისი კეთილი საქმისთვის.“

— იგავთა 19:17

სიმართლეა, რომ როცა გულუხვი ხარ, ღმერთი გადაგიხდის!

„იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნნად თესავს, ის ძუნნად მოიძკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიძკის. თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო, არც მწუხარებითა და არც ძალატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს; ღმერთს კი ძალუს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის. როგორც წერია:

„გაფლანგა, ღარიბებს დაურიგა; მისი სიმართლე რჩება უკუნისამდე!“

ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს — საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.

ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს; რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებებს თქვენ მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა

და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ. თქვენთვის ლოცულობები და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითალუნერელი საჩუქრისთვის!“  
– 2 კორინთელთა 9:6-15

ცხადია, ღმერთი აჯილდოვებს უხვებს. მაგრამ გამცემის ტიპი როგორზეც მე ვსაუბრობ, არის **გამიზნული გაცემა გამიზნული მოჰკით.** გახსოვდეთ, თესლის დასახელების ტიპზე ვსაუბრობ. გულუხვობა, თანაგრძნობიდან გამომდინარეობს და როგორც წესი მე არ ვასახელებ ჩემი გულუხვობის გაცემას, არამედ ვაცხადებ იმას, რაც ახლა წავიკითხეთ 2 კორინთელთა მე-9 თავში, რომ ღმერთი მაძლევს თესლს, რათა ვიყო გულუხვი და თუ განვაგრძნობ გულუხვობას, ის გაზრდის ჩემს ქონებას, რადგან გავზრდი ჩემს გასაცემს.

## გამიზნული გაცემა

უკვე ვახსენე, რომ, როცა ვთესავ, დაკავებული ვარ იმით, რასაც გამიზნულ გაცემას ვუწიდებ. კვლავ ვიტყვი, რომ ასეთ გაცემას გამიზნული მკა აქვს. სწორედ ეს გააკეთა იესომ მარკოზის მე-6 თავში. იგი ძალიან კონკრეტული საჭიროების წინაშე იდგა და ძალიან კონკრეტული პასუხი სჭირდებოდა. მას სჭირდებოდა საჭმელი 20,000 ადამიანის გამოსაკვებად და ძალიან კონკრეტული მარცვალი სჭირდებოდა, რითიც იმოქმედებდა. მის შემთხვევაში, იგი არ თესავდა მარცვალს; იგი იღებდა მარცვალს. და ეს არ ყოფილა თავისუფალი ნება, გაეცი, რაც გინდა — შემოთავაზება. მას უნდა ეპოვა ვიღაც, ვინც დათესავდა კონკრეტულ თესლს, რათა გამრავლებულიყო ღმერთის ხელში. აი, რატომ თქვა მან: „წადით და ნახეთ რამდენი პური გაქვთ!“ პური და თევზი იყო ის, რაც მას სჭირდებოდა იმ დროს, და არა შეშა ან მოსასხამი, კონკრეტულად — თევზი და პური.

დარწმუნებული იყავი, რომ როცა თესავ, გასცემ მითითებას, რომ შენი კონკრეტული საჭიროება დაკმაყოფილდეს. როცა რაიმე კონკრეტული მჭირდება, მე გაცემის ასეთი სტილით

ვმოქმედებ: ვარ მკაფიო იმაში, თუ რა მჭირდება, ვასახელებ ჩემს თესლს, როცა ვთესავ. როცა გავცემ, როგორც წესი ან ჩეკს გავცემ ან ონლაინ ვწირავ, ამიტომ პირდაპირ ჩეკზე ვაწერ. ან თუ ინტერნეტის საშუალებით გავცემ, მითითებას ვაკეთებ იმისა, თუ რა გავეცი, რათა შევინახო ჩანაწერი, მითითება, რაც ამ გაცემას მივეცი და ის თარიღი და დრო, როცა გავეცი. გახსოვდეთ, შენ მომავალში არ ელოდები იმის მიღებას, რაზეც ილოცე ან განაცხადე; შენ უკვე მიიღე ეს ყველაფერი ლოცვისას!

„ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გნამდეთ, რომ მიიღებთ, და მოგეცემათ!“  
– მარკოზი 11:24

გამიზნული გაცემისას უნდა დათესოთ სამეფოს დანიშნულებაში, რაღაცაში, რასაც ლმერთი აკეთებს მიწიერ სამეფოზე. ეს ძირითადად არის მსახურება, სადაც ლმერთმა კაცს ან ქალს ისეთი რამ დაავალა, რასაც დაფინანსება სჭირდება. კვლავ ვიტყვი, ეს განსხვავდება გაჭირვებულის დახმარებისგან, რაც ასევე ლვთის საქმიანობაა, რა თქმა უნდა, და ლმერთი ცხადად ამბობს, რომ დააჯილდოვებს ასეთ გამცემებს. ჩვენ ვსაუბრობთ გამიზნულ გაცემაზე. რა თქმა უნდა, შენ შეგიძლია, დათესო მსგავსი გაცემით შენს ადგილობრივ ეკლესიაში და რეალურად, შენი გამიზნული გაცემის დიდი ნაწილი შენს ადგილობრივ ეკლესიას უნდა მიეცეს.

მშობლიურ ეკლესიაზე საუბრისას უნდა ვახსენოთ, რომ შენი მეათედიც შენს ადგილობრივ ეკლესიას ეკუთვნის. უამრავი ადამიანი მეკითხება, თუ შეუძლიათ თავიანთი მეათედი ჩვენს მსახურებას შემოსწირონ, რადგან ჩვენს ონლაინ მსახურებებს ესწრებიან. მე ვეუბნები: „რა თქმა უნდა“. მაგრამ ასევე მოვუწოდებ მათ, რომ იპოვონ კარგი ეკლესია მათ სახლთან ახლოს. მაგრამ თუ ჩვენ მათი მშობლიური ეკლესია ვართ, მაშინ კი, შეუძლიათ მეათედი შემოგვნირონ. თუმცა როგორც ეკლესის მწყემსმა ვიცი, რომ ადამიანები ბევრად სწრაფად და ბევრად ძლიერები გაიზრდებიან, როცა კარგ ადგილობრივ ეკლესიას ეკუთვნიან. მეორეს მხრივ, ისეთი ეკლესიის ნაწილად ყოფნა, რომელიც ეჭვსა და ურწმუნოებას ასწავლის, ნამდვილად არ არის ისეთი ეკლესია, რომელსაც მხარი უნდა დაუჭირო ან დაესწრო.

ამრიგად, ისევე როგორც ღვთის საქმიანობაში უნდა დათესო, უნდა დათესო თანხმობით ვიღაცასთან ან იმ მსახურებასთან, ვისაც ესმის რწმენა და იცის, თუ რას ნიშნავს თანხმობა. თავი შორს დაიჭირე მათგან, ვინც გეტყვის: „თუ არ შემოგვწირავ, გავკოტრდებით“. ამ წინადადებაში რწმენის ნატამალიც არ არის. ბიბლია ძალიან მკაფიოა იმასთან დაკავშირებით, რომ არ უნდა დათესო, როცა იძულება გაკეთებინებს ამას. თუ ღვთის კაცი ან ქალი თავს დამნაშავედ გაგრძნობინებს იმის გამო, თუკი არ შესწირავ ან წნეხის ქვეშ გამყოფებენ ამის გამო, შენ ფულს კარგად მოკიდე ხელი! რწმენას არ სჭირდება ხელის წაკვრა.

თუ გინდა დათესო, მაგრამ მართლა არ გაქვს მიმართულება კონკრეტული ადგილისკენ, მაშინ დათესე ღვთის იმ საქმიანობაში, სადაც ნათლად ხედავ შედეგებს და რომელიც რწმენას ღვთის სიტყვისამებრ ასწავლის. არასდროს დათესო ეკლესიაში, რომელიც ამბობს, რომ ღმერთი კლავს ადამიანებს, ან კიბოთი აავადებს, რათა რაღაც ასწავლის, ან ნებისმიერ ასეთ სისულე-ლეს. არამედ დათესე მსახურებაში, რომელიც ღვთის სიტყვას ასწავლის.

გახსოვდეთ, რომ დაამოწმოთ ანუ დაილაპარაკოთ დათესვისას. მე და დრენდა ამას მას შემდეგ ვაკეთებთ, რაც ღმერთმა პირველ წელს მასწავლა, როგორ მომენადირებინა ჩემი ირემი. რა თქმა უნდა, იყო წელი, რომლის შესახებაც ამ თავში გიამბეთ, როცა არ დავამოწმე სიტყვით დათესვისას და იცით, რაც მოხდა. ჩვენ გამუდმებით ვამბობდით სიტყვას ჩვენს თესლზე ისე, რომ, არც კი ვფიქრობდით ამაზე და არც ვიცოდით, თუ თესვის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მიმაჩნდა, რომ მხოლოდ თვითონ გაცემის ფაქტი იყო საჭირო, რათა ჩემი გაცემული ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ მომექცია და რეალურად, ასეც ხდება. მაგრამ მკაფიო მითითების გარეშე, არ არის ფოკუსი, არ არის ზუსტი ნაყოფი; და თუ ზუსტად არ იცი ნაყოფი, მაშინ შემთხვევით გამოტოვებ მისი მნიშვნელობის სეზონს.

ძალიან ბევრი გაკვეთილი ვისწავლე ირმებზე ნადირობით. და რადგან ვაჯამებთ ამ თავს იმაზე, თუ როგორ გამოვათავი-სუფლოთ ჩვენი რწმენა, მინდა, კიდევ ერთი ისტორია გიამბოთ.

რამდენიმე წლის შემდეგ, რაც ვისწავლე, თუ როგორ მენადირა რწმენით, რაღაც მიზეზით გადავწყვიტე, რომ არ დავთესავდი იმ წელს. ამის შესახებ ჩემს ცოლთან არ მისაუბრია. უბრალოდ არც მიხსენებია დათესვის ან ლოცვის

## შეინარჩუნოთ რაოდებულია: უზრუნველყოფის ძალა

საკითხი, როცა ნადირობის სეზონი მოვიდა. წინა წლებში ირმები გასაოცარი ისტორიებით მოვინადირე იმ ყველაფრის გამოყენებით, რაც ღმერთმა მასწავლა. მაგრამ როგორც ჩანს, ეს ყველაფრი ჯერ კიდევ ახალი იყო ჩემთვის და გადავწყვიტე, რომ საკმარისი რწმენა მქონდა, რათა ირემი მომენადირებინა და არ მჭირდებოდა რწმენის გამოთავისუფლების ეს ნაბიჯები გამევლო. აბა, გამოიცანით, რა მოხდა?!

პირველ დილას ირემი დავინახე, რომელიც მირბოდა ჩემგან 270 მეტრში და სულ ეს იყო. სალამოს ნადირობაც სრული კრახი იყო. როცა იმ დღეს სახლში ცარიელი ხელებით დავპრუნდი, დრენდას მეგობარი ჰყავდა სტუმრად. მას ვუთხარი, რომ ირემზე ნადირობა, არც ისე კარგად მიდიოდა. ვუთხარი, რომ არ მიყევი ღვთისგან მოცემულ ინსტრუქციას ირმის მოპოვების შესახებ. დრენდამ თქვა: „კი, ამაზე ვფიქრობდი, როცა დილას სანადიროდ გახვედი“. მე ვაღიარე ჩემი შეცდომა და ვთხოვე მათ ჩემთან ერთად ელოცათ ამ საკითხზე. ჩეკი გავამზადე, როგორც ჩემი თესლი ირმისთვის, მაგრამ არ მიმინერია კონკრეტული სქესი. ჩვენ ყველამ დავასხით ხელები, ვილოცეთ და რწმენით მივიღეთ ეს ირემი.

მეორე დღეს, დილას გასვლა ვერ შევძელი, ამიტომ სალამოს გადავწყვიტე ნასვლა. ჩემი საკუთრების საზღვარზე ერთ დიდ ნეკერჩხალს დავადგი თვალი და ვიფიქრე, რომ კარგი სადგომი იქნებოდა და სწორედ იქეთ გავემურე. დეკემბრისთვის ძალიან თბილი სალამო იყო, თუ სწორად მახსოვს თითქმის 20 გრადუსი იყო და ქარიანი დღე იყო. სალამოს ნადირობის დაწყებიდან რამდენიმე წუთში, უზარმაზარი ფურირემი გამოვიდა ტყიდან იმ მინდორზე, რომელსაც დიდი ნეკერჩხალი გადაჰყურებდა. ირემი ჩემ გასწვრივ იდგა, იდეალურ სასროლ ადგილას. როცა გავზომე, მივხვდი, რომ იგი ჩემგან დაახლოებით 70 მეტრში იყო და დარწმუნებული არ ვიყავი, რამდენად მოვარტამდი, რადგან რბილ, 12 კალიბრიან იარაღს ვიყენებდი. მაგრამ ფრთხილად ამოვიდე მიზანში და ირემი დაეცა. ისეთი გახარებული ვიყავი ამის გამო. სახლში დაღამებამდე მივედი. დრენდას მეგობარიც ისევ მოსულიყო და ყველამ ერთად გავიხარეთ სამეფოს კანონებით, თუმცა იმავე დროს ვგრძნობდი, რომ გაკვეთილი ვისწავლე.

ამ თავში, ჩვენ მიმოვიხილეთ სამეფოსგან მიღების მეორე ნაბიჯი:

## ნაბიჯი №2: გამოათავისუფლე შენი თესლი ლოტის სამეფოში

ჩვენ ვისწავლეთ, რომ, როცა ვთესავთ ჩვენს თესლს სამეფოს საქმიანობაში, იგი სამეფოს იცვლის. ასევე მიმოვიზილეთ: როგორ ვათავისუფლებთ ჩვენს თესლს სიტყვებითა და მითითებით? აქ კიდევ რამდენიმე დებულებაა, რაც მინდა, დაიმახსოვროთ, სანამ განვაგრძობთ:

1. ჩვენ შეგვიძლია, ფულს სახელი დავარქვათ;
2. ჩვენ შეგვიძლია დავთესოთ კონკრეტული საჭიროების-თვის;
3. ჩვენ ვერ დაგარქმევთ სახელს მეათედს;
4. გაცემა არ არის ფორმულა; ეს რწმენით უნდა მოხდეს;
5. კონკრეტულ გაცემას კონკრეტული მკა აქვს.

ჩვენს თესლს სიტყვებით ვათავისუფლებთ...



## თავი 6

# როგორ გასაღებია

ჩვენი ეკლესიის დაარსებიდან რამდენიმე წელში, სახლისკენ მივდიოდი და თითქმის ჩვენი ძველი ფერმის სახლის გზაზე ვიყავი, როცა პოლიციის სირენის შუქი შევნიშნე. არაფერი ახალი, ვიფიქრე, რომ ვიღაც გააჩერეს სიჩქარის გადაჭარბებისთვის. მართლაც, როცა შევანელე, პოლიციის მანქანის წინ გაჩერებული მანქანა დავინახე. მაგრამ როცა პოლიციის მანქანას მივუახლოვდი, რაღაცამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. გზის მხარეს ლამაზი, რვატოტა ხარირემი დავინახე. იმ წამსვე მივხვდი, რა მოხდა. ხარირემს იმ მანქანამ დაარტყა, რომელიც გაჩერებული იდგა.

ჩემი მანქანა გაჩერებული მანქანის წინ დავაყენე და პოლიციელს მივუახლოვდი, რათა მეკითხა, თუ რის გაკეთებას აპირებდა ირმისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი სახლის გზა იქიდან 400 მეტრში იყო და სახლში ბავშვები მყავდა გამოსაკვები, ვიფიქრე, ვკითხავდი, თუ შეიძლებოდა ირემი მე წამეყვანა. პოლიციის ოფიცერმა თითქოს შვებით ამოისუნთქა, როცა ვიღაც წახა, ვისაც ირემი სურდა. მან ჩემი სახელი და მისამართი ჩაიწერა, რათა ირმისთვის ბირკა მოეცა.

სანამ ერთმანეთს დავეშვიდობობით, მითხრა, რომ მსგავსი შემთხვევა ხშირად ხდებოდა და თუ დავინტერესდებოდი, ჩემს სახელს ჩაიწერდა სიაში, რათა დაერეკა, თუ გზაზე ვინმე ისეთ ირემს გაიტანდა, რომელიც არავის სურდა. ვიფიქრე, რომ ეს ძალიან კარგად ჟღერდა. ადრეული შემოდგომა იყო და ჯერ სანადიროდაც არ ვიყავი გასული. ეს მანამდე იყო, სანამ მშვილდით ნადირობას დავიწყებდი და თოვით ნადირობის სეზონი დეკემბრის პირველ კვირამდე არ იხსნებოდა, ამიტომ ვიფიქრე, ცოტაოდენი ირმის ხორცის ქონა კარგი იქნებოდა. დიდი დრო არ გასულა და პოლიციელმაც დამირეკა განყოფილებიდან

## შეინარჩუნოთ რაოდებულება: უზრუნველყოფის ძალა

კიდევ ერთი ირმის შესახებ. ასე რომ, თოფით ნადირობის სეზონის დაწყებამდე უკვე ოთხი თუ ხუთი ირემი მყავდა გატყავებული. ზუსტი რაოდენობა არ მახსოვს, მაგრამ სულ მცირე ოთხი იყო. როცა სეზონი გაიხსნა, ჩემი საყინულები თითქმის სულ სავსე იყო.

უცნაური იყო, მაგრამ დრენდა ქალაქიდან გასვლას აპირებდა ერთი კვირით, ნადირობის სეზონის დროს. არ მახსოვს, რატომ უნევდა ნასვლა, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენთვის უცნაური იყო ერთი კვირის განმავლობაში ცალ-ცალკე ვყოფილიყავით. ამიტომ, მასთან ერთად არ მიღოცია ირემზე ნადირობისთვის და არც დამითესავს. ალბათ, დიდად აღარ ვნერვიულობდი ირემს დავიჭრდი თუ ვერა, რადგან ჩემი საყინულე უკვე სავსე იყო. მაგრამ სანადიროდ მაინც გავედი. მოკლედ რომ მოვყვე, მთელი კვირის განმავლობაში გავდიოდი და ერთხელაც კი არ მისროლია. როცა დრენდა დაბრუნდა, შემახსენა, თუ რა მასწავლა ღმერთმა თესლის დათესვასა და ერთად ლოცვასთან დაკავშირებით.

შემდეგი წელი მოვიდა და ამჯერად, იგივე შეცდომის დაშვებას არ ვაპირებდი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის განყოფილებიდან არა ერთხელ დაგვირეკეს გზაზე მოკლული ირმის შესახებ, ვფიქრობ, მხოლოდ ერთი წამოვიყვანე, რადგან ვაპირებდი ჩემი საყინულები ჩემივე ნანადირევით გამევსო. ამჯერად, მე და დრენდამ დავთესეთ ჩვენი თესლი და ვილოცეთ თესლის გამოთავისუფლებისას. ჩვენ არ დაგვიკონკრეტებია ხარირმის ასაკი, მხოლოდ ხარირემი ვახსენეთ. სეზონის გახსნის დილას გასვლა ვერ შევძლი, მაგრამ ერთი სული მქონდა იმ სალამოს სანადიროდ გავსულიყავი. თუმცა სამწუხაროდ, ისევ უშედეგოდ. ძალიან დაბნეული ვიყავი, როცა ტყიდან სახლში ვბრუნდებოდი.

როცა სავახშმოდ დავსხედით, უეცრად ტელეფონმა დარეკა. პოლიციის განყოფილებიდან იყვნენ და აინტერესებდათ, თუ მსურდა კიდევ ერთი გზაზე მოკლული ირემი. მე ვკითხე: თუ სად იყო ის? მათაც მისამართი მითხრეს. ყურებს ვერ ვუჯერებდი. „შეგიძლიათ მისამართი გამიმეოროთ?“ – ვთხოვე მე. მანაც გამიმეორა და დაგრნმუნდი, რომ ეს ჩემი საკუთარი მისამართი იყო! შოკირებული ვიყავი. ფანჯარასთან მივედი და წითელი შუქიც დავინახე გზაზე, ამიტომ ვუთხარი, რომ მაშინვე იქ გავჩნდებოდი. ჩემი შესახვევიდან მთავარ გზამდე 850 მეტრი

იყო და მახსოვს, ეს მანძილი ისე გავიარე, რომ არ მჯეროდა. როცა ირემთან მივედი, ძალიან დიდი ზომის პატარა ხარირემი დამხვდა ძალიან კარგ მდგომარეობაში. რაღაც ფორმები შევავსე, ოფიცირებს მადლობა გადავუხადე და ირემი თავლისკენ წავიყვანე. დაბნეული ვიყავი თუ არა? ძალია! მეორე წლის სექტემბრამდე თუ ოქტომბრამდე ნადირობაზე აღარ მიუიქრია.

## რა არის შენი წყარო?

ზუსტად არ მახსოვს, რომელი თვე იყო, მაგრამ ჩემს უკანა ეზოში დავრბოდი, რასაც იშვიათად ვაკეთებდი ხოლმე, როცა ვვარჯიშობდი. სირბილისას, ბოლო ორი წლის მომხდარ ამბებზე ვლოცულობდი. უეცრად, ჩემს გონებაში ძალიან ცხადად მოვიდა სიტყვები: „პოლიციის სია“. ერთი წუთით დავფიქრდი. ღმერთი ჩემთვის რაიმეს თქმას ცდილობდა? უეცრად მივხვდი. გავაცნობიერე, რომ ჩემი თავდაჯერებულობა ღმერთში ან მის სამეფოში კი აღარ იყო, არამედ პოლიციის სიაში! ვიცოდი, რომ მე, კიდევ რომ ვერც მომეკლა ირემი, პოლიციის განყოფილების სია უზრუნველყოფდა ამას.

იმასაც მივხვდი, რატომ მივიღე წინა წელს ირემი ჩემი გზის ბოლოში და არა ჩემი იარაღის ბოლოში. ჩემი რწმენა რეალურად პოლიციის სიაში იყო. როცა იმ წელს მე და დრენდამ ხარირისთვის დავთესეთ, ირემი ზუსტად თავის დროზე მოვიდა, მაგრამ არასწორ ადგილას. ან იყო კი ეს არასწორი ადგილი? გაოცებული ვიდექი, როცა სულწმიდამ ასეთი მარტივი გახადა ეს ჩემთვის. შემდეგ მივხვდი, რომ ირემი ზუსტად იქ გამოჩენდა, სადაც ჩემი რწმენა იყო, პოლიციის სიაში. როგორც კი ეს გავაცნობიერე, მაშინვე სახლში გავიქეცი, პოლიციის განყოფილებაში დავრეკე და ჩემი სახელი სიიდან ამოვაღებინე. მივხვდი, რომ შენი გეგმა „ბ“, შენი ნამდვილი გეგმა! ამის შემდეგ, აღარ მომხდარა, რომ სანადიროდ გავსულიყავი და ირემი არ გამოჩენილიყოს.

მაგრამ როგორი მაცდურია ჩვენი გული. ჩვენი თავდაჯერებულობა ისე მარტივად გადადის ბუნებრივ მოვლენებზე. ამის შესახებ კარგად უნდა ვიცოდეთ და ყოველთვის ფხიზლად ვიყოთ. რწმენას გეგმა „ბ“ არ სჭირდება. მე ახლაც გაოცებული ვარ იმით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი რწმენა პოლიციის სიაში იყო, ირემი ჩემი გზის ბოლოში

**შეინ უიდესური რაოვლუცია:** უზრუნველყოფის ძალა

გამოჩენდა ნადირობის პირველივე დღეს. და ეს წამოქრის მესამე პრინციპს, რომელიც ღმერთმა მასწავლა.

### **ნაბიჯი №3: გამოათავისუფლე შენი თესლი, როცა გნამს!**

ეს მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც უკვე დავინახეთ, როცა მოწაფეებმა ვერ შეძლეს დემონის გამოდევნა შეპყრობილი ბიჭისგან. იესომ თქვა, რომ ამის მიზეზი მათი ურნმუნოება ან რწმენის ნაკლებობა იყო. იმაზე თუ რა არის რწმენა და როგორ მივიღოთ იგი, უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ვისწავლოთ საკუთარი თავის განსჯა; გვაქვს თუ არა რწმენა. ამრიგად, ნება მომეცით, მარტივი ტესტი გაჩვენოთ, რომელიც შეგიძლიათ საკუთარ თავს ჩაუტაროთ, რათა დაინახოთ მართლა გნამთ თუ არა. თვალები დახუჭეთ, რას ხედავთ?

„ხოლო რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“.

– ებრაელთა 11:1

რწმენა არის დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს. იმედი ყოველთვის ქმნის სურათს, რომელსაც თან ატარებს. მე თუ ნაყინს დაგპირდებით, მაშინვე ნაყინს ნარმოიდგენთ გონებაში.

**როცა გჯერა  
ღვთის აღთემის  
და სრული  
დარწმუნება გაქვს,  
რომ შემოქმედს  
აქვს განზრახვაც  
და იმის  
შესაძლებლობაც,  
რომ აღასრულოს  
თავისი დაპირება,  
დაინახავ  
საკუთარ სურათს  
ამ დაპირების  
აღსრულებით.**

თუ გჯერათ, რომ წრფელი ვარ ჩემს შემოთავაზებაში და მაქვს საშუალება, გადავიხადო ამისთვის, დაინახავ შენს თავს ნაყინით ხელში, რაც გამოჩენდება იმაში, რომ მოლოდინი გაგიჩნდება.

იგივეა ქეშმარიტება ღვთის სიტყვის შემთხვევაში. როცა გჯერა უფლის აღთქმის და სრული დარწმუნება ვაქვს, რომ ღმერთს აქვს განზრახვაც და იმის შესაძლებლობაც, რომ აღასრულოს თავისი დაპირება, დაინახავ საკუთარ სურათს, ამ დაპირების აღსრულებით. იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა, არ გქონდეს აღთქმული რაღაც იმ მომენტში, ისე მოიქცევი, თითქოს

გაქვს, რადგან გრძნობ, რომ გაქვს. ალთქმა ნამდვილია, განზრახვა ნამდვილია და იგი შენია. ამრიგად, რწმენა, სრული დარწმუნებულობის ქონა უზენაესის განზრახვასა და ძალაში, არის შენდამი მოცემულ ალთქმაში დარწმუნება. ის არის ასევე იმის დადასტურება, რასაც ვერ ხედავ.

თუმცა შენ კვლავ გჭირდება, რომ ჩეკი გაანალდო, რაც კანონიერი პროცესია, რომელიც სულიერ სამეფოსაც იგივენაირად შეესაბამება, როგორც ფიზიკურს. ამრიგად, როცა ვამბობ: „დახუჭე თვალები! რას ხედავ?“ მე ამას ვგულისხმობ. თუ ამას ვერ ხედავ, ვერ ჩაეჭიდები. მოდი, კიდევ უფრო გავამარტივებ! თუ თვალებს, როცა ხუჭავ, ვერ ხედავ შენს თავს ალთქმულით, ესე იგი, არ გწამს. თუ ავად ხარ და თვალებს, რომ ხუჭავ შენს თავს განკურნებულს ხედავ, არა შიშით, არამედ სრულად დარწმუნებული, რომ განკურნებული ხარ, ეს რწმენაა. მაგრამ თუ ხუჭავ თვალებს და შენს თავს კვლავ ავადმყოფს ხედავ, ელოდები როდის განიკურნები, მაშინ არ გწამს. თუ ფული გჭირდება და გწამს ღვთის ალთქმის, მაშინ აღარ ღელავ ფულზე, რადგან ხედავ შენს თავს იმ უზრუნველყოფით, რაც გჭირდება.

### შიში რწმენის საწინააღმდეგო მდგომარეობაა

ასეთ დარწმუნებულობას თან შიში არ ახლავს. თუ კვლავ ნერვიულობ შედეგებზე, ეს ნიშნავს, რომ არ გწამს. რწმენასთან კავშირში ისიც უნდა იცოდე, თუ როგორ განსაზღვრო გწამს თუ არა. არ უნდა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თუკი არ გწამს, რადგან თუკი არ გწამს, გეშინია. შიში ყოველთვის თავს არიდებს რისკს და ეს ურწმუნოებაა. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ ყოველთვის მაშინ უნდა დათესო შენი თესლი, როცა გწამს. არ უნდა დათესო ფორმულის მიხედვით, უბრალოდ გაცემის ქმედების მიყოლით, რადგან ეს არაფერს მოიტანს. დარწმუნებული უნდა იყო იმაში, რასაც ღმერთი ამბობს, რომ როცა თვალებს დახუჭავ, მხოლოდ შენს თავს და ამ ალთქმას ხედავდე. შენ უკვე გაქვს ეს, შენ ფლობ მას, ის შენია და მშვიდობამ ჩაანაცვლა ყოველგვარი შფოთვა, რაც კი გქონდა.

„არაფერზე იდარდოთ, არამედ ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუზყეთ თქვენი სურვილი ღმერთს. და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ

გონიერას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“.

– ფილიპელთა 4:6-7

როცა გწამის, გაქვს მშვიდობა, რომელიც გარემოებებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ აღთქმაზე.

გარდა ამისა, რწმენის მაჩვენებელია იმ უნარის ქონა, რომ დაიცვა საკუთარი თავი სულიერი სასამართლოს წინაშე. რადგანაც რწმენა ლვთის სიტყვაზეა დაფუძნებული, უნდა იცოდე, რატომ გჯერა ის, რისიც გჯერა. წარმოიდგინეთ, რომ სასამართლო დარბაზში ხართ და თქვენ ხართ დამცველი ადვოკატი. ბრალდების მხარე აკახადებს, რომ თქვენი კლიენტი მათი კლიენტის სახლში ცხოვრობს უკანონოდ და რომ ეს სახლი რეალურად შენს კლიენტს კი არა მათ კლიენტს ეკუთვნის. რას გააკეთებდი? იტყოდი, რომ წუხარ და რომ შენი კლიენტი მაშინვე დატოვებს მის კუთვნილებას? თუ ხელში ხელმონერილი დოკუმენტი გიჭირავს, შიშს თავდაჯერებულობა ჩაანაცვლებს და მოსამართლეს ეტყვი, რომ ეს თვითმარჯვიები სასამართლოდან გაყაროს. აი, როგორ მოქმედებს რწმენა. მან იცის სიმართლე, თავდაჯერებულია და სიამაყით მოდის. ასე რომ, შეგიძლია შენი პოზიციის დაცვა?!

სარა ერთ დღეს ჩვენს ეკლესიაში მოვიდა ისე, რომ არც კი იცოდა, სად მოდიოდა. ის და მისი მეუღლე კოლუმბუსში გადმოვიდნენ და ლოცულობდნენ ეკლესის პოვნაზე. აქეთ-იქით სიარულისას, ჩვენს გზაზე გადმოუხვიერების და იფიქრეს, ესეც ეცადათ. იმის მერე აღარც წასულან. სარა მთელი ცხოვრება ასთმისგან იტანჯებოდა. მთელი ბავშვობა საავადმყოფოებში წინ და უკან სიარულში გაატარა, მისი ცხოვრება ამ დაავადების მძევლად ქცეულიყო. მან ისწავლა, თუ როგორ აერიდებინა თავი ისეთი გარემოსგან, რაც მისი ასთმის გამწვავებას იწევევდა და ყოველთვის თან დაპქრონდა ინჰალატორი.

რწმენით სიცოცხლის ეკლესიაში, მან ისწავლა, რომ განკურნება მისი კანონიერი უფლება იყო; ისწავლა, თუ როგორ დაეცვა საკუთარი თავი სულიერად. ერთ მსახურებაზე, როცა უსმენდა ჩვენს ერთ-ერთ წევრს, თუ როგორ განიკურნა იგი სასიკვდილო დაავადებისგან, მან გადაწყვეტილება მიიღო. ლმერთი კონკრეტულ ადამიანებს არ სცემს პატივს. მან ჩანთიდან ინჰალატორი ამოილო და მის ნაცვლად ბარათები

ჩადო, რომლებზეც მუხლები ეწერა სახარებიდან, რაც მის კანონიერ უფლებებს აღნერდა განკურნების მისაღებად. იგი მათ ყოველ დღე კითხულობდა. როგორც კი იგრძნობდა, რომ ასთმის შეტევა ეწყებოდა, ინპალატორის ნაცვლად ჩანთიდან სახარების ბარათს იღებდა და ამის შემდეგ აღარასდროს ჰქონია ასთმის შეტევა!

დეიდაჩემი მოვიდა ჩემთან ოჯახურ შეკრებაზე. მკითხა, თუ ვილოცებდი მისთვის, რადგან ფილტვის კიბო ჰქონდა და კვირა-ნახევრის შემდეგ ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ სიმსივნის ამოსაკეთად. მან მიამბო, რომ ექიმები ყურძნის ზომის სიმსივნეს უკვე წელინად ნახევრის განმავლობაში აკვირდებოდნენ მის ფილტვებში. მოულოდნებლად, მან სწრაფად დაიწყო ზრდა და ექიმებმაც თქვეს, რომ უნდა ამოეკეთათ. როცა ვიდექი და მის ისტორიას ვისმენდი, მისი განვლილი ცხოვრება აღვიდგინე. მთელი ცხოვრება სიგარეტზე იყო მიჯაჭვული და ვიცოდი, რომ ეკლესიაშიც წლები არ ყოფილა. დაგპირდი, რომ აუცილებლად ვილოცებდი მისთვის, მაგრამ ვიგრძენი, რომ იმ მომენტში ლოცვისთვის არ იყო მზად. ვკითხე მისთვის ლოცვამდე, თუ წაიკითხავდა რაღაც მასალას, რომელსაც მივცემდი განკურნების შესახებ?! ვუთხარი, რომ სიამოვნებით ვილოცებდი მისთვის იმ კვირის მსახურებაზე, თაყვანისცემის შემდეგ. ისიც დამთანხმდა.

ვიცოდი, რომ გული უფალს წლების წინ მიუძლვნა, მაგრამ უფლისთვის არ ცხოვრობდა. იმედი მქონდა, რომ დროის გამოყოფა იმის წასაკითხად, რაც ღმერთმა განკურნების შესახებ აღგვითქვა, მის რწმენას განამტკიცებდა. ასევე ვიცოდი, რომ ბევრად დიდი შანსი გვექონდა დადებითი შედეგი გვენახა, თუკი ლოცვისას უფლის სიტყვა იქნებოდა ჩვენი ღუზა და იმედი, რასაც ვენდობით.

ამრიგად, შემდეგ კვირას დეიდაჩემი მოვიდა ეკლესიაში, როგორც დამპირდა. თაყვანისცემის მსახურების შემდეგ, ვთხოვე, წინ გამოსულიყო. როცა იქ დადგა, ვკითხე, თუ წაიკითხა ის მასალა, რაც მივეცი, ისიც დამეთანხმა. ამიტომ ვკითხე: „საიდან იცი, რომ განიკურნები, როცა ხელებს დაგასხამ?“ მან რამდენიმე მუხლი მომიყვანა ბიბლიიდან და მითხრა, რომ დარწმუნებული იყო ღვთის სიტყვის თანახმად. იმ მომენტში ვიცოდი, რომ მზად იყო სალოცავად. ხელები დავასხი და სრულად განკურნებულად და კიბოსგან თავისუფლად გამოვაცხადე. ლოცვის დროს, უფლის ცხებულება გადმოვიდა

მასზე და იატაკზე დაეცა უფლის ძალის მოქმედებით. როცა ადგა, ცახცახებდა და ამბობდა: „მე განვიკურნებ!“

სამშაბათს ოპერაციაზე წავიდა, რათა სიმსივნე ამოეკვეთათ, მაგრამ როდესაც ნახეს, იქ არაფერი იყო. არანაირი სიმსივნე, არც რაიმე შრამი ან ნაშთი იმისა, რაც მიანიშნებდა, რომ იქ ოდესმე რაიმე იყო.

ისეთი უცნაურია, უყურო ადამიანებს: როგორ ცხოვრობენ საკუთარი ცხოვრებით? ალბათ, იფიქრებდით, რომ დეიდაჩემი ისეთი მადლიერი იქნებოდა დავთის მისი განკურნებისთვის? რომ ერთ მსახურებასაც კი აღარ გამოტოვებდა ეკლესიაში, მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება. მაგრამ ასე არ მომხდარა. მგონი ამის შემდეგ მხოლოდ ერთ კვირას დავინახე. ექვსი თუ შვიდი წლის შემდეგ სხვა ტიპის სიმსივნით გარდაიცვალა. მაგრამ ამჯერად, აღარ უთხოვია ჩემთვის, რომ მისთვის მელოცა.

### ჩაეჭიდე იმ მომენტს, როცა რწმენას ათავისუფლებ!

ერთი რამ, რასაც ადამიანებს ვახსენებ, არის რომ ყოველთვის არის დრო „ამინის“ თქმიასა და იმ მომენტს შორის, როცა თამამად

**ყოველთვის არის**

ვიტყვით: „აი ისიც!“ ამის გამო, ძალიან

**დრო „ამინის“**

მნიშვნელოვანია, ჩაეჭიდო მომენტს,

**თქმასა და იმ**

როცა რწმენა გამოათავისუფლე. გირ-

**მომენტს შორის,**

ჩევ გირდო, ეს ჩაინიშნოთ თქვენს ბლოკ-

**როცა თამამად**

ნოტში ან ფურცელზე, რათა საკუთარ

**ვიტყვით: „აი ისიც!“**

თავს შეახსენოთ ხოლმე. ეს უკვე

**ამის გამო, ძალიან**

ვახსენე, მაგრამ დარწმუნებული

**მინიჭელოვანია,**

ვარ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია.

**ჩაეჭიდო მომენტს,**

მე დაახლოებით ასე ვწერ ხოლმე:

**როცა რწმენა**

„12 ნოემბერს, 1:30 საათზე, მჯერა,

**გამოათავისუფლე!**

რომ მივიღე (აქ ჩასვავთ კონკრეტულ

საჭიროებას) მარკოზის 11:24-ის

თანახმად და მჯერა, რომ მივიღე მაშინ, როცა ვილოცე!“

შეგიძლიათ ასევე, მიანეროთ: ვისთან ერთად შეთანხმდით

ამაზე? რა თანხა დათესეთ და ლვთის რა საქმეში დათესეთ?

ეს უბრალოდ მაგალითია, მაგრამ მნიშვნელოვანია, ჩაინიშნოთ,

რადგან შეგიძლიათ, მისით იბრძოლოთ.

როცა გარემოებები გაცდუნებენ, რომ შიშის მდგომარეობაში უკუიქცე, შეგიძლია საკუთარ თავს შეახსენო ის თარიღი და

დრო, როცა პასუხი მიიღე! როცა შიში ეცდება, წამოიმართოს, მე ამ ჩანიშვნას ავიღებდი და ხმამაღლა წავიკითხავდი, როგორც განაცხადს. „არა, შიშო, შენ მატყუარა ხარ! მე უკვე მივიღე ეს ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე ამ მუხლის (და აქ ჩასვამთ მუხლს, რომელსაც ეყრდნობით) თანახმად“. ზოგჯერ მინეცს, ეს ჩანიშვნა რამდენჯერმე წავიკითხო, რათა გულში მშვიდობა შევინარჩუნო. არ მისცე ნება იმას, რაც იმ მომენტში შესაძლოა მარცხად მოგეჩვენოს, რომ გაცდუნოს და რწმენა დაგაკარგვინოს! რეალურად, ეს პრინციპი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, როცა ჩემი შვილები იზრდებოდნენ, რომ ჩვენს ყოველ კვირეულ ოჯახურ ლოცვით შეხვედრაზე, გვქონდა უურნალი, სადაც ჩავნერდით, რაზეც ვილოცეთ და რაც გვნამდა, რომ მივიღეთ. ჩვენ მას ჩვენს „იაკობის 4-ის რვეულს“ ვუწოდებდით. რეალურად, ჩვენი მსახურების მეშვეობით ვყიდით ამ რვეულებს, თუ გენდომებათ.

ზოგჯერ ისეთი რამ ხდება სულში, რაც არ იცი. ღმერთი მოქმედებს, რომ ყველაფერს უდირიჟოროს, მაგრამ ამას დრო სჭირდება. შესაძლოა, ფაზლის ბევრი წაწილი იყოს, რაც თავის ადგილზე დადგებას საჭიროებს. მაგალითად, თუ ღმერთი აპირებს, ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილებას, ის შესაძლოა, ვიღაცას დაელაპარაკოს, რომ ამაზე იზრუნოს ან შენ შესაძლებლობა მოგცეს, საჭირო თანხა გამოიმუშავო. კვლავ ვიმეორებ, ამ ყველაფერს დრო სჭირდება.

„კვლავ მითხრა: „ნუ გეშინია, დანიელ, რადგან პირველივე დღიდან, როცა შენი გული გონიერებას დაუთმე და თავი დაიმდაბლე შენი ღვთის წინაშე, შესმენილ იქნა შენი ლოცვები და მოვედი შენი სიტყვის საპასუხოდ. მაგრამ სპარსეთის სამეფოს მთავარი მეწინააღმდეგებოდა ოცდაერთი დღე. და აპა, მიქაელი, ერთ-ერთი პირველი მთავართაგან, მოვიდა ჩემს დასახმარებლად და იქ დავტოვე იგი სპარსეთის მეფესთან. მოვედი რომ გაგაგებინო, რა შეემთხვევა შენს ხალხს უკანასკნელ დღეებში, რადგან შორეული მომავლის დღეებს ეხება ეს ხილვა“.

– დანიელი 10:12-14

მოდი, კიდევ ერთხელ შევხედოთ კამპუსის ისტორიას, რომელიც ზემოთ გიამბეთ. ბევრი შენობა ვნახეთ და რამდენიმეს ყიდვას განვიხილავდით კიდეც, მაგრამ ვერ ვგრძნობდით შინაგანში, რომ უნდა გვემოქმედა, რომელიმე მათგანთან დაკავშირებით. როცა პირველად დავიწყეთ კამპუსის ძიება, დავთესეთ, რათა ღმერთს ეჩვენებინა ჩვენთვის იდეალური ადგილი. ყოველ ჯერზე, როცა ვპოულობდით რაიმე ღოკაციას და განვიხილავდით მას, გადამოწმების სულს ვგრძნობდით სულში, რამაც თითქმის იმედიც კი დაგვაკარგინა. ყველა შენობა შევამოწმეთ იმ ტერიტორიაზე, სადაც კამპუსი გვსურდა, მაგრამ არც ერთი შესაძლებლობა არ იყო, რომლისადმიც კარგი გრძნობა დაგვეუფლებოდა.

ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორც ეკლესიის, მოიცავს ძლიერ სურვილს, დავეხმაროთ ბავშვებს განათლების მიღებაში და ვიზრუნოთ ოჯახებზე. ყოველთვის ვლაპარაკობდით, რომ ოდესმე შესაძლოა, სკოლა გვქონოდა, დღის ცენტრი გვქონოდა, მიუსაფართა პროგრამა და მრავალი სხვა პროგრამა, რათა ჩვენს დასახლებას მოვმსახურებოდით. ჩვენი ამჟამინდელი ადგილის რესურსი ამონურულია, რამაც გამოიწვია ჩვენი სწრაფვა, სხვა გამოსავალი გვეძებნა.

შესაძლოა, გეფიქრათ, რომ თითქოს ღვთის სამეფო არ მოქმედებდა, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ უკვე გვექნდა დათესილი იდეალური კამპუსისთვის. რეალობა ის იყო, რომ ღმერთმა იცოდა, სკოლა, რომელიც შემდეგ შევიძინეთ, მალე გახდებოდა გასაყიდი. იგი დიდ სურათს ხედავდა. ეს ადგილი არ იყიდებოდა მაშინ, როცა პირველად დავიწყეთ ძებნა.

იმის გარდა, რომ იცოდა, სკოლა ჩვენთვის იდეალური კამპუსი იქნებოდა, მან ისიც იცოდა, როგორ შევძლებდით ჩვენ მისი საფასურის გადახდას. იმ წყვილთან ვახშამი, რომლებმაც ეს კამპუსი გვიყიდეს, მინიმუმ ოთხჯერ ენერა ჩემს კალენდარზე. მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო, ორივე მხარეს გვიწევდა გადაგვედო ვახშამი იმ საღამომდე, როცა შევხვდით. ზუსტად იმ დილას ვნახეთ ეს შენობა, როცა მათ შევხვდით.

სხვებსაც სურდათ ამ სკოლის შეძენა, მაგრამ ჩვენ პირველებმა შევიტანეთ განაცხადი. ყველაფერი იდეალურად იყო დროში გათვლილი. როცა იმ ვახშამდე ორი დღით ადრე 100,000\$ დავთესეთ სულიწმიდის მითითებისამებრ, დარწმუნებული ვარ, სატანა აპირებდა დაემალა ეს სკოლა ჩვენგან ან სხვა ტაქტიკა

გამოეყენებინა, რათა ჩვენთვის წაერთმია. როცა ღმერთმა მითხრა, რომ დამეტესა თანხა და შემერისხა სატანის ჩარევა ამ საქმეში, მჯერა მისი ჩარევის გეგმები შეჩერდა.

წყვილი, რომელთაც კამპუსის საყიდელი ფული მოგვცეს, ამ დროს სხვა მეგობრის დახმარებაზე ფიქრობდნენ, რაღაც ტერიტორიის ყიდვაში, რომლისთვისაც სწორედ ის თანხა უნდა გამოეყენებინათ, რაც ჩვენთვის გამოიყენეს შემდგომში. მას შემდეგ, რაც იმ საღამოს ჩვენი ისტორია მოისმინეს, თქვეს, რომ მიხვდნენ, თუ რატომ ვერ მიიღეს გადაწყვეტილება და რატომ არ ჰქონდათ გულში მშვიდობა იმ მეგობრის დამხარების შესახებ. ამიტომ გახსოვდეთ, მაშინაც კი, როცა რწმენით ლოცულობთ და იცით, რომ ლოცვისას უკვე მიიღეთ, არსებობს დრო „ამინსა“ და „აი ისიც“-ს შორის! ამიტომ იდექით მედგრად და მოთმინებით!

### იდექით მტკიცედ თქვენს რწმენაში!

„მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ ზრდასრული, სრულებრივი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე.“

– იაკობი 1:4

აი, რატომ ვთავაზობ ადამიანებს, ჩაიწერონ თარიღი და დრო, როცა რწმენას გამოათავისუფლებენ, რადგან მყარად დგომა გჭირდებათ!

როცა ჩემს გოგონას 6 კილოგრამიანი სიმსივნე ჰქონდა მუცლის ღრუში, ძალიან დაიღალა ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობის გაძლებით, რასაც ის იწვევდა: მუდმივი ინფექცია თირკმელში, მუდმივი ზურგის ტყივილი და მომნელებელი სისტემის პრობლემები. მან გადაწყვიტა, რომ უკვე საკმარისი იყო და გადაწყვიტა გამოეყო 30 დღე, რათა ჩაღრმავებოდა ღვთის სიტყვას და უფლის ალთქმებს განკურნებასთან დაკავშირებით. ამ პერიოდის ბოლოს, მე და დედამისს გვთხოვა მისთვის ხელები დაგვესხა და გველოცა, რადგან სწამდა, რომ განკურნებული იყო. პერიგად მე და დედამისმა, ეკლესიის ხუცესებთან ერთად ხელები დავასხით და ვირწმუნეთ, რომ იგი განკურნებული იყო იაკობის 5:14-16-ის თანახმად.

„არის თქვენს შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი, ილოცონ მასზე და ზეთი სცხონ უფლის სახელით. და რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და, თუ რამ ცოდვა ჩაუდენია, მიეტევება. აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ, რადგან ბევრი რამ შეუძლია მართლის გაძლიერებულ ლოცვას.“

- იაკობი 5:14-16

იმ საღამოს სახლში ისეთივე მდგომარებაში წავიდა, როგორც მოვიდა, კვლავ უზარმაზარი სიმსივნე ჰქონდა სხეულში. მაგრამ ის ამბობდა: „მე განკურნებული ვარ!“ მან კიდევ ორი კვირა გაატარა ამ აღიარებით ისე, რომ არაფერი შეცვლილა, მეტიც, გაცილებით საშინელი ტკივილები ჰქონდა, ვიდრე მანამდე. მან მითხრა, რომ იმ ორ კვირიან პერიოდში, ასეთი ტკივილების დროს, სატანას უმეორებდა: „შეგიძლია, ეცადო და მატკინო, მაგრამ მე განკურნებული ვარ!“

ორი კვირის შემდეგ, დასაძინებლად წავიდა ისე, რომ კვლავ სიმსივნე ჰქონდა სხეულში, მაგრამ დილას სრულად განკურნებულმა გაიღვიძა. მან 6 კილოგრამი და 23 სანტიმეტრი გარშემოწერილობა დაკარგა ძილში. და მისი ზურგი, რომელიც მოხრილი და დაგრეხილი იყო, კვლავ იდეალურ ხერხემლად იქცა.

როცა დარწმუნებული ხარ აღთქმაში, არ მისცე ნება სატანას, გაცდუნოს და წაგართვას შენი განკურნება ან ის აღთქმა, რაც ღმერთმა მოგცა!

როცა ქრისტინე ჩვენს ეკლესიაში მოვიდა, მაინც და მაინც დიდი გამოცდილება არ ჰქონდა ამ სფეროში. ეს ყველაფერი ახალი იყო მისთვის. იგი წლების განმავლობაში ორ სასმენ აპარატს ატარებდა და იმ დროისთვის სმენის დიდი ნაწილი დაკარგული ჰქონდა. დედამისაც იგივე დაავადება ჰქონდა და თითქმის სულ ყრუ იყო.

როცა ქრისტინე ჩვენს ეკლესიაში დაიწყო სიარული, უფალს მისცა თავისი გული და ღმერთმა რადიკალურად შეცვალა მისი ცხოვრება. ის აღფრთოვანებული იყო და სურდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო ღვთის სამეფოზე. ეკლესიაში ახალმოქცეულთათვის მორწმუნის საორიენტაციო გაკვეთილები გვაქვს და ქრისტინემაც დიდი სიამოვნებით დაიწყო მათზე დასწრება. ეს

გაკვეთილები სხვადახვა თემას ფარავს, მაგრამ ისე მოხდა, რომ ის გაკვეთილები, რომლებზეც ქრისტინა მიდიოდა, განკურნებას შეეხებოდა. ამ სესიების ბოლოს, ხელმძღვანელებმა შესთავაზეს, ელოცათ მათზე, ვისაც განკურნება სჭირდებოდათ. ქრისტინე აღფრთვანებული გავიდა წინ სალოცავად. როდესაც მასზე ლოცულობდნენ, უეცრად ყურის სმენა გაეხსნა. ცხოვრებაში პირველად, მას სრულყოფილად ესმოდა.

როცა იმ დღეს მსახურებიდან სახლში მიდიოდა, ვიგრძენი, უნდა გამეფრთხილებინა სატანის კონტრშეტევაზე. მართლაც, როგორც მითხვა, მეორე დილას, მოულოდნელად კვლავ დაეხშო სმენა და მოვიდა საცდური, რომ დაეჭვებულიყო. მაგრამ მე გავაფრთხილე, რომ ეს მოხდებოდა და ვუთხარი, როცა ასე მოხდებოდა, განეცხადებინა, რომ განკურნებულია და შეერისხა სატანა.

ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ვუთხარი. მან დაიწყო ღვთის განდიდება და იმის განცხადება, რომ განკურნებული იყო და მტერს არ აძლევდა ამის უფლებას. რამდენიმე წუთში სმენა კვლავ დაუბრუნდა და მას შემდეგ ასეა, ეს კი დაახლოებით ოთხი წლის წინ მოხდა.

კვლავ ვიტყვი, ღვთის სიტყვაზე მტკიცედ დგომა შენი გასაღებია თავისუფლების მოსაპოვებლად.

**კვლავ ვიტყვი,  
ლოცის სიტყვაზე  
მტკიცედ დგომა  
შენი გასაღებია  
თავისუფლების  
მოსაპოვებლად.**

## კვლავ ვიტყვი — იყავით კონკრეტულები!

რწმენის გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ კონკრეტულები იყოთ! ეს ისტორია იმაზეა, როცა ღმერთმა რეალურად მაჩვენა ჩემი სიტყვების მნიშვნელოვნება. მას უკვე წლებია ვყვები, მაგრამ ახლაც ისევე ძლევამოსილია, როგორც მაშინ, როცა მოხდა.

ჩემი ულებრივი ირმებზე ნადირობის სეზონი იყო, მზად ვიყავი ტყეში გავსულიყავი, მაგრამ ძალიან დაკავებული ვიყავი. კონკრეტულად იმ წელს, ორი ხარირმისთვის დავთესე, ერთი ოთხტოტა ან კიდევ უფრო დიდი ირმისთვის, ხოლო მეორე პატარა ირმისთვის, რომელსაც ჯერ არც ემჩნევა რქები. მე და დრენდამ შეთანხმებით და რწმენით დავთესეთ. პირველად სანადიროდ

დილით გავედი, როცა ჯერ კიდევ არ ერიურავა. როგორც კი ცას ვარდისფერი შეერია, რვატოტა ირემი მოვინადირე. სულ 15 წუთი გავატარე ჩემს ხესთან! ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი! ამიტომ, როცა ორი კვირის მერე ისევ გავედი სანადიროდ პატარა ირმისთვის, ძალიან თავდაჯერებული ვიყავი. ისევ ადრიანად გავედი და დაახლოებით 20 წუთში დავინახე, თუ როგორ მოდიოდა ჩემკენ რვატოტა ირემი.

ოპაიოში, მხოლოდ ერთი რქიანი ირმის მოკვლის უფლება გაქვს. მეორე ან ფურირემი უნდა იყოს, ან პატარა ხარირემი. პატარა ხარირემი ფურირმად ითვლება, რადგან იმდენად პატარა რქები აქვთ, რომ შორიდან ვერც კი შეამჩნევ. ამიტომ, რადგან ჩემკენ მომავალი ხარირემი შევნიშნე, ვიფიქრე, მალევე გატრიალდებოდა სხვა მხარეს, მაგრამ არა. ზუსტად ჩემს ხესთან მოვიდა და უძრავად გაჩერდა 20 წამის განმავლობაში. მე მხოლოდ ყურება შემეძლო, რადგან მისი მოკვლა კანონის დარღვევა იყო. 20 წამი გაუნძრევლად დგომის შემდეგ, უეცრად მოტრიალდა და ზუსტად იგივე გზით წავიდა, როგორც მოვიდა. იგივე 250 მეტრი გაიარა მინდვრის გავლით და გაუჩინარდა. მე ძალიან გაოცებული და ამავდროულად, დაბნეული ვიყავი.

არასდროს მქონია შემთხვევა, რომ ჩემი ხის სადგომთან ისეთი ირემი მოსულიყო, რომლისთვისაც მე დათესილი არ მქონოდა. დაბნეული ვიყავი, ამიტომ, როცა უკან სახლში ვპრუნდებოდი, ვლოცულობდი და ღმერთს ვეკითხებოდი: „უფალო, რატომ მოვიდა ეს ირემი?!“ უეცრად გავიგონე, თუ როგორ მიმითითა სულინმიდამ: „შენი დათესილი შეამონმე“. რა შევამონმო? ეს ცოტა მეუცნაურა. ზუსტად ვიცოდი, რა და რისთვის დავთესე. მიუხედავად ამისა, ის ბანკი, რომელსაც მე ვიყენებ, ყოველთვიურად მიგზავნის გამოყენებული ჩეკების ასლებს. მეც მაშინვე დავტაცე ხელი და ეს ჩეკი მოვძებნე. ჩეკის ბოლოში მენერა: „ორი ხარირემი ოთხტოტა ან უფრო დიდი, ერთი პატარა ხარირემი“. ეს რამდენი ირემი გამოდის? ანუ იმას ვგულისხმობ, რომ მე მსურდა ორი ირმის მიღება, ერთი ოთხტოტა ან უფრო დიდი, ხოლო მეორე პატარა. მაგრამ ისე დავწერე, რომ გამოვიდა ორი ოთხტოტა ან უფრო დიდი ირემი და ერთი პატარა ირემი. გაოცებული ვიჯექი. ის მეორე ხარირემი იმიტომ მოვიდა, რომ ასე მქონდა დათესილი. აი, რატომ გადმოჭრა მთელი მინდორი და რატომ გაჩერდა ჩემი ხის ქვეშ. იქ უნდა ყოფილიყო.

ამის დანახვისას ყვირილი და სახლის გარშემო სირბილი დავიწყე. ეს ისეთი აღმაფრთვანებელი იყო, თუმცა ამავ-დროულად, ამან შემაშინა. რამდენჯერ მითქვამს ისეთი რამე, რაც რეალურად არ მსურდა, რომ მომხდარიყო, მაგრამ ჩემი სიტყვის გამო მოქმედებაში მოვიყვანე? ამან ნამდვილად გააცოცხლა იაკობის 3:3-4.

„აჰა, ცხენებს ლაგამს ამოვდებთ, რათა დაგვემორჩილონ და ვმართავთ მათ მთელ სხეულს. აჰა, ხომალდები, როგორი დიდებიც არ უნდა იყვნენ და როგორმა ძლიერმა ქარებმაც არ უნდა მიმოიტაცონ, პატარა საჭე იქით მიაბრუნებს მათ, საითაც მესაჭე მოინდომებს.“

– იაკობი 3:3-4

იაკობი საუბრობს, თუ რამდენად ძალმოსილია სიტყვა. ნათელია, რომ თუ სხვა რამ გვსურს, მაგრამ ჩვენი სიტყვები რეალურად სხვა რამეს ამბობს, ცოტა ხანში აღმოვაჩინთ როგორ დაიმსხვრევა ჩვენი ცხოვრების ხომალდი და ვერც კი მივხვდებით, იქ როგორ აღმოვჩინდით.

ამრიგად გახსოვდეს, ღვთის სამეფო ძალიან კონკრეტულია და შენი სიტყვები განსაზღვრავენ, თუ კონკრეტულად სად მიხვალ და როგორ მიხვალ იქ?!

### თანხმობის მნიშვნელობა

კვლავ რწმენის გამოთავისუფლებაზე ვსაუბრობთ თესლის დათესვისას და აი, რაღაც, რაც უნდა გახსოვდეთ! თუ დაქორწინებული ხართ, თანხმობაში იყავი შენს მეუღლესთან. თუ არ გყავს მეუღლე, ამაზეც ახლავე ვისაუბრებ, მაგრამ მოდი, ჯერ ჩავთვალოთ, რომ დაქორწინებული ხარ. იყავი თანხმობაში შენს მეუღლესთან!

როცა ახალდაქორწინებული ვიყავი, ვერ ვიტანდი დრენდასთან შეთანხმებას ჩემს ნადირობასთან დაკავშირებით. მიზეზი კი ის იყო, რომ ვიცოდი, თუ სანადიროდ ნასვლას ვახსენებდი, მაშინვე დაიწყებდა საუბარს იმაზე, რომ ნაგავი იყო გასატანი, ნათურა შესაცვლელი ან კიდევ უამრავი სხვა რამ გასაკეთებელი. ეს მაშინ ხდებოდა, როცა მოუმნიფებელი და ეგოისტი ვიყავი. ის მთელი დღე ბავშვებთან იყო, მე კი როგორც კი სახლში

მოვიდოდი, მაშინვე ტყეში მინდოდა გაქცევა. არ ვფიქრობ, რომ ღმერთი აკურთხებს ასეთ დამოკიდებულებას. დიახ, ეგოისტი ვიყავი. სანამ ვისწავლიდი, თუ როგორ მენადირა რწმენით, დღეებს ვატარებდი ნარუმატებელ ნადირობაში. სულაც არ მიკვირს, რომ ნადირობის სეზონის ეშინოდა.

მაგრამ ვისწავლე, რომ პირველ ადგილზე ის დამეყენებინა. მომინია, მესწავლა, რომ ჩვენ ამაში ერთად ვიყავით და

## მე უდია

მესწავლა, რომ,  
როგორც ცოლი  
და ქარი, ჩვენ  
ერთი ვიყავით  
სულიერად და  
არაურს ჰქოდა  
იმაზე მეტი ძალა,  
ვიდრე ჩვენს  
შეთანხმებას  
რაიმეში.

მხოლოდ ირმებზე ნადირობას არ ეხებოდა. აღმოვაჩინე, რომ ერთად სიარული ნებისმიერ სფეროში ამართლებდა.

ერთმანეთს ვჭირდებოდით. როგორც კი მისი საჭიროებების პირველ ადგილზე დაყენება დავიწყე, მისი დამოკიდებულებაც შეიცვალა და სიხარულით მთანხმდებოდა ნადირობასთან დაკავშირებით. უზომოდ გახარებული იყო, როცა ხედავდა, თუ როგორ ვნადირობდი ნარმატებით. მე უნდა მესწავლა, რომ როგორც ცოლი და ქმარი, ჩვენ ერთი ვიყავით სულიერად და არაურს ჰქონდა იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ჩვენს შეთანხმებას რაიმეში. ეს

„ასევე თქვენც ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უფრო სათუთ ჭურჭლებს, პატიცი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ“.

- 1 პეტრე 3:7

უურადლება მიაქციეთ კაცებო, რომ თუ გონივრულად არ მოეპყრობით ცოლებს, ლოცვა დაგიბრკოლდებათ! გონივრულად მოპყრობა გულისხმობს, რომ ცოლს შენს თანაბრად აღიქვამ, რადგან ერთი ხარ მასთან, ყველა გადაწყვეტილებაში. დიახ, სულიერად, კაცია ქორწინების თავი, მაგრამ არა დიქტატორის, არამედ მსახურის ფორმით, რომელიც საკუთარ ცხოვრებას მას უძღვნის და პატივს სცემს.

## და თუ შენი მეულლე მორწმუნე არ არის?

უამრავ წერილს ვიღებ, სადაც ადამიანები მეკითხებიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, თუ დაქორწინებულნი არიან ადამიანებზე, რომელთაც არ სურთ ღმერთს ემსახურონ. როგორ შეუძლიათ მათ შეთანხმება ერთმანეთთან? არასწორად გესმით შეთანხმება. მოდი, ვთქვათ, დაქორწინებული ხართ კაცზე, რომელიც უფალს არ ემსახურება. თუმცა, ორივე თანხმდებით, რომ ახალი მანქანა გჭირდებათ. ხვდებით? თანხმდებით! თუ ორივე თანხმდებით, რომ სურსათი გჭირდებათ, მაშინ თანხმობაში ხართ ერთმანეთთან. ბიბლია ძალიან ცხადად ამბობს, რომ თუ ამ ერთობიდან რომელიმეს მაინც სწამს ღვთის სიტყვის, მაშინ ღვთის სამეფოს კანონიერი უფლება იმოქმედოს ამ ოჯახში!“

„რადგან ურწმუნო ქმარი ცოლით განიწმიდება და ურწმონო ცოლი ქმრით განიწმიდება; სხვანაირად თქვენი შვილები არანმიდანი იქნებოდნენ, ახლა კი წმიდანი არიან!“.

– 1 კორინთელთა 7:14

მე არ ვფიქრობ, რომ ეს ნიშნავს, შენი ურწმუნო მეულლე გადარჩება შენი რწმენის გამო. მე მჯერა, რომ თითოეულმა ადამიანმა პირადად უნდა მოუხმოს იქსოს სახელს. თუმცა მჯერა, რომ თუ ერთ მეულლეს სჯერა ღვთის სიტყვის, მათი რწმენა აკურთხებს ანუ მთელს ოჯახს სამეფოს კურთხევის ქვეშ მოაქცევს. რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესია ქორწინებაში მორწმუნე ადამიანთან ერთად ყოფნა. და ბიბლია ცხადად ამხნევებს მორწმუნე მეულლეებს იმ ჭეშმარიტებით, რომ მათ რწმენას შეუძლია მათი ურწმუნო მეულლე სამეფოს შემატოს.

თუ დაქორწინებული არ ხარ, არ გჭირდება სხვა ადამიანის მოძებნა, ვისთანაც ლოცვაში შეთანხმდები. უბრალოდ შენ თვითონ ირწმუნებ ღვთის სიტყვას და უყურებ როგორ მოქმედებს სამეფო!

რადგან რწმენის თემაზე ვართ, მინდა, შემდეგ თავში განვიხილო ის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი კითხვა, რომელსაც დათესვასთან დაკავშირებით მისვამენ და ის შეცდომა, რომელსაც უამრავი ადამიანი უშეებს.



თავი 7

## გაფრთხელება: დაცი შენს გაზრდილ რწმუნაში!

„ოთხას კილოგრამიან მარლინს დავიჭერ!“ ეს იყო ჩემი ერთ-ერთი კოლეგის კომენტარი, რომელიც სამოგზაუროდ მიდიოდა მაუიში, ჰავაიში, ჩემს ოფისთან ერთად. ეს იყო მოგზაურობა, რომლის საფასურსაც სრულად ფარავდნენ, რაც ჩვენი საქმიანობით მოვიგეთ ერთ-ერთი ჩვენი კლიენტისგან. მაუიში წასვლამდე სამმა ჩვენგანმა ლურჯ მარლინზე თევზაობა გადავწყვიტეთ, რადგან საიდუმლო არაა, რომ მაუი ლურჯი მარლინების დედაქალადაა ცნობილი მთელ მსოფლიოში. წასვლამდე თვეებით ადრე დავიწყეთ თევზებზე ლაპარაკი და ვაპირებდი, ბიჭებისთვის მესწავლებინა, თუ როგორ ხდება ეს პროცესი. დენი ახალი იყო რწმენის სამყაროში და მახსოვს, ვფიქრობდი, რომ ეს კარგი შესაძლებლობა იქნებოდა მისთვის ნაბიჯი გადაედგა და საკუთარი თვალით დაენახა სამეფოს მოქმედება. ამიტომ ვუთხარი: „დენ, იცი შესაძლებელია, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე იცოდე, რომ, როცა ჰავაიზე წავალთ, ლურჯ მარლინს დაიჭერ?!“ ამან მისი ყურადღება მიიცყრო და მაუიში წასვლამდე უამრავი დრო გავატარეთ რწმენაზე საუბარში. დენმა დათესა თავისი თესლი, როგორც მე ვასწავლე და აღელვებული ელოდა მისი ოცნების ახდენას, ლურჯ მარლინთან შეხვედრას.

ჩემი მეორე კოლეგა ჩემი ეკლესიის წევრი იყო, საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა რწმენის მოქმედებასთან დაკავშირებით და უკვე არაერთხელ ენახა ლმერთის გასაოცარი საქმეები მის ცხოვრებაში. მანაც დათესა თავისი თესლი მარლინის დაჭერასთან დაკავშირებით და არა უბრალოდ მარლინის, არამედ 400 კილოგრამიანი მარლინის დასაჭერად. მახსოვს, გავიფიქრე:

„ვაუ, ეს ნამდვილად დიდი თევზია!“ მე რაღაც აზრები მქონდა მისი თევზის კონკრეტულ ზომასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ დროს მისთვის არაფერი მითქვამს.

მეორე მხრივ, დენს სულაც არ შეუწირავს კონკრეტული ზომის თევზისთვის. მოკლედ გეტყვით, რა მოხდა. დენმა 75 კოლოგრამიანი ლურჯი მარლინი დაიჭირა, მაგრამ ჩემს მეორე კოლეგას საერთოდ არ დაუჭერია თევზი. ამრიგად, რატომ დაიჭირა დენმა მარლინი, ჩემმა მეორე მეგობარმა კი – ვერა? ეს კარგი კითხვაა და მრავალი ადამიანი, მათ შორის მრავალი ქრისტიანი, ძალიან გაოცებული იქნება ამ კითხვის დასმითაც კი. ისინი უბრალოდ გაიცინებენ და იტყვიან: „თევზაობა ასეთია, ზოგჯერ დაიჭერ თევზის, ზოგჯერ ვერა“. მაგრამ მე ვისწავლე, რომ ლვთის სამეფო ძალიან კონკრეტული და სანდოა.

„ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ლვთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.

ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად!“

მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ლამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს“.

ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მენილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ.

ამის მნახველი სიმონ-პეტრე იესოს წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: „გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ!“ რადგან გაოგნებამ შეიპრო ისიც და ყველა მასთან მყოფიც იმ თევზის სიმრავლის გამო, მათ რომ დაიჭირეს; ასევე დაემართათ იაკობსა და იოანეს, ზებედეს

ძეებს, სიმონის მეწილეებს. უთხრა იესომ სიმონს: „ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანებს დაიჭერ!“

– ლუკა 5:1-10

პეტრემ თევზაობის ახალი გზა აღმოაჩინა, როგორც მე ნადირობის შემთხვევაში. მან სცადა თევზაობა, მაგრამ ვერაფერი დაიჭირა, სანამ იესომ არ უთხრა, სად ეთევზავა, ღრმად წყლებში. მან იქ იმდენად ბევრი თევზი დაიჭირა, რომ მისი ორი ნავი ლამის ჩაიძირა. მე ვეუბნები ადამიანებს: „ყველას შეუძლია დაიჭიროს თევზი, თუკი იესო ეტყვის მას, თუ სად და როგორ ითევზავოს.“

ამრიგად, ჩემი მეგობრის შემთხვევაში, რომელმაც ვერ დაიჭირა თავისი დიდი მარლინი, დიახ, ჭეშმარიტია, რომ ყველაფერი შეგიძლია ღმერთთან ერთად. მაგრამ თუ შენ დათესავ და ორწმუნებ, რომ ლურჯ მარლინს შენს აბაზანაში დაიჭერ, თავიდანვე გეცოდინება, რომ ეს არ გამოვა. თუ გენდომებოდა ლურჯი მარლინის დაჭერა, დათესავდი მისთვის და სულიინმიდა წაგიძლვებოდა იქ, სადაც მის დაჭერას შეძლებდი — ოკეანეში, რა თქმა უნდა, მაგრამ ოკეანეში სად?

ეს გახსოვდეთ: ყველა მკას აქვს თავისი უნიკალური ადგილი და დრო მყისთვის! თუკი გენდომებოდა მსოფლიო რეკორდის მომხსნელი ლურჯი მარლინის დაჭერა, უბრალოდ ვერ იტყოდი: „ოკეანეში გავცურავ“. შენ ოკეანეში კონკრეტულ ადგილას მოგიწევდა წასვლა. რატომ? რადგან ლურჯი მარლინი მიგრირებს და კონკრეტულ კურსს მიჰყვება ყოველ წელს. 400 კილოგრამიანი ლურჯი მარლინის დაჭერაც იშვიათობაა. მაგალითად, მირამარში, ფლორიდაში, უკვე 17 წელია იმართება „ზურმუხტის სანაპიროს ლურჯ მარლინზე თევზაობის კლასიკური ტურნირი“. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დაჭერილი ყველაზე დიდი ლურჯი მარლინი 399 კილოგრამს იწონიდა. შესაძლებელი იყო მაუიში ამ მოგზაურობის დროს 400 კილოგრამიანი მარლინის დაჭერა? შესაძლო იყო, რადგან ჰავაიზე დაჭერილი რეკორდული წონის ლურჯი მარლინი 624 კილოგრამი იყო, მაგრამ ეს ჩაიწერეთ.

რაც უფრო კონკრეტული ან უნიკალურია შენი რწმენის ობიექტი, მით უფრო მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციო: ადგილს, მეთოდს და დროს.

იმ დღეს მაუიში, ნავის კაპიტანმა გვითხრა, რომ ლურჯი მარლინი ჯერ არ იყო იმ ტერიტორიაზე. მან გვითხრა, რომ ორი ნავი ჰქონდა, რომლებიც ბოლო თხის განმავლობაში დღეში რვა საათი დაცურავდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი ზოლიანი მარლინი დაიჭირეს. ლურჯი მარლინი იმ თვის უფრო გვიან რიცხვებში გამოჩნდებოდა. რა თქმა უნდა, ჩევნ იმ სეზონზე პირველი ლურჯი მარლინი დავიჭირეთ. მაგრამ, როცა ჩემმა მეგობარმა მისი თესლი ასე კონკრეტული გახადა და თანაც სარეკორდო მარლინი დაისახა მიზნად, მკისთვის კიდევ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სწორ ადგილს და დროს. მე უბრალოდ დარწმუნებული ვარ, რომ იმ ტერიტორიაზე, იმ დროს არ იყო სარეკორდო ზომის მარლინი. ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ შესაძლოა, ჩემს მეგობარს სულაც არ ჰქონდა იმის რწმენა, რომ დიდ თევზს დაიჭირდა. მაგრამ თუ ნამდვილად სერიოზულად არის განწყობილი 400 კილოგრამიანი მარლინის დაჭერაზე, ვიცი, თუ დათესავს და მოუსმენს სულინმიდას კონკრეტულ ადგილმდებარეობასთან და კონკრეტულ დროსთან დაკავშირებით, აუცილებლად მიიღებს 400 კილოგრამიან ლურჯ მარლინს.

## ადგილმდებარეობასა და დროს მნიშვნელობა აქვს

მკის დროს კონკრეტულ ადგილსა და დროს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც კონკრეტული თესლის დათესავას მისთვის. თქვენ ამ ყველაფრის რეალობაში განხორციელება დაინახეთ, როცა შვიდტოტა ირემზე ჩავატარე ექსპერიმენტი. იქამდე ვიცდიდი, სანამ შინაგანში არ ვიგრძენი, რომ უნდა გავსულიყავი სანადიროდ; და ამ შემთხვევაში, ნადირობის სეზონის დაწყებიდან ერთი თვე მომიწია დაცდა. რატომ? სავარაუდოდ იმიტომ, რომ შვიდტოტა ირემი ჯერ არ იყო ჩემს ტერიტორიაზე, ან შესაძლოა კიდევ სხვა ფაქტორებიც იყო, რაც ხელს შეუშლიდა ჩემს წარმატებას, როგორიცაა ამინდი და ქარის მიმართულება, მაგალითად.

სულინმიდამ იცოდა სწორი დრო იმ კონკრეტული მკისთვის და სწორ დღეს, სწორ დროს, სწორ ადგილას გამიყვანა, რათა ზუსტად ის ირემი მომენტირებინა.

მე ხშირად მესმის და ვხედავ ამ შეცდომას. „გარი, კი მაგრამ, თუკი როგორც შენ ამბობ, სამეფოს მოჰყავს ირემი, რატომ არ

გადიხარ და კლავ მსოფლიო რეკორდის მომხსნელ ირემს?“ კარგი შეკითხვაა და უნდა შევეხოთ მას. ეს წინადადება ძალიან ჰგავს იმ წერილებს, რომელთაც ვიღებ ადამიანებისგან, რომელსაც სურთ 500 000 \$-იანი ბინის გირაო გადაიხადონ და მითხრეს, რომ დათესეს თესლი, რათა შვიდ დღეში გადაიხადონ სრულად. და როცა შვიდ დღეში ასე არ მოხდა, იმედი გაუცრუვდათ და მეკითხებიან: რატომ არ გამოჩნდა საჭირო თანხა? კიდევ

ერთი კითხვა, რომელსაც ხშირად ვიღებ, ასე უდერს: „რატომ არ შეიძლება უბრალოდ დავთესო თესლი და მოვიგო ლატარია?“

კარგი, მოდი, ჯერ რეკორდულ ხარისხმთან დაკავშირებულ კითხვაზე ვისაუბროთ! დიახ, მჯერა, რომ შემეძლო, მომევლა რეკორდსმენი ხარისხმი, თუკი ეს იქნებოდა ჩემი ლტოლვა, რაც ასე არ არის. მე ძირითადად ხორცისთვის ვნადირობ და ჩემი მოტივაცია, სულაც არ არის რეკორდული წონის ირმის მოკვლა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც არ მაქვს მოტივაცია ვსდიო მსოფლიო რეკორდის მომხსნელ ხარისხმს ისაა, რაც უკვე აგიხსენით, ვემაპს შენს აბაზანაში ვერ დაიჭერ. მსოფლიო რეკორდსმენი ირემი ჩემს საკუთრებაზე არ არის. მე რომ ძალიან სერიოზულად მქონდეს განზრახული ამ ირმის მოკვლა, ვიცი, სადმე სხვაგან მომინევდა სანადიროდ წასვლა. ალბათ, ახალი ტაქტიკების შესწავლაც მომინევდა, რადგან რეკორდსმენი ირმები, როგორც წესი, ღამით დადიან და მათთვის დამახასიათებელი, უნიკალური ჩვევები აქვთ. ძალიან ბევრი კვლევა და ლოცვა დამჭირდებოდა მათი ადგილსამყოფელის დასადგენად. მაგრამ არ მსურს მთელს ამ პრობლემებში გავლა. მე მომწონს ჩემს საკუთარ ტყეებში ნადირობა. მომწონს, როცა ჩემ უკანა ეზოში გავალ და საჭმელად მშვენიერ ირემს მოვინადირებ კომფორტულად, ჩემსავე ტყეში. მაგრამ თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო, მჯერა, რომ ადამიანს შეუძლია, ერწმუნოს ღმერთს ასეთი ირმისთვისაც, მაგრამ გახსოვდეთ, რაც ვთქვი! რაც უფრო უნიკალური და კონკრეტულია მკა, მით უფრო მნიშვნელოვანია: ადგილმდებარეობა, დრო და მეოთხი.

როგორც წესი, როცა ვინმესგან წერილს ვიღებ კითხვით, თუ რატომ არ ჩნდება მილიონი დოლარი ხუთ დღეში, ვხვდები, რომ ალბათ, ყოველთვის არ ვესაუბრები ადამიანს, ვინც ისწავლა რწმენისა და კადნიერების განსხვავება.

**ნება მოხაცით,  
გავიმარრო! —  
ცვიქრობა, კიდევ  
მოსხენა  
გაიღდებათ —  
ღმერთს აქვს შეიდ  
გეგმა!**

როგორც ის წერილი, რომელშიც ერთ დღეს მომწერეს, რომ აპირებდნენ დაეთესათ ათი მილიონი დოლარის მისაღებად 30 დღეში, მაშინ, როცა არ ჰქონდათ სურსათიც კი, ბოლო სამი თვის განმავლობაში ვერ იხდიდნენ ქირას და არც სამსახური ჰქონდათ. ძალიან შორს იყვნენ გაზრდილი, განვითარებული რწმენისგან.

ამრიგად, გარი, ამბობ, რომ ღმერთი ვერ მისცემს ვიღაცას ათ მილიონ დოლარს?! რა თქმა უნდა, მას შეუძლია, მისცეს. ყველაფერი შესაძლებელია ღმერთთან ერთად. კითხვა იმაში კი არ მდგომარეობს „შეუძლია მას თუ არა?“ არამედ „მართლა გაქვს ამისთვის რწმენა თუ არა?“ თუკი შენს რწმენას არ შეუძლია მოგიტანოს საკვები, რომელიც გჭირდება, ვეჭვობ ვერ გექნება საკმარისი რწმენა, რომ ცხოვრების ამ ეტაპზე ათი მილიონი დოლარი მიიღო. მაგრამ შეგიძლია აქამდე მიხვიდე! უნდა დაიწყო იქიდან, სადაც ახლა ხარ, ისწავლო, როგორ მოქმედებს რწმენა და გააფართოვო შენი შესაძლებლობები, რათა მეტი მოახერხო, ვიდრე ახლა ახერხებ.

## შეგიძლია ირწმუნო რომ ლატარიას მოიგებ?

ლატარიაზე რას იტყვით?

ვაუ, მოლი, ამ თქმაზე გადავხტეთ! ბოლო წლებში ძალიან გაიზარდა ბურთების ჯეკოტი. მახსოვს წინა წელს თითქმის ერთ მილიარდ დოლარს მიაღწია! ცხოვრებაში არასდროს მიყიდია ლატარიის ბილეთი, მაგრამ ამჯერად, როცა მილიარდს მიაღწია, ჩემს ოფისში რამდენიმე თქვა: „ჰეი, მოდი, რამდენიმე ბილეთი მაინც ვიყიდოთ!“ ბევრი არ მიფიქრია ამაზე, ვიფიქრე რამდენიმე დოლარს მეც გადავისვრიდი ამისთვის. ალბათობა ვიცოდი, არც მჯეროდა, რომ მოვიგებდი, მაგრამ ვფიქრობდი, უბრალოდ ჩემს თანხასაც ჩავაგდებდი თასში. როგორც ყველა ამბობდა: „ვიღაცამ ხომ უნდა მოიგოს“. ვფიქრობდი, როცა ვინმე მოიგებდა ამ ლატარიას, არ მინდოდა, მეფიქრა, რომ გამოვტოვე შანსი სულ მცირე 1 დოლარით მაინც ჩავრთულიყავი. ნამდვილად მრცვენია, რომ ამაში გავები.

იმ ღამით, ღმერთი დამელაპარაკა სიზმარში ამის შესახებ. მან უბრალოდ მითხრა: „ყველა ჩემი აღთქმა შენია!“, „დიახ უფალო, მესმის შენი, ძალიან ცხადად და გარკვევით!“ – ვუთხარი მე, – „ყველაფერი გავიგე“. დიახ, მან შემისწორა, მაგრამ გამამხნევა

კიდეც. მან ამიხსნა, რომ მე არ მჭირდებოდა ეს ლატარია და თუ მე დამჭირდებოდა მიღიარდი დოლარი, იგი უზრუნველყოფდა ამით, როცა დამჭირდებოდა. 7,000-მდე აღთქმა მაქვს, რომ ამის უფლება მაქვს, და ეს საკმარისზე მეტია!

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ იმ შეკითხვას, რაც ლატარიის ან რაიმე შეჯიბრის მოგებას ეხება; შენ არ გაქვს მმართველობა მასზე. მე შემიძლია შევწირო ირმისთვის, რადგან იგი ადამიანს ემორჩილება. მათზე კანონიერი მმართველობა მაქვს. მაგრამ არ მაქვს მმართველობა ლატარიაზე, ეს შანსზე დამოკიდებული თამაშია.

## როგორ მიხვდე, როცა რწმენა არ გაქვს?!

იმის განსჯა, გაქვს თუ არა რწმენა, დაგეხმარება გადაწყვეტილებების მიღებაში და იმის გაცნობიერებაში, რომ უბრალოდ არ მიიღო გადაწყვეტილება, თუ გეშინია. გახსოვდეთ, რწმენა თავდაჯერებული, მომლოდინე და მშვიდობით სავსეა. როცა ჩემი პირველი თასის ხარირმის მოსანადირებლად წავედი თავდაჯერებულობა არ მქონდა. რწმენა არ მქონდა. შეგიძლიათ მიხვდეთ, როცა რწმენა არ გაქვთ? იმედი მაქვს, შეგიძლიათ!

როგორც იცით, მე და დრენდას 12 ჰექტარი მშვენიერი ტერიტორია გვაქვს, სადაც ტყეუც არის, ჭაობიც და მინდვრებიც. იდეალური ადგილია ირმებზე სანადიროდ. მთელს ჩვენს ტერიტორიაზე ნათესებია და ტყეები და ჭაობები ბუნებრივი მაგნიტის როლს ასრულებენ ირმისთვის. ჩემი ოფისი ჩვენს ავტოფარეხზე ავაშენე ხის თაროებითა და ჩაშენებული გაზის ბუხრით. მშვიდი, მყუდრო ადგილია, სადაც მუშაობა ძალიან მიყვარს. ერთადერთი რამ, რაც აკლდა, იყო კარგი ხარირმის ფიტული ჩემი მაგიდის თავზე. სიმართლე რომ ვთქვა, დიდი ირმის მოკვლა არასდროს ყოფილა ჩემი ინტერესის საგანი, რადგან მე ხორცზე მონადირე ვარ და არასდროს მისვრია ირმისთვის, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ მისგან ფიტული გამოსულიყო. მაგრამ ამაზე ბევრი ფიქრის შემდეგ, დრენდასთან შევთანხმდი, რადგან სწორედ მან დაიუნია, რომ ოფისისთვის დიდი ირემი მომეულა.

ხუთი წლის განმავლობაში ვცხოვრობდით ამ ტერიტორიაზე და იმ ადგილას დიდი ხარირემი არასდროს მენახა. ყოველ ნადირობის სეზონზე გავდიოდი და რამდენიმე კარგი, რვატოტა

ირემი მყავდა მოკლული, მაგრამ არც ერთი, რომელსაც ფიტულისთვის მოვიაზრებდი. მაგრამ იმ წელს, დრენდას ვუთხარი, რომ ვფიქრობდი, კედლისთვის დიდი ხარირები მომეკლა. კვლავ ვიმეორებ, რომ იმ ადგილებში არასდროს მინახავს დიდი ირემი. ჩვენი სამზარეულოს ფანჯარა პირდაპირ ტყესა და მინდორზე გადის, მაგრამ ერთიც არ დამინახავს.

მაგრამ მე და დრენდამ დიდი ხარირმისთვის დავთესეთ. ჩემი ჩეკის ფურცელზე დავწერე, რომ ათ ან მეტ ტოტანი ირმისთვის ვწირავდი. მთელი დღის განმავლოვაში მქონდა რწმენა რვა, ექვს ან

**უკვე ყველაფერი  
შენია ჩვეო  
მეგობარო, მთელი  
სახაფო! ღმერთი  
ვეღარაფერს  
დააგათებს იმას,  
რაც უკვე მოგცა.  
უკვე ყველაფერი  
გაქვს!**

ირმისთვის“ და გავაგზავნე.

სანადიროდ გასვლის წინა ღამეს, დრენდას ვუთხარი, რაც გავაკეთე: „უბრალოდ არ მაქვს იმის რწმენა, რომ დიდ ირემს დავიჭერ.“ მან შემომხედა და მითხრა: „შენ გაქვს რწმენა, ირმისთვის. მე კი საპრიზო ზომის ირმისთვის მექნება რწმენა. ღმერთს იმაზე მეტად შეუძლია, წარმოუდგენელი რამის გაკეთება, ვიდრე შენ თხოვ ან ფიქრობ!“

დილა ციყვებისა და ჩიტების ურიამულით დაიწყო, როცა შემოდგომის ფოთლების სუნმა წარსული მოგონებები გამიღვიძა. ჩემს სადგომზე ყოფნიდან დაახლოებით 20 წუთი იქნებოდა გასული, როცა ტყიდან ხარირმის ხმა მომესმა. ირემი ჩემი ხისკენ მოდიოდა, თითქოს წამზომს მიჰყვებოდა და მეც სროლისთვის მოვემზადე. როგორც კი მომიახლოვდა, დავინახე, რომ ოთხტოტა იყო, როგორსაც ზოგადად ვიჭერ ხოლმე, რადგან ძალიან კარგია საჭმელად. ირემი დაახლოებით 20 მეტრში გაჩერდა და მეც ისარი გავისროლე. ჩემდა სამწუხაროდ, დავინახე, როგორ მოხვდა ისარი უკან, საკმაოდ ზემოთ და უკვე ვიცოდი, რომ ამ ირმის დევნა დამჭირდებოდა. ირემი ტყის

გავლით გაიქცა და შემდეგ სიმინდის ყანაში გადახტა, რომელიც ტყეს ესაზღვრებოდა, სადაც ჩემი თვალთახედვიდან გაქრა. ხმა მესმოდა, რომ სიმინდებში დარბოდა და იმდენად ძლიერად მირბოდა, ვიცოდი, დიდხანს მომინევდა მისი დევნა.

დაახლოებით 20 წუთი ველოდე ხის საფგომზე და შემდეგ გადაწყვიტე ჩამოვსულიყავი და ისარი შემემოწმებინა. როგორც ვიფიქრე, აშკარა იყო, რომ ირემს გავარტყი, სისხლის კვალი შევამჩნიე. სისხლის დიდი კვალი იმედს მაძლევდა. მაგრამ დაახლოებით 90 მეტრში, სისხლი გაქრა. აქეთ-იქით ვიყურებოდი, მაგრამ ერთი წვეთი სისხლიც არ იყო. ორ საათიანი ძებნის შემდეგ, მივხვდი, რომ ირემი წასულიყო. ისეთი იმედგაცრუებული ვიყავი. ერთი იმიტომ, რომ ირმის დაჭრა და მერე დაკარგვა ნამდვილად არ მინდოდა; და მეორე, იმედგაცრუებული ვიყავი ჩემი სროლით.

სიმინდის ყანიდან უკან, სახლში წამოვედი, როცა ვიფიქრე: ჯერ კიდევ მაქვს შანსი. შესაძლოა, ყანის და ჭაობის გავლისას ირემს გადავეყყარო. ჩემი შშვილდ-ისარი მოვამზადე. ამ დროს ბუჩქნარიანი ხრამიდან ირემი წამოხტა და ჩემ წინ გაიქცა. რადგან არ იცოდა, მე რომ ვიყავი, გაჩერდა და უკან მოიხედა. რადგან კამუფლაჟი მეცვა, ირემი ცოტა ხანს შეყოვნდა, რადგან კარგად ვერ გამარჩია. ეს ყველაფერი წამის მეასედში მოხდა. ირმის რქებს ვხედავდი, მაგრამ ზუსტად ვერ ვარჩევდი რამხელა იყო, ან რამდენი ტოტი ჰქონდა. ვიცოდი, რომ ერთი წამიც არ მქონდა გადაწყვეტილების მისაღებად. ჩემს სასროლ მანძილს ცდებოდა, დაახლოებით 50 მეტრში იყო და გვერდულად იდგა ჩემკენ. სწრაფად მოვქაჩე და ირმის ზედა უკანა ნაწილს დავუმიზნე. ირემი მაშინვე დაეცა, როგორც კი ისარი მოხვდა. გაოცებული ვიყავი. ეს მართლა მოხდა?!

როცა ირმისკენ მივდიოდი, პირველი, რაც გავიფიქრე, იყო: „დრენდას რწმენა!“ ირემი უზარმაზარი იყო! 26 ტოტი დავითვალე მის რქებზე, თან ბასრი წვერები ჰქონდა. ასეთი დიდი ირემი არასდროს მენახა. სიტყვებით ვერ აღვწერ, როგორი აღფრთოვანებული ვიყავი. როგორც მიხვდით, ეს ირემი ახლა ჩემს ოფისს ამშვენებს. მაგრამ მინდა ცოტა ხანს ამ ირემზე ვისაუბრო. როგორ ან რატომ გამოჩნდა იგი?

ოთხტოტა ზუსტად თავის დროზე გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მე ცუდად ვესროლე. მაგრამ დრენდამ თქვა, რომ მას საპრიზო ირმის დაჭრის სწამდა. მას უპირატესობა ჰქონდა

ჩემზე. ის არ ნადირობდა, ამიტომ მისთვის საპრიზო ზომის ირემიც ისეთივე მარტივი იყო, როგორც ოთხტოტა ირემი. მისთვის ისიც ირემია და ისიც. იმის გამო, რომ თავად არ ნადირობს, გონებაში არ ენინააღმდეგებოდა ის აზრი, რომ ეს შეუძლებელი იყო. დიდი რვატოტა ირემიც კი არასდროს მინახავს ამ ტერიტორიაზე, მაგრამ მისი რწმენა იმაზე არ დაფუძნებული, თუ რა იყო ამ მიწაზე და რა არ იყო. მას სწამდა, რომ ღმერთს შეეძლო მისი მოყვანა.

ეს ნადირობა ირმის შეჯვარების პერიოდს ემთხევოდა, ამ დროს ხარირმები ზოგჯერ კილომეტრებსაც გადიან ფურირმის საძებნელად. ამიტომ, ყოველთვის დიდი შანსია, რომ დაინახავ ირმებს, რომლებსაც ზოგადად ვერ ხედავ ხოლმე. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

### რწმენაში პარტნიორობა

ამ შემთხვევაში, დრენდას რწმენამ მოიყვანა ირემი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ მქონდა ამის რწმენა. მინდა, ეს კიდევ ერთხელ წაიკითხოთ! მე არ მქონდა ამის რწმენა! ვიცი, რასაც ფიქრობთ: „დაიცა, გარი. დავიბრნი. თუკი რწმენა არ გქონდა, რომ ამ ირემს მოკლავდი, მაშინ რატომ გამოჩნდა ის?“ ნება მომეცით, გაჩვენოთ!

„ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ლვთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.

ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ლრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად!“ მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ლამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩაგუშვებთ ბადეს!“

ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე

ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ“.

– ლუკა 5:1-7

ვიცი, ეს ადგილი უკვე ვნახეთ. მაგრამ მინდა, რაღაცაზე მივუთითო აქ, რაც ჩვენს შეკითხვას გასცემს პასუხს.

„ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მოსულს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ“.

მინდა, რაღაც გკითხოთ. რამხელა რწმენა გამოიყენეს იაკობმა და იოანემ, რომ მათი ნავები თევზით აევსოთ? პასუხია ის, რომ საერთოდ არ სჭირდებოდათ! თუ გახსოვთ, პეტრეს ნავი, ისევე როგორც იაკობისა და იოანეს ნავები უკვე ნაპირთან იყო და ისინი ბადეებს რეცხავდნენ, როცა იესო მიუახლოვდა. იესომ სთხოვა პეტრეს, თუ შეიძლებოდა მისი ნავი გამოეყენებინა საქადაგებლად და შემდეგ, მოგვაინებით უთხრა, რომ ღრმა წყლებში გადაეგდო ბადე, რათა თევზი დაეჭირა. შედეგი ის იყო, რომ პეტრემ იმდენი თევზი დაიჭირა, მისმა ბადებმა დახვა, ხოლო ნავმა — ჩაძირვა დაიწყო. პეტრემ თავის პარტნიორებს დაუძახა დასახმარებლად, რომლებიც ნაპირზე იყვნენ. მათი ნავებიც ისევე აივსო, როგორც პეტრესი, პირთამდე. ჩემი შეკითხვა თქვენდამი, ასე უღერს: „რამხელა რწმენა გამოიყენეს იაკობმა და იოანემ, რომ მათი ნავები აევსოთ?“ პასუხია, რომ საერთოდ არ დასჭირვებიათ. მაშინ, რატომ იყო მათ ნავში იმდენივე თევზი, რამდენიც პეტრესაში? ტექსტი ამ შეკითხვასაც პასუხობს; წერია, რომ ისინი პარტნიორები იყვნენ.

ყოველთვის  
ვამპოპ, რომ ღვთის  
საიდუმლოები  
**დაფარულია შენობის**  
**და არა შეგანა!**  
სატანა ცყვდიადში  
ცხოვრობს და  
არ იცის ღვთის  
გეგმების შესახებ.

პარტნიორის განმარტება კოლინსის ინგლისური ენის ლექსიკონშია ასეთია: „ადამიანი, ვინც იზიარებს, ან ასოცირებულია მეორესთან რაიმე მოქმედებაში ან მცდელობაში. როგორც წესი,

ვინც იზიარებს მის რისკებსაც და სარგებელსაც“.

პარტნიორობა კანონიერი ერთობაა, რომელიც იზიარებს ბიზნესის რისკებს, ხარჯებსა და სარგებელს. ამრიგად, როცა პეტრეს რწმენა გაჰყვა იქსოს, იგი რეალურად საკუთარ ბიზნესს უთმობდა იქსოს, კანონის კუთხით და არა მხოლოდ ნავი. ტექნიკურად, იაკობი და ოოანეც ფლობდნენ იმ ნავის ნილს, რომელიც პეტრემ იქსოს დაუთმო და ამის გამო, ორივე ნავი თანაბრად აივსო. ამრიგად ვისმა რწმენამ მოიტანა ნაყოფი? ცხადია, პეტრეს რწმენამ. მან თქვა: „მოძღვარო, მთელი ლამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ! მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს!“

ამრიგად, იაკობმა და ოოანემაც ზუსტად იგივე მოიმკეს, რაც პეტრემ, იმის მიუხედავად, რომ ამ სიტუაციაში მათი რწმენა არ გამოჩენილა. იგივე მოხდა დრენდასთანაც. ჩვენ პარტნიორები ვართ, ერთნი ვართ. მისმა რწმენამ მოიყვანა ის ირემი იქ იმ დღეს. შეგიძლიათ, დაინახოთ, რომ პარტნიორობის ეს გაგება, ძალიან ძლიერი სულიერი პრინციპია, როგორც უკვე ვნახეთ ამ ისტორიაში. პავლე, პარტნიორობის ამ პრინციპზე ფილიპელთა მიმართ წერილში საუბრობს.

„მადლობას ვუხდი ჩემს ღმერთს ყოველ თქვენს გახსენებაზე. ყოველ ჩემს ვედრებაში სიხარულით ვლოცულობ ყოველი თქვენგანისთვის, სახარებაში თქვენი თანამონაწილეობისთვის, პირველი დღიდან აქამდე. და დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც დაიწყო თქვენში კეთილი საქმე, დაასრულებს კიდეც იქსო ქრისტეს დღემდე. ასეც მმართებს ფიქრი ყოველ თქვენგანზე, რადგან გულში მყავხართ, ბორკილებში ვიქნები თუ სახარების დაცვასა და მის განმტკიცებაში, რადგან ყველანი ჩემი თანაზიარნი ხართ მადლში.“

– ფილიპელთა 1:3-7

პავლე ამბობს, რომ ის სიხარულით იხსენებს ფილიპიის ეკლესიას, მათი მუდმივი პარტნიორობის გამო მის მსახურებაში. ის აგრძელებს და ამბობს, რომ ამ პარტნიორობის გამო, ახლა ისინი იმ მადლის თანამოზიარენი არიან, რაც მის მსახურებაშია. მადლი ღვთის ძალა ან ღვთის უნარია, რაც პავლეზე იყო მისი საქმის აღსასრულებლად. ფილიპიის ეკლესია იზიარებდა

ამ საქმის ხარჯს და იაკობისა და იოანეს მსგავსად, ისინი იმ ცხებულებას და მადლსაც იზიარებდნენ, რაც ამ საქმეზე იყო. მოდი, მე-4 თავზე გადავიდეთ და დაინახავთ იმ გასაოცარ შედეგს, რაც ამ პარტნიორობამ მოიტანა.

„ხოლო თქვენ კარგად მოიქცით, ჭირში რომ მეზიარეთ. თქვენ იცით, ფილიპელნო, რომ ხარების დასაწყისში, როცა მაკედონიიდან გამოვედი, არც ერთმა ეკლესიამ არ მიიღო მონაწილეობა ჩემთან მიღება-გაცემაში, თქვენ გარდა! თესალონიკეშიც გამომიგზავნეთ, რაც მჭირდებოდა, ერთი-ორჯერ. არა იმიტომ, რომ მოსაკითხს ვეძებდე, არამედ ვეძებ ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავლდება. ყოველივე მივიღე და უხვად მაქვს; კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე ეპფროტიდესგან თქვენ მიერგამოვ ზავნილი კეთილსურნელება, საამებელი მსხვერპლი, ღვთისთვის მოსაწონი. ჩემიღმერთიკუყველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ აღავსებს, დიდებაში, ქრისტე იესოში“.

—ფილიპელთა 4:14-19

კარგად დაუკვირდით, რომ პავლე ეუბნება ფილიპის ეკლესიას: „ჩემი ღმერთი ყოველ თქვენს საჭიროებას აღავსებს“. ის არ ამბობს: „თქვენი ღმერთი ყველა თქვენს საჭიროებას აღავსებს, რადგან ასეთი გულუხვები იყავით ჩემდამი“. არა! მან თქვა: „ჩემი ღმერთი ყოველ თქვენს საჭიროებას აღავსებს!“ ხედავთ, ფილიპელები პავლეს პარტნიორები იყვნენ და როგორც პარტნიორები, იზიარებდნენ პავლეს საქმეში არსებულ მადლს. და ახლა, როგორც იაკობმა და იოანემ დაიჭირეს ის თევზები პეტრეს რწმენის გამო, პავლეც აცხადებს, რომ მისი რწმენის გამო, ყველა მათი საჭიროება დაკმაყოფილდება! იმედი მაქვს, ხედავთ ამ პრინციპის უპირატესობას.

მოდი, ჩავთვალოთ, რომ თქვენ გჭირდებათ მანქანა და პარტნიორობათ ჩვენთან, როგორც მსახურებასთან. მოდი, ისიც ჩავთვალოთ, რომ მანქანა ღირს 30,000\$. როცა თესავ Garykeesee.com-ზე, იცი რას ნიშნავს პარტნიორობა. შენ იზიარებ ჩვენი მსახურების ცხებულებასა და მადლს. როგორც მსახურება, შესაძლოა, მარტივად შევთანხმდეთ 30,000\$-ზე, რადგან უკვე დიდი ხანია, გაცდით იმ პერიოდს, როცა ჩვენი საჭიროება ამ

თანხას შეადგენდა. მარტივად შეიძლება გვქონდეს რწმენა 30,000\$-ის მისაღებად, რადგან ახლა რეალურად წლიურად მიღლიონებს ვხარჯავთ. მაგრამ წარსულში მახსოვეს, თუ როგორ უნდა ვრწმუნებოდი ლერთს 30,000\$-ის მისაღებად, რაც იმ დროს ძალიან დიდ მთას წარმაოდგენდა ჩვენთვის. ამიტომ თუ მკითხავ, შემიძლია თუ არა ღმერთს ვერწმუნო 30,000\$-ისთვის, ჩემი პასუხი იქნება „რა თქმა უნდა“. ამრიგად, პავლეს მსგავსად, როცა თანხმობაში ვართ და პარტნიორები ვართ, შემიძლია, განვაკხადო, რომ შენი საჭიროება დაკმაყოფილდება არა შენი, არამედ ჩემი რწმენის გამო.

ახლა, ცხადია, უნდა გწამდეს, როცა ამ 30,000\$-ისთვის დათესავ და დარწმუნება უნდა გქონდეს არა მხოლოდ ლვთის სიტყვაში, არამედ ჩემიც. ჩემიც უნდა გწამდეს, გჯეროდეს, რომ მე ცხებული და ლვთისგან მონოდებული ვარ და რომ, რადგან ერთიანობაში ვმოქმედებ, შენც უნდა იხილო შედეგები ჩემს ცხოვრებასა და ჩემს მსახურებაში. თუ დააკვირდებით იმას, რას ვაკეთებთ და საიდან მოვდივართ, მიხვდებით, რომ ნამდვილად მაქვს რწმენა 30,000\$-ისთვის. შენ შესაძლოა, არ გქონდეს ამისთვის რწმენა, მაგრამ ჩვენ ერთად, პარტნიორობაში მოქმედებით, შესაძლოა გასაოცარი საქმეები ვიხილოთ. იგივე მოხდა საპრიზო ზომის ხარის შემთხვევაშიც. ნადირობის წინა ლამეს დრენდამ თქვა: „შენ გჯერა, ირემს მიიღებ, მე კი მჯერა, რომ საპრიზო ირემს მოკლავ“. აი, ასე მოქმედებს პარტნიორობა.

## სტრატეგიული პარტნიორობის არჩევა

ნება მომეცით, გარკვეული საბაზისო წესები გაგაცნოთ ერთი კითხვის დასმით. თუ კომპიუტერების კომპანიის დაარსებას დააპირებდი, ისურვებდი, რომ შენი პარტნიორი ყოფილიყო კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის პიველი კურსის სტუდენტი, რომელსაც საერთოდ არ აქვს ფული, თუ ვიღაც, ვისაც უკვე აქვს მილიონებიანი კომპიუტერების ბიზნესი და იმის ფინანსებიც აქვს, რომ დაგეხმაროს ამ საქმის დაწყებაში? რა თქმა უნდა, აქ ბევრ რამეს შეიძლება ჰქონდეს გავლენა, მაგრამ მე უბრალოდ ილუსტრაცია მომყავს. მაგრამ ვფიქრობ, ზედაპირულად, ცხადი არჩევანი იქნებოდა ვიღაც, ვისაც აქვს გამოცდილება, დამტკიცებული კარგი შედეგები და ვინც არ გაკოტრდება!

იგივეა, როცა მსახურების პარტნიორობისთვის გინდა, შენირო. გთხოვთ, ამას ნუ აურევთ იმ მოვლენაში, როცა ღმერთი პირდაპირ მიგითითებთ კონკრეტულად ვისთან ითანამშრომლოთ! ასეთი მითითება, სრულად აუქმებს იმას, რაზეც მე ვლაპარაკობ. ხშირად, ღმერთი მიგითითებს, რომ მისი საქმის პარტნიორი გაძლე, მაგრამ ზოგჯერ შენ უნდა აირჩიო. მე კონკრეტულად ასეთ დათესვაზე ვსაუბრობ, როცა შენ ირჩევ, სწირავ, რადგან შენ გაქვს სურვილი, ახალ დონეზე გადახვიდე. მე ვიცი, ვნირავ ისეთ საქმეებში, რაც ვიცი, დააჩიარებს საჭირო ფინანსების გამოჩენას პირადად ჩემს ცხოვრებაში. ერთი წესი, რომელსაც ყოველთვის ვიცავ, არის, დავთესო ისეთ საქმეებში, რომლებსაც რწმენისა და თანხმობის საკითხები ესმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უბრალოდ ვწირავ, ვისაც მეტად უჭირს და სჭირდება. რა თქმა უნდა, არ მოველით, რომ გაჭირვებულს ესმის რწმენა. ჩვენ სიყვარულს ვთესავთ მათთვის და ღმერთი გადაგვიხდის. ისევ გავიმეორებ, რომ გაჭირვებულისთვის შენირვა სხვანაირი დათესვაა და ჩვენ ახლა სხვა ტიპის დათესვაზე ვსაუბრობთ. კიდევ ერთი, რასაც დათესვისას ვუყურებ, არის, მოვძებნო ღვთის საქმე, რომელსაც იგივე ნაყოფი აქვს, რის გამოც მე ღმერთს ამ შემთხვევაში ვერწმუნე.

მაგალითად, ჩემი კომპანია ორ თვითმფრინავს ფლობს. სანამ რომელიმეს ვიყიდდი, დავთესე ღვთის საქმეში, მსახურებაში, რომელსაც ვიცი, რომ წარსულში უამრავი მილიონი დოლარი აქვს თვითმფრინავებში გადახდილი. როცა ბევრს ვამბობ, მართლა ძალიან ბევრს ვგულისხმობ და ვიცი, რომ ნაღდი ფულით აქვთ გადახდილი. მათ თვალსაჩინო შედეგი აქვთ, როცა საქმე თვითმფრინავებს ეხება. ვიცოდი, რომ მარტივად იქნებოდნენ თანხმობაში ჩემთან და მარტივად ირწმუნებდნენ, რომ თვითმფრინავი მყოლოდა. არ ვაპირებდი ისეთ მსახურებასთან პარტნიორობას, რომელიც ამბობდა, რომ თვითმფრინავები ძალიან ძვირია ან მათი საკუთრებაში ქონა არ ღირს. ეს არ არის თანხმობა. მინდოდა თანხმობაში ვყოფილიყავი მსახურებასთან, რომელსაც ესმოდა, თუ სად ვიყავი, ირწმუნებდა ჩემთან ერთად, რომ ღმერთი თვითმფრინავს მომცემდა და ამის დამადასტურებელი ნაყოფი ჰქონდა.

19 წლის ასაკიდან ვიყავი პილოტი და ქალაქერეთ ვისწავლე, როგორ ავფრენილიყავი 900 მეტრიანი ქვიშის ასაფრენი

ბილიკიდან. მთელი ჩემი ცხოვრება ვქირაობდი თვითმფრინავებს და ერთ დღესაც ვიფიქრე: იცი რა? უბრალოდ მჭირდება დავთესო თესლი და ვერწმუნო ღმერთს, რომ საკუთარ თვითმფრინავის მომცემს. ასეც მოვიქეცი. ვიცოდი კონკრეტული თვითმფრინავი, რომლისთვისაც მინდოდა დამეთესა. ამიტომ ამ კონკრეტული თვითმფრინავის სახელი ჩეკზე დავწერე და მე და დრენდა ამაზე შევთანხდით. შემდეგ ეს ჩეკი იმ მსახურებას გავუგზავნეთ, რომელიც ახლახან ვახსენეთ.

დაახლოებით ერთი თვე გავიდა და ექიმთან რუტინული ვიზიტი მიწევდა. ექიმთან საუბრისას, მან სხვათაშორის ახსენა: „ვინმეს ხომ არ იცნობ, ვისაც თვითმფრინავის ყიდვა უნდა?“ ძალიან გამაკვირვა ამ კითხვამ, რადგან ცხოვრებაში არავის უკითხავს ჩემთვის: ხომ არ გსურთ თვითმფრინავის ყიდვა? ამიტომ ვკითხე: როგორი თვითმფრინავია? და ზუსტად ის თვითმფრინავი დამისახელა, რომლისთვისაც მე ჩემი თესლი დავთესე. კარგი, ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო. წავედი, თვითმფრინავი ვნახე, მფლობელს დავუკავშირდი და საფრენად ნამიყვანა. სრულყოფილი იყო. მხოლოდ ერთი პრობლემა მქონდა. იმ დროს, ამის საყიდელი ფული არ მქონდა. მაგრამ ღმერთს ჰქონდა გეგმა.

იცით, წინა შემოდგომაზე, და ახლა უკვე მარტი იყო, მამაჩემმა შენობა მაჩუქა, რომლის რეაბილიტაციას და ოფისად ქცევას ვაპირებდი გაზაფხულზე. მამაჩემმა მითხრა, რომ ზამთრამდე წყლები გათიშა და მეც არ შემიმოწმებია ეს. თვითმრინავის ნახვიდან რამდენიმე დღეში, ჩემმა ძმამ დამირეკა და მითხრა, რომ სახლში ყველაფერი გაფუჭებული იყო. შემდეგ მან დეტალურად მომიყვა, რომ შენობაში არსებული ყველა თაბაშირ-მუყაოს კედელი გაფუჭებული იყო და ზოგი საერთოდ ჩამოქცეულიც. აღმოჩნდა, რომ წყალი გადაკეტილი არ იყო და ზამთარში გაიყინა. ახლა, გაზაფხულზე წყალი გალლვა და რამდენიმე კვირა გაუჩერებლად მოდიოდა.

მაგრამ ჩემმა ძმამ არ იცოდა, რომ მე უკვე მოწერილი მქონდა ხელი ხელშეკრულებაზე ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიასთან, რომელსაც მთელს სახლში თაბაშირ-მუყაოს კედლები და გარე ფასადები უნდა შეეცვალათ და განეახლებინათ. ეს შენობის ოფისად ქცევის პროექტის ნაწილი იყო. აქ მოხდა გასაოცარი რამ. სადაზღვეო კომპანიამ დაფარა წყლისგან მოყენებული ზარალი და სწორედ ამ თანხით ვიყიდე თვითმფრინავი. ნალდი ფულით!

ამიტომ გახსოვდეთ, პარტნიორობა ძლიერი სულიერი პრინციპია, რაც კარგია, რომ იცოდე და მისი უპირატესობით ისარგებლო.

ამით სრულდება ჩვენი საუბარი რწმენით დათესვაზე. რა ხდება მას შემდეგ, რაც თესლს დათესავ? მენდეთ, ბევრმა ადამიანმა არ იცის, რაც უამრავი ქრისტიანის ცხოვრებაში მინახავს, როცა თესავენ, მაგრამ უკან დაბრუნებას ვერ ხედავენ თავიანთი გაცემულისთვის. არის თუ არა ეს დრო, როცა შეგიძლია, ფეხი ფეხზე გადადებული იჯდე და მკის მოსვლას ელოდო?

არა, ასე არაა! აი, რა უნდა გააკეთო?! ამაზე შემდეგ თავში ვისაუბრებთ.



## თავი 8

# გეგმა გზირდება!

როცა ბრედმა და ჩერითმა ჩვენს ეკლესიაში დაიწყეს სიარული, მე არც კი ვიცნობდი მათ. მახსოვს მისალმება და პატარა საუბარი პერიოდულად. პირველად, მათ ჩემი ყურადღება სულიერ ასპექტში დრენდას ქალთა კონფერენციაზე მიიპყრეს. კონფერენცია ხუთშაბათს საღამოს დაიწყო და შაბათ შუადღინას დამთავრდა. და დამსწრეთა დიდი ნაწილი ჩვენს საღამოს მსახურებაზეც დარჩა. სწორედ ამ მსახურების შემდეგ, მოვიდნენ ბრედი და ჩერითი ჩემთან სათხოვარით. მათ ბიზნესის დაწყება სურდათ და მკითხეს, თუ მივიღებდი მათ თესლს ჩვენს მსახურებაში და თუ ვილოცებდით მათ ამ ბიზნესზე.

მოგვიანებით გავიგე, რომ ქალთა კონფერენციაზე ჩერითის ნაქირავები ჰქონდა ჯისური, სადაც თავის ხელნაკეთ თმის მოვლის საშუალებებს ყიდდა აფრო-ამერიკული ხვეული თმისთვის. მან კონფერენციაზე  $150\$$ -ად იქირავა მაგიდა და  $350\$$ -ის ლირებულების პროდუქცია გაყიდა, რაც მას ჯამში  $200\$$  მოუტანა.

შაბათ საღამოს მსახურებაზე, ისინი ორივე მოვიდნენ ჩემთან ამ  $2,000\$$ -ით და სურდათ ჩვენი მსახურებისთვის შენირათ, როგორც თესლი, მათი ბიზნესის გაზრდისთვის. „რა თქმაუნდა“, ვუთხარი მე და ვილოცეთ. ამაზე ბევრი არ მიფიქრია, მაგრამ მის თვალებში ლტოლვა დავინახე და ვიცოდი, რომ ჰქონდათ რწმენა, როცა თესლს თესავდნენ.

ფონური ისტორია რომ გაგაცნოთ ბრედისა და ჩერითის შესახებ, ამ დროს ბრედი IT მენეჯერი იყო ერთ-ერთ კომპანიაში და ჩერითი საათში ათ დოლარს გამოიმუშავებდა ნახევარ განაკვეთზე, ანუ ტიპური თვიდან თვემდე თავის გამტანი ოჯახი იყო. კონფერენციის შემდეგ, მათ განაგრძეს მათი პროდუქციის

გაყიდვა მეგობრებზე და ონლაინ, მაგრამ ამბობდნენ, რომ ბიზნესი დიდად ვერ მიიწევდა წინ. მაგრამ ღმერთი სცენის მიღმა მოქმედებდა და მომავალ ზრდას ამზადებდა.

მათი ფორმულის მთავარი კომპონენტი სირაქლემის ცხიმი იყო, რომელსაც კალიფორნიიდან, სირაქლემების ფერმიდან ყიდულობდნენ და აღმოაჩინეს, რომ ამ ფერმას თავისი კომპანიის გაყიდვა უნდოდა. ფასი 40,000\$ იყო. ჩერითიმ იცოდა, რომ ეს მათი კომპანიის მომავალი ზრდისთვის დიდი შესაძლებლობა იყო, მაგრამ ბრედს და ჩერითს ნამდვილად არ ჰქონდათ 40,000\$. მათ იმის სამყოფი ფული ჰქონდათ, რომ თვითმფრინავის ბილეთები ეყიდათ, კალიფორნიაში ჩასულიყვნენ და კომპანია საკუთარი თვალით ენახათ, მაგრამ სულ ეს იყო. ბრედმა თქვა, რომ რაც უფრო უახლოვდებოდა კალიფორნიას, მით უფრო ემატებოდა ნერვიულობა. რა უნდა ეთქვათ ფერმის მფლობელისთვის, როცა მათ საერთოდ არ ჰქონდათ ფული და თან ერთმანეთს შეპირდნენ, რომ ამ ბიზნესისთვის სესხს არ აიღებდნენ? როცა კალიფორნიაში ჩავიდნენ, ფერმერმა იქაურობა დაათვალიერებინა, თუმცა უთხრა, რომ უკვე იპოვა ზეთის კომპანიისთვის მყიდველი. თითქოს არაფერი არ გამოდიოდა. მაგრამ მფლობელმა ბრედს IT სფეროში სთხოვა რაღაც დახმარება, რასაც იგი დათანხმდა.

ამ დროის განმავლობაში, ბრედსა და ჩერითს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ მფლობელთან; და ერთ დღეს, მან თქვა, რომ გადაწყვიტა, სწორედ მათთვის მიეყიდა საკუთარი ბიზნესი. საბოლოოდ მან საკუთარი გადახდილი ფული მიიღო უკან და ბრედს და ჩერითს საკუთარი სირაქლემის ზეთის კომპანია ჰქონდათ. დაახლოებით ამ დროს, ბრედმა და ჩერითმა ჩვენი მშენებლობის პროექტის შესახებ გაიგეს, რაც რწმენით სიცოცლის ეკლესიაში წამოვიწყეთ და რაღაცამ შეძრა მათი შინაგანი. მათ იხილეს, რომ მათმა დათესილმა პირველმა თესლმა სრულად შეცვალა მათი ბიზნესი და იცოდნენ, რომ დრო იყო ბიზნესი ახალ დონეზე გადაეყვანათ მნიშვნელოვანი თესლის გაღებით. ბრედი და ჩერითი ისევ ეკლესის წინ შემხვდნენ და დათესეს თავიანთი ბიზნესისთვის, კონკრეტული თესლით და მიზნით. ისინი არ სწირავდნენ საკუთარი ფულისთვის, არამედ ექვსნიშნა მიზნისთვის, რომელიც მშენებლობის პროექტისთვის უნდოდათ მოეცათ.

გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, მთავარი ცვლილება კვლავ პროდუქტში მოხდა და ღმერთმა მათ მისცა ახალი ინგრედიენტი, რამაც ეს პროდუქტი ისე გარდაქმნა, რომ ახლა სრულყოფილი საშუალება იყო აფრო-ამერიკული ხვეული თმისთვის. პროდუქტი კარგად წავიდა. და ძალიან მალე მათ შენობის პროექტს ექვსნიშნა ჩეკი გამოუგზავნეს. ახლა ისინი მხარს უჭერენ პროექტებს მთელს აფრიკაში და მათი წლიური ბრუნვა შვიდნიშნა რიცხვს აჭარბებს. ეს ყველაფერი სამ წლიან პერიოდში მოხდა. რა დაუკერძებელი ისტორიაა, საათში 10\$-დან სამ წელიწადში მილიონებამდე! ვაუ!

ეს მშვენიერი ისტორიაა და იდეალური მაგალითი იმისა, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი შენთან ერთად, რათა დაიჭირო შენი უზრუნველყოფა და გაზარდო შენი გავლენა. პირველი, რაც მათში დავინახე, იყო მათი გულები სამეფოსადმი და მიზანი, რაც კომპანიისთვის ჰქონდათ, რაც მდგომარეობდა ღვთის სამეფოს ფინანსურ მხარდაჭერაში. მეორე, ის, თუ როგორ მოქმედებდნენ ღმერთთან ერთად სტრუქტურის, პროდუქტის და კომპანიის განსავითარებლად, რაც აბსოლიტურად არაფრისგან დაიწყეს. ამან უნდა შთააგონოს ყველა, ვისაც სურს, გააკეთოს რამე მნიშვნელოვანი, რადგან ამას არ განსაზღვრავს ის, თუ რამდენი ფული გაქვს ან თუ იცი, როდის დაიწყო. ღმერთი იმუშავებს შენთან ერთად მთელი გზის განმავლობაში.

ამას სამეფოს მეოთხე პრინციპამდე მივყავართ, რომელიც ღმერთმა მასწავლა, რომ მას შემდეგ, რაც დათესავ და რწმენას გამოათავისუფლებ, საჭიროა მოუსმინო, რათა გეგმა მიიღო.

#### **ნაბიჯი №4: დათესვისა და რწმენის გამოთავისუფლების შემდეგ გეგმა გჭირდება.**

„მაგრამ მიუგო მათ და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი!“

უპასუხეს: „წავიდეთ, ორასი დინარის პური ვიყიდოთ და ამათ მივცეთ საჭმელად?“

უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“

ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი“.

მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდა- რიყნენ მწვანე ბალახზე. და დასხდნენ მწყობრად, ას-

ასად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, პურები დატეხა და მონაფეებს მისცა, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ. ორი თევზიც ყველას გაუნანილა. ყველამ ჭამა და გაძლა. დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს. და ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი”.

– მარკოზი 6:35-44

იესომ მონაფეებს შესასრულებელი გეგმა მანამდე მისცა, სანამ თევზი და პური გამრავლდებოდა. დარწმუნდით, რომ

**მას შემდეგ, რაც  
დათესავ რცხონით,  
გზირდება, რომ  
გეგმა მიიღო  
სულიერი გადასახა.**

ეს კარგად გაიგეთ! მას შემდეგ, რაც დათესავ რწმენით, გჭირდება, რომ გეგმა მიიღო სულიერი განსახორციელებლად საუკეთესო გზაა, დრო გაატარო სულით ლოცვაში. ნადმვილად არ გინდა რაიმე გადაწყვეტილება მიიღო ან შენი ძალით დაიწყო მოქმედება, სანამ ღვთისგან მოისმენ. რამდენიმე მიზეზია იმისა, თუ რატომ. პირველი, შენი ძალებით ეცდები ამის განხორციელებას, ამიტომ ძალიან შეზღუდულად იფიქრებ. მეორე, შესაძლოა, სცადო შენი გეგმის აგება იმის გარშემო, რაც უკვეიცი, როცა შეიძლება ღმერთს სურდეს ახალი მიმართულებით გაგიძლვეს. შენ უკვე სცადე ის, რაც იცი და ახალი აზრი და გეგმა გჭირდება შენი მყის შესაცვლელად. ამრიგად, დაელოდე უფალს ახალი იდეებისთვის და გეგმისთვის! ის შეიძლება ნებისმიერი საშუალებით მოვიდეს. შესაძლოა, რეკლამა ნახო, შეხვდე ვინმეს, ან უბრალოდ სიზმარი ნახო, როვორც მე. ღმერთი შენს ყურადღებას მიიპრობს და დაგეხმარება, ჩამოაყალიბო შენი ახალი გეგმა. ნება მომეცით, ერთი მაგალითი მოგიყვანოთ, თუ რატომაა ეს ასე მნიშვნელოვანი.

### გეგმის ძალა

ალბათ, ამ მაგალითს „შენი ფინანსური რევოლუციის“ წიგნების ყველა ნაწილში ვყვები, მაგრამ იმსახურებს გამეორებას. თუ გეტყოდით, რომ ჩემი შემდეგი სიტყვებით ყველა თქვენს ფინანსურ პრიბლებას გადავჭრიდი, ალბათ,

კალამ მომარჯვებული მოემზადებოდით, რათა არაფერი გამოგრჩენოდათ. მოემზადეთ, რადგან აი, თქვენი პასუხიც: ამ წელს 10 მილიონი დოლარი მოგება მიიღე. დიახ, ვთქვი, რომ ამ წლის ბოლოდებები 10 მილიონ დოლარიანი მოგება უნდა მიიღო. ადამიანთა დიდი ნაწილისთვის, ეს ყველა ფინანსურ პრობლემას მოაგვარებდა.

რა? ხომ არ გაგამხიარულეთ? იცინით? როცა ხალხის აუდიტორიაში ვამბობ ამას, ყველა მხრიდან სიცილის ხმა მესმის. შემდეგ ვეკითხები, თუ რატომ იცინიან. ისინი იცინიან, რადგან მათვის ეს ხუმრობაა; ეს შეუძლებელია. შემდეგ ნელ-ნელა ვამცირებ სამიზნე თანხას და ბოლოს, სიცილს წყვეტენ და ამბობენ: „ოჱ, ამის გაკეთება შემიძლია“.

ასე რომ, შენ სად შეწყვეტდი სიცილს? წელიწადში 600,000\$-ზე? სად ხედავ შენს თავს, წელიწადში 200,000\$-ზე თუ 100,000\$-ზე? შესაძლოა, თქვენი რიცხვი კიდევ უფრო მცირე იყოს, მაგალითად, წელიწადში 45,000\$. 10 მილიონ დოლარსა და 0 დოლარს შორის, იქნება თანხა, სადაც გაჩერდები და იტყვი: „მგონი, ამის გაკეთება შემიძლია“. და აი პრობლემაც: სწორედ აქ დარჩები. კარგად გაიგეთ ეს, არავინ ცდილობს რაიმეს, თუკი ფიქრობს, რომ მისთვის შეუძლებელია. აი, ეს არის პრობლემა. შენი საკუთარი აზრები გაბამს და ლიმიტს გიწესებს.

ახლა, ნება მომეცით, გაჩერნოთ გეგმის ძალა. მოდი, იგივე წინადადება გავიმეოროთ, რომ თქვენს ყველა ფინანსურ პრობლემას ამ წელს 10 მილიონ დოლარიანი მოგების ქონა მოაგვარებს. მაგრამ ამჯერად, მე შემოგთავაზებთ კონტრაქტს, რომლითაც თანხის გამომუშავებას შეძლებთ. მე გადაგიხდი 500\$ ყოველ ყუთში, რომელშიც ჩადებ ბურთს, შეკრავ, მარკას დააკრავ და გასაგზავნად გადადებ. მოდი, ჩავთვალოთ, რომ საათში 100 ყუთის გამზადება შეგიძლია ანუ საათში 50,000\$-ს გამოიმუშავებ. მოდი, ვთქვათ, რომ დღეში 10 საათი გაუჩერებლად მუშაობთ, ანუ თქვენი დღიური შემოსავალი 500,000\$-ია. ახლა, როცა გეტყვით, მოდი 10 მილიონი გამოიმუშავე წლის ბოლომდე, რას მიპასუხებ? „მარტივია! ამას მხოლოდ 20 დღე მუშაობა დასჭირდება“. კარგი, მოდი, გკითხავთ: რა შეიცვალა? არაფერი, გარდა იმისა, რომ ახლა გეგმა გაქვთ, რომელსაც თუ გაჰყვებით, რეალურად გაძლევთ გარანტიას, რომ მიაღწევ წლიური 10 მილიონი შემოსავლის მიზანს.

მიხვდით? შენი წარმოსახვისთვის რომ დაგვეტოვებინა, ვერასდროს იფიქრებდი, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო და იქ გაჩერდებოდი, რაზეც შენ იფიქრებდი, რომ შესაძლებელია. მაგრამ არ გჭირდება შენი აზრი; უკვე დიდ ხანს ცხოვრობდი ამ შეზღუდულ სამყაროში. არა, სულინმიდა გჭირდება, რომელიც შენი ოცნების განხორციელებაში დაგეხმარება.

## ლმერთს გეგმა აქვს შენთვის

წიგნში, აქამდე გითხარით ჩვენი საშინელი ფინანსური სიტუაციის შესახებ და პანიკის შეტევებისა და დეპრესიის შესახებ, რითიც ფინანსების გამო ვიტანჯებოდი. როცა ცხოვრების სამეფოსეულ სტილზე გავიგე, წასასვლელი არსად მქონდა, ლვთის გარდა. იგი დამელაპარაკა და მომცა გეგმა, დამეარსებინა „წინმსვლელი ფინანსური ჯგუფი“ და ადამიანებისთვის მეჩვენებინა, როგორ გათავისუფლებულიყვნენ ვალებისგან. ეს სიგიურა! მახსოვს, იმ დროს ჩემს სახლში ვიჯექი და ვფიქრობდი იმაზე, რის გაკეთებაზეც მელაპარაკებოდა და ჩემთვის ვამბობდი: „ნეტავ, ვიცოდე!“ მაგრამ მან მიპასუხა, რომ ვალებისგან მაშინვე გამოვიდოდი, როგორც კი გეგმას მივყვებოდი.

როცა მე და დრენდამ იმ გეგმის შესრულება დავიწყეთ, რაც ლმერთმა მოგვცა, არანაირი ტექნიკური აღჭურვილობა არ გვქონდა, ერთი კომპიუტერიც კი არ გვქონდა. მაგრამ როცა გეგმა დავინახეთ, ვიცოდი, რომ გაამართლებდა; ვიცოდი, რომ ეს შესაძლებელი იყო. და გეგმაში მე იმ სტრატეგიასა და დეტალებს ვგულისხმობ, რაც მან გვაჩვენა მის განხორციელებასთან დაკავშირებით. მე შემეძლო ამის გაკეთება! რეალურად, სიხარულით გავაკეთებდი ამას.

როგორც ბრედისა და ჩერითის შემთხვევაში, ლმერთმა უზრუნველგვყო ყველა საწყისი ინვენტარით, რაც გვჭირდებოდა. ჩემდა გასაკვირად, ერთ დღეს მამაჩემმა დამირეკა, რომელსაც პიცერია ჰქონდა და კომპიუტერი საერთოდ არ სჭირდებოდა, მაგრამ მითხრა, რომ კომპიუტერის ყიდვა სურდა და გაყოლა მთხოვა. წავედით და ვიყიდეთ კომპიუტერი და Word-ის პროგრამა, რომელიც მისი თქმით, მე შემეძლო გამომეყენებინა.

იმ დროს, კომპიუტერულ პროგრამებზე წარმოდგენაც არ მქონდა. იგი ჩემგან დაახლოებით 1,5 კილომეტრში ცხოვრობდა, ყოველდღე ჩავდიოდი და ვცდილობდი, რამე გამეგო ამ კომპიუტერისა და პროგრამისთვის, სანამ ჩემი კლიენტისთვის შესანიშნავი პრეზენტაცია არ შევქმენი იმაზე, თუ როგორ გათავისუფლებულიყვნენ ვალებისგან. ღმერთმა გზა გამოაჩინა მაშინ, როცა ფული საერთოდ არ მქონდა.

კომპანია გაიზარდა და მე გაყიდვების წარმომადგენლების დაქირავება დავიწყე. იმ პერიოდში, თითოეული ოჯახის გეგმის შესადგენად, ჩვეულებრივ, ხელის კალკულიატორებს ვიყენებდით. შემდეგ ეს მონაცემები იმ შაბლონში შეგვყავდა, რომელიც Word-ის პროგრამაში შევქმენი, ამოვბეჭდავდი და ჩემს წარმომადგენლებს ვაძლევდი, რათა ოჯახებამდე მიეტანათ. ჩვენი პრინტერი მთელი დღის განმავლობაში მღეროდა (გახსოვთ ხომ, როგორ ხმებს გამოსცემდა?) მალე ჩემი მდივანი ტექსტის აკრეფას ველარ ასწრებდა და კიდევ ერთი ადამიანი დავიქირავეთ ამ საქმისთვის, რათა ყველა კლიენტის ანგარიში ამოგვებეჭდა.

მივხვდი, რომ ბიზნესის წარმოებისთვის უკეთესი გზა უნდა მომექებნა. მჭირდებოდა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც შეძლებდა თითოეული კლიენტისთვის საჭირო გამოთვლების შესრულებას და ამ ყველაფრის ამობეჭდვას. მე და დრენდამ უფალს დახმარება ვთხოვთ, რომ ჩვენთვის ისეთი პროგრამისტი გამოეგზავნა, ვისაც ფინანსურადაც გავწვდებოდით და თან შეძლებდა ჩვენი კომპანიისთვის მთელი პროგრამა შეექმნა.

ამ ლოცვიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვეულებრივი, რუტინული კლიენტთან ვიზიტის შემდეგ, კლიენტმა მას შემდეგ, რაც მისთვის ამობეჭდილი მასალა წახა, მკითხა: „ამას ხელით აკეთებდ?“ „კი“, – ვუპასუხე, – „მაგრამ ძალიან გვინდა, ეს ყველაფერი კომპიუტერულ პროგრამაში გადავიტანოთ, რომელიც ჩვენ მაგივრად გააკეთებს ამას“. მან შემომხედა და ამიხსნა, რომ მართალია, სრულ განაკვეთზე მუშაობდა პროგრამისტად, მაგრამ ძალიან სურდა, დაგვხმარებოდა და თავისი საღამოები ამისთვის გამოეყო. მან საკუთარი ფასიც გაგვაცნო და გვითხრა, რომ შესაძლებლობას მოგვცემდა, როგორც შევძლებდით ისე გადაგვეხადა შემდეგი წლის განმავლობაში.

ამ პროგრამამ ყველაფერი შეცვალა და საშუალება მომცა, მეტი ადამიანი დამექირავებინა. მალევე, 300 წარმომადგენელი გვყავდა აღმოსავლეთ აშშ-ის თითქმის ყველა ადგილას. რის გამოც, ჩვენი ერთ-ერთი კლიენტისთვის 5,000 ოფისიდან, ჩვენი ოფისი გახდა ნომერ პირველი.

ჩვენი კომპანიის დაარსებითა და სულინმიდის მიყოლით სრულიად გავთავისუფლდით ვალებისგან, დანარჩენი თქვენც იცით. მე ვამბობ, რომ ღმერთი გეგმას მოგცემთ, თუკი სთხოვ და მისცემ ამის გაკეთების შესაძლებლობას. ის ისეთ ადგილებამდე მიგიყვანს, რასაც ვერც კი წარმოიდგენდი.

ამრიგად, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ გეგმა გჭირდებათ. ღმერთს აქვს გეგმა შენი წარმატებისთვის. რეალურად, მას უამრავი გეგმა აქვს შენი წარმატებისთვის. მისი იდეები და სიბრძნე უკიდეგანოა.

„ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“.

– იერემია 29:11

## როგორ ისმენ ლვთის გეგმას?

ამრიგად, საიდან ვისმენთ გეგმას? როგორც ვთქვი, მოსმენის საუკეთესო საშუალება ენებზე ლოცვაა. აქ არ ვაპირებ ენებზე ლოცვაზე ვრცლად საუბარს, რადგან ჩემი წიგნი „შენი ფინანსური რევოლუცია: სტრატეგიის ძალა“, დეტალურად განიხილავს სულინმიდისგან მოსმენას. მაგრამ მოკლე მითითება საჭიროა.

„ხოლო სიბრძნეს ვლაპარაკობთ მიწიფულთა შორის, ოლონდ არა სიბრძნეს ამ წუთისოფლის მთავრებისას, რომლებიც წარმავალნი არიან, არამედ ვლაპარაკობთ ლვთის სიბრძნეს, იდუმალებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა საუკუნეთა უნინარეს ჩვენი დიდებისთვის. რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან; ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს.“

მაგრამ, როგორც წერია: რაც თვალს არ უნახავს, უურს  
არ სმენია და კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის  
მოუმზადა თავის მოყვარულებს.

ჩვენ კი თავისი სულით გაგვიმხილა ღმერთმა; ვინაიდან,  
სული ყოველივეს იკვლევს, ღვთის სიღრმეებსაც.  
რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა  
ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც  
არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა. ჩვენ კი მივიღეთ  
არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისგან, რათა  
ვიცოდეთ ღვთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული“.

- 1 კორინთელთა 2:6-12

როგორც ამ მუხლშია ნახსენები, რაც არ გვსმენია, გვინახავს  
და გონებაში არ გაგვივლია, გვიცხადდება სულიწმიდის მიერ.  
ეს ჩემთვის დიდი უპირატესობაა, შემიძლია, გამოვიყენო. როცა  
ქრისტიანი გახდი, სულიწმიდა დამკვიდრდა შენში და მან დაიწყო  
შენი ცხოვრების გაძლოლა.

მაგრამ სულიწმიდის კიდევ ერთი განზომილებაა, რომელიც  
იესომ სულიწმიდას მისცა, და რასაც სულიწმიდით ნათლობა  
ეწოდება. სწორედ ამას ვხედავთ, რომ მოხდა სულიტმოფენობის  
დღეს, როცა სულიწმიდა გადმოვიდა მონაფეებზე ზედათვალში,  
ისევე როგორც იგი იესოზე გადმოვიდა მდინარე იორდანზე.  
სწორედ აქედან დაიწყო იესოს მსახურება. სწორედ ამ დროს  
გადმოვიდა მასზე ღვთის ძალა, რათა ყოფილიყო ღვთის სამეფოს  
მოწმე. იესო ბავშვობაში სასწაულებს არ ახდენდა. ის ოჯახში  
პურს არ ამრავლებდა და არც წყალზე დადიოდა. სულიწმიდით  
ნათლობის გასაგებად საჭიროა, გვესმოდეს, რომ არსებობს  
განწვავება ხელახლა შობასა (როცა ღვთის სული შემოდის  
შენში) და სულიწმიდით ნათლობას შორის (როცა სულიწმიდა  
გადმოდის შენზე).

„იმავე დღეს, საღამოებამს, კვირის პირველ დღეს, იესო  
იუდეველთა შიშით კარჩაკეტილში მსხდარ მონაფეებთან  
მოვიდა, შუაში დადგა და უთხრა მათ: „მშვიდობა  
თქვენდა!“ ეს რომ თქვა, ხელები და ფერდი უჩვენა მათ.  
და გაიხარეს მონაფებმა უფლის ხილვით.

ხელახლა უთხრა მათ იესომ: „მშვიდობა თქვენდა!

**შეინ ფიცასური რაოოლუოია:** უზრუნველყოფის ქალა

როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“.  
ეს რომ თქვა, შეუბერა და თქვა: „მიიღეთ სულინმიდა!“  
– იოანე 20:19-22

მოწაფეებმა აქ მიიღეს ზეციდან შობა, იოანეს მე-20  
თავში, თუმცა იესომ უთხრა მათ, რომ უნდა დალოდებოდნენ  
სულინმიდის ნათლობას, რაც ნებას მისცემდა, ყოფილიყვნენ  
ღვთის სამეფოს მოწმეები.

„რომელიც ცოცხლად წარუდგა თავისი ტანჯვის  
შემდეგ მრავალი სარწმუნო ნიშნით; იგი ორმოც დღეს  
ეჩვენებოდა და ღვთის სამეფოზე ელაპარაკებოდა მათ.  
შეკრიბა ისინი და დაავალა: „იერუსალიმს ნუ გაშორდე-  
ბით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან  
რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა,  
თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით  
სულინმიდით“.

– საქმეები 1:3-5

„არამედ თქვენმიიღებთ ძალას, როცა გადმოვასულინმიდა  
თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმეები იერუსალიმში, მთელ  
იუდეასა და სამარიაში და დედამინის კიდემდე“.

– საქმეები 1:8

უფლისგან გადმოღვრილ ამ ცხებულებას მოაქვს ღვთის  
ძალა და საშუალებას გაძლევს მისი საქმეები აკეთო. გთხოვთ,

#### **უფლისგან**

**გადმოღვრილ ამ**  
**ცხებულებას მოაქვს**  
**ღვთის ქალა და**  
**საშუალებას გაძლევს**  
**მისი საქმეები აკეთო.**

ერთ-ერთი ნიშანი? მათ ყველამ ენებზე დაიწყეს ლაპარაკი. ენებზე ლაპარაკი 1 კორინთელთა მე-12 თავის მიხედვით ეკლესისადმი მიცემულ ცხრა სულიერ ნიჭს შორის ერთ-ერთია. შეიძლება თქვათ, რომ ამ ნიჭების პერიოდმა ჩაიარა, მაგრამ მე

ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი გადმოდის შენზე და არა შენში. შესაძლოა ისიც გახსოვდეთ, რომ სულთმოფენობის დღეს, ყველა მოციქული, რომელნიც იერუსალიმში იცდიდნენ ზედათვალში, სულინმი-დით მოინათლნენ. რა იყო ამის

ერთ-ერთი ნიშანი? მათ ყველამ ენებზე დაიწყეს ლაპარაკი. ენებზე ლაპარაკი 1 კორინთელთა მე-12 თავის მიხედვით ეკლესისადმი მიცემულ ცხრა სულიერ ნიჭს შორის ერთ-ერთია. შეიძლება თქვათ, რომ ამ ნიჭების პერიოდმა ჩაიარა, მაგრამ მე

შეგენინააღმდეგებით. სულიწმიდით ნათლობას ეს ყველა ცხრა ნიჭი მოაქვს, თუმცა მე ახლა მინდა ყურადღება კონკრეტულად ამ ერთზე, ენებზე ლაპარაკზე გავამახვილო.

თავიდან, შესაძლოა, გამოუსადეგრად მიიჩნიო, რადგან შეიძლება გეგონოს, რომ მხოლოდ სხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებთან ლაპარაკში შეიძლება გამოიყენო, როცა სახარებას ქადაგებ. თუმცა, სხვა ადამიანების ენაზე საუბარი, რომელიც არ იცი, არასდროს ყოფილა ენებზე ლაპარაკის ნიჭის მიზანი. ნება მომეცით, გაწევნოთ, რატომ არის ეს ნიჭი ასეთი ღირებული და მნიშვნელოვანი შენი წინსვლისთვის.

„ვინაიდან, ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება და არავის ესმის, რადგან საიდუმლოებებს ლაპარაკობს სულით. ხოლო, ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება ასაშენებლად, გასამხნევებლად და სანუგეშებლად. ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს, ხოლო, ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას აშენებს. მე მსურს, რომ ყველანი ლაპარაკობდეთ ენებით, უფრო მეტად კი — რომ წინასწარმეტყველებდეთ, ვინაიდან ის, ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკეზე მეტია, თუ არ განმარტავს კიდეც, რათა აშენდეს ეკლესია.“

— 1 კორინთელთა 14:2-5

აქ საჭიროა პავლეს წერილის კონტექსტი გვესმოდეს. ის საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეკლესის შეკრებები. ის ამბობს, რომ ენებით ლაპარაკი არანაირი სარგებლის მომტანი არაა მომსმენთათვის მსახურებაზე, რადგან ვინც ისმენს, ვერ იგებს, რას ამბობს ენებზე მოლაპარაკე. პავლე ამბობს, რომ ეკლესიისთვის სარგებელი წინასწარმეტყველებას უფრო მოაქვს, რადგან იგი საერთო ენაზე იქნება და შესაბამისად, მეტად ეფექტურიც.

მაგრამ, როცა საქმე ინდივიდუალურად ენებით ლოცვას ეხება, ვაუ, აქ სულ სხვა რაღაც ხდება. ენებზე ლაპარაკს უდიდესი სარგებელი აქვს მოლაპარაკისთვის. ბიბლია ამბობს, რომ ისინი სულით საუბრობენ საიდუმლოებებზე. ეს ის საიდუმლოებია, რაც არ იცი და რაც გჭირდება, რომ იცოდე.

მეორე, პავლე ამბობს, რომ ენებით მლოცველი საკუთარ თავს აშენებს. სიტყვა აშენება ამ შემთხვევაში მითითებების მიცემას გულისხმობს. ცხადია, თუკი რაიმეს ცოდნა გჭირდება, იმ მომენტში ეს შენთვის საიდუმლოა. მაგრამ ენებზე ლაპარაკი მითითებებს აძლევს მოლაპარაკეს. მე და შენ ეს დანამდვილებით გვჭირდება, თუკი ვაპირებთ განვავითაროთ გეგმები, რაც ჩვენს ცოდნას აღემატება. როგორც 1 კორინთელთა 2:9-10 ამბობს:

„რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია და კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს. ჩვენ კი თავისი სულით გაგვიმხილა ღმერთმა“.

მე მჭირდება ეს დახმარება, ისევე – როგორც შენ! თქვენი შემდეგი კითხვაა: „თუკი ენებზე ლაპარაკობ და არ გესმის, რას ამბობ, მაშინ როგორ მიიღებ რაიმეს ამ ლაპარაკით?“ აი, სწორედ აქ არის საიდუმლო. რადგან სულიწმიდა შენი ადამიანის სულის მეშვეობით ლაპარაკობს, შენი გონება იწყებს იმ აზრების აკრეფას, რაც შენში გადის. ამას ჩვენ გამოცხადებას ვეძახით და ამ სიტყვის ფუძე გაცხადებაა. ამრიგად, სულით ლოცვით, ანუ ენებზე ლოცვით, როგორც მას ბიბლია უწოდებს, გაქვს უნარი აკრიფო ის იდეები და აზრები, რაც შენ არ გეკუთვნის.

ვიცი, ალბათ, ასობით კითხვა გაგიჩნდათ ამაზე, ამიტომ ნება მომეცით, მოგიწოდოთ, ჩემი წიგნი წაიკითხოთ „შენი ფინანსური რევოლუცია: სტრატეგიის ძალა“. იქ იპოვით ყველა პასუხს.

### შეჩერდი და ილოცე სტრატეგიისთვის

ახლა, მოდი, უბრალოდ გვესმოდეს, რომ მას შემდეგ, რაც რწმენით დათესავ შენს თესლს, შემდეგი ნაბიჯია გაჩერდე და რაღაც დროის განმავლობაში სულიწმიდით ოლოცო, რადგან გეგმა გჭირდება. სწორედ ეს გააკეთა კარლამ.

კარლა და ტოდი ჩვეულებრივი, ამერიკული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, გადასახადიდან გადასახადამდე და უფრო ღრმად ვალებში. ერთ დღეს, კარლამ თვალი მოკრა ფულის საკითხის მოგვარების გადაცემას ტელევიზორში და იცოდა, რომ სჭირდებოდა მათი ფინანსები წესრიგში მოეყვანა. კარგად მახსოვს, კარლასგან მიღებული მეილი. იმ დროისთვის,

მან თქვა, რომ არანაირი ფინანსური გეგმა არ ჰქონდათ. ისეთი გაჭედილები იყვნენ, ისიც არ იცოდნენ, რამდენიმე თვეში რა სიტუაცია ექნებოდათ. ყველაფერს საკრედიტო ბარათით იხდიდნენ.

მან იცოდა, რომ ვალებისგან გათავისუფლება სჭირდებოდათ, მაგრამ როგორ? მან და მისმა ქმარმა დათესეს თესლი ბიზნესი იდეისთვის ჩემი წიგნის წაკითხვის შემდეგ და კერძოდ ისეთი ბიზნესისთვის დათესეს, რის კეთებასაც იგი სახლიდან შეძლებდა. ტოდი უკვე ძალიან დაკავებული იყო, როგორც ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი, ამიტომ კარლას აინტერესებდა, რითი შეძლებდა მის დახმარებას. მას შემდეგ, რაც მათ იდეისთვის დათესეს, ყოველ დილას კარლა წყნარ დროს ატარებდა უფალთან, ელოდებოდა მიმართულების მოსმენას სულინმიდისგან.

ერთ დილას მან სულში მოისმინა სიტყვა „ლეკვები“. თავიდან, ცოტადაიბნა. ლეკვები? ლეკვების გაზრდა? მათ ერთხელ ჰყავდათ ძალი, მაგრამ ლეკვების გაზრდაზე არასდროს უფიქრია. როცა იმ საღამოს ტოდი სახლში დაბრუნდა, მას სურდა გაეზიარებინა მისთვის, რაც ღმერთმა უთხრა. როგორც ელოდა, ტოდს ცოტა ცუდი წინათგრძნობა გაუჩნდა ამ გეგმისადმი, თუმცა მაინც გაამხნევა კარლა, რომ გამოეკვლია შესაძლებლობები. მალე, ტოდმა და კარლამ ორი დედალი ოქროსფერი დუდლის ლეკვი იყიდეს და მათი პატარა ლეკვების ბიზნესი დაიწყეს. რა თქმა უნდა, მათ ჯერ ეს ლეკვები უნდა გაეზარდათ, რომ შეჯვარების პროცესი დაეწყოთ.

ამ გზაზე, რადმენჯერმე შეყოვნდნენ, მაგრამ პირველ წელს მათ ძალლებს 13 ლეკვი ეყოლათ. თითო ძალლი დაახლოებით 1,500\$-ად გაიყიდა და კარლა ყვებოდა, რომ ცრემლები მოადგა, როცა გააცნობიერა, რომ სწორად გაიგონა, როცა სულინმიდამ სიტყვა „ლეკვები“ უთხრა. იმავე წელს, ტოდიც დააწინაურეს სკოლის დირექტორად.

ლეკვების ბიზნესი კი იზრდებოდა და ამ დროისთვის უკვე 300 ლეკვი ჰყავდათ, ფასმა კი თითოზე 2,500\$-მდე აინია. მათი ფინანსური ცხოვრება 180 გრადუსით შემობრუნდა! გასულ წელს თავიანთი სახლი გამოისყიდეს და ახლა სრულიად თავისუფლები არიან ვალებისგან. მათ იმოგზაურეს მთელს ქვეყანაში და დაინახეს, როგორ აკეთებს გასაოცარ საქმეებს ღმერთი მათ ოჯახში, ამიტომ კარლამ გადაწყვიტა სამეფოს

შესახებ მოეყოლა. მან ახლახან გამოუშვა წიგნი „წინსვლის გეგმები: როგორ მოგვცა ღმერთმა ფინანსური თავისუფლება დეკვების მეშვეობით“.

ტოდი და კარლა სამეფოს ცხოვრების სტილით ცხოვრობენ, სწორედ ეს იყენებოდა ადამიანთა ყურადღებას და აჩერებს მათ, რათა ღმერთზე დაფიქრდნენ. წინასწარმეტყველი ესაია ეკლესის პერიოდზე ლაპარკობდა 61-ე თავში, როცა გვითხრა, თუ რისი გაკეთება სურს ღმერთს ჩვენს ცხოვრებაში, როცა დედამიწაზე ვართ.

„და უწოდებენ მათ უფლის მიერ დანერგილ სიმართლის სკეტებს, რათა განდიდეუს იგი“.

– ესაია 61:3

(მთარგმნელის შენიშვნა: ინგლისურ თარგმანში სიმართლის მუხები წერია). მუხა ძალიან ძლიერი ხეა და როგორც წესი, ზომითაც ძალიან დიდია. ბიბლია ამბობს, რომ ჩვენი ცხოვრება მუხის ხესავით იქნება, გამაგრებული, გამტკიცებული და ურყევი. ამ ხის ნაყოფი სიმართლე იქნება. რაც უბრალოდ ნიშნავს, რომ ადამიანები დაინახავენ: როგორი უნდა იყოს ცხოვრება? რას უწოდებს ღმერთი სიმართლეს? ჩვენ უფლის ნერგები ვართ, რაც ნიშნავს, რომ იგი იქ მოგვათავსებს, სადაც ვეკუთვნით, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა საქმიანობასა თუ კულტურაში, მის განსაზღვრებლად. მას სურს ადამიანებმა, რომ იხილონ მისი გზების კეთილი ნაყოფი შენს ცხოვრებაში. როგორც ხილის ხე მიგიზიდავს თავისი სასიამოვნო ნაყოფით, ღმერთს სურს, შენი ცხოვრება ჰგავდეს სამოთხეს დედამიწაზე.

ამრიგად, როგორ გააკეთეს ტოდმა და კარლამ ეს? რა თქმა უნდა, ძალიან დიდი შრომა სჭირდებოდა ლეკვების გაზრდას, მაგრამ თავისუფლება ნამდვილად ღირდა ამად. მთელი ეს თავისუფლება გეგმის მოსმენით დაიწყო, ღვთისგან სიტყვის მოსმენით. მან მხოლოდ ერთი მარტივი სიტყვა მოისმინა - „ლეკვები!“ მაგრამ მხოლოდ ეს იყო საჭირო. ღმერთი შენც დაგელაპარაკება. იგი გაგიძლვება იმ ხასხასა მოლექსსა და წყნარ წყლებზე, რაზეც 23-ე ფსალმუნი ლაპარაკობს.

მაგრამ როგორც წარმოგიდგნიათ, მხოლოდ გეგმის მოსმენა საკმარისი არაა. შემდეგ თავში მე-5 ნაბიჯს განვიხილავთ და

ალბათ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თავი იქნება, რადგან ადამიანთა უმრავლესობა, სწორედ მე-5 ნაბიჯში მარცხდება. მაგრამ არა შენ, შენ ღვთის სიკეთეში გაივლი, როგორც ის ისტორიები გვიყვება, რაც ამ წიგნში წაიკითხე! მზად ხარ? მოდი, მეხუთე ნაბიჯზე გადავიდეთ!



## თავი 9

# ნასვლის დროა!

ყველა ფერმერმა იცის, რომ ყველა მკას თავისი კონკრეტული დრო აქვს. კონკრეტული ნათესის სწორი მკის დროის ცოდნა განასხვავებს წარმატებას მარცხისგან. და მოდი, პირდაპირ ვთქვათ: შეიძლება, მოსავლის აღება გამოტოვო! ამრიგად, ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი საკითხია. ოდესმე ყოფილხართ მაღაზიაში, დაგინახავთ დიდი ნითელი ვაშლი და გიფიქრიათ: ძალიან კარგად გამოიყურება ეს ვაშლი, მაგრამ მისულხართ სახლში, ჩაგიკბეჩიათ და გითქვამთ: ვაუ, გემო საერთოდ არ აქვს? ეს, არასწორი დროის გამოა.

ვერც კი დავთვლი, რამდენი ფინანსური კატასტროფა მომისმენია და შემდეგ გავმკლავებივართ ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც ოდეას აჰყვნენ, მაგრამ სწორი დრო გამოტოვეს. ჩემი საყვარელი მუხლი დროულობასთან დაკავშირებით, არის მათეს 13:44.

„ცათა სამეფო წააგავს მინდორში დაფარულ **საუნდეს**, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს“.

ამ ისტორიაში, ეს კაცი საკმარისად ბრძენი იყო, რომ სცოდნოდა, რომ იმ მომენტში არ იყო შესაფერისი დრო საგანძურის ქონისა. ის უნდა წასულიყო და მომზადებულიყო მის შესაძენად.

მაგალითად, როცა კარლამ სიტყვა ლეკვები მოისმინა, ეს არ ნიშნავდა, რომ მაშინვე ლეკვების გასაყიდი რეკლამა გამოეკრა. მას ჯერ ლეკვები საერთოდ არ ჰყავდა. საკმაოდ ხანგრძლივი მზადება იყო საჭირო. მათ ჯერ ორი მდედრი ძალლი უნდა

ეყიდათ. უნდა აეშენებინათ მათთვის საცხოვრებელი ადგილი და დაეგეგმათ იმ ლეკვებისთვის, რომლებიც გაჩნდებოდნენ. კანონთან დაკავშირებული საკითხებიც იყო, რისი შესწავლაც საჭირო იყო, იმ სავალდებულო ვაქციონებთან დაკავშირებით, რაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ლეკვებს, თუ მათი გაყიდვა გინდათ.

ასევე არის ლიცენზიის, მარკეტისგის, გადასახადების საკითხები, ყველა რომ არც ჩამოვთვალოთ. ამ ყველაფერში გარკვევა მანამდეა საჭირო, სანამ რეალურად შეაბიჯებ შენი ბიზნეს იდეის მეს პერიოდში.

ჩავთვალოთ, რომ წინასწარ ყველაფერი გააკეთე, რთული ნაწილი მაინც წინ არის. უნდა გადააბიჯო იმ ხედვაში, რომელზეც ღმერთი დაგელაპარაკა. დიახ, ეს იდეა შენზე დიდი იქნება და ამ ნაბიჯის გადადგმას თან შეშიც ახლდება. მაგრამ შეში ძველი შენ იყავი. გახსოვდეს, ეს ახალი შენ ხარ!

როცა ღმერთი ჩემი ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებით დამელაპარაკა, ამაზე ძალიან ვნერვიულობდი. ყველაფერს ნულიდან ვიწყებდი. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი დამელაპარაკა სიზმარში, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა და წინასწარ ყველაფერი გავაკეთე, მაინც ვნერვიულობდი. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ჩემზე, რომ რეალურად გადამედგა ეს ნაბიჯი და დამეწყო. ოდესმე გყოლიათ მეგობარი ან იცნობთ ვინმეს, ვინც ყოველთვის ლაპარაკობს იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებს, მაგრამ რეალურად არასდროს აკეთებს? მე უამრავ ასეთ ადამიანს ვიცნობ! გახსოვდეთ, გაყიდვების წარმომადგენლებს თითქმის 30 წელი ვწვრთნიდი.

როცა ჩემი ბიზნესი დავიწყე, კონკრეტული მითითებები არ მქონდა. ჩემი შემოსავალი გაყიდვებზე იყო დამოკიდებული და მე ერთ კაციანი ფირმა მქონდა. მაგრამ ერთადერთი, რაც მქონდა, იყო ლტოლვა. როცა ღმერთმა მიმითითა დამეარსებინა ჩემი კომპანია, რათა ადამიანებს ვალებისგან გათავისუფლებაში დავხმარებოდი, ძალიან ანთებული ვიყავი ამით. ფინანსური პრობლემები თითქმის მთელი ცხოვრება მტანჯავდა და ახლა, როცა პასუხი, ღვთის სამეფო ვიპოვე, მინდოდა, ყველასთვის მეთქვა ამის შესახებ. მეორე, მას შემდეგ, რაც ღმერთი დამეხმარა, გეგმა შემექმნა, რომელიც დამეხმარებოდა დამეწერა ოჯახებისთვის გეგმები, თუ როგორ გათავისუფლებულიყვნენ ვალებისგან ხუთიდან შვიდ ნლამდე ვადაში, მათი ბინის გირაოს

ჩათვლით, ისე რომ მათი შემოსავალი არ შეიცვლებოდა, ჩემი ლტოლვა ამ საქმისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. ვიცოდი, რომ მქონდა კონკრეტული ნიშა ფინანსურ ბაზარზე და მქონდა ისტორია, რომელიც უნდა მომეყოლა. მაგრამ ისევ ვიტყვი, წინასწარ ისე უნდა მოვმართულიყავი, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ დავიწყებდი.

რა თქმა უნდა, ყოველთვის არის რაღაცები, რასაც გზაში ვსწავლობთ, მაგრამ გადახტომის მომენტში, უკვე უნდა გქონდეს განვითარებული ძირითადი სტრუქტურა. მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მაგარია შესაძლებლობა, პროდუქტი ან პოტენციური ანაზღაურება, ეს ყველაფერი დღეს არის, და დღეს არის დღე, როცა უნდა გადააბიჯო ამ გეგმაში.

ამას კი რეალურ პრობლემამადე მივყავარ, რაც დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი მიზეზია, რის გამოც ძალიან ბევრი ვერ აღწევს მიზანს, იმის შემდეგაც კი, როცა ღვთისგან მოისმინეს მიმართულება და პასუხი, მათ ფინანსურ პრობლემებზე.

## პროკრასტინაცია!

პროკრასტინაცია, შესაძლოა, ეფუძნებოდეს არასაიმედობას, შიშს ან უბრალოდ სიზარმაცეს. მაგრამ, ერთი რამ დანამდვილებით შეგვიძლია, ვთქვათ, ამის გაკეთება ძალიან ადვილია! ქვემოთ მოცემული კვლევა წავიკითხე დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ჩვევების შესახებ, პროკრასტინაციასტან მიმართებაში.

„ჯენი თავის ბინას ალაგებს. ქესი მათემატიკურ თავსა-ტეხს ხსნის. მეთი სპორტის ქულებს ამონმებს და კარმენი თავის ფეისბუქ გვერდს ანახლებს. ყველა მათგანი ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტია, რომელთაც გადადეს ის საქმეები, რასაც წესით უნდა აკეთებდნენ. კლასიკური პროკრასტინაციული გამოვლინება.

ეს რთულად დასამსხვრევიჩვევაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ინტერნეტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მაუსზე დანკაბუნებით გაექცნენ დისციპლინირებულ სასწავლო დროს. 2007 წლის მეტა ანალიზი კალგარის ფსიქოლოგის, დოქტორი პიერს სტილის უნივერსიტეტის ანგარიშში გვამცნობს, რომ კოლეჯის სტუდენტთა 80-

დან 95%-მდე პროკრასტინაციას ეწევა, განსაკუთრებით, როცა საქმე მეცადინეობას ეხება“.<sup>6</sup>

ანუ, მე ვიტყოდი, რომ ეს მხოლოდ სტუდენტებს არ ეხებათ. გონიერის გაფანტვა ხშირია. ტელეფონის ხელში აღება ან მეილის გახსნა, ნამდვილად დროის გამყვანია. თუმცა პროკრასტინაციას ბევრად საყურადღებო, დემონური მხარე აქვს, რომლის შესახებაც უნდა იცოდეთ! თვალსაჩინოებისთვის და ამ საშიშ თემაზე ფარდის ასახდელად, დიახ, ნამდვილად საშიში რამ ვთქვი, მინდა, 1 კორინთელთა 2:6-8 წავიკითხოთ!

„ხოლო, სიბრძნეს ვლაპარაკობთ მოწიფულთა შორის, ოღონდ არა სიბრძნეს ამ წუთისოფლისას ან წუთისოფლის მთავრობისას, რომლებიც წარმავალნი არიან, არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს, იდუმალებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისთვის. ~~რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან;~~ ვინაიდან; რომ შეეცნოთ, ვევრს არ აცვამდნენ დიდების უფალს.“

-1 კორინთელთა 2:6-8

ვაუ, ჯობია ეს სადმე ჩაიწერო! სატანა შეცვლის ტაქტიკას თუკი მიხვდება, რას აკეთებ! აი, რატომ გვესაუბრება ღმერთი იგავებით. აი, რატომ იცდის ღმერთი ზოგჯერ შუალამემდე, სანამ თავის პასუხს გამოვგივლენს. უნდა იცოდე და გახსოვდეს, რომ მტერი გვყავს. შენი მტერი უბრალოდ მეტაფორული გმირი არ არის, ფინლით და წითელი კოსტუმით. ბიბლია ცხადად ამბობს:

„იყავით მდვიძარენი, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრნის როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს?!“

-1 პეტრე 5:8

რა თქმა უნდა, ის ასე ვერ ჩაყლაპავს ვიღაცას, მაგრამ მას სურს გაგიტყუოს ზეცის მართლმსაჯულებიდან მის კანონიერ სამეფოში, რათა მოკლას, მოიპაროს და გაანადგუროს. ბიბლია ამბობს: „შენი მტერი!“ სატანას ერთ-ერთი ტაქტიკაა შეგიტყუოს თვითვმაყოფილებაში, პროკრასტინაციის ადგილას. ეს მას

<sup>6</sup> Procrastination or ‘intentional delay’? (apa.org)

დროს მისცემს, რომ მიხვდეს, თუ რას აპირებთ შენ და ღმერთი.

მახსოვს, სიზმარი, რომელიც ერთ ღამეს ვნახე. სურათი, რომელიც ვიხილე ღამე იყო, და ჩემი საძინებლიდან სინათლე გაზონამდე გადიოდა, სადაც ნელ-ნელა წყვდიადს ერწყმოდა. იქ, სადაც სინათლე ჩრდილში უჩინარდებოდა, ორი დემონი დავინახე, სახით ჩემი ფანჯრისკენ, რომელთაც ხელში რვეულები ეჭირათ.

ვიცოდი, ისინი გამოგზავნილ იყვნენ, რათა ჩემს სახლში შემოსასვლელი კანონიერი გზა მოეძებნათ. ისინი რაღაცებს ინიშნავდნენ, ეძებდნენ სისუსტეს, რითიც ეცდებოდნენ ღმერთის საქმიანობის შეჩერებას.

პროკრასტინაცია შესაძლოა, მომაკვდინებელი იყოს! ძლიერი განაცხადია, არა? და იგი სრულიად ენინააღმდეგება იმ საცდურს, რასაც პროკრასტინაცია გთავაზობს. მისი ხმა ნაზი და დამარჩებულებელია: „არაფერი დამავდება, თუ ცოტა მოგვიანებით გააკეთებ“. ყოველთვის შეგიძლია მოგვიანებით გააკეთო. მაგრამ ეს სიმართლეა? ნება მომეცით, გაგიზიაროთ ისტორია, რომელიც გაჩვენებთ, თუ რამდენად საშიში შეიძლება იყოს პროკრასტინაცია.

„ფილისტიმელიც წამოვიდა და მიუახლოვდა დავითს, ნინ ფარისმზიდველი ედგა. დავითი, რომ დაინახა ფილისტიმელმა, ზიზღით შეხედა, რადგან ყმაწვილი იყო იგი, ნითური და კარგი შესახედი. უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „განა ძალლი ვარ, კეტით რომ გამოდიხარ?“ და თავისი ღმერთების სახელით დასწყევლა ფილისტიმელმა დავითი. უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „მომიახლოვდი, რომ ცის ფრინველებსა და მინდვრის მხეცებს გადავუგდო შენი გვამი“. – 1 სამუელი 17:41-44

„აღიმართა ფილისტიმელი, დაიძრა და დავითისკენ წამოვიდა და გაიქცა დავითიც ფილისტიმელთან შესახევდრად. აბგაში ჩაიყო ხელი დავითმა, სტყორცნა შურდულით და შიგ შუბლში მოარტყა ფილისტიმელს; ჩაეჭიდა ქვა შუბლში და პირქვე დაეცა მიწაზე“. – 1 სამუელი 17:48-49

**პროკრასტინაცია  
შესაძლოა  
მომაკვდითებელი  
იყოს!**

დავითის და გოლიათის ისტორია ისეთი გასაოცარია! ისრაელის მთელი ერი შეშინებულია, როცა გოლიათის მუქარა ესმით. მაგრამ დავითი ამბობს, რომ იგი ერთი პირობით შეებრძოლება მას: მას შეეძლება, აირჩიოს საკუთარი იარაღი, შურდული, რომელსაც წლების განმავლობაში იყენებდა თავისი ცხვრების დასაცავად. როცა დავითი გოლიათს უახლოვდება, გოლიათი დაიბნა და ყვირის: „განა ძალი ვარ, კეტით რომ გამოდიხარ?“ გოლიათი ფიქრობს, რომ კეტია დავითის იარაღი, რადგან ვერ ხედავს მის ქამარში ჩაჩურთულ შურდულს. არა, დავითი ამ კეტს სატყუარად იყენებს, გადააქვს გოლიათის ყურადღება შურდულიდან. როცა გოლიათი დავითისკენ წავა, ისიც გარბის გოლიათისკენ. ეს კიდევ ერთი ტაქტიკაა, რაც დავითმა გამოიყენა. მან იცოდა, რომ გაცილებით რთული იქნებოდა შურდულის დანახვა, თუკი ის სწრაფად იმოძრავდებდა.

მაგრამ, რა მოხდებოდა, თუკი დავითი ისე მოიქცეოდა, როგორც მრავალი ადამიანი იქცევა? კონფლიქტში შესვლის შიშით, ისინი უბრალოდ პროკრას-ტინაციას ეწევიან. რა მოხდებოდა თუკი დავითი უბრალოდ გოლიათის გარშემო იმოძრავებდა, სანამ მზად იქნებოდა შეტევაზე გადასასვლელად? მჯერა, რომ გოლიათი დაინახავდა შურდულს, მიხვდებოდა დავითის სტრატეგიას და შესაბამისად იმოქმედებდა. ბრძოლას წააგებდნენ და მთელს ისრაელს ტყვედ წაასხამდნენ.

სწორედ ამის გაკეთება სურს სატანას შენთვის. მას უნდა, შენი გეგმები დაიმონის. თუკი შენს შეჩერებას შეძლებს, რომ დაელოდო, თუ როდის იქნები მზად, დრო ექნება შეცვალოს ტაქტიკა, რათა ღვთის გეგმას დაუპირისპირდეს შენს ცხოვრებაში. ამრიგად, არის პროკრასტინაცია საშიში? ნამდვილად! დარწმუნებული ვარ, რომ უკვე დაგიჯდა ათასობით დოლარად შენს ცხოვრებაში. დავითის შემთხვევაში, ეს შეიძლებოდა ათასობით სიცოცხლედ დაჯდომოდათ.

სწორედ ამიტომ, როცა იცი სწორი დრო და გაქვს გეგმა, გადადგი ნაბიჯი გაბეჭდულად. მჯერა, სულინმიდა მიგანიშნებს, რომ იცოდე, როდის არის სწორი დრო ნაბიჯის გადასადგმელად. მაგრამ არასწორი სწავლების გამო, მრავალი ყოყმანობს ნაბიჯის

გადადგმას და თუკი კონფლიქტში აღმოჩნდებიან, უკან იხევენ, რადგან ფიქრობენ, რომ ღმერთს სწორად ვერ მოუსმინეს.

## ნუ შეგეშინდება კონფლიქტის!

ადამიანები მეუბნებიან, რომ როცა ნაბიჯი გადადგეს, მთელი ჯოჯოხეთი აუმსედრდათ. თქვენ აღჭურვილი ხართ იმისთვის, რომ ჯოჯოხეთს შიშის გარეშე გაუმკლავდეთ. მტერს კარები მიუჯახუნდა სულინმიდის გეგმის მიერ და ახლა მის შემონგრევას ცდილობს. ამას ვეღარ შეაჩერებს. უკვე ძალიან გვიანია. მაგრამ თუ იგი შეძლებს, დაგაეჭვოს უფლის სიტყვაში, რაც აქამდე გაგიძლვა, შიში უკან დაგხევს. მას სურს, ისეთი აურზაური გამოიწვიოს, რომ უკან დაგახევინოს. მაგრამ ახლა, როგორც არასდროს გჭირდება, რომ მტყიცედ იდგე და მის შესანინაალმდეგებლად მთელი ძალაუფლება გამოიყენო. არ შეგეშინდეს, რომ თქვა: „არა, შენ ამას არ გააკეთებ!“, ან „მე ვბორკავ დაბნეულობის სულს, რომელიც მტანჯავს. ვიცი, რისი გაკეთების შესახებ მითხრა უფალმა და ამას ვაკეთებ, იესოს სახელით. არანაირი უკან დახევა, სატანა!“

სამწესაროდ, დღევანდელი გაუწვრთნელი ქრისტიანების დღიდ ნაწილს სატანას კონტრშეტევა აოცებთ. მათ სჯერათ, რომ რადგანაც ღმერთი დაელაპარაკა და მისცა გეგმა, ყველაფერი მარტივად და სრაფად წავა, ყოველგვარი სურპრიზების გარეშე.

არასწორად არ გაიგოთ, რასაც ვამბობ. ჩვენ სრული ძალაუფლება გვაქვს ბოროტ სულებზე, მაგრამ არ გვაქვს სრული ძალაუფლება ადამიანებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღვთის მმართველობის ქვეშ ვარ, ჩემს გარშემო მრავალი ადამიანი არ არის ამ მმართველობაში და აყვებიან ჭორებსა და დაბნეულობას. მათ შეიძლება, არასწორად განსაჯონ ჩემი მოტივები ან დევნა დამიწყონ.

მაგრამ ისინი ვერ შეაჩერებენ სულინმიდის გეგმას შენს ცხოვრებაში!!! მტერი ყოველთვის ერთი ნაბიჯით დააგვიანებს. ღმერთი გაცილებით წინაა მათზე და გაგიძლვება გამარჯვებისკენ, თუკი მტყიცე დარჩები რწმენაში და უარყოფ კომპრომისა.

ნაბიჯის გადადგმის ფაზაა სწორედ ის ფაზა, რომელსაც რწმენაზე მეტი გაბედულება სჭირდება. რწმენამ მოგიყვანა ამ მომენტამდე, მაგრამ ახლა გაბედულებაა საჭირო, რათა მასში

## შეინიშვნი რაოდლულია: უზრუნველყოფის ძალა

შეაბიჯო. ვფიქრობ, პრობლემა იმაშია, რომ ადამიანებს აბნევთ წითელი ზღვისა და მდინარე იორდანეს ისტორიები.

წითელი ზღვის ისტორიაში ისრაელიანები გამოყვანილ იქნენ ეგვიპტიდან, როცა გზად წითელ ზღვასა და მთებს შორის, ჩიხში აღმოჩნდნენ. ამ დროს კი ფარაონმა გადაიფიქრა და მათ მოსდევთ. თითქოს გასაქცევი გზა არსადაა. მაგრამ მოსე წევს თავის კვერთხს (ძალაუფლებას) და წითელი ზღვა იყოფა. ისინი მშრალ მიწაზე გადადიან და ფარაონის ჯარიც ცდილობს, მათ მიჰყვნენ. მაგრამ ამ დროს ზღვა ჩაყლაპავს მათ და ცოცხლები ვერ გადარჩებიან. ახლა ისრაელი თავისუფალია ეგვიპტიდან, თავისუფალია მონობიდან. ეს ხსნის დიდებული მოქმედებაა და ყველას გვიყვარს ვიგალობოთ ღვთის ხსნაზე.

ამ ყველაფერს წინ უძლევის მათი აღთქმა, ქანაანის მიწა. ეს არის მათი მამების მიწა, რომელიც აბრაამის შთამომავლობას აღუთქვა ღმერთმა. უდაბნოში მოგზაურობისას ყურებში მუდამ მოსეს სიტყვები ჩაესმით: ეს არის მიწა, სადაც რძე და თაფლი მოედინება. იგი ზედმეტად კარგად უდერს, რომ სიმართლე იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მთელი ცხოვრება მონობის მეტი არაფერი იციან. მაგრამ აი პრობლემაც. ეს მიწა უკვე დაპყრობილია სხვა ერების მიერ. როცა მდინარე იორდანეს უახლოვდებიან, მოსე გადაწყვეტს, გაგზავნოს მზვერავები, რათა შეამოწმონ რომელია მათი მოგზაურობისთვის საუკეთესო გზა, რათა მივიდნენ ამ მიწაზე და მოიტანონ მისი ნაყოფთაგანი, რათა ხალხს დაუმტკიცონ, როგორი დიდი პოტენციალით სავსეა ეს მიწა.

მაგრამ მზვერავებს მოაქვთ ამბავი, რაც ისრაელის ხალხს უკან, ეგვიპტეში დაპრუნებას ანდომებს. მიწა სასვეა გალავნიანი ქალაქებით და ხალხით, რომელიც ისრაელიანებზე გაცილებით დიდები და მაღლები არიან. ისრაელიანები სასოწარკვეთილები ტირიან და ღმერთს და მოსეს მიუბრუნდებიან, რადგან ფიქრობენ, რომ მათ იცრუეს. ებრაელთა ურნებულობის გამო, ღმერთი აღარ მიუძღვება აღთქმული მიწისკენ, რადგან იცის, რომ რწმენის გარეშე განადგურდებიან. ეს თაობა ცოცხლობს და კვდება უდაბნოში, სანამ ამ თაობიდან არავინ არ დარჩება.

ახლა იეშუას უპრძანებს ღმერთი წაიყვანოს ხალხი. მაგრამ კვლავ, როცა მდინარე იორდანეს უახლოვდებიან, კვლავ პრობლემაა. მდინარე ადიდებულია და მისი სისწრაფის გამო, ადამიანებს უჭირთ მისი გადაკვეთა. მაგრამ ღმერთი კიდევ

ერთხელ ყოფს წყლებს და ისრაელიანები მშრალ მიწაზე გადადიან, თუმცა ამჯერად არა კონფლიქტიდან, როგორც ეს ეგვიპტის დატოვებისას იყო, არამედ კონფლიქტისკენ, რადგან ემზადებიან ალთქმულის ხელში ჩასაგდებად.

აი, ეს უნდა იცოდე. იქნება საკითხები ან პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მოგიწევს, როცა ნაბიჯს გადადგამ. მაგრამ არ შეგეძინდეს. ღმერთი დაგეხმარება და დაგიცავს. ყოველთვის გახსოვდეს, რომ ამ პრობლემის მიღმა ალთქმაა. არასდროს დაივიწყო ეს.

რეალურად, ახლა ისეთი რაღაცის თქმას ვაპირებ, რამაც შეიძლება შოკშიჩაგაგდოთ. იყავი პრობლემაში გაცნობიერებული. არა, მე არ გელაპარაკები შენს პრობლემებზე შიშით ფიქრზე. მე გესაუბრები გამოსავლის ძიებაზე. ხედავთ, ადამიანები დიდ ფულს იხდიან მათი პრობლემების მოგვარებაში. ბიზნესი ნამდვილად პასუხია ვიღაცის პრობლემაზე. მაგალითად, ადამიანებს აქვთ პრობლემა, ისინი მშივრები არიან და ვიღაც ხსნის „საბვეის“ მაღაზიას. დარწმუნებული ვარ, მსგავსი სენდვიჩი აქამდეც გაგიკეთებიათ, მაგრამ ეს ბიზნეს იდეად არ გიქცევიათ. მაგრამ დღეს, „საბვეის“ ათი ათასობით მაღაზია აქვს მთელს მსოფლიოში, რადგან ისინი ვიღაცის პრობლემას აგვარებენ. და თქვენ იტყვით: „ამის გაკეთება მეც შემეძლო“ და ასეცაა. მაგრამ სხვანაირად ფიქრი გჭირდება.

მე და დრენდა დღეს მიღიონერები ვართ, არა იმიტომ რომ ჭკვიანები ვართ ან კარგად გამოვიყურებით. ჩვენ უბრალოდ ვისწავლეთ, როგორ მოქმედებს ლვთის სამეფო და ღმერთმა გვაჩვენა, როგორ გადავჭრათ ის პრობლემა, რაც გვაქვს. შემდეგ ღმერთმა გვაჩვენა, როგორ დავხმარებოდით სხვა ადამიანებს იგივე პრობლემის გადაჭრაში. ეს არც ისე რთულია!

### მომზადების ადგილი

ამრიგად, მას შემდეგ რაც დათესავ რწმენით და მიიღებ შენს გეგმას, ფიქრის გარეშე პირდაპირ ნუ გადახტები. გაიხსენეთ ჩვენი მუხლი მათეს მე-13 თავიდან.

„ცათა სამეფო ნააგავს მინდორში დაფარულ საუნჯეს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის

და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ  
მინდორს“.

– მათე 13:44

ღმერთი თავდაპირველად ყოველთვის მომზადების ადგილას მოგიწოდებს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთისგან მოისმინე და მან მოგცა იდეა, როგორ დაიწყო შენი გასაოცარი ბიზნესი, დარნმუნდი, რომ სწორი დროა. ღმერთი ყოველთვის ავლენს საუნჯეს, რათა მოტივაცია მოგცეს, რომ ჯერ მოემზადო. ყურადღება მიაქციეთ, მე არ მითქვამს, რომ ღმერთი გაძლევს საუნჯეს. მე ვთქვი, ის გამოგივლენს საუნჯეს, პასუხს. მრავალი, მრავალი ადამიანი არასწორად კითხულობს საგანძურის გამოვლენას, ისევე როგორც ამ საუნჯის ხელში ჩაგდების გეგმას, რასაც საშინელ შედეგებამდე მიჰყავს ისინი. ღმერთი ყოველთვის გაგიძლვება წვრთისა და მომზადების ადგილისკენ, სანამ გაგაგზავნის საუნჯის დასაპურობად.

ვიცი ჩემს შემთხვევაში, ღმერთმა მომცა ხილვა ჩემს შესახებ, სადაც ვიდექი და ხელში ბიბლია მეჭირა. იქ დგომისას, არა მხოლოდ ის დავინახე, რომ ბიბლიიდან ვქადაგებდი, არამედ დავინახე ოთახი და ის ადამიანები, ვისაც ვუქადაგებდი. ხმა დამელაპარაკა ამ ხილვაში: „მე მოგიწოდებ ჩემი სიტყვის საქადაგებლად“. ეს სამჯერ გავიგონე და შემდეგ ხილვა გაქრა. მაშინ 19 წლის ვიყავი. მამაჩემის პიცერიას ვუძლვებოდი და დიდად არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს ხილვა. ერთი რაც დარწმუნებით ვიცოდი ის იყო, რომ ღმერთის სიტყვის საქადაგებლად ვიყავი მოწოდებული. მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, როგორ ან სად მოხდებოდა ეს.

რეალურად, ეს იყო მოწოდება მომზადებისთვის. აქედან ცოტა ხნის შემდეგ, ღმერთმა განმიცხადა, რომ წავსულიყავი ბიბლიის კოლეჯში და შემდეგ უნივერსიტეტში. იქ ჩემი ცხოვრების სიყვარულს, დრენდას შევხვდი. იქიდან წავედით და ჩენი ფინანსური ბიზნესის დაწყებას შევუდექით. ეს იყო გეგმა, რომელიც ჯერ არ მესმოდა. რა მოუვიდა ღვთის მოწოდებას ჩემს ცხოვრებაში? მაგრამ ღმერთს გეგმა ჰქონდა. იგი ამ დროს ჩემს გასაწვრთნელად იყენებდა ფინანსურ სფეროში, მასწავლიდა მისი სამეფოს კანონებსა და პრინციპებს, რაც ჩემი მსახურების ქვაკუთხედი გახდა. მან ეს დრო ჩემი თავდაჯერებულობის გასაზრდელადაც გამოიყენა, როცა ძალიან მეშინოდა ადამიანებთან ლაპარაკის ჩემს ახალგაზრდობაში.

მხოლოდ 1995 წლის 1 სექტემბერს დაგვრთო ღმერთმა ნება, დაგვეწყო ჩვენი ეკლესია ადგილობრივი ქრისტიანული რადიო სადგურის სარდაფში. ჩვენი პირველი მსახურება ღამით იყო. და იქ დგომისას, ზუსტად ის სურათი დავინახე, რაც 21 წლის ნინ ხილვაში მანახა უფალმა.

ამიტომ გესმოდეთ, რომ როცა ხედვას ნახავ, მიმართულებას ან იდეას მიიღებ, ეს როგორც წესი არ ნიშნავს, რომ იმ წუთას დაიწყო. ღმერთი გეტყვის, თუ როდის გადადგა ნაბიჯი ისევე, როგორც მოგცა გეგმა. იგი დაგელაპარაკება და გეცოდინება ამის შესახებ.

ჩემს შემთხვევაში ჩვენს სახლთან ახლოს პატარა ეკლესიაში დავდიოდით 1995 წელს; და კვირა საღამოს მსახურებაზე ღმერთმა ჩემთან ლაპარაკი დაიწყო. ვერც კი ვისმენდი, რას ამბობდა მწყემსი, რადგან ღვთის სული ძლიერად მელაპარაკებოდა. ვიცოდი, ნაბიჯის გადადგმის დრო იყო! და შენც გეცოდინება ეს.

მე და დრენდას ისე მოგვეწონა ის, რაც ღმერთმა გააკეთა, მაგრამ მთელი ჩვენი ლტოლვა იმისკენაა მიმართული, რასაც ის ახლა აკეთებს!!! ჩვენ საკუთარი თავი და დარჩენილი ცხოვრება სამეფოს შესახებ უწყების ქადაგებასა და სწავლებას მივუძლვენით. არაფერი გვაღელვებს ისე, როგორც სწავლებისას ადამიანების განათებული სახეების ყურება, რომელთაც გამოცხადება მიიღეს. ვიცით, ეს რასაც ნიშნავს; ისინი პასუხებს ისმენენ.

ჩვენ ვიცით, რომ სამეფო შენი პასუხიცაა! ამრიგად, რა არის მეხუთე პრინციპი, რაც ღმერთმა მასწავლა?

**ნაბიჯი №5: როცა იცი სწორი დრო, მეთოდი და ადგილი, ნუ მიეცემი პროკრასტინაციას! მეორე, ნუ გაგაკვირვებს კონფლიქტი!**

ეჭვი არ არის, რომ შენ და ღმერთს შეგიძლიათ საქმე ბოლომდე მიიყვანოთ! უბრალოდ გახსოვდეთ, ღვთის ნებაა, ნარმატებას მიაღწიოთ.

„საყვარელნო! ვლოცულობ, რომ ჯანმრთელად იყო და

მიაღწიო ისეთ წარმატებას, როგორ წარმატებასაც შენი სულით მიაღწევ“.

– 3 იოანე 1:2

ნურავის მისცემ უფლებას, გითხრას, რომ ღვთის ნება არაა და მისი საუკეთესო არაა შენთვის, რომ იყო ჯანმრთელი და წარმატებული შენს ცხოვრებაში! ეს მოიპარა სატანამ მინიერი სამეფოდან და რაც ღმერთმა აღგიდგინა იქსო ქრისტეში. რელიგია ასეთ ტყუილებს ასწავლის ადამიანებს შეიქმედის შესახებ. ზოგჯერ ადამიანებს სჭირდებათ, დაივიწყონ უკვე ნასწავლი, რათა ჭეშმარიტება შეიმეცნონ. ცოტა ხნის წინ ეს ნერილი მივიღე, რაც კარგად აღწერს შენი გონების განახლების საჭიროებას ღმერთის სიტყვისამებრ.

### „ძვირფასო გარი!

მე ანეტი ვარ. ბაპტისტი მწყემსის ოჯახში გავიზარდე, ბავშვობისას მივიღე ხსნა და მთელი გულით მიყვარდა იქსო. რომ ნამოვიზარდე, სულინმიდით მოვინათლე და დავიწყე ღვთის სამეფოს შესახებ ისეთი ჭეშმარიტებების გაეგება, როგორიცაა: ნამდვილი თაყვანისცემა, განკურნება, ხსნა, სულიერი ნიჭები და სხვა. ვისწავლე თესვა-მკის ძირითადი პრინციპები სხვასხვა მასწავლებლების მიერ ქრისტეს სხეულში. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ჩემი ქმარი ჯონი თქვენს სწავლებებს „გადაეყარა“, დავიწყე იმის გაცნობიერება, რომ რეალური პრობლემა მქონდა, დამეჯერებინა, რომ ქირსტიანები, განსაკუთრებით მწყემსები და მსახურები უნდა ისწრაფოდნენ წარმატებისეკენ, მათი ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიღმა. აღმოვაჩინეთ, რომ რეალურად არც ერთს არ გვესმოდა როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო.

მსახურებაში ვიყავით და ერთგულად ვწირავდით მე-ათედს. გულუხვი გამცემები ვიყავით და თესვისა და მკის პრინციპის შესახებ ვასწავლიდით კიდეც. მაგრამ მივხვდით, რომ ნორმალური, კომფორტული ცხოვრებით ვცხოვრობდით და სულ ეს იყო, რასაც მოველოდით. 2003 წლის შემოდგომამდე ჩვენს ნავსადგურში ძალიან დიდი ხანძარი გაჩნდა, სადაც ჩვენი ბიზნესიც გვქონდა და მსახურების სათაო ოფისიც. შემდეგ კიდევ რამდენიმე ისე-

თი მოვლენა მოხდა, რამაც ყველაფერი შეცვალა. ჯონს მუდმივი გულის პრობლემები დაწყო და საბოლოოდ ლია ოპერაცია დასჭირდა. იმ დროს ჯანმრთელობის დაზღვევა არ გვქონდა და საავადმყოფოდან დიდი გადასახადები დაგვეკისრა. იმან, რომ მას მუშაობა აღარ შეეძლო, კიდევ უფრო გააუარესდა ყველაფერი. და შემდეგ, ჩვენი მხრიდან რადმენიმე ცუდმა გადაწყვეტულებამ სერიოზული ფინანსური პრობლემები გამოიწვია. 2015 წლისთვის, ჩვენი ნორმალური ფინანსური ცხოვრება, საკმაოდ კარგიდან ვალებით დატვირთულ ცხოვრებად იქცა.

ყოველთვის გულუხვები ვიყავით, რადგან გვიყვარს გაცემა და გვნამს თესვისა და მკის. მთელი გულით ვეძიებდით უფალს პასუხებისთვის, ისე, როგორც არასდროს. შემდეგ ჯონი თქვენს სწავლებას გადააწყდა ტელევიზიაში. თავიდან გაიფიქრა: „ლმერთს ასე ვერ იყიდი“ და ტელევიზორი გამორთო. მაგრამ რამდენიმე დღეში, კვლავ თქვენს პროგრამას წააწყდა და ამჯერად მოსმენა ვეღარ შეწყვიტა. საბოლოოდ მან თქვენი სრული სწავლება შეუკვეთა, რაც კი იმ დროს გქონდათ. ჩვენ ამ მასალით ორი წელი ვიკვებებოდით, სანამ მოვახერხებდით, მოგვეშორებინა გიური, არასწორი აზრები და გვდომოდა, გვქონდა სიუხვე საკმარისზე მეტი.

ერთ დღეს კონკრეტულ ვიდეოს უკვე მეათედ ვუყურებდით, სადაც მათეს მე-17 თავიდან ასწავლით იმაზე, თუ როგორ ეუბნება იესო პეტრეს დაიჭიროს თევზი და მის პირში მოთავსებული მონეტით გადაიხადოს გადასახადები, ისევე როგორც ისტორიას 2 მეფეთა მე-4 თავიდან, სადაც ქალმა გამოიყენა ის ყველაფერი, რაც სახლში ჰქონდა.

უეცრად გამახსენდა, რომ რამდენიმე წლის წინ მეგობარ-მა მოგვცა ოქროს მონეტა იმ სამუშაოს სანაცვლოდ, რაც მათთვის გავაკეთეთ. იგი არ იყო საკმარისი ჩვენი ვალების გადასახდელად, მაგრამ იყო „რაღაც“, რაც გვქონდა სახლში და შეგვეძლო დასათესად გამოგვეყენებინა. ეს მონეტა თქვენს მსახურებაში დავთესეთ, რითიც შიდა წრის პარტნიორები გავხდით და დაველოდეთ, რომ გვენახა, თუ რას გააკეთებდა ღმერთი ამის შემდეგ.

შემდეგი რამდენიმე თვის განმავლობაში, ჩვენ გავაგრ-

ძელეთ თქვენი სწავლებით კვება და კვლავ გვიჭირდა გადასახადების გადახდის შემდეგ ცხოვრება. შემდეგ ერთ ღამეს სიზმარში ღმერთმა მაჩვენა, რომ დიდი რაოდენობით თანხა მოდიოდა ჩვენებენ. შემდეგი კვირების განმავლობაში რამდენიმე პატარა ფინანსური კურთხევა ვიხილეთ. გავაგრძელეთ ლოცვა და მეტი გავეცით. უფლის მითითებისამებრ და განვაცხადეთ ღვთის ჭეშმარიტებები და მოვუსმინეთ, რათა დავრნმუნებულიყავით, რომ ბოლომდე დავემორჩილეთ და ის გავაკეთეთ, რასაც გვეუბნებოდა.

შემდეგ სიტუაცია ისე შემობრუნდა, რაც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა. ამის შემდეგ მალევე დავინახეთ სიზმრის აღსრულება. ის თანხა, რაც მივიღეთ, გაცილებით აღმატებოდა იმას, რაც ვალების სრულად გადასახდელად გვჭირდებოდა. ახლა ვალები აღარ გვაქვს. ახლა ვეძებთ სტრატეგიებს, თუ როგორ დავაბანდოთ ბრძნულად და ვიცხოვროთ ორმაგი პორციით, რათა გავცეთ უხვად, ყოველთვის და ყველა სიტუაციაში.

ჯონი და ანეტი

მსგავს წერილებს მუდმივად ვიღებთ ადამიანებისგან, რომლებიც სწავლობენ ჭეშმარიტებებს ღვთისა და მისი სამეფოს შესახებ და აანალიზებენ, რომ რელიგია მათ ატყუებდა.

აღმოვაჩინე, რომ მას შემდეგ, რაც ჩემი გონება განახლდა უფლის სიკეთისადა მისი სიტყვისადმი, შემეძლო, გავზრდილიყავი გამოცხადებებით, რაც მჭირდებოდა თავისუფლებისათვის. გახსოვდეთ, არასდროს შეიტანოთ ღმერთში ეჭვი! თუკი არის იგი დაგელაპარაკება სიტუაცია შენს ცხოვრებაში, რაც და დაგეხმარება, მარცხს ჰეგავს ღვთის სამეფოს ის, ისენავლო, როგორ მოციქულებმა გააკეთეს. მათ მოქმედებას მისი რაც უკითხავთ იესოსთვის: „იესო, რატომ არ განდევნე ეს დემონი?“ არა, მათ ჰეკითხეს: „ჩვენ რატომ გასამცარი სამაფო?!“

ვერ განვდევნეთ ეს დემონი?“ მათ იცოდნენ, რომ პრობლემა მათ მხარეს იყო და იესოს ამის გაგებაში სთხოვეს დახმარება. თუკი ვერ ხედავ, რომ ცხოვრებაში გაქვს ის, რაზეც ბიბლია ამბობს, რომ შენია, სთხოვე ღმერთს გაჩვენოს, თუ რატომ?! იგი

დაგელაპარაკება და დაგეხმარება, ისწავლო, როგორ მოქმედებს მისი გასაოცარი სამეფო.

გუშინ ერთმა ბიზნესმენმა ჩემს ეკლესიაში გაიგო: თავისი ბანკიდან, რომ ის ფედერალური გრანტის თანხა, რასაც დაპირდნენ, გააუქმეს. იგი უკვე მოელოდა ამ თანხას და გეგმებიც ჰქონდა მისგან გამომდინარე. დახმარების გარეშე, მას თავისი თანამშრომლების დათხოვა მოუწევდა. როცა ბანკს ჰქითხა, თუ რატომ ალარ აძლევდნენ თანხას, ისინი პასუხს ვერ სცემდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ფიქრობდა საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხას მიიღებდა, წინასწარ დააბანდა თანხა იმ მასალაში, რაც სჭირდებოდა. მაგრამ ახლა, როცა ეს ყველაფერი გაირკვა, აღმოჩნდა, რომ უფულოდ დარჩა და არ იცოდა, რა ექნა. ერთადერთი, რაც დარჩა, იყო სასაჩუქრე ბარათი მის საფულეში, რომელიც ვიღაცამ აჩუქა. მაშინვე ეკლესიაში მოვიდა ამ ბარათთან ერთად, რადგან იცოდა, რომ უნდა დაეთესა ის, რაც ჰქონდა და ერწმუნა უფლის, რომ დაეხმარებოდა ამ რთულ პერიოდში. ეკლესიაში ბარათის შენირვიდან რამდენიმე საათში ბანკიდან დაურეკეს, ბოლიში მოუხადეს და უთხრეს, რომ ეს შეცდომა იყო და თანხას გაუგზავნიდნენ.

## შენი როლი უნდა შეასრულო

დასასრულისკენ, ნება მომეცით, ჩემი ბოლო სიტყვები ვთქვა საჭირო ფულის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით! აღმოვაჩინე, რომ უამრავ ლვთის კაცსა თუ ქალს აქვს გული გასაცემად, სხვა ადამიანებისთვის დასახმარებლად, მაგრამ არ აქვთ ფული. მჯერა, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც ხალხი ვერ ხედავს თავიანთი გაცემულის უკან დაბრუნებას, არის არასწორი აღთქმა იმისა, თუ რა უნდა მოხდეს გაცემის შემდეგ. მრავალ ქრისტიანს არასწორად სჯერა, რომ ღმერთი უბრალოდ მისცემს მათ იმ თანხას, რაშიც ერწმუნენ. მაგრამ ეს ვერ მოხდება, რადგან ღმერთს არ აქვს ფული. მთელი ფული აქაა, მიწიერ სამეფოში და მხოლოდ ვაჭრობის პროდუქტია (რაღაცის ყიდვის ან გაყიდვის).

ამიტომ, თუკი ამ პროცესის ეს ასპექტი გვესმის, გაცემის შემდეგ უნდა მოვუსმინოთ სულიწმიდას, რომ მოგვცეს გეგმა, მიმართულება ან იდეა, თუ სად შეიძლება შევქმნათ ან მოვიპოვოთ ქონება ბაზარზე. ეს არ ნიშნავს, რომ შე თავად უნდა გქონდეს

ბიზნესი, სულწიმიდა მოგცემს მიმართულებას, თუ სად უნდა წახვიდე და ჩააგდო შენი ბადე ამ პაზარზე. ბადეს აქვს უნარი, დაიჭიროს ან შექმნას ფული ბაზარზე. ღმერთი წარმართავს შენს ნაბიჯებს და გეგმას, რომელსაც უნდა მიჰყვე. ადამიანთა უმრავლესობისთვის, ვფიქრობ, საუკეთესო, ყველაზე სწრაფი და ყველაზე შესაძლო ბადის ვარიანტი სწორედ ბიზნესია. როცა ბიზნესს ვამბობ, მე არ გამოვრიცხავ რაიმე კორპორაციაში მუშაობას, მაგრამ ბადე საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისთვის, რომ ისეთი თევზი დაიჭიროს, რაც შენ გჭირდება. ეს შეიძლება იყოს, შენი საკუთარი, ან სხვისი ბიზნესი.

მაგრამ როცა საქმე ბადებს ეხება, ჩემი გამოცდილებით, ადამიანთა დიდი ნაწილი ვეშაპზე თევზაობს აბაზანაში. ნება მომეცით, განვმარტო. მოდი, ვთქვათ, რომ ვიღაც სურსათის მაღაზიაში მუშაობს და საათში 10\$ გამოიმუშავებს. მაგრამ ახლა მათ სურთ თავიანთი 150,000\$-იანი სახლი გამოისყიდონ და ამისთვის სამეფოს კანონის გამოყენება სურთ. კარგით, აქამდე ყველაფერი კარგია.

შემდეგ ისმენენ თესვა-მკაზე, სამეფოს კანონზე და თესავენ იმ რწმენით, რომ სახლს გამოისყიდან. ჯერ ისევ კარგადაა ყველაფერი. მაგრამ რაღაც მიზეზით, ისინი ფიქრობენ, რომ ეს თანხა ასე უბრალოდ გამოჩნდება. იციან, რომ მათი სამსახურით ვერ გამოიმუშავებენ სახლისთვის საქმარის თანხას და მთელ თავიანთ იმედს უფალზე ამყარებენ (და ეს კარგია). მაგრამ, როცა მე „უფალზე დაიმედებას“ ვამბობ, უნდა გესმოდეთ, რომ მე ვგულისხმობ, გვქონდეს უფლის იმედი, რომ მოგვცეს სიბრძნე და მიმართულება ამ თანხის მისაღებად. და ეს შეიძლება ძირეულ ცვილებებს მოიცავდეს.

ხედავთ, ადამიანები ხშირად სწორედ ამას ვერ აანალიზებენ, რომ ღმერთს შესაძლოა, სჭირდებოდეს მათთვის ახალი ტბის მიმართულების მიცემა, რათა ვეშაპი დაიჭირონ და არა მათთვის ნაცნობი აბაზანის. ხედავთ, თქვენს აბაზანაში ვეშაპები არ არიან! საათში 10\$-იანი სამსახურით 150,000\$-იანი სახლის ყიდვა რამდენიმე წელში ძალიან რთული იქნება. მაგრამ ღმერთმა იცის, თუ სად არიან თევზები და შეუძლია, სწორი ადგილი და მეთოდი მიგითითოს იმ თევზების დასაჭერად, რაც შენი მიზნის მისაღებად გჭირდება. გახსოვს ისტორია პეტრესა და უდიდეს თევზჭერაზე? პეტრემ მთელი ღამე ითევზავა, თუმცა ვერაფერი დაიჭირა, მაგრამ იესომ უთხრა, თუ სად

ეთევზავა; და ამის შემდეგ, პეტრეს ნავი თევზებს ველარ იტევდა. ხედავთ განსხვავებას? მიმართულების მიმცემი სიტყვა იყო: „გადაყარეთ თქვენი ბადეები ღრმა წყლებში“. ხედავთ, პეტრე არასწორ ადგილას თევზაობდა. მაგრამ იესომ უთხრა, თუ რა გაეკეთებინა და მისი წარმატებაც შეიცვალა.

როცა მე და დრენდას სერიოზული ვალები გვქონდა, უნდა გვესწავლა, მოგვესმინა ღვთისითვის და მივყოლოდით მას უფრო და უფრო დიდი ტბებისკენ, რათა ჩვენთვის საჭირო თევზები დაგვეჭირა. უფლის მიმართულებას უფრო და უფრო ღრმად შევყავდით წყლებში. წრფელად რომ ვთქვა, ღმერთმა ისე ღრმად შეგვიყვანა, რომ უკვე მიწასაც კი ველარ ვხედავდით, რაც ძალიან გვაშინებდა, რადგან მსგავს ადგილას მანამდე არასდროს ვყოფილვართ და განსაკუთრებით საშიში ხდებოდა შტორმის ამოვარდნისას.

რადგან ადამიანთა დიდი ნაწილი უბრალოდ ღმერთს ელოდება, რომ ფული გამოჩნდება, ისინი არასდროს უსმენენ იმას, რაც მათვის უცხოდ უდერს და ახალი და საშიში ადგილებისკენ უძღვება, სადაც მანამდე არ ყოფილან. ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ ნაცნობს უყურებს, იმას, რაც უკვე იციან. მაგრამ ვეშაპები შენს აპაზანაში არ არიან. ღრმა წყლებში უნდა შეხვიდე.

ამრიგად გახსოვდეთ, უქმად არ უნდა დავსხდეთ მას შემდეგ, რაც დავთესავთ. როცა დავთესავთ, შეგვიძლია, ჩავეჭიდოთ ღვთის სიტყვას და ვიცოდეთ, რომ ღმერთი მოსავლის აღებამდეც მიგვიყვანს. მაგრამ უნდა მოვუსმინოთ მიმართულების მისალებად, მივყვეთ მას და მზად გვქონდეს ბადეები, რათა დავიჭიროთ ვეშაპები, როცა იქ მივალთ.

მრავალი ადამიანი რეალურად დგამს ნაბიჯებს ტბის შესაც-ვლელად, მაგრამ არ ცვლის მეთოდს, რითიც მოსავალს იღებდა. ქორქილას ანკესი ვეშაპს ვერ დაიჭერს (თუმცა, რა თქმა უნდა, მართლა ვეშაპის დაჭერაზე არ ვსაუბრობ. ამას უბრალოდ მაგალითად ვიყენებ მათი ზომის გამო).

მას შემდეგ, რაც სწორ ადგილას აღმოჩნდები, შენი მეთოდებიც შესაბამისი უნდა იყოს, რათა გაუძლოს მეტ წონასა და სიმძიმეს, რაც დიდ მოსავალს ახლავს თან. ამ ყველაფრის თავის ადგილზე დალაგებას კი დრო სჭირდება. ძალიან ხშირად ღმერთმა იცის, რომ არ ვარ მზად ვეშაპის დასაჭერად, როცა საქმე საქმეზე მიდგება. მაგრამ ღმერთი გვასწავლის და შეგვიძლია, დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ჩვენს დაჭერილს ნაპირამდე მივიტანთ, თუ ძალა არ გამოგველევა.

ამრიგად, რომ მიმოვიხილოთ, უნდა შევწყვიტოთ ფიქრი სასწაულის გზით გამოჩენილ ფულზე, ან როგორც მე ვუწოდებ, საფოსტო ყუთის მენტალობაზე (მიუხედავად იმისა,

**საჭიროა ვიმუშაოთ  
ღმერთითან,  
მოვეაზადოთ  
მოსავლის ასაღებად  
და ჩვენი როლი  
შევასრულოთ  
იგ ყველა  
შესაქლებლობის  
გამოსაყენებლად,  
რასაც ღმერთი ნინ  
გვიღებს.**

ამრიგად, წადი ამისკენ და მოიპოვე მრავალი უფლისთვის შენი წარმატებით და მაგალითით!

რომ ღმერთი გასაოცარ საქმეებს აკეთებს). ნაცვლად ამისა, საჭიროა, ვიმუშაოთ ღმერთთან, მოვემზადოთ მოსავლის ასაღებად და ჩვენი როლი შევასრულოთ იმ ყველა შესაძლებლობის გამოსაყენებლად, რასაც ღმერთი წინ გვიდებს.

უზრუნველყოფის ძალა შენს ხელშია. არა, მე ამ წიგნის სათაურზე არ ვლაპარაკობ. მე ვსაუბრობ სულინმიდაზე და სამეფოზე, რომელშიც ღმერთმა მოგათავსა.

ახლახან მივიღე ეს წერილი და ვიფიქრე კარგი შეხსენება იქნებოდა, წიგნის დასამთავრებლად.

„მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შუაგულში, ჩვენს ბიზნესს 4,000\$ ჰქონდა ვალი და კიდევ 8,000\$ ვალი ემატებოდა. თუმცა კიდევ ბევრია! ჩვენი ბიზნესის ფინანსურებს ვუყურებდითდამივხდით, რომჩვენი ბიზნესის შემოსავალი 2020 წელს გაცილებით აღემატებოდა 2019-ისას! ჩვენი წარმატება სრულიად აღემატება იმას, რასაც ვითხოვდით ან წარმოვიდგენდით (ეფესელთა 3:20) მაშინ, როცა დედამიწის წყველით დაწყვევლილი მსოფლიო ეკონომიკა ეცემა. უბრალოდ ისეთი აღფრთოვანებულები ვართ იმით, რასაც ღმერთი აკეთებს! ის ისეთი ერთგულია თავისი სიტყვის!

მადლობა, მადლობა, მადლობა გარის და დრენდას, მათ ოჯახს, მათ გუნდს და მათ პარტნიორებს ღვთის სიტყვის მოტანისთვის ჩვენს ცხოვრებაში! ჩვენ 17 წელი სიღარიბესა და გაჭირვებაში ვცხოვრობდით, როგორც გარი და დრენდა იყვნენ 9 წლის განმავლობაში, სანაც

ჩვენმა მწყემსებმა ოთხშაბათ საღამოს მსახურებებზე ჩვენთვის „ფულის პრობლემის გადაჭრის“ ჩვენება არ დაიწყეს. ეს ხუთ-ნახევარი წლის ნინ იყო და მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა! მადლობა კიდევ ერთხელ! იყავით კურთხეულები!

მოგვიყევით თქვენი ისტორიები Garykeesee.com-ზე! სხვა ადამაინებს სჭირდებათ, მოისმინონ, როგორ გასაოცრად მოქმედებს ღვთის სამეფო თქვენს ცხოვრებაში!

სხვა წიგნები „პენი ფინანსური რევოლუცია“  
სერიაში გარი ქისის მიერ:

ერთგულების ქალა  
დასვენების ქალა  
სტრატეგიის ქალა  
უზრუნველყოფის ქალა  
უზრუნველყოფის ქალა

# შენი ფინანსური რევოლუცია

## უზრუნველყოფის ძალა

გადარჩენისთვის ბრძოლა....

თუ დიდი ოცნებების ქონა?

ვალების მონიბა....

თუ ღმერთისგან დადგენილი მიზნის მიყოლა?

რომელი უფრო შეესაბამება შენს სიტუაციას?

რა მოიტანს ცვლილებას შენს ცხოვრებაში?

უზრუნველყოფა!

ყველა დავთანხმებით, რომ ცხოვრებაში აუცილებელია საჭირო რაღაცებით უზრუნველყოფა. მაგრამ მართლა გესმის უზრუნველყოფის ძალა?

გარი ქისს სურს, ეს გაამარტივოს.

„შენი ფინანსური რევოლუციის“ სერიების მეოთხე ნაწილში, გარი თავისი და სხვისი წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს და ღვთის სამეფოს კიდევ ერთ გადამცყველი მნიშვნელობის მქონე საიდუმლოს ავლენს: უზრუნველყოფის ძალას!

ისნავლე:

- ხუთი ძირითადი ნაბიჯი, რაც შეგიძლია საჭირო უზრუნველყოფის მისაღებად გადადგა.
- რწმენის მნიშვნელობა და როგორ შეგიძლია მიხდე, როცა რწმენაში არ ხარ.
- როგორი მომაკვდინებელი შეიძლება იყოს პროკრასტინაცია.
- შეგიძლია თუ არა ირწმუნო, რომ ლატარიას მოიგებ (დიახ, მართლა წერია ამაზე).
- და კიდევ ბევრი!

შეუერთდი გარის ამ თვალისამებრ მოგზაურობაში და აღმოაჩინე, როგორ დანერგო უზრუნველყოფის ძალა შენს ცხოვრებაში!



გარი ქისი არს ავტორი, სპიკერი, მენარქე, ფინანსური ექსპერტი და პასტორი, რომელიც აღძრულია ადამიანების ცხოვრებაში გამარჯვების მიპირვებაში დაეხმაროს, განსაუთირებოთ რწმენის, ოჯახისა და ფინანსების სფეროებში. გარიშ და მსმა ცოლმა, დრენდამ რამდენიმე წარმატებული ბიზნესს შექმნეს და არიან დამარსებლები „რწმენით ცხოვრება აწლა“, რომელიც ორ სატელევიზიო გადაცემას უშვებს: „ფულის საკითხის მოგვარება“ და „დრენდა“, ასევე მსოფლიო მაშტაბის კონფერენციებსა და პრაქტიკულ რესურსებს. გარდა ამისა, „ქისები კოლუმბუსში“, ოპაიოში მწყემსავენ „რწმენით სიცოცხლის ეკლესიას“.